საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი
ИНСТИТУТ РУКОПИСЕЙ им. К. С. КЕКЕЛИДЗЕ

1973

МРАВАЛТАВИ

Историко-филологические
разыскания

II

Издательство «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ 1973

ქართველთა
ცრაფალთავი

ფილოლოგიურ-ისტორიული
ძიებანი

II

გამომცემლობა «მეცნიერება»
თბილისი · 1973

8 Г,
899. 962. 1—09
მ 90

კრებული შეიცავს გამოკვლევებსა და მცირე ზომის ტექსტთა პუბლიკაციებს ძველი ქართული მწერლობის ისეთ მნიშვნელოვან დარგებში, როგორიცაა აგიოგრაფია, აპოფთეგმატიკა, პიმნოგრაფია და სხვა.

კრებულში წარმოდგენილია მდიდარი მასალა ქართულ ლიტერატურაში პოეტურ და ბელეტრისტულ ჟანრთა წარმოშობისა და განვითარების შესასწავლად.

კრებულში აგრეთვე განხილულია ქართული პალეოგრაფიის საკითხები, კერძოდ: ქართული დამწერლობის, ხელნაწერთა შემკულობის, ტექნიკური ნიშნების, ქვერნიშნებისა და სფრაგისტიკისა. კრებულში შესული ნაშრომები მთლიანად ემყარება ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ მასალას — ხელნაწერ კრებულებსა და ისტორიულ დოკუმენტებს.

7—2—2
87—71 ადგ.
M—607

გამომცემლობა „მეცნიერება", 1973.

ზურაბ სარჯველაძე

მროველი თუ მრუველი

(ო და უ ნიშანთა ურთიერთმონაცვლეობისათვის ქართულ წერილობით ძეგლებში)

ქართულ საისტორიო მეცნიერებაში კარგადაა ცნობილი პიროვნება, რომელსაც ტრადიციულად ლეონტი მ რ ო ვ ე ლ ს უწოდებენ. ზოგი მკვლევარი მას „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ავტორად მიიჩნევს[1], ზოგი კი — გადამწერად[2].

ამ სტატიის მიზანია იმის გარკვევა, რამდენად გამართლებულია ტრადიციული ფორმა მ რ ო ვ ე ლ ი.

ა. შ ა ნ ი ძ ე მ რ ო ვ ე ლ-ს წარმომავლობის სახელად მიიჩნევს. იგი წერს: „ძველ ქართულში შემონახულია რამდენიმე სახელი, რომელთაც ელ სუფიქსის დართვისას კიდევ მ პრეფიქსიც მოუდიოდა: მ-არად-ელ-ი (არადეთ-ი სოფელია ქართლში), მ-რო-ვ-ელ-ი (რუ-ის-ი-ც სოფელია ქართლში; მისი პარალელური ფორმა უნდა ყოფილიყო რო-ის-ი, აქედან მ-რო-ელ-ი, ვ-ს გაჩენით ო-ს შემდეგ მ-რო-ვ-ელ-ი); ასეთივე წარმოშობისაა: მ-არგუ-ელ-ი, მ-აწყუერ-ელ-ი (აწყურის ეპისკოპოსთა ტიტული), მ-ეგვპტ-ელ-ი და სხვ“[3].

წარმოქმნილ სახელად მიიჩნევს ამ ფორმას ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ც. „ურბნ-ის-ი — ურბნ-ელ-ი, რუ-ის-ი უნდა ყოფილიყო რუ-ელ-ი; გვაქვს კიდეც, ოღონდ მ- პრეფიქსის დართვით: მ-რუ-ელ-ი. მრო-ვ-ელ-ი შემდგომი ვარიანტია: მასში ვ განვითარებულია და უ-ს ო ენაცვლება; ეს ახალი ვარიანტი — მროველი — გვხვდება ჩვეულებრივად“[4].

ა. შ ა ნ ი ძ ე და ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ამოსავალ ფორმად რ უ-ის-ს მიიჩნევენ. ა. შ ა ნ ი ძ ე უშვებს პარალელური რ ო-ის ფორმის არსებობას, ხოლო ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა უ/ო ფონეტიკურ მონაცვლეობას.

„ქართლის ცხოვრება“-ში ეს ფორმა ერთხელაა ნახსენები: „ესე არჩილის წამება, და მეფეთა ცხოვრება და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მ რ ო ვ ე ლ მ ან აღწერა“[5]. „ქართლის ცხოვრებ“-ის ნუსხათაგან სამი უველა-

---

[1] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 301 — 302; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 239 — 243; ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ქართლის ცხოვრება, I, 1955 და სხვები.

[2] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. XXXVI; Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. 1959. გვ. 28—32.

[3] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 128.

[4] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 145.

[5] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი უველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, ტ. I, 1955, გვ. 244.

ზე მნიშვნელოვანია: ანასეული — XV საუკუნისა; ჭალაშვილისეული — XVI საუკუნისა; მარიამისეული — 1633 — 1646 წლებისა[6]. ამათგან ყველაზე ადრე აღმოჩნდა მარიამისეული ნუსხა[7], ხოლო უფრო გვიან — დანარჩენი ორი[8]. მ რ უ ე ლ ი იკითხება მარიამისეულ ნუსხაში, ე. ი. იმაში, რომელიც ყველაზე ადრე გახდა ცნობილი. ანასეულ ნუსხათა კი, რომელიც მოგვიანებით აღმოჩნდა, მაგრამ დღემდე ცნობილ ნუსხათაგან უძველესია, იკითხება — მ რ უ ე ლ ი.

ვფიქრობთ, მ რ უ ე ლ ი მართებული ფორმაა. იგი წარმოქმნილი სახელია: ამოსავალია, რ უ-ი ს, მ-ე ლ აფიქსებია, ვ განვითარებულია უ-ს შორის[9]. მ რ ო ე ლ ი მიღებულია უ/ო გრაფემათა მონაცვლეობის შედეგად.

ლ ე ო ნ ტ ი „მ რ ო ე ლ ი" XI საუკუნის მოღვაწეა. მისი ხელიდან გამოსული ნუსხა შეიძლებოდა ხუცური (ნუსხური) ყოფილიყო, ან მხედრული. ო/უ და უ/ო გრაფემათა მონაცვლეობა გვხვდება ძველი და საშუალო ქართულის როგორც ხუცური, ისე მხედრული ანბანით შესრულებულ ძეგლებში[10]. ამ მონაცვლეობის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ქართულ ანბანს, რომელიც თავისი ბუნებით არსებითად ფონოლოგიურია[11], თავიდანვე ერთი არათანმიმდევრობა დაჰყვა: /უ/ ასომთავრულში გადმოიცემა ორი გრაფემით Ⴓ, და ამ ორი გრაფემის შერწყმით ⴢⴓ ნუსხურში[12]. საკმარისია მწერლის (გადამწერის) მიერ ყურადღების ოდნავი მოდუნება, რომ მოხდეს უ და ო ნიშანთა აღრევა:

დაწერილია ო, იკითხება უ:

იყო რიცხ იგი მორწმუნეთა მათ ვითარ ხ ო თ ათას ოდენ, საქმ. მოციქ. 4, 4E; სადა შფოთი და განკორვებაჲ არს, მამ. სწავლ. 36, 29;

რ ა განვამტკიცო და განვაძლიერო სარწმონოებაჲ შენი, იოსებ არიმათ, 31, 5 — 7C; და აღდგა იგი მეუსეოლად, პალეოგრ. ალბ. 38, 7 — 8; ერთ არს

---

[6] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა, ქართლის ცხოვრება, ტ. I. გვ. 014 — 016.

[7] ი ქ ვ ე. გვ. 014 — 015.

[8] ი ქ ვ ე. გვ. 015 — 016.

[9] მსგავსი მაგალითები ხშირია ძველსა და საშუალ ქართულში: ს ი ც რ უ ვ ე, აპოკრ. წამ. პეტრწსი, 8; ს ი ღ რ უ ვ ე, ექუს. დღ. 32,7; მ ე რ უ ე ე ნ ი, აგიოგრ. ძეგლ. 1, 81,25;დრკუეებაჲ, ისტ. ქრისტ. II, 29,8; ა ღ ი მ ს თ უ ე ე, ფსალმ. 450, 15 A; ენმანუელ, სას. პოეზ., მწ 7; ნგ 19.

[10] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, შიომღვიმის ისტორიული საბუთები, 1896, გვ. 7; Н. Я. Марр. Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера: ЗВОРАО, т. X, вып. II—III, 1901, გვ. 108; ა. შ ა ნ ი ძ ე, უანის მარმარილოს ქანდაკების წარწერის წაკითხვა — განმარტებისათვის: საქ.სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XVII, 1956, № 9, გვ. 858. ძნელია იმ მოსაზრების გაზიარება, რომლის მიხედვითაც, თითქოს აქ ფონეტიკური მონაცვლეობა გექონდეს: К. Кекелидзе. Древне-грузинский Архиератикон. 1912. გვ. XXII; ვ. კ ი ხ ა ძ ე, ბასილი დიდი ეჭუსთა დღეთაჲ, 1947, გვ. 014; ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის, I, 1964, გვ. 262 — 267.

[11] ანბანის შედგენის ფონოლოგიური პრინციპებისათვის იხ.: А. А. Реформатский, Введение в языкознание, М., 1960, გვ. 298—303.

[12] მხედრული ანბანით შესრულებულ ძეგლებში ო და უ ნიშანთა მონაცვლეობა ხუცურის ორთოგრაფიის ზეგავლენით უნდა აიხსნას (თუმცა არაა გამორიცხული ამ ნიშანთა აღრევა თვით მხედრულის ნაიადაგზე).

ოფალ, პაელ. ეპისტ. 170r, 18; რომელ არს ცროაჲ ფიცი და ძურის ზრახვაჲ, საკითხ. თეოდორ. 390 v, 25 — 26 b.

(მოსაკსენებლად) სოლსაპ~ლ გარდაცვალებოლთა მეფჱთა, სიგ. შღუიმელთაი 95, 1 — 2; ნოვინ უშალავთ ბრძანებოლსაამას და გაგებოლსა ჩუენსა ნოცა რას ვინ დააკლებთ, ნო დიდსა და ნო მცირესა, იქვე 95, 24 — 26; რაი უკუე ქმნაო დისწულმან შენმან, ეტყუიან, ანო რაი გაჭუს დისწულისაგან შენისა, თარგმ. ქებათ. 24,4 — 5.

იწერება უ, იკითხება ო:

დაუუდებაჲ და შიში ღმრთისაჲ გუდოლ მტკიცე არიან წინაშე პირსა მტერისასა, მამ. სწავ. 23, 10 — 11 C; შდრ. გოდოლ AB,

უხჱნება ხოლო არა ეყო, იერემ. 4, 27 E; აჰა ეგერა, ესუდენთა პატივთა მიემთხუა ოსი, ბალაყარ 67, 17 — 18 G; და შევარდა იგი აღგილთა ძნელუვანთა და ფიცხელთა, კიმ. I 20, 26—27;

უხითა დიდებულთა წმიდათა მოციქულთა, იოანე ჯიბის ძის ანდერძი 101,5;

უწუდიან სახელი მისი ენმანუელ, სინ. მრავალთ. 58, 17 — 18;

საჱირუჲსა მის და უღონოჲსა ნაკლულევანებისა რაჲ იქმნეს ნუგეშისმცემელ, საკითხ. თეოდორ. 390 r, 6 — 9 a; რამეთუ არცა ათთა, გინა უცთა, ანუ ასთა მიმართ დაადგრა სიმდიდრე იგი მადლისაჲ, თარგმ. კათ. ეპისტ. 36, 30 — 33 a; ესე არს მახლობელი ჩემი, ასულნუ იერუსალემისანო. სოლომ. თარგმ. ქებ. ქებათ. 156 r, 29 — 30 a; აღდეგ, მოვედ, მახლობელო ჩემო, შუენიერუ, ჩემუ, ტრედუ ჩემო, თარგმ. ქებათ. 14,3; რაითამცა იგი გლეხი იმას წყაროის მკაზმავად უბუძნეს, შიომღვ. ისტ. საბ. გვ. 27; სამი სიგელი, გვ. 9.

ამგვარ ნიმუშთა რიცხვის გაზრდა იოლია. ეს გვაძლევს საფუძველს დავუშვათ, რომ ლეონტი მროველის ხელიდან გამოსულ ნუსხაშიაც იქნებოდა ო და უ ნიშანთა ურთიერთმონაცვლეობის შემთხვევები. შესაძლოა, მის ავტოგრაფშიაც მროველი ეწერა, მაგრამ გამოითქმოდა მრუველი[13]. საშუალ ქართულში დამკვიდრდა მროველი, რაც მცდარი დაწერილობის ზეგავლენის შედეგია. ამ მოვლენას ხელი შეუწყო იმან, რომ ამ დროისათვის მ—ელ ადიქსებით ადამიანის ვინაობის სახელის წარმოება უკვე მოშლილია[14]. ამ მხრივ ნიშანდობლივია ასეთი ნიმუში:

---

13 ძველ წერილობით ძეგლებში გვაქვს მრუელ//მროველ: მერმე იმაეე რიგით დახდებიან უნატიფ წიღნელი, კაწარელი, ურბნელი, მრუელი, ქრონ. 1, 46; შდრ.: ადიდენ ღ~ნ სული გ~ი მამამთავრისა მროველისაჲ, S — 4939, 15 r. მრუველისაგან იწარმოება გვარი მრუველისშვილი (Ad—1572); გვაქვს მროველაშვილიც (Ad—8712). რაც შეეხება ამ უკანასკნელ ხანს აღმოჩენილ 1066 წლის წარწერას, იქ ეს ფორმა ჩარაგმითაა დაწერილი: მე, ლ~ტი მრ~ლმნ, რაც გ. გაფრინდაშვილმა ასე გახსნა: მე, ლეონტი მროველმან (გ. გაფრინდაშვილი, ლეონტი მროველის 1066 წ. სამშენებლო წარწერა თრიხის ქვაბებიდან: საზ. მეცნ. განყ. მოამბე, I, 1961, გვ. 246 — 247), ამ ჩარაგმის გახსნა შეიძლებოდა ასეც: მე, ლეონტი მრუველმან.

14 მროველი დამკვიდრდა სასულიერო პირის ტიტულად. წარმომაულობის სახელად აღბათ უკვე რუისელი ითხმარებოდა.

პოვა ნავი მ ე გ ვ პ ტ ე ლ ი მიმავალი ასკალონდ, ნიკოლაოს 187 r, 24 — 25 b. მ ე გ ვ პ ტ ე ლ ი ასრულებს ნიეთის სახელის განსაზღვრების როლს.

არის შემთხვევები. როცა მ პრეფიქსი გაიგება ფუძისეულად და ურ სუფიქსის დართვით ვიღებთ მ ე გ ვ პ ტ უ რ ფორმას:

რაჲსათჳს გული უთქუმიდა მათ, გარნა კორცისათჳს მ ე გ ვ პ ტ უ რ ი ს ა, თარგმ. კათ. ეპისტ. 8, 1 — 3 b; მ ე გ ვ პ ტ უ რ თ ა ნიეთთაგან და თიჴისა და ვინაჲთგან სიტყჳსაებრ მოციქულისა ყოველივე სამოძღურებლად ჩუენდა დაიწერა, სოლომ. თარგმ. ქებ. ქებათ. 87 v, 24 — 27 b; და ყოველივე მ ე გ ვ პ ტ უ რ ი გონებაჲ და ყოველივე უცხო თესლი სიბოროტე და ცოდვაჲ წყალთა შინა დაუტეოს, იქვე 88 r, 2 — 4 a.

მ რ ო ვ ე ლ ი მცდარი წაკითხვის შედეგია. ძველ წერილობით ძეგლებში არის რამდენიმე შემთხვევა, როცა ო/უ მონაცვლეობის ახსნა ჭირს. მაგ., ძველ ქართულში გვაქვს ნასესხები საკუთარი სახელი იესუ (შდრ.: ბერძნ. ὁ Ἰησοῦς, სომხ. Յիսուս). XI — XII საუკუნეთა ქართულ წერილობით ძეგლებში რამდენჯერმე გვხვდება იესო:

და უძლური იგი შთაუტევეს წინაშე იესოჲსა, კათ. ეპისტ. 68 v, 2 — 3; რომელ არს ქრისტე იესოჲს მიერ, უფლისა ჩუენისა, პავლ. ეპისტ. 114 r, 13; რამეთუ სიჭაღული თქუენდა ვართ, ვითარცა თქუენ ჩუენდა დღესა მას უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა, პავლ. ეპისტ. 146 v, 14 — 16; შენ უკუე ჰირი დაითმინე ვითარცა კეთილმან მოღუაწემან ქრისტე იესოჲსმან, იქვე, 220 v, 17 — 18; განცხადებულად ჯუარცუმასა იესოჲსსა ქადაგებს, თარგმ. ქებათ. 25, 12.

ა. შ ა ნ ი ძ ი ს აზრით, იესო-ში ო მივიღეთ ო-ზე დაბოლოებულ საკუთარ სახელთა ანალოგიით[15]. აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში ო-თი დაბოლოებულ საკუთარ სახელთა რიცხვი მცირეა.

ქ ე რ ო ბ ი ნ ი, შდრ.: ბერძნ. ὁ χερουβ, სომხ. *քերովբէ, քերովբէի* ოდეს გალობენ ქ ე რ ო ბ ი ნ ნ ი და ს ერაბინნი, ისტ. ქრესტ. I, 41, 24. საყურადღებოა, რომ ს ე რ ა ბ ი ნ თ ა ნ ანალოგიის შედეგად ვიღებთ ქ ე რ ა ბ ი ნ ფორმას: ანგელოზნი და მთავარანგელოზნი, საყდარნი, უფლებანი, მთავრობანი და ჴელმწიფებანი, ქერაბინნი და სერაბინნი, ევნომიანოსთა მიმართ 718, 1 — 4; ქ ე რ ა ბ ი ნ ნ ი ექუს-ექუს ფრთენი, სერაბინნი მას უგალობენ, ბაგრატ 252, 18 — 19.

ქ ე რ ა ბ ი ნ გვხვდება ს ე რ ა ბ ი ნ მეწყვილეს გარეშეც: ვ-ა წ-ე საყდართა ქ ე რ ა ბ ი ნ თ ა მდგომარჱ ჰმონებს უფალსა ღმერთსა, სწავლ. სულიერნი 145 v, 18 — 19.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

აგიოგრ. ძეგლ. I: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს რედაქციით. 1965.

---

15 ა. შ ა ნ ი ძ ე, ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრ., 9, 1965, გვ. 44.

აპოკრ. წამ. პეტრწსი: ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ (IX — — XI ს.ს. ხელნაწერთა მიხედვით), გამოსცა ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე მ, 1959.

ბაგრატ: ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა და მოციქულთა სწორისა ბაგრატისი, მღდელთმოძღურისა ტავროშენელთა ქალაქისა, ჴალაკისა სიკილიისაჲ, რომელი აღწერა ევაგრე ეპისკოპოსმან, მოწაფემან მისმან, A — 134 (1066 წ.) ფ. 212 v — 296 v.

ბალავარ: ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე მ, 1957.

ეენომიანოსთა მიმართ: თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაჲ კოსტანტინეპოლელ მთავარებისკოპოსისაჲ სარწმუნოებისათჳს და წესიერებისა ებისკოპოსთაჲს არიანოზთა და ეენომიანოსთა მიმართ მწუალებელთა, A — 1 (1031 წ.), გვ. 699 — 720.

ეჭუსთა დღ.: ბასილი დიდი, ეჭუსთა დღეთაჲ, გამოსცა მ. კ ა ხ ა ძ ე მ, 1946.

თარგმ. კათ. ეპისტ: თარგმანებაჲ კათოლიკე ეპისტოლეთაჲ. Ier — 9, XI ს. გვ. 1 — 196.

თარგმ. ქებათ.: თარგმანებაი ქებისა ქებათაისაი, გამოსცა ა. შ ა ნ ი ძ ე მ, 1924.

იერემ: იერემიას წინაწარმეტყუელება, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა კ. დ ა ნ ე ლ ი ამ. ისტ. ქრესტ. I: ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, I, 1949.

ისტ. ქრესტ. II: ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1963.

იოანე ჯიბის ძის ანდერძი: ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI ს. I ნახევარში: სახ. მუზეუმის მოამბე, XX — B, 1959, გვ. 85 — 104.

იოსებ არიმათ.: წიგნი, რომელი დაწერა იოსებ არიმათიელმან, მოწაფემან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსმან, და თხრობაჲ აღშჱნებისათჳს ეკლესიისა, რომელი-იგი არს ღუდიას შინა, გამოსცა ნ. მ ა რ მ ა, TP, II, 1900. კათ. ეპისტ: კათოლიკე ეპისტოლენი, A — — 584 (1083 წ.), 67 v — 99 v.

კომ. I — კომენი I ტ. გამოსცა კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე მ, 1918.

მამ. სწავ..: მამათა სწაელანი, გამოსცა ი. ა ბ უ ლ ა ძ ე მ, 1955.

ნიკოლაოს: ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და საკვირველთმოქმედისა მამისა ჩუენისა ნიკოლაოს მთავარეპისკოპოსისა მირონ ქალაქისა, რომელ არს ჴეუანასა ლურიისასა, A—1103 (1011—1019 წ.წ.), 181 v—206 r.

პაელ. ეპისტ: პაულეს ეპისტოლენი, A — 584, 100 r — 229 r.

პალეოგრ. ალბ.: პალეოგრაფიული ალბომი, გამოსცა ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე მ, 1949 წ.

რწ ებისკოპოსთა მიმართ: თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაჲ კოსტანტინეპოლელ მთავარებისკოპოსისაჲ რწ ებისკოპოსთა მიმართ, რომელნი შეკრბეს კოსტანტინეპოლეს, რაჟამს იჴმნოდა იგი პატრიარქობისაგან, A — 1, გვ. 553 — 596.

საკითხ. თეოდორ.: წმიდისა მამისა ჩუენისა ნეკტარი კონსტანტინეპოლელ მამათმთავრისაჲ საკითხაჲ, რომელი-ესე აღწერა სასწაულისა მისთჳს წმიდისა თეოდორეს მიერ აღსრულებულისა, რომელი-იგი აღასრულა ყოელად ქებულმან და უძლეველმან მოწამემან ჴამთა იელიანე განდგომილისათა, A—55 (XII ს. დასაწყ.), 387r—392 r.

სამი სიგელი: შიომღვიმის სამი სიგელი, გამოსცა ს. ყ ა ყ ა ბ ა ძ ე მ, 1912.

საქმ. მოციქ.: საქმე მოციქულთა, გამოსცა ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე მ, 1950.

სას. პოეზ.: ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გამოსცა პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა მ, 1913.

საკითხ. წიგნ. II: საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ მ ა, 1966.

სიგ. მღუიმელთაი: გამოსცა ა. შ ა ნ ი ძ ე მ, ძველი ქართულის კრესტომათია, 1935, გვ. 95 — 96.

სინ. მრავალთ.: სინური მრავალთავი 864 წლისა, გამოსცა ა. შ ა ნ ი ძ ე მ, 1959 წ.

სოლომ. თარგმ. ქებ. ქებათ: წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ხოსელ ძთავარებისკოპოსისაჲ თარგმანებაჲ. ქებისა ქებათაჲსაჲ, A—55, 73r—165 v.

ფსალმ.: ფსალმუნნი, გამოსცა მ ზ ე ქ ა ლ ა შ ა ნ ი ძ ე მ, 1960.

შიომღ. ისტ. საბ.: შიომღვიმის ისტორიული საბუთები, გამოსცა თ. ე ო რ დ ა ნ ი ა მ, 1896 წ.

სწავლ. სულიერნი: სწავლანი სულიერნი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა თეოდორე აღმსარებლისა სტუდიელთა წინამძღურისაჲ თჳსთა მოწაფეთა მიმართ ყველიერისა კრიაჲთგან ვიდრე დიდად ოთხშაბათამდე, რომელნი წარკითხვიან მარხვათა შემდგომად სერობისა ღოცჳსა, A — 500 (1042 წ.), 162r — 206 v.

З. А. САРДЖВЕЛАДЗЕ

МРОВЕЛИ ИЛИ МРУВЕЛИ

(Р е з ю м е)

В грузинских письменных памятниках древнего и среднего периода наблюдается чередование графем: ო (o) и უ (u). Причиной этого явления послужило то, что звук უ (u) передавался посредством сочетания двух знаков ⵁ (в асомтаврули) ⵓ (в нусхури); უ (в мхедрули). Из этих же знаков первый употреблялся для передачи звука ო (o). Примеры замены გოლი goli ‖ გული guli „сердце“; ნო no ‖ ნუ nu „не“; სოლი soli ‖ სული suli „дух“; წუდება ċudeba ‖ ċodeba „знать, призывать“; უცი uċi ‖ ოცი oċi „двадцать“.

Неправильное написание может стать причиной неправильного произношения. Форма Мровели Mroveli получена посредством замены знака უ (u) знаком ო (o). Корнем этого слова является რუ (ru); მ-ელ m-el аффиксы, а ვ v является фонетической вставкой.

ცაცა ჯანკიევი

ადიშის ოთხთავის გადამწერის ტექსტზე მუშაობის მეთოდი

ადიშის, ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავები ორ რედაქციად ჯგუფდება. ცალკე დგას ადიშის ოთხთავი (897 წ.), რომლის ტექსტი საკმაოდ განსხვავებულია ოთხთავების სხვა ჩვენამდე მოღწეული ნუსხებისაგან. თავის მხრივ ადიშის ოთხთავი შედგება ორი რედაქციისაგან: ერთია ძირითადი, ადიშური, რომელიც ოთხთავის უმეტეს ნაწილს მოიცავს (მათე, მარკოზი, იოვანე მთლიანად და ნაწილი ლუკასი), ხოლო მეორე განსხვავებული, არაძირითადი, რომელსაც მისდევს ოთხთავის დაახლოებით მეხუთედი ნაწილი (ლუკა III, 9 — XV, 7 და XVII, 25 — XXIII, 2). ადიშის ოთხთავის ეს თავები რედაქციულად დგება ჯრუჭ-პარხლის ოთხთავების გვერდით[1]. რაც შეეხება ჯრუჭისა (936 წ.) და პარხლის (973 წ.) ოთხთავებს, ისინი ერთი რედაქციის ტექსტს შეიცავენ და საერთო დედნიდან მომდინარე ჩანან[2].

ადიშის, ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავები შატბერდშია გადაწერილი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შატბერდში ოთხთავის ტექსტის არა მხოლოდ გადაწერას, არამედ რედაქციულად დამუშავებასაც უნდა ჰქონოდა ადგილი, თუმც პირდაპირი ცნობა ამის შესახებ არ არსებობს: „ერთი იმ პუნქტთაგანი, სადაც ოთხთავის ქართული ტექსტი სწორდებოდა, შატბერდი ყოფილა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ მოგვეპოვება უტყუარი ცნობები იმის შესახებ, თუ რის მიხედვით ასწორებდნენ ტექსტს, რასთან ამოწმებდნენ მას, რა წყაროებით სარგებლობდნენ და, საზოგადოდ, რა პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ ასეთი საპასუხისმგებლო მუშაობის დროს“[3].

ადიშის ოთხთავში შეინიშნება საინტერესო ფაქტი, რომელიც, ვფიქრობთ, გადამწერის ტექსტზე მუშაობის მეთოდზე უნდა მიუთითებდეს. ადიშის ოთხთავში გვაქვს შემთხვევები, როდესაც ტექსტში ამოშლილია სიტყვა და მის ნაცვლად ტექსტისავე ხელით სხვა სიტყვაა ჩაწერილი. ამოფხეკილი სიტყვა თუ სიტყვის ნაწილის ნაკვალევი გარკვევით ჩანს და მისი წაკითხვა შეიძლებელია. აღსანიშნავია, რომ ის სიტყვა, რომელსაც უნებლიეთ წერს და მერმე ფხეკს ადიშის ოთხთავის გადამწერი, ჯრუჭ-პარხლის ოთხთავების შესაბამის ადგილას დადასტურებულია:

---

[1] ი. იმნაიშვილი, ადიშის ოთხთავი რედაქციულად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXVIII, 1946, გვ. 119 — 162, XXX b, 1947, გვ. 183 — 236.

[2] ი. იმნაიშვილი, ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავთა რედაქციული ურთიერთობისათვის, პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, IV, თბილისი, 1947, გვ. 151 — 171.

[3] ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, თბილისი, 1945, გვ. 011.

1. C[4] განიღკძა იოსეფ ძილისა [მის]გან (ძილისაგან)[5] და ყო ეგრე.

DE განიღკძა იოსებ ძილისა მისგან და ყო ეგრე — მათე I, 24.

2. C ისმინეთ იგავი [ესე] (ესე — C) იგი მთესვარისაჲ.

DE ისმინეთ იგავი ესე მთესვარისაჲ — მათე XIII, 18.

3. C ხოლო ერ[ი]მან (ერმან) მან ჰრქუა.

DE ხოლო ერი იგი იტყოდა — მათე XXI, 11.

4. C ყოველ[თა]მან (ყოველმან) რომელმან აღიღოს მახკლი, მახკლითაცა მოწყდეს.

DE ყოველთა რომელთა აღიღონ მახკლი, მახკლითაცა წარწყმდენ — მათე XXVI, 52.

ადიშის ოთხთავშიც პირველად ყოველთა ყოფილა დაწერილი, შემდგომ ბოლო მარცვალი თა ამოშლილია და მის ადგილზე მან აწერია—ყოველმან.

5. C პურნი იგი შესაწირავისანი შეჵამნა [და] (და C), რომელთა არა ჯერ-იყო ჭამაჲ.

DE პურნი იგი შესაწირავისანი შეჵამნა და ჰსცა მისთანათაცა, რომელი არა ჯერ-არს ჭამად — მარკ. II, 26.

6. C მუნჭუესვე აღმოცენდა.

DE მეყსეულად აღმოცენდა — მარკ. IV, 5.

ადიშის ოთხთავში მუნჭუესვე სიტყვაში პირველი უ-ს ადგილზე ჯერ ე წერია და მერმე ო-დ არის გადაკეთებული.

7. C და უბრძანა მათ ინაჳთ-დასხდომაჲ ყოველთაჲ მეოხნედ-მეოხნედ მწუანჳილსა ზედა თივ[ის]ასა (თივასა).

DE და უბრძანა მათ დასხდომაჲ მათი ყოველთაჲ პურისმტედ-პურისმტედ მწუანჳილსა ზედა თივისასა — მარკ. VI, 39.

8. C და [გა]მოვიდეს (მოვიდეს) ხილვად.

DE და გამოვიდეს ხილვად — ლუკა VIII, 35.

ადიშის ოთხთავში მოვიდეს სიტყვის ქვეშ ჩანს გამოვიდეს ნაკვალევი.

9. C ორნი ფქვიდენ ერთად.

DE ორნი ფქვიდენ (+ფქვილსა E) ერთად — ლუკა XVII, 35. ადიშის ოთხთავში ერთად სიტყვის ქვეშ აშკარად ჩანს ფქვილსა-ს ნაკვალევი. აღსანიშნაია, რომ ფქვილსა მხოლოდ პარხლის ოთხთავში დასტურდება.

10. C მიუგო მ[ჯ]ათ (მათ) იესუ.

DE მიუგო იესუ და ჰრქუა მათ — იოანე VI, 70. ადიშის ოთხთავში მათ სიტყვის ნაცვლად ჯერ ი̃ჯ (იესუ) ყოფილა დაწერილი, შემდგომ მთავრული ი მ-დ არის გადაკეთებული, მ და ა-ს შორის კი ჩანს ქარაგმადართული ჯ-ს ნაკვალევი.

როგორ შეიძლება აიხსნას ადიშის ოთხთავის ტექსტში ჯრუჭ-პარხლის რედაქციის მიმყოლი სიტყვების წაცდენა? ადიშის ოთხთავის გადამწერს, მიქაელს, ადიშის ოთხთავის დედანთან ერთად ხელთ უნდა ჰქონოდა ჯრუჭ-პარხლის რედაქციის ხელნაწერიც. რედაქციულად ცალკე მდგომი ადიშის ოთხთავი გარკვეულ ადგილებში (ზემოთ დასახელებული მუხლები ლუკას თავიდან)

---

[4] ვიყენებთ სამეცნიერო ლიტერატურაში შატბერდული ოთხთავებისათვის შემოღებულ ლიტერებს: C — ადიშის ოთხთავი, D — ჯრუჭის ოთხთავი, E — პარხლის ოთხთავი.

[5] ამოფხეკილი ადგილების მისანიშნებლად ვიყენებთ კვადრატულ ფრჩხილებს, მრგვალ ფრჩხილებში მოცემულია ადიშის ოთხთავის წაკითხვები გადაკეთების შემდეგ.

დგება ჯრუჭ-პარხლის ოთხთავების გვერდით, ამის გამო სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ „დედანი, საიდანაც გადმოიწერა ადიშის ოთხთავი (ან ერთ-ერთი მისი წინამორბედი), ნაკლულევანი ხელნაწერი ყოფილა, მას საკმაოდ ჰკლებია ლუკას სახარებაში და ეს დაკლებული ადგილები შეუვსიათ DE-ს ტიპის ხელნაწერიდან"[6]. ზემოთ განხილული შემთხვევებიც, თავის მხრივ, ამ ვარაუდს უჭერს მხარს.

ამრიგად, როგორც ჩანს, მიქაელი ადიშის ოთხთავის დედანთან ერთად ითვალისწინებს სხვა რედაქციის ნუსხასაც.

რა რაოდენობით შეაქვს გადამწერს ტექსტში ჩასწორებები, ეს გამოჩნდება იმ შემთხვევაში, ხელთ რომ გვქონდა ადიშის ოთხთავის დედანი. ერთი კი, ვფიქრობთ, ცხადი უნდა იყოს — ადიშის ოთხთავის გადამწერი ჯრუჭ-პარხლის რედაქციის ტექსტით მხოლოდ ნაკლულ ადგილებს არ ავსებს, მას ტექსტის გამართვისთვისაც იყენებს.

Ц. А. ЧАНКИЕВА

МЕТОД РАБОТЫ НАД ТЕКСТОМ ПЕРЕПИСЧИКА АДИШСКОГО ЧЕТВЕРОГЛАВА

(Р е з ю м е)

В научной литературе замечено, что недостающие места Адишского четвероглава (Лука III, 9—XV, 7 и XVII, 25—XXIII, 2) восполнены по рукописи джруч-пархальской редакции. На применение переписчиком Адишского четвероглава Микаэлом списка типа Джруч-Пархальского четвероглавов указывает и следующее: в Адишском четвероглаве встречаются вычеркнутые слова, замененные другими. Вычеркнутые слова подтверждаются в соответствующих местах Джручского и Пархальского четвероглавов. Как видно, список джруч-пархальской редакции Микаэлом применяется не только для восполнения недостающих мест Адишского четвероглава, но и для частичной правки текста.

[6] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია... გვ. 010.

გულნაზ კიკნაძე

ესთერის წიგნის ქართული რედაქციები

ესთერის წიგნში მოთხრობილია ღვთისმოსავი ებრაელი ქალის ესთერის ღვაწლი მშობლიური ერის წინაშე. იგი სპარსეთის დედოფალი ხდება. ეზოსმოძღვარი ამანი დაარწმუნებს სპარსეთის მეფეს არტაქსარს ებრაელი ერის დარბევის აუცილებლობაში და დაინიშნება დღე მათ მოსასრველად (ამანს გადაწყვეტილი აქვს სიკვდილით დასჯოს ებრაელი მარდოქეც, რომელიც დედოფლის გამზრდელია). ბრძანება ებრაელთა დარბევის შესახებ იგზავნება ყველა ქალაქში. მთელ სამეფოში ებრაელთა გლოვა-წუხილია. მარდოქე აცნობებს ესთერს მოსალოდნელ უბედურებას და სთხოვს, შემწეობა აღმოუჩინოს მშობლიურ ერს. ესთერი ამხელს მეფესთან ამანის მზაკვრულ განზრახვას. ამანს სიკვდილით სჯიან. ბრძანება გაუქმდება. ებრაელები ამ გამარჯვების აღსანიშნავად აწესებენ დღესასწაულს — ფურიეს.

„ესთერი" შეტანილია ბიბლიის კანონიკურ წიგნებში. უძველეს ტექსტებად თვლიან ებრაულს, სირიულს, ბერძნულს, სხვა თარგმანები აქედან მომდინარედ არის მიჩნეული[1]. სხვადასხვა ენაზე შემონახულ ვერსიებს შორის განსხვავებებია როგორც მოცულობის, ისე აღნაგობის თვალსაზრისით.

ბერძნული (სეპტანტას) ტექსტი განსხვავდება ებრაულისაგან მოცულობის თვალსაზრისით. ბერძნულის შვიდი ტექსტობრივი მონაკვეთი ებრაულში დადასტურებული არ არის. ბიბლიოლოგიურ ლიტერატურაში ეს მონაკვეთები შემატებების სახელწოდებით არის ცნობილი. ესენია:

1. მარდოქეს სიზმარი (I, 1 a—r);
2. ამანის ბრძანება ებრაელთა მოსპობის შესახებ (3, 13, a — g);
3. მარდოქეს ლოცვა (4, 17 a — l);
4. ესთერის ლოცვა (4, 17 l — x);
5. ესთერის მეფესთან შესვლის აღწერა (5, 1 a — f; 5, 2 a — c);
6. მარდოქეს ბრძანება (8, 9 — 12);
7. მარდოქეს სიზმრის ახსნა და დღესასწაულის დაწესება (10, 10 a — g).

ბიბლიოლოგთა ერთი ნაწილის ვარაუდით, ისინი გვიანდელი შენამატებია და დაწერილია ბერძნულ ენაზე, მეორე ჯგუფის აზრით — ებრაულში იყო, მაგრამ ჩვენამდე არ მოუღწევია[2].

---

[1] Толковая библия или комментарии на все книги Св. писания В. и Н. завета, под ред. А. Лопухина, 1914, СПб., стр. 363.

[2] П. Юнгеров, Частное историко-критическое введение в Св. книги, Вып. II, Казань, 1907, стр. 274—284; Ф. Вигуру, Руководство к чтению и изучению библии, Москва, 1916.

ამ შემატებების განლაგების მხრივ ცალკე დგას ლათინური ვულგატა, სადაც შემატებები გადატანილია ტექსტის ბოლოში ექვს თავად, სხვაგან კი მთელი წიგნის მანძილზეა თავებს შორის განლაგებული, ტექსტი დაყოფილია და ასოებრივი ნუმერაციით ჩაერთვის ციფრებით აღნიშნულ მუხლებს შორის.

ესთერის წიგნის ქართული ნუსხები. ესთერის წიგნი ქართულ ენაზე დაცულია შემდეგ ნუსხებში: ოშკურ ბიბლიაში (X ს.), A — 570 (XV ს.), A — — 646 (XVI ს.), H — 885 (XVII ს.), A — 51 (XVIII ს.). აგრეთვე ქართული ბიბლიის მოსკოვურ გამოცემაში 1743 წ.*

ჩვენი მიზანია ამ ნუსხათა რედაქციული ურთიერთობის გარკვევა.

ესთერის წიგნის რედაქციები. ტექსტობრივი თვალსაზრისით ესთერის წიგნის ქართული ნუსხები იძლევიან მეტად ჭრელ და მრავალმხრივ საინტერესო სურათს. შეეცდებით მოკლედ წარმოვადგინოთ ის მთავარი და არსებითი, რაც შეინიშნა მათი ურთიერთმიმართების შესწავლისას. ეს ნუსხები ჯგუფდება სამ ძირითად რედაქციად. ესენია:

1. ოშკური ბიბლიის ტექსტი (აღვნიშნავთ Ბ ლიტერით);

2. ც — წარმოდგენილი A — 570, A — 646, H — 885 და A — 51 ნუსხებში;

3. ჩ — ბაქარის ბიბლიის ტექსტი.

გარდა ამისა, მცხეთურ ბიბლიაში გამოელინდა რამდენიმე მუხლი, რომელიც რედაქციულად დაუპირისპირდა ჩამოთვლილ ჯგუფებს და ისინი შეიძლება გამოიყოს ცალკე, მეოთხე Შ რედაქციად.

Ბ რედაქცია. ოშკურ ბიბლიაში შემონახული ესთერის ტექსტის შედარებამ სხვა ნუსხებთან და უცხოენოვან ბიბლიებთან ცხადყო, რომ იგი მოცულობის თვალსაზრისით ჩამორჩება ბერძნული და სომხური ვერსიების ტექსტს. O-ს მათთან მიმართებით აკლია მრავალი შინაარსობრივი დეტალი. ბუნებრივად დაისვა ამ განსხვავების ასახსნელად დამატებითი უცხოური წყაროების ძიების საკითხი. საკარაუდო იყო მსგავსი რედაქციის არსებობა უცხოურ ენებზე.

ვარაუდი გამართლდა. რუსულ ენაზე არსებობს ი. როედესტვენსკის ვრცელი გამოკვლევა ესთერის წიგნის შესახებ[3]. აქ ავტორი მიმოიხილავს ბერძნული სეპტუაგინტისადმი ხელნაწერთა ერთი ჯგუფის მიმართებას. ეს ხელნაწერები აღმოაჩინეს ინგლისში. მეცნიერთა ვარაუდით მათ კავშირი უნდა ჰქონდეთ ლუკიანეს რეცენზიასთან[4]. Fritzsche, რომელმაც ამ რედაქციის ტექსტი გამოაქვეყნა[5], მას მოკლის სახელწოდებით აღნიშნავს.

ქართული ოშკური რედაქციისა და დასახელებული გამოცემის ტექსტის შეჯერებამ გვიჩვენა მათი რედაქციული სიახლოვე. ოშკური ბიბლიის ერთ-ერთი წყარო „ესთერის“ დასახელებული გამოცემის მიმდგომი რედაქციული ტიპისა უნდა ყოფილიყო. ქვემოთ ოშკურს ჩვენც პირობითად მოკლის სახელწოდებით აღვნიშნავთ და მიმოვიხილავთ მის დამოკიდებულებას სხვა ქართული რედაქციებისადმი.

---

* ლიტერები: O — ოშკ. ბიბლია; l — A 570; F — A 646; D — H 885; B — ბაქ. ბიბლია.

3 И. Рождественский, Книга Есфирь в текстах еврейско-масоретском, греческом и латинском, СПб., 1885.

4 იქვე, გვ. 71.

5 Libri apocryphi Veteris Testamenti graece, ed. Fritzsche, Lips. 1871.

ჩვენი ტექსტის დამოკიდებულებაში ვრცელი რედაქციისადმი უნდა გამოვყოთ სამი მომენტი (ვრცელ რედაქციად ქართული სინამდვილისათვის იგულისხმება Ზ რედაქციის ტექსტი, რომელიც ბერძნული სეპტანტის მიმდგომი ვერსიაა ძირითადად, ამიტომ აქვე თავისთავად ირკვევა Շ და Ղ რედაქციების წყაროებთან მიმართების საკითხიც):

1. ოშკი ტოვებს პარალელური რედაქციის ვრცელ ტექსტობრივ მონაკვეთებს 1 — 2 — 3, ზოგჯერ მეტი მუხლის მოცულობით; ამით O-ს ჩვენებები ემთხვევა ბერძნული მოკლე რედაქციისას და შორდება ბერძნული სეპტანტის ტრადიციას.

2. ერთი და იმავე მუხლის ფარგლებში O გვიჩვენებს განსხვავებებს სიტყვებსა თუ ფრაზეოლოგიაში და მხარს უჭერს მოკლე რედაქციის ტექსტს.

3. ზოგჯერ შეინიშნება საპირისპირო მოვლენა, O ავრცობს სხვადასხვა დეტალით ვრცელის მონაცემებს, რითაც ასევე ემთხვევა ხსენებულ ბერძნულ რედაქციას.

თქმულის ნათელსაყოფად მივმართოთ მაგალითებს:

ა) გამოტოვებული ადგილები

ოშკურში გამოტოვებულია შემდეგი მუხლები (სეპტანტის დამუხვლით):

I, 15, 18 მუხლები, სადაც აღნუსხულია ვასტიანე დედოფლის დასჯის დეტალები;

II, 6—მარდოქეს ისტორია, მისი ტყვეობა;

II, 10, 11, 12, 13, 14, 15, სადაც აღნიშნულია, რომ ესთერმა მარდოქეს რჩევით არ გაამჟღავნა თავისი ვინაობა, მარდოქეს მიერ ყოველდღიური მონახულება ესთერისა, მეფესთან შესასვლელად ქალების მომზადების რიტუალი;

III, 13 — მეფის ბრძანების დასაწყისი, სადაც მოხსენებულია მის სამფლობელოში შემავალი პროვინციები;

IV, 3 ებრაელთა გლოვა-წუხილი მეფის ბრძანების გამო;

IV, 17, IV, 5 — 7;

V, 9, სადაც აღწერილია ამანის მხიარულება ესთერის მიწვევის გამო;

V, 11 ამანის თავმოწონება მეგობრებისა და ცოლ-შვილის წინაშე;

VII, 8 — ამანის შიში მეფის წინაშე;

VIII, 12, VIII, 3;

VIII, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, სადაც დაწვრილებითაა მოთხრობილი მეფის მეორე ბრძანების წარმოშობის, შედგენისა და გაგზავნის ისტორია და დეტალები;

IX, 1—მეფის ბრძანების გავრცელების შესახებ 127-საუე პროვინციაში;

IX, 15 — 18 — ებრაელთა გამარჯვებით გამოწვეული სიხარული და დღესასწაულთა დაწესება დედაქალაქსა და პროვინციებში;

IX, 22 — 25 — მარდოქეს წერილის შინაარსი, თუ როგორ ცდილობდა ამანი ებრაელთა მოსრვას და როგორ მიეზღო სამაგიერო მის ოჯახს;

IX, 25 — 28 — მოვლენების დასახელება, რაც საფუძვლად დაედო დღესასწაულის დაწესებას;

IX, 32 — ლუსიმაქოსის თარგმანის მოხსენიება.

ასეთია სულ 40 მუხლი.

აქვე უნდა შემოვიტანოთ მაგალითები, სადაც მოკლე რედაქციის ტექსტს

თითქოს მოცილებული აქვს მუხლის ბოლო ნაწილი. ასეთი მაგალითები არც თუ ისე იშვიათია.

გამოტოვებულია:

„და მზა-ყვეს ძელი მარდოქესთკს, დადვეს სახლსა ამანისსა“ — — 5, 14;

„გულს-მოდგინე იქმნა და განმხიარულდა, წარვიდა და ინაკ-იდგა მეფისა თანა“ — 6, 14;

„იღუწიდეს მათ და მიეცემოდეს მათგან საზელელი, რომლითა განიბანნენ და სხუაჲ საღუაწოჲ“ — 2, 3.

მოტანილია Ч რედაქციის მაგალითები, O-ში, ისევე როგორც ბერძნულ მოკლე რედაქციაში, ისინი წარმოდგენილი არ არიან.

ბ) ფრაზეოლოგია და სიტყვათა მიმართება

ახლა განვიხილოთ ის შემთხვევები, როცა ერთი და იგივე აზრი ერთი მუხლის ფარგლებში O-ს მიხედვით გამოხატულია მოკლედ, სეპტანტასა და Ч რედაქციის ტექსტებში — ვრცლად. ამით ირკვევა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, Ъ და Ч ქართული რედაქციების ურთიერთობის საკითხიც. ფრაზეოლოგიასა და სიტყვათა მიმართებაში გარკვევით ჩანს O-ს რედაქციული იგივეობა ბერძნულ მოკლე რედაქციასთან, ხოლო Ч რედაქცია ბერძნულ სეპტანტასთან სიახლოვის მაჩვენებელია ამ შემთხვევაში.

Ъ	Ч
„და ყო მეფემან ქორწილი ესთერისი განცხადებულად“ — 2,18.	„და ყო მეფემან სუმა ყოველთა თანა მეგობართა თჳსთა შჳდ დღე და აღამაღლა ქორწილი ესთერისი“.
Καὶ ἤγαγεν ὁ βασιλεὺς τὴν γάμον τῆς Ἐσθὴρ ἐπιφανῶς.	LXX: καὶ ἐποίησεν ὁ βασιλεὺς πότον πᾶσι τοῖς φίλοις αὐτοῦ... καὶ ὕψωσεν τοὺς γάμους Ἐσθήρ.
„და შეუვლინა მას მარდოქე და ჰრქუა“ — 4,13.	„და ჰრქუა მარდოქე აქრათენს. მიველ და არქუ მას: ესთერ.
Καὶ ἀπέστειλεν πρὸς αὐτὴν Μαρδοχαῖος καὶ εἶπεν.	καὶ εἶπε Μαρδοχαῖος πρὸς Ἀχραθαῖον πορεύθητι καὶ εἶπον αὐτῇ: Ἐσθήρ.
„არა ინება — 1,12.	„არა ისმინა:
οὐκ ἠθέλεσεν.	οὐκ εἰσήκουσεν.
„ვედრებად დგა“ — 1,16.	„ჰრქუა“
Παρεκάλησεν.	εἶπεν.
„დაადგინე იგი ვასტიანეს წილ“. — 2,4.	„დედოფალ-ყოს ვასტიანეს წილ“.
κατασταθήσεται ἀντὶ Ὀυαστειάν.	βασιλεύσει ἀντὶ Ἀστιν.
„აღღებად პირისა მტერთაჲსა“. 4, 17 p.	„აღაღონ პირი წარმართთა“.
ἀνοῖξαι στόμα ἐχθρῶν.	ἀνοῖξαι στόμα ἐθνῶν.
„დამიდნა გული ჩემი“ — 5,2.	„შემიძრწუნდა გული ჩემი“.
ἐτάκη ἡ καρδία μου.	ἐταράχθη ἡ καρδία μου.
„და ჟამს ეძიებდა, რაჲთამცა მოკლა“ — 3,6.	„და ზრახა აჳოცაჲ“
καὶ ἐζήτει ἀναλεῖν.	καὶ ἐβουλεύσατο ἀφανίσαι.

გავრცობა

საყურადღებოა ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შეინიშნება O-ს მისწრაფება გავრცობისადმი. ეს რედაქცია ცდილობს შინაარსობრივად და სტილისტურად განავრცოს ზოგიერთი მომენტი, რაც ბერძნულ სეპტანტაში წარმოდგენილი არ არის, ან მოკლედ არის ასახული.

1, 19-ში, სადაც ვრცელი რედაქციის მიხედვით ნათქვამია, რომ დედოფლობა უნდა მიეცეს ვასტიანეზე უკეთეს ქალს, მოკლე ტექსტი უმატებს: „რომელმან აჩინოს მორჩილებაჲ შენ მეფისაჲ და კეთილ |შეემთხუოდის ყოველთა მეფეთა".

LXX-ში ეს ადგილი არ გვხვდება, მოკლეში დასტურდება: καὶ φαινέσθω ὑπακούουσα τῆς φονῆς τοῦ βασιλέως καὶ ποιήσει ἀγαθὸν πάσαις τοῖς βασιλείαις.

მოკლე რედაქციაში სეპტანტასთან შედარებით გამოვლინებულ ვრცელ შემატებებს მხარში უდგას ოშკური რედაქციაც. ეს განსაკუთრებით ითქმის 6, 3, 6, 10, 7, 5 და ზოგი სხვა ადგილის მიხედვით:

> „და ვითარ იხილა დედოფალმან, რამეთუ ფრიად განრისხნა მეფჱ და სიძულვილით განურისხნა. მაშინ ჰრქუა: ნუ გული გიწყრებინ, უფალო, ჩემდა იგიცა კმა არს, რამეთუ ეპოვე ლხინებაჲ შენგან. ოშუებდ, მეფჱ, და ხვალე გითხრა სიტყუაჲ შენ მეფესა. და აფუცა მეფემან, რაჲთამცა უთხრა მასა ვინ არს, რომელმან იკადრა ამპარტავნებაჲ და საქმჱ მისი და მეფემან ფიცით აღუთქუა ნებისა მისისა ყოფაჲ, რაცა ინებოს" — 7,5.

4. 17 d O — „ყოველივე შენ იცი და ნათესავი ისრაჱლისაჲ შენ უწყი".

ხაზგასმული მოკლე რედაქციის კუთვნილებაა (καὶ τὸ γένος Ἰσραὴλ σὺ οἶδας), პარალელურ რედაქციაშია: „შენ ყოველი უწყი და იცი, უფალო". — ზუსტად LXX-ის მიხედვით.

4, 17 m — და ყავ მათთჳს, ვითარცა-იგი ეტყოდე მათ და მოეც მათ, რასაცა-იგი გთხოვდეს (ხაზგასმული მოკლე რედაქციის კუთვნილებაა: καὶ παρέσχου ἃ ἠτήσαντο)

5, 8-ში, სადაც მეორედ ეპატიჟება ესთერი მეფეს და ამანს და მეფე თანხმდება; მოკლე რედაქცია უმატებს:

> O—„უთხრეს ჰამანსა ესე ყოველი და დაუკრდამას". ვრც.: „უთხრეს ესე ამანს".

5, 10-ის მიხედვით ამანმა შეკრბა მეგობრები, რათა გაუზიაროს ესთერის მიწვევით გამოწვეული სიხარული; მოკლე რედაქცია აქ ურთავს: „შეიკრიბნა მეგობარნი თჳსნი და ძენი თჳსნი" (τοὺς υἱοὺς αὐτοῦ).

ვფიქრობთ, მოტანილი მასალა საკმარისია ოშკურისა და ბერძნული მოკლე რედაქციის მსგავსების დასამტკიცებლად.

ოშკური რედაქციის ტექსტის ლექსიკის შესწავლა ავლენს საინტერესო ფაქტებს.

4, 8 მუხლში, სადაც მარდოქე მიდის ესთერთან და თხოვს მას უშუამდგომლოს ებრაელებს მეფესთან, რადგან მეფისნაცვალს, ეზოსმოძღვარ ამანს, გადაწყვეტილი აქვს ამ ერის დასჯა, ეკითხულობთ:

„ნუ გეწიწებინ შემოსლვად წინაშე მეფისა და ქენება უყავ პირსა მისსა ჩემთვსცა და ერისა მისთჳს, რამეთუ ჰამანს ლერკოლოტსა წარუთქუამს და განუჩინებიეს წინაშე მეფისა ჩუენ ყოველთა სიკუდილი“.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს სიტყვა ლერკოლოტი, იგი სამოხელეო ტერმინის მნიშვნელობით უნდა იხმარებოდეს და ნიშნავდეს „მეფის მოადგილეს“, наместник-ს.

საანალიზო სიტყვას პარალელურ რედაქციებში შეესაბამება:

„ამან, რომელი შემდგომებს მეფისა“ — Ზ; „ამან მეორემან შემდგომმან მეფისამან“ — Ქ.

ბერძნულში მისი ფარდია δεύτερος —მეორე, ამავე მნიშვნელობის სიტყვაა სომხურის შესაბამის ადგილასაც „*կերկրորդ*“ — მეორე და ჩვენი აზრით, შესაძლებელია აქედან მიმდინარეობდეს ოშკურის „ლერკოლოტიც“.

8, 12 l-ში ამანის შესახებ აღნიშნულია:

„სახელიცა დაგუედვა მას მამად ჩუენდა და თაყუანის-სცემდეს მას ყოველნი და საჯდომელსა სალევრკოლოტოსა იჯდა იგი“.

პარალელურ რედაქციებშია:

„შემდგომი სამეუფოჲ საყდარი დაეპყრა“ — Ზ. „მეორედ პირად მეფობისა დადგინებულ ყოფად“ — Ქ. ბერძ. δεύτερον βασιλικοῦ θρόνου ლათ. post regem secundus სომხ. *կերկրորդ*.

„ლერკოლოტი“ სამოხელეო ტერმინია მეფისნაცვლის მნიშვნელობით და იგი უნდა იყოს *կերկրորդ*-ის დამახინჯებული ფორმა, რომელმაც ცვლილებები განიცადა ზეპირი შემოტანის გზით, ხოლო გადამწერმა კიდევ უფრო დაამახინჯა იგი ա-ს ո-ში გრაფიკული აღრევის გზით.

ძეგლის იშვიათი ხმარების სიტყვებიდან უნდა დავასახელოთ ბერძნულიდან ნასესხები „კარანი“ და აქედან ნაწარმოები „საკარანო“. „კარანი“, როგორც გარკვეული სამოხელეო ტერმინი, აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში[6]. ჩვენთვის საყურადღებოა ის, რომ იგი გვხვდება „საკარანოს“ ფორმით და ნიშნავს კარანის გამგებლობის ქვეშ მყოფ ტერიტორიას — პროვინციას:

„დაემორჩილა... ასოცდაშჯდი *საკარანოჲ* სოფლებისაჲ“, 1, 1, s Ზ რედაქცია. Ზ რედაქცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იზიარებს ძირითადად სეპტანტის ხაზს, მაგრამ შეინიშნება მრავალი გადახვევაც, რაც, საერთოდ, გამოდის ჩვენთვის ხელმისაწვდომი ტექსტების ფარგლებიდან და დამატებით ძიებას მოითხოვს. ეს ძირითადად გამოიხატება ტექსტის გავრცობაში, იშვიათად მუხლის შიგნით, უფრო ხშირად კი — ფართო მასშტაბითაც.

2, 20 — „რაჲთა ეშინოდეს ღმრთისა და ჰყოფდეს ბრძანებათა მისთა, რომელი-იგი მოსეს მიერ ამცნო ისრაჱლსა“.

---

[6] ც. ქურციკიძე, ტერმინ „კარანის“ განმარტებისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, თბ., 1963, გვ. 17 — 21.

ხაზგასმული სიტყვები მხოლოდ Ც რედაქციის (და ალბათ, ჩვენთვის უცნობი წყაროს) კუთვნილებაა.

უცნობი წყაროს კუთვნილებაა 3, 6-იც, რომელიც აშკარად უპირისპირდება როგორც სხვა ქართულ, ისე ბერძნულ-სომხურ რედაქციებს.

Ც	Ც
„და ქამსა ეძიებდა, რაჲთამცა მოკლა მარდოქე და ყოველი ერი მისი, ერთსა დღესა ეშურებოდა ამანი და უთქუმიდა მას გული და გულითა ზაკულითა აზრახებდა მეფესა ძკრსა ისრაჱლისათჳს“.	„და ზრახა აჯოცაჲ ყოველთა ჰურიათაჲ, რომელნი იყვნეს სამეფოსა ასკრეოსისსა და შეიშურა რისხვით და აღიძრა სიცბილით, განუწითნა პირი, განიმრუდნა თუალნი და ქელნი შეიტყუელნა და იტყოდა: მარდოქე და ნათესავი მისი მე წარვწყმიდო“.

განსაკუთრებით დიდი მონაკვეთები აქვს შემატებული ტექსტებს ესთერისა და მარდოქეს ლოცვებში. აქ მთელი ბიბლიის ისტორიაა მოხსენიებული ზოგჯერ. ჩვენ არ ვიცით, სად ღებულობენ სათავეს ეს შემატებები, მაგრამ იგი ძირითადი ტექსტის კუთვნილება არ უნდა იყოს, ალბათ, შემდგომი დროის რეცენზენტის ნამუშევარია, ან ხომ არ არის ისინი ბიბლიის სხვა ტექსტიდან მომდინარე მონაკვეთები, რომლებიც დაურთავთ ესთერისთვის უცხოურ თუ ქართულ ნიადაგზე? საკითხის გადასაწყვეტად ჯერ ვერაფერს ვიტყვით, მხოლოდ წარმოვადგენთ მაგალითებს.

ებრაელთა ლოცვას 3,13-ჲ-ში დართული აქვს:

„ხოლო ჰურიანი ჰხადოდეს მაღალსა ღმერთსა მამათა მათთასა და იტყოდეს: უფალო ღმერთო, შენ მხოლოჲ ხარ ღმერთი ცათა შინა და ქუეყანასა ზედა და არავინ არს შენსა გარეშე.

უკუეთუმცა ვყავთ სჯული შენი და მცნებანი შენნი, და-მცავიმკჳდრეთ კრძალულებით წინაშე შენსა მშჳდობით ყოველსა ჟამსა.

და აწ რამეთუ არა ვყვენით მცნებანი შენნი, ამისთჳს მოიწია ჩუენ ზედა ჭირი ესე ჩუენი.

და აწ, უფალო ღმერთო ჩუენო, ნუ მისცემ შვილთა ჩუენთა ტყუედ და ცოლთა ჩუენთა შეგინებად და ჰაბუკთა ჩუენთა წარსაწყმედელად, რომელი გუექმენ მალხინებელ ეგჳპტითგან ვიდრე მოაქამომდე. ნუ აღიკოცებიან დასაბამითგან ნაწილნი შენნი.

ნუ მისცემ სამკჳდრებელსა შენსა საყუედრელად, რაჲთა მთავრობდენ მათ წარმართნი“.

4, 10, f — „და იკსნა ღმერთმან ერი თჳსი და განმარინნა ჩუენ ტყუეობისა და მრავალთა მათგან ბოროტთა და განამართლა ღმერთმან სამკჳდრებელი თჳსი და განარინა უფალმან ისრაელი, ჭრი თჳსი გამოიყვანა ეგჳპტით ნათესავისაგან მაჭირვებელისა. ესე სასჯელი ღმერთისაგან იყო ჩუენდა მომართ და ქმნა ღმერთმან ნიშები და სასწაულები დიდ-დიდი, რომელი არასადა ექმნა ნათესავთა შორის ქუეყანისათა“.

ცალკე განხილვას მოითხოვს მცხეთური ე. წ. საბასეული ხელნაწერი (A — 51), რომელიც აღნაგობის მხრივ განსხვავდება თავისი ჯგუფის ნუსხებისაგან.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ არაკანონიკური შემატებები ამ ხელნაწერში განლაგებულია ისე, როგორც ლათინურ ვულგატაში, ე. ი. ჯერ მიდის ძირითადი ტექსტი I-დან X თავამდე, შემდეგ კი—შემატებები XI — XVI თავებად. სხვაგან ისინი ორგანულადაა ჩართული ტექსტის თავებს შორის. ეს ძირითადი ტექსტი აღნაგობით ემთხვევა იმ ტექსტს, რომელიც წარმოდგენილია ბერძნულ სეპტანტაში და ებრაულ ბიბლიაშიც. უნდა აღინიშნოს, რომ S-ში აღუდგენიათ ის მუხლები, რაც სეპტანტასა და სომხურთან მიმართებაში აკლდა IFD ხელნაწერებს. ესენია: I თავის 21, 22, 23 მუხლები, IX თავის 3 — 4; 21, 22, 23, აგრეთვე ამავე თავის 30 — 31 — 32-ე მუხლები და სხვ. ეს მუხლები წარმოდგენილია ბიბლიის სომხურ და ლათინურ გამოცემებში.

S-ში ზოგჯერ ერთი და იგივე შინაარსი გადმოცემულია 2-ჯერ, პარალელურად სხვადასხვა რედაქციის ტექსტებით.

საილუსტრაციოდ მოვიტანთ ერთ შემთხვევას.

ესთერის მეფესთან შესვლის დეტალები აღწერილია 5, 1 a, b, c, d, e, f, 5, 2 a, b მუხლებში. აქედან ებრაულშია მონაკვეთი — 5, 1 — 5, 2. და ეს უკანასკნელი ორი მუხლი შემატებების გარეშე ემთხვევა მცხეთურის 5, 1 და 5, 2-ს. მაგრამ იმის გამო, რომ მცხეთურს არაკანონიკურ შემატებებთან ერთად მუხლები გადაუტანია XV თავის მე-4 — 19 მუხლებად (და ეს კი რედაქციულად მისდევს IFD ხელნაწერების ტექსტს), ადგილი აქვს ერთი და იმავე ფაქტის ორჯერ აღწერას ორი რედაქციის ტექსტით.

„და იყო დღესა მესამესა ვითარცა დასცხრა ლოცვისაგან, განიძარცუა სამოსელი იგი სიმდაბლისაჲ და შეიმოსა სამოსელი დიდებისაჲ და იქმნა განშუენებულ — 5,1 IDFS.

„და აღიღო კუერთხი იგი ოქროჲსაჲ და დადვა ქედსა მისსა ზედა და ამბორს-უყო მას და ჰრქუა“ — 5, 2 IDFS.

„და დღესა მესამესა შემკული სამოსლითა დიდებისა თჳსისა ესთერ შევიდა მეფისა და დგა ქორისა მის, სადა პირისპირ იყო ტაძარსა მეფისასა და იგი ჯდა საყდართა ზედა დიდებულთა თანა მისთა“ — — S_1.

„ვითარცა იხილა მეფემან ესთერ მდგომარე, განიხარა ფრიად და შეუყვარდა ფრიად, აღიღო კუერთხი მისი ოქროსი, რომელი აქუნდა ქელთა და განმარტა კუერთხი მისი და ესთერ ამბორს-უყო კუერთხის წუერსა ზედა“ — S_1.

ე. ი. S-ში ერთდროულად წარმოდგენილია (ოღონდ სხვადასხვა ადგილას) როგორც $\mathfrak{L}$-ს მიმდგომი, ისე მისგან განსხვავებული ვერსია, რომელიც მეოთხე რედაქციის სახით შეიძლება გამოიყოს ($\mathfrak{S}$).

სხვა შემთხვევაში კი S ზოგჯერ სცილდება თავისი ჯგუფის ხელნაწერებს და რედაქციულად უპირისპირდება მათ. ასეთი მუხლები ბევრი არაა, მაგრამ მაინც არის (5, 4; 4, 17; 3, 13; 3, 14...).

O: „მაშინ ჰრქუა მეფემან: რაჲ არს, ესთერ, მითხარ მე და ნება-გიყო შენ, დაღათუ ითხოო ზოგი მეფობისა ჩემისაჲ“ — 5, 4.

IDF: „და მეფე ეტყოდა მას: რაჲ არს, ესთერ, მითხარ მე და რაჲსათჳს არს ესე ვედრებაჲ შენი და გეყოს შენ ვიდრე კერძომდე მეფობისა ჩემისა“.

B: „და ჰრქუა მეფემან: რაჲ გნებავს, ესთერ, და რაჲ არს სათხოვარი შენი და იყოს შენდაჲ და ნახევარი მეფობისა ჩემისა“.

S_1: „და ჰრქუა მეფემან: დედოფალო ესთერ, რაჲ არს თხოვა შენი, მითხარ მე და მიგცე შენ ვიდრე ზოგამდე სამეფოჲსა ჩემისა“.

O: „არცა ღათუ ვიდებოდე შუებასა მას მეფისა თანა და არცაღა სადა ვსუ ღჳნოჲ ტოზიკობით“ — 4, 17 x.

IDF: „არა სადაჲ ვადიდე სუმაჲ მეფისაჲ, და არა ვსუ ღჳნოჲ ნაგები კერპთაჲ“.

B: „არა ვადიდე სერი მეფისა, არცა ვსუ ღჳნოჲ საჭამსი კერპთათა“.

S_1: „არა განვიხარე და არცა ვსუ ღჳნო ნაზორევისაგან“.

საფიქრებელია, რომ S ხელნაწერის შემდგენელ რედაქტორებს გამოყენებული აქვთ სომხურ-ლათინური ვერსიები. S დამუხვლით და აღნაგობით (განსაკუთრებით შემატებების ადგილით) იმეორებს ლათინურს.

Ⴗ რედაქცია. ესთერის ის ტექსტი, რომელიც წარმოდგენილია ბაქარის ბიბლიაში, საგრძნობლად განსხვავდება ზემოთ განხილული რედაქციებისაგან.

Ⴚ: 1,6- „და კარავი აღმართა, რომელსა საბლად ეყვნეს ძოწეული და ზეზი და ჭობინად მისა იყო ვეცხლი და სუეტები ლესული ოქროჲთა და ცხედარი ოქროჲსაჲ, ანთრაკითა და სამარაგდინოჲთა მოქმნული“.

Ⴖ: „კარვები აღმართებული საბლებითა ბისონისაჲთა და ძოწეულისაჲთა, ტორანტოსები ვერცხლისაჲ სუეტებითა ბრინჯისაჲთა ოქროლესულითა, ტახტები ვერცხლისაჲ და ოქროჲსაჲ ანთრაკ-ფენილთა ზედა ზმარაგდონისა ქვათა“.

Ⴗ: „შემკობილებითა ბისონისაჲთა და მწუანოვანითა კრეტსაბმელებითა განრთხმულებითა საკუელთა ზედა იაკინთითა და მეწამულთა, გრგოლებთა ზედა ოქროსათა და ვერცხლისათა, სუეტთა ზედა მარმარილოთა და ქვათა საწოლსა ოქროსა და ვერცხლისათა, მოფენილსა ქვითა სამარაგდოთა და თეთრისა და წითლისა და პარისულის მარმარილოთა“.

ბაქარისეული ბიბლიის ეს ტექსტი ძირითადად მისდევს სეპტანტას, მაგრამ მონაკვეთს IX, 20 — 29-მდე ეს რედაქცია არ იცნობს. X თავის ბოლოს მას ერთვის სეპტანტისაგან განსხვავებული ერთი მუხლი.

მთავარი, რაც თავს იჩენს ამ რედაქციის ტექსტის მიმართების შესწავლისას უცხოენოვანი ბიბლიებისადმი, არის მისი უცილობელი დამოკიდებულება სლავურ ტექსტზე. ნათქვამი ეხება, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი სახელების გადმოცემას, ზოგი სიტყვის მცდარ გაგებასა და ზოგი კონსტრუქციის უცვლელად გადმოტანას.

საკ. სახელები: 1, 14: არკესეი — Аркесей; სარსოფეი — Сарсофей (სართეოზ Ծ), 4,6: ახრაფე (აქრათენ S Ахрафе); 1,2 m: ღავათი—Гаваф.

უკანასკნელ შემთხვევაში ბაქარის ნაბეჭდ ტექსტშია ღავალით, რაც ლ და თ-ს გრაფიკული აღრევის შედეგია.

ქართულ ტექსტში გადმოტანილია სლავური საკ. სახელების-ев,-ов სუფიქსიც:

2, 5: ძე იაროვისა (იაირისი Ч) сын Іаров,

1, 1: კისევი ტომისაგან Кисев.

სლავური და ქართული ტექსტის კომპოზიტები ზოგჯერ ფარავენ ერთმანეთს როგორც მთლიანად, ისე შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობის მხრივ:

2, 2: კეთილ-საჭურეტი; 5, 1: კეთილ-სახილავი — добро-зрачны (ბერძნულშია καλὴ τῷ ἐιδει).

სლავური ტექსტის გავლენად ჩანს წინდებულების გადმოტანა. ქართულისათვის შეუფერებელ პოზიციაშია (სახელის წინ) „თანა“ თანდებული.

7, 7: „მეფე აღდგა თანა რისხვითა“

2, 13: „თანა დედებითა და შვილებითა“.

1,2 m: „თანა ღავათით“.

ტექსტის მცდარი გაგების ნიმუშები:

თანდებული вместо გააზრებულია, როგორც в თანდებულდართული სახელი და თარგმნილია დანაწევრებულად: „ადგილსა შინა“:

2, 4: „და იყოს ასტინის ადგილსა შინა“ —Да будет царицею вместо Астини.

4, 17: „უფალო... ყოვლისა დასაწყისისა მპყრობელო“ и всякого начальства содержителю.

„Начальство“ ნიშნავს „მთავრობას, უფლებას“. შეცდომით „დასაწყისად“ არის ნათარგმნი.

Ч რედაქციის ესთერის ტექსტის სიახლის მაჩვენებელია სამოხელეო ტერმინები. საფიქრებელია, XVII საუკუნის მთარგმნელ-რედაქტორის შეტანილია დარბაზის ერი, საყმო, სახლთუხუცესი.

1, 16:„და ჰრქუა მოხაი მეფისა დადარბაზის ერთა მიმართ“. სლავურშია: бояре.

1, 8: „ამცნო სახლთუხუცესსა ყოფად ნებისა მისისა“. (სლ. иконом).

3, 13: „სწერს უხუცესთა საყოთა“ (სლ. подданным).

დასკვნა:

ესთერის ტექსტი ქართულ ენაზე დაუცავს ბიბლიის ოშკურ ხელნაწერს, ნუსხებს: A — 51, A — 570, A — 646, H — 885-ს და აგრეთვე ქართული ბიბლიის მოსკოვურ გამოცემას 1743 წ.

ნუსხათა ურთიერთმიმართების შესწავლისა და მათი უცხოენოვან (ბერძნულ, სომხურ, რუსულ) გამოცემებთან შედარების საფუძველზე დადგენილია, რომ ეს ნუსხები იძლევიან სამ ძირითად რედაქციას:

Ⴀ რედაქციას ქმნის ოშკური ბიბლიის ტექსტი, რომლის მრავალი თავისებურება გამოძახილს პოულობს ბერძნულ, ე. წ. მოკლე, რედაქციასთან.

ნუსხები: A — 570, A — 646, H — 885, A — 51 ჯგუფდებიან ერთ რედაქციად, რომელიც სეპტანტის მიმდგომი ვერსიაა, მაგრამ აქვს მრავალი განმასხვავებელი ადგილი, განსაკუთრებით დამატებითი მონაკვეთები, რომლებიც შემდგომ კვლევას მოითხოვენ. ამ ჯგუფიდან რამდენიმე მუხლის ფარგლებში S ხელნაწერი იძლევა მეოთხე რედაქციის გამოყოფის შესაძლებლობას.

ბაქარის ბიბლიის ტექსტი მთელი რიგი ნიმუშებით (ფრაზეოლოგია, საკუთარი სახელები, კონსტრუქციების მცდარი გაგება) ავლენს სლავურ ტექსტზე დამოკიდებულებას.

Г. И. КИКНАДЗЕ

ГРУЗИНСКИЕ РЕДАКЦИИ КНИГИ ЕСФИРИ

(Резюме)

Текст книги Есфири сохранился на грузинском языке в пяти списках: в Ошкском (X в.), A—570 (XV в.), A—646 (XVI в.), H—885 (XVII в.), A—51 (XVIII в.), а также в московском издании грузинской библии 1743 г.

В результате изучения взаимоотношения этих списков установлено, что они образуют (для книги Есфири), в основном, три редакции.

Первая редакция представлена Ошкской библией, текстуальные особенности которой перекликаются с т. н. краткой греческой редакцией книги Есфири (по изданию Fritzsche).

Списки второй редакции (A—570, H—885, A—51, A—646) с точки зрения редакционной имеют много общего с греческой Септантой, однако, в некоторых местах грузинские списки совершенно отличаются от нее; факты эти требуют дальнейшего изучения. Разночтения списка A—51 дают нам право кое-где выделить их в качестве отдельной редакции.

Текст Московской библии, представляющий третью редакцию, по целому ряду признаков (фразеология, неправильное понимание текста, передача собственных имен) выявляет следы влияния славянского.

მაია მამაცაშვილი

„ვისრამიანის“ ქართული თარგმანის მხატვრული სპეციფიკის შესწავლისათვის

I

„ვისრამიანის“ მხატვრული სპეციფიკის შესწავლის დროს მკვლევართათვის ამოსავალი უნდა იყოს ქართული თარგმანის ზედმიწევნითი სიზუსტე, მისი ადეკვატურობა დედანთან. მართლაც, ძნელად თუ დაიძებნება მეორე ასეთი თარგმნითი ხასიათის ძეგლი, რომელიც ამგვარი მხატვრული ოსტატობით ხასიათდებოდეს და თან ასე ახლოს იდგეს ორიგინალთან.

ქართველი მთარგმნელის მოღვაწეობაში თავს იჩენს მშობლიური ლიტერატურის მხატვრული დონე, მისწრაფებები და შესაძლებლობანი, ენის ბუნება და ხასიათი. მარტო „ვისრამიანში“ გამოვლენილმა ძალუმმა ექსპრესიულობამ და ენობრივმა ენერგიამ მოიხვეჭა დამოუკიდებლად უფლება გამხდარიყო ორიენტირად შემდგომი საუკუნეებისათვის. თავის მხრივ „ვისრამიანის“ ქართული თარგმანი ლოგიკური შედეგია ქართული ენის განვითარების დიდი და ხანგრძლივი პროცესისა. იგი პირდაპირ ძველი ქართული სასულიერო პოეზიისა და მწერლობის წიაღიდანაა ამოზრდილი.

„ვისრამიანში“ დედნისეული და ქართული ტრადიციით ნაკარნახევი ისეა ერთად აღრეული, რომ ფესვების ძიებაში ხშირად იკარგება მკვლევარი. მაგრამ მათი მიგნება და გამოყოფა მაინც ხერხდება და როცა კვალდაკვალ მივყვებით მთარგმნელს, ჩნდება მთელი სიდიადე იმ შემოქმედებითი მუშაობისა, რომელიც ჩაუტარებია მას, როგორც უდიდეს მხატვარსა და ხელოვანს.

გარდა მთარგმნელისა, ქართული „ვისრამიანის“ ავტორი უთუოდ დიდი შემოქმედიცაა. ის, თუ როგორ გრძნობს იგი მშა ენობრივ ფორმებს, როგორ გრძნობს სიტყვას და მის მიღმა არსებულ ფარულ აზრობრივ ნიუანსებს, მეტყველებს მთარგმნელის მაღალ ნიჭსა და ხელოვანებაზე. ქართველი მთარგმნელი მუდამ ინარჩუნებს კავშირს ქართული ენის ღრმა და ძირმაგარ ფესვებთან, ქართული მწერლობის კლასიკურ ტრადიციებთან. სწორედ აქ, ქართული ენის ამ უღრმეს შრეებში, პოულობს იგი მხატვრული სახვის ამოუწურავ შესაძლებლობებს. „ვისრამიანის“ ანონიმ მთარგმნელს ხელეწიფება ძველი ქართული ენის ბუნების შეუბღალავად შესატყვისი ფორმა გამოუძებნოს დედნისეულ ყოველ მხატვრულ აზრსა და სახეს, ცალკეულ ფრაზასა და გამოთქმას, ქართულად გარდათქვას და გაახმიანოს ორიგინალის ყოველი აზრი თუ ნიუანსი და ამ გარდათქმისას სიტყვის აგების ხელოვნებაც უმაღლეს საფეხურამდე აიყვანოს.

ქართულ ენაში ოდითგანვე დამკვიდრებულ და დაკანონებულ მხატვრულ სახეებსა და საშუალებებს გარდა, მთარგმნელი ოსტატურად იმარჯვებს საკუთრივ სპარსული პოეზიისა და მწერლობისათვის ორგანულ და ბუნებრივ ნორმებს. ქართული ენის შინაგანი ბუნების დაცვასთან ერთად იგი იცავს სპარსული ენის მხატვრულ მოდელსაც. და ამას მთარგმნელი ახერხებს თავისი პოეტური გუმანის, მხატვრული გემოვნებისა და შინაგანი პოტენციის მეშვეობით. დედნისეული ყოველი სიტყვა მტკიცედ და ურყევად ზის ქართულ კონტექსტში, საოცრად შეეფერება მისთვის მიჩენილ ადგილს, მთელს სტილს რომანისას, მის შინაგან ხასიათსა და სულისკვეთებას. ფრაზის მარჯვედ და მოხერხებულად მოქნევაში, მის ქართულად აღერებაში „ვისრამიანის“ ქართველ მთარგმნელს ბადალი არა ჰყავს ქართულ მხატვრულ პროზაში. „ვისრამიანის“ მთარგმნელს შეიძლება გარკვეული უპირატესობაც ჰქონდა იმ აზრით, რომ იგი არ იყო შეზღუდული პოეზიის დაკანონებული ჩარჩოებით. თუმცაღა ამ უპირატესობას ერთი საფრთხეც სდევდა თან — მხატვრული პროზა არ ქცეულიყო უბრალო თხრობად. აქ უნდა ეძძლავრა მთარგმნელის შემოქმედებით ნიჭს. მხატვრული გემოვნების, პროზის შინაგანი რიტმისა და მუსიკალობის გრძნობის გარდა, მთარგმნელს დიდად დაეხმარა ქართული ენის ამაღლებული პათეტიკა და თხრობის ჰიერატიული ტონი. ყველაფერმა ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ სტილი „ვისრამიანისა“ ბუნებრივი და დაწურულია, ფრაზა ლაღი და მოქნილი, ენა სადა და ცხადი.

მხატვრული თარგმანი თავისუფალი უნდა იყოს — ამბობდა გოეთე, ოღონდაც მთარგმნელს უნდა ჰქონდეს უფლება თავისუფლებისო. „ვისრამიანის“ ქართველი მთარგმნელი შინაგანად გრძნობს თავის უფლებას—იყოს თავისუფალი, რამეთუ მისთვის თარგმნის პროცესი შემოქმედებაა. „Воссоздание чужого произведения на другом языке в те времена было актом творчества и притом творчества свободного.“[1]

მთარგმნელი თავისუფლად იჭრება ენის ბუნებაში, ღრმად შედის სათარგმნ მასალაში და ასევე ლაღად ოპერირებს უცხო მასალით, მაგრამ მისი ფანტაზიის სილაღე და გაქანება სავსებით შეესაბამება მხატვრული ზომიერების გრძნობას და ფაქიზ, დახვეწილ გემოვნებას. ყველაფერი, რაც მას შეაქვს სათარგმნ მასალაში, ორგანულადაა შერწყმული დედნის მხატვრულ ქსოვილს, ჰარმონიულად არის შეზავებული ორიგინალის სტილს.

არ არსებობს (ან თითქმის არ არსებობს) მხატვრული ხერხი ან სხვა რაიმე სახვითი საშუალება, რომელიც დედანშია ასახული და რაღაცნაირად თავისი გამოხატულება არ ეპოვოს ქართულ თარგმანში.

„ვისრამიანის“ ქართველ მთარგმნელს ბევრი რამ გარდაუთქვამს თავისებურად, ქართულად, ბევრიც „თავისეული“ შეუტანია თარგმანში, ბევრი ახალი მხატვრული სახე შეუქმნია; არაიშვიათად დედნისეული ერთფეროვნება და მონოტონურობა მთარგმნელის საოცარი მხატვრული ოსტატობით გადახალისებულა... და მაინც, რაღაცნაირად, თარგმანი ისევ დედანთან მიდის, გვერდში უდგას მას საოცარი სიახლოვით.

ამ მხრივ ქართული „ვისრამიანი“ სრულიად უნიკალურია.

როგორ ახერხებს ამას ქართველი მთარგმნელი, რაშია მისი დიდი ხელოვნების საიდუმლოება? ამ კითხვებზე პასუხს მას შემდეგ მივიღებთ, რაც ყო-

[1] Н. И. Конрад.. Запад и Восток. М.. 1966. стр. 344.

ეელმხრივ ამომწურავად იქნება შესწავლილი მხატვრული სახვის ის ხერხები და საშუალებები, რომელთაც მიმართავდა ქართველი მთარგმნელი სპარსული რომანის ქართულად თარგმნის დროს.

„ვისრამიანში“ დიდი სიუხვითაა წარმოდგენილი სპარსულთან ერთად ძველი ქართული სასულიერო და საერო მწერლობის მხატვრული აზროვნებისათვის დამახასიათებელი სახეები და ხერხები.

ქართულ თარგმანში გამოყენებულია ყველა სახის პარალელიზმი (სინონიმური, ლექსიკური, ანაფორული), შედარება და მეტაფორა, ეპითეტის ყველა სახეობა, ასონანსი, ალიტერაცია, დაპირისპირების მხატვრული ხერხი, ჰიპერბოლა და სხვა მისთანანი. ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც მხატვრული აზროვნების არეში შემოდის.

ჩვენ თანმიმდევრულად განვიხილავთ თითოეულ მხატვრულ ხერხს შედარებითი მასალის ფონზე. დედნისეული მონაცემების ქართულ ტექსტთან შეპირისპირების გარდა, გზადაგზა მოგვაქვს აგრეთვე პარალელური მასალა ძველი ქართული კლასიკური მწერლობიდან, საიდანაც კარგად ჩანს, თუ რამდენად ძლიერი და ღრმაა კავშირი ქართველი მთარგმნელის მხატვრული აზროვნებისა მშობლიურ ფესვებთან, რამდენადაა დავალებული იგი ძველი ქართული მწერლობის მხატვრულ კულტურისაგან.

ყველგან, სადაც კი მთარგმნელი იყენებს სინონიმურ პარალელიზმს, როგორც მხატვრულ ხერხს, იგი საგანგებოდ ზრდის სინონიმთა რიცხვს. ამას მთარგმნელი აკეთებს, რათა მათი საშუალებით მკითხველის ყურადღება გადაიტანოს გარკვეულ ფაქტზე თუ მოვლენაზე და ამავე დროს გააძლიეროს ამ ფაქტით გამოწვეული მხატვრული აღქმის ხანგრძლივობა. ამ ფუნქციის გარდა, სიტყვათა პარალელური რიგები ერთგვარი სტილისტური ხერხიცაა მთარგმნელისათვის. „ვისრამიანის“ მთარგმნელი პარალელიზმის ყველა იმ სახეს იყენებს, რომელიც დამოწმებულია დედანში. ამასთანავე, მაშინაც იმარჯვებს ამ ხერხს, როცა იგი დედანში არაა დადასტურებული. მოგვაქვს ჯერ პირველს მაგალითები:

1. „და ყოველი ქვეყნით ბერიკაცები, მ ო ნ ა ხ უ ლ ნ ი და მ ე ც ნ ი ე რ ნ ი ომისანი მოიყვანნა“ (25)[2].

پس آنگه سالخورده شیر گیران
هنرمندان و رزم آرای پیران (თ. ٥٨)[3]

2. „ველნი და მოედანნი ვ ე ნ ა კ ა დ და ნ ა შ ე ნ ე ბ ა დ შეიქმნებიან“ (75).

بسا میدان که گردد باغ و بستان (თ. ١٣٣)

3. „შენ აგრე შ ე ჯ ე რ ე ბ უ ლ ი და დ ა მ ძ ი მ ე ბ უ ლ ი ხარ“ (78).

کرد را تدرد و دوندگانان چنین (კ.)

4. „არც შ ე გ რ ო ნ ე ბ ა გესმის, არც ზ ნ ა ა რ ი და ფ ი ც ი არის შენი“ (168).

---

2 მაგალითებს ყველგან ვიმოწმებთ „ვისრამიანის“ მე-5 გამოცემის მიხედვით. თბ., 1964.

3 სპარსული ტექსტის სიტყვასიტყვით თარგმანს მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიძლევით, როცა ქართული თარგმანი სცილდება დედანს.

سوگند نه و پیمان نه و زنهار نه (თ. ٢٦١)

5. „დედანი გულნაზუქნი და გულჩვილნი არიან“ (19).

زنان نازک دانند و سست رایند (თ. ۴۸)

უმეტესად ქართველი მთარგმნელი ზრდის სინონიმთა რიცხვს და ზრდის საგანგებოდ:

1. „დარჩა ბანთა ზედა შიშველი და უხამური“ (179). დედანში ეს წყვილი არაა. იკითხება მხოლოდ: برهنه پای (ფეხშიშველი).

2. „არა რომელსა ქვეყანასა არის შენი ჯუფთი და სწორი“ (15).

در ایران نیست جفتی با تو همسر (ქ.)

3. „ტირილი და ზახილი დაიწყო და მტირალსა ძიძასა ეუბნებოდა“ (31).

خروشان زار با دایه همی گفت (ქ.)

4. „უცილოდ შმაგნი და მტერიანნი იყვნეს“ (27).

کجا دیوانه‌ای باشد بهر باب (თ. ٦٠)

5. „თავისა მკლავისაგან კიდე მწე და მეშველი არავინ იყო“ (28).

یاور چز بازو ندیدند بزو (თ. ٦١)

და მრავალი სხვა. ამ რიგის მაგალითების ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება: ბედი და ეტლი (15); ფიცი და აღთქმა (168), ნება და წადილი (3), სვიანი და ბედნიერი (71), სოფელი და საწუთრო (133), მოვლენით და მორჭმით (3) და სხვა მისთ. ეს სინონიმური წყვილები ქართულ თარგმანში თითქმის ყოველთვის ერთად იხმარება. ფრაზის სისავსის მიზნით ქართველი მთარგმნელი ოშვიათად თუ ტოვებს დედანში ნახმარ სიტყვას უცალოდ.

სპარსული დედანი ლექსად არის დაწერილი და პოეტი მარცვალთა გარკვეული რაოდენობით, სალექსო ზომით და რითმით არის შებოჭილი. სიტყვიერი სილაღე, ბუნებრივია, შეკვეცილია. პოეტი სხვა საშუალებებით ახერხებს ლექსის გამდიდრებას. ამიტომ ხშირად ის, რაც სპარსულად ჟღერს ბუნებრივად, თარგმანში გადმოტანის დროს ღარიბდება. პროზით შესრულებულ თარგმანში, ცხადია, ვიწროა ლექსის ჩარჩოები. ამის გამოა, რომ ქართველ მთარგმნელს უხდება უფრო ლაღად და თავისუფლად მოეცდოს მასალას და ააგოს საცხე და მხატვრულად სრულყოფილი ფრაზა, რომელიც მთლიანად შეეგუება როგორც დედნის, ასევე ქართული თარგმანის სტილსაც.

სიტყვის ჟღერადობის და კეთილხმოვანების გასაძლიერებლად სპარსელი პოეტი ხშირად ანაფორულ პარალელიზმს მიმართავს. ეს ხერხი უპირატესად პოეტურ ძეგლებში გამოიყენება. ქართველი მთარგმნელი თითქმის ყველგან იცავს დედნისეულ ამ ხერხს. მისი გამოყენებისას ევფონიური მომენტის გაძლიერებასთან ერთად ძლიერდება ემოციური მხარეც:

1. „რად გლახ ვებრძვი საბრალოსა სულსა ჩემსა,
რად დავღვრი უბრალოსა სისხლსა ჩემსა,
რად არ მოიმსენია ბრძანება თქვენი,
რისთვის სათავისო მშვიდობა არ მიეებნია?“ (198).

დედანში შესაბამ ადგილას დასაწყისში ოთხივეჯერ ნახმარია — ჭ-რად, რისთვის?:

چرا با جان بیچاره ستیزم
چرا بیهوده خون خویش ریزم
چرا از تو نصیحت نه پذیرم
چرا راه سلامت برنگیرم (თ. ٣٠٧)

2. „ზ ო გ ჯ ე რ ჯაჭვსა შიგან ხრმალი შევიდის, ვითა წყალი,
ზ ო გ ს ა თვალთა შიგან ისარი შეეპარის, ვითა ძილი,
ზ ო გ ს ა გულსა შიგან შუბი შეეპარის, ვითა სიყვარული,
ზ ო გ ს ა თავსა აფთი შევიდის, ვითა ტკივინი“ (28).

ორიგინალშიც თითოეული შესაბამი სტრიქონი იწყება گهی -ი სიტყვით, რაც ნიშნავს: ზოგჯერ, ზოგს.

گهی اندر زره شد تیغ چون آب
گهی در دیدگان شد تیز چون خواب
گهی رفتی سنان چون عشق در بر
گهی رفتی تبر چون هوش در سر (თ. ٦١)

3. „მ ე მ ი ს ნახვა გამაცოცხლებს,
მ ე მ ი ს საუბარი გამახარებს,
მ ე მ ი ს ხვევნა უკვდავ მიქმს და
მ ი ს ი ლმობიერება ყოველთა დამავიწყებს“ (273).

დედანში შესაბამ ადგილას იკითხება.

که دیدارش مرا خوشتر زجانست
که در دل خوشتر از جان جانست (თ. ٤..; ქ.)

ამ შემთხვევაში ქართველმა მთარგმნელმა თარგმანში სრულყო ხერხი, რომელიც ორიგინალში მხოლოდ მინიშნებულია.

4. „გ ა ი ქ ე ც, გ უ ლ ო, საწუთროს ფათერაკისაგან,
გ ა ი ქ ე ც, გ უ ლ ო, აუგისა დამიწყებულისაგან,
გ ა ი ქ ე ც და ნუღარავის აძლევ სისხლთა“ (201).

დედანში იკითხება:

گریز ای دل ز آسیب زمانه
گریز ای دل زننگ جاودانه
دلا بگریز تا خونم نریزی
گر اکنون نه گریزی کی گریزی (თ. ٣١٠)

როგორც ვხედავთ, მთარგმნელი ამ ხერხს ძალზე მოხერხებულად და ბუნებრივად იყენებს საჭირო შემთხვევაში. მის ხელში იგი იღებს სრულყოფილ და დასრულებულ სახეს და ამაში არც არის რაიმე მოულოდნელი, რადგან ქართველი მთარგმნელი ანაფორული პარალელიზმის, როგორც მხატვრული ხერხის, გამოყენებას უნდა შეხვედროდა ჯერ კიდევ ძველი ქართული სასულიერო პოეზიის ავტორებთან:

1. „შ ე ნ, რ ო მ ე ლ ი პირველ ეჩუენე მოსეს ნისლსა შინა მთასა ზედა სასწაულითა, აქა დღეს იორდანეს მოხუედ ჯორცითა ნათლისღებად, უცოდველო,

შ ე ნ, რ ო მ ე ლ მ ა ნ პირველ ელიაჲს მიერ ხალენითა განაპე იორდანე, მჴსნელო, ახლისა ელიაჲსა მოხუედ ჯორცითა ნათლისღებად, უცოდველს,

შ ე ნ, რ ო მ ე ლ მ ა ნ პირველ ელისეს მიერ მარილითა დაატკბე სიმწარეჲ წყალთაჲ. (221)[4].

2. „შ ე ნ გიგალობს მზეჲ,
შ ე ნ გადიდებს მთოვარეჲ,
შ ე ნ გაქებენ ვარსკულავნი,
შ ე ნ გ ა ნ ძრწიან უფსკრულნი,
შ ე ნ გიგალობენ მთავრობანი,
შ ე ნ გადიდებენ ჴელმწიფებანი,
შ ე ნ თაყუანის-გცემენ მეუფებანი“ (402).

3. „დ ღ ე ს ნათელი იგი დაუსაბამოჲ ქრისტე სოფელსა გამოუჩნდა და სიბნელეჲ პირველი მცხინვარებითა საღმრთოჲთა განაქარვა ნათლისღებითა თუისითა მჴსნელმან.

დ ღ ე ს მიზეზი ბნელისაჲ, განაქარვა მიზეზმან ნათლისამან და კლებაჲ სიკუდილისაჲ დასცა მფლობელმან ცხოვრებისამან ღმერთმან და განმანათლნა ჩუენ ნათლისღებითა.

დ ღ ე ს უჴორცოჲ ჯორცითა გამობრწყინდა და უხილავი იხილა...

დ ღ ე ს განქარდა აჩრდილი შჯულისა მის მოსეს მიერ მოცემულისაჲ და მადლისა ნათელი გამობრწყინდა სოფელსა მაცხოვარი, რომელმან განანათლნა დაბადებულნი.

დ ღ ე ს მოუწჳს მორწმუნეთა კრებულსა საუფლოჲ დღესასწაული კრებასა სულიერსა შემსხმელად ღმრთისასა...“ (243).

4. „რ ო მ ე ლ მ ა ნ დაჰრთენ ზესკნელნი წყალთა ზედა...
რ ო მ ე ლ მ ა ნ დააფუძნე უფსკრულთა ზედა...
რ ო მ ე ლ მ ა ნ შეჰზღუდენ საზღუარნი ზღუათანი“ (407).

და რომ ეს ხერხი, მართლაც, დამახასიათებელი უნდ ყოფილიყო უპირატესად პოეზიისათვის, იმითაც დასტურდება, რომ ქართული სასულიერო პოეზიის შემდეგ ვიდრე „ვისრამიანამდე“ იგი არ ჩანს გამოყენებული არსად.

ლექსიკური პარალელიზმის ერთ-ერთი სახეა მხატვრული ჩამოთვლის ხერხი. ამ ხერხს უხვად მიმართავს სპარსელი პოეტი, რომელსაც არც ქართველი მთარგმნელი ჩამორჩება, პირიქით, აჭარბებს კიდეც მას. ჩვეულებისამებრ არც ამ ხერხის გამოყენებისას იზღუდავს თავს ქართველი მთარგმნელი დედნის მონაცემებით და ჩამოსათვლელ სიტყვათა რაოდენობას ზრდის ნებისამებრ, ამდიდრებს ახალი ნიუანსებით და ხორცს ასხამს მხატვრულ ფრაზას. რიგ შემთხვევაში მთარგმნელი ახერხებს ზუსტად დაიცვას ამ ხერხის ჰმარების დედნისეული მონაცემები:

1. „ი ხ ა რ ე ბ დ ა მოაბად, ს მ ი დ ა და გ ა ს ც ე მ დ ა“ (47).

همی کرد و همی خورد و همی داد (თ. ۹۱)

[4] გვერდებს ეუთითებთ პ. ინგოროყვას გამოცემის მიხედვით: „ძველი ქართული სასულიერო პოეზია“, წიგნი I, ტფილისი, 1913.

2. „გაიხარენ, სვი და ჰამე, გაეც...“ (48).

داد بوذ تابو وورده انکه و نکن (თ. ۹۲)

3. „აკმევდის ყველგან ალვასა და ამბარსა, აყრიდეს ყოველგნით ოქროსა და ვერცხლსა და მარგალიტსა“ (367).

فرازش ابر دود مشک و عنبر
وز و بارنده سیم وزر و گوهر (თ. ۵۰۳)

უფრო ხშირად კი თარგმანში დახვავებულია მონათესავე მნიშვნელობის სიტყვები, სინონიმთა მთელი წყება, რათა აიწიოს თხრობის ემოციური ტონუსი:

1. „ესრე უპატიო, შეფროზილი, ბედითი, შემჭირნე, თვალცრემლიანი, პირდაყვითლებული, ბაგედამტვერილი და დაღონებული ვექენები და ვიტყვი“ (256).

დედანში მოტანილია განსაზღვრებათა ორჯერ უფრო მცირე რიცხვი, ამას გარდა, თითოეულ განსაზღვრებას წინ უძღვის ზმნიზედა. ასე მაგალითად, იხ.:

بدین خواری بدین زاری بدین درد
درد بر گرد بر آب دارم روی بر مژه (თ. ۳۷۹)

ეს ხერხი სპარსელ ავტორს საშუალებას აძლევს მეტი ექსპრესიის გამოსახატავად და გმირთა ემოციური განცდის გასაძლიერებლად. ქართველი მთარგმნელი ამავე მიზნის მისაღწევად მიმართავს მისთვის უფრო ბუნებრივ მხატვრულ საშუალებას. იგი ზრდის ჩამოსათვლელ სიტყვათა რაოდენობას.

2. „დიადი უბოძა თვალი და მარგალიტი, ოქრო და ლარი“ (187).

დედანში დასახელებულია ამათგან მხოლოდ ორი: جامه و گوهران (ტანსაცმელი და თვლები).

3. „იხარებდა, ინადირებდა, იასპარუზებდა, სმიდა და თამაშობდა“ (213).

ჩამოთვლის ხერხით ამ ფრაზაში საოცარი დინამიურობაა მიღწეული; ზმნათა ზედიზედ მიჯრით ემოციური ეფექტია გაძლიერებული.

მხატვრული ჩამოთვლა ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ხერხია ქართულ სასულიერო, საისტორიო და საერო მწერლობაში. შეუძლებელია აქ ყველა იმ მაგალითის მოტანა, რომელიც დაიძებნა ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: „მჭრნან მე ჴორცნი უჯრწნელნი, უცოდველნი, უკუდავნი და განდმრთობილნი (დასდებელნი აღდგომისანი, II, 335, გვ. 284), ბრწყინვალედ განშუენებული, უძლეველი და ძლევაშემოსილი (იქვე, გვ. 281), დიდება და პატივი და ძლიერებაჲ (6, 135), სიწმიდე, სიმშვიდე და სიმდაბლეჲ და გლახაკთმოწყალებაჲ (261), „ძღუენი, ოქროჲ, გუნდრუკი და მური მისა (იოვანე შტბეველი, XXXIV, გვ. 61)“, მეფეთა სიმტკიცეო, მთავართა დიდებაო, უძლურთა ძლიერებაო, მდაბალთა აღმამაღლებელო, გლახაკთა განმამდიდრებელო (იოვანე მინჩხი,

27, XXV), იყო კაცი მორწმუნე, ბრძენი და გონიერი (ლონტი, 137, 12), შეიქმნა კმა ზარის-საჯდელი, ზარზინვა და ყიელი და კლვა (იქვე, 113, 6). სიბრძნითა და სიქველითა, სიმჭნითა და სიმდიდრითა (იქვე, 26, 6), ქუათა და ძელთა, სპილენძსა და რვალსა განშედილსა (იქვე, 90, 6), ხუასტაგი დიდძალი, ოქრო და ვეცხლი (ჯუანშერი, 143, 8), სრულ ხარ სიბრძნითა და ძალითა, სიმჭნითა და ასაკითა (იქვე, 149, 7), შეიცვეს ტყე და ველნი, მთანი და ბორცუნი (იქვე, 234, 14), ღმრთისმოყუარე, გლახაკთა-მოწყალე, მდაბალი, მშვიდი და ძუირ-უხსენებელი (მატიანე ქართლისა, 274, 1), ახოვნებითა, ჰაბუკობითა და სიჭაბუკითა, ტანითა და სახითა (იქვე, 290, 25). რბევად, ტყუენვად და მოოჯრებად, წუად, სრვად (დავითის ისტორიკოსი, 319, 1), სიწმინდე, სიკეთე, სისრულე (იქვე, 330, 13), რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენკეთილნი და პირშეუქცევნელნი (იქვე, 337, 13), საჭურჭლენი მძიმენი, ტურფანი, მრავალფერნი, მფრინველნი და ნადირნი უცხონი და ძუირად საპოვნელნი (დავითის ისტორიკოსი, 346, 7), მძლე, მორჭმული, ქურივთა მოწყალე, უხუი და მბრძებელი (იქვე, 367, 10), ჰაბუკი და ლომი მისათხრობელი, შემმართებელი მოლაშქრე, მკუირცხლი (იქვე, 369, 8), ოქრო, მარგალიტი, თვალი და სტავრა (ამირან-დარეჯანიანი, 80), მორჭმული და განგებიანი (იქვე, 3, 1), მაღალი, დიდი, წრფელი, უცრუო, ჯაჭვარ მოცალე, ტკბილი მოწყალე (თამარიანი, XI, 8, 9) და მრავალი სხვა.

ლექსიკური პარალელიზმის კიდევ ერთი სახეა სიტყვათა გამეორება წინადადებაში. სიტყვათა გამეორების ორიგე ფორმა გვხვდება ქართულ „ვისრამიანში". არცერთ მათგანს არ იცნობს სპარსული ორიგინალი. პირველი სახეა სიტყვის უცვლელი გამეორება:

1. „ნახე, ყველა მხიარულობს და ყველასა მალვითა მოყვარე უვის და ყველა ცხადად და მალვით გაიხარებს" (81).

2. „ყოველი კაცი და აქაურნი დედანი მისნი მიჯნურნი არიან, ყოველი გულოანი ჰაბუკი მას აქებს" (71).

3. „მიჯნურნო ზენაარ, მოისმინეთ ჩემი შეგონება! ნუ ვინ მისცემთ გულსა მოყვრისაგან გაუწირაობასა, ნუ ვინ დაისკვნით, ნუ ვინ მიენდობით" (228).

დედანში შესაბამ ადგილას გამოყენებულია ანაფორული პარალელიზმი.

4. მიწყით ნებისა და სიამოვნისა მონატრე და მიწყით სიამოვნისა ბადითა დაბმული (92).

5. არცა თავსა ჩემსა მისებრ გავხდი და ვაჭირვებ, არცა აუგითა ავივსები და არცა ჭირსა შიგან ჩავიჯრები (88).

სიტყვათა ასე ოსტატური გამეორებით მთარგმნელი დიდ მხატვრულ ეფექტს აღწევს და ამასთანავე სტილის დიდებულ ნიმუშსაც იძლევა. ქართველი მთარგმნელისათვის ეს ხერხი ორგანული ჩანს. ტრადიციამ აქაც იძალა: სიტყვათა გამეორების მხატვრული ხერხი ფართოდ არის გავრცელებული ძველ ქართულ მწერლობაში:

1. „აწ აღდგა უფალი, ვითარცა თქუა. აწ იდიდა,, აწ აღმაღლდა, აწ იხილეთ და გრცხუნოდენ უღმრთონო“ (სახ. პოეზია, 273).

2. „ვითარ უხილავი იხილვების დღეს, ვითარ უკორცოჲ ჴორციელ იქმნა, ვითარ დაუბადებელი დაებადა კორცითა, ვითარ ცათა დაუტევნელი დიტია ბაგამან, ვითარ შეუხებელი ღმერთი...“ (75).

3. „ვინ ხარ, ანუ რომლისა ნათესავთაგან, ანუ რომლისა ერისაგან, ანუ რომლისა შჯულითა სცხონდებოდე“ (5) და მრავალი სხვა. „ოდესმე უომრად მიჰრიდიან ხაზართა მათ მირიანს და ოდესმე ბრძოლითა აოტნის“ (ლეონტი, 66, 17): „ანუ ხარ შენ ასული არმაზისა, ანუ შვილი ზადენისი“ (ლეონტი, 106, 9): „არა ხედავ, არცა გესმის და არცა უწყი ცხოვრება სულიერი და არცა სურვიელი ხარ შენ მისლვად... და არცა იცნობ შენსა ღმერთსა“ (ჯუანშერი, 192,5). „ვერცა მსოფლიო ვინმე და ვერცა მოჭალქე, ვერ მკუდარი და ვერ რომელი პატივი და ასაკი იკადრებდა განდრეკილად სლვად“ (დავ. ისტ., 356, 2): „რომელნიმე ქრმლითა, რომელნიმე შუბითა, სხუანი ისრითა“ (დავ. ისტ., 362, 3) და ა. შ.

სიტყვათა გამეორების მეორე სახეა გამეორება ცვალებადი ფორმით, ანუ ვერბალური ალიტერაცია.

„ვისრამიანის“ ქართულ თარგმანში ამ ტიპის გამეორებასაც ვხვდებით:

1. „აწ უღონიოდ წაგიღია და წაცაიღებ ჩემსა პირისა წყალსა“ (75).

2. „მარავი ქალაქი იყო, რომელ შიგა თვალსა და მარგალიტსა წვიმდა წვიმა“ (47).

3. „დაღრეჯილი ვარ შენისა დაღრეჯილობისაგან“ (78).

4. „ღმრთისაგან მიწყით დაღრეჯით იგი ზიზ, ვინცა შენ აგრე დაგღრიჯა“ (78).

5. „ჰე, არამო, არამო, სიარმითა ზენაარისა გამტეხელო, უღთო და ცრუო“ (260) და სხვა.

ქართველი მთარგმნელი ამ ხერხსაც ძველი ქართული კლასიკური მწერლობის მეშვეობით იცნობს. ვერბალური ალიტერაციის ხშირი გამოყენების შემთხვევას ვაწყდებით „ვისრამიანის“ წინამორბედ ქართულ თხზულებებში. ასე მაგალითად: „ღმრთისა შიშმან უშიშ ყვნის მოშიშნი“ (24); გუაცურიე ცუარი ცხოველისმყოფელი (172); არაჲ შეშინდა შინებისაგან მათისა (9, 65); ნერგნი ნაყოფიერნი დაჰნერგენ (82); უშჯულოთა ერმან ზრახეს ზრახვაჲ ბოროტი შენ ზედა (274); ამას ესევითარსა ზრახვასა ზრახვიდეს და ამას ესევითარსა ზრუნვასა ზრუნვიდეს (გიორგი მერჩულე, გვ. 0106, 1954, იოვანე ბოლნელი). „რომელმან დაამტკიცნა ეკლესიანი ჯუარითა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს“ (გ. მერჩულე, 1954 წ. ბასილი საბაწმიდელი, უფალო ღაღად-ყავსა, გვ. 0101); „განიხარა სიხარულითა დიდითა (ლეონტი, 22, 15; 84, 3); იმედ ყვეს იმედი (ლეონტი, 72, 14); ჩუენებით ეჩუენა მას ძე მისი (ლეონტი, 38, 2); ჴმა უყო ჴმითა მაღლითა (ლეონტი, 34, 21); აღიკურვა საკურველითა შუენიერითა (ლეონტი, 34, 2); განიხარეს სიხარულითა დიდითა (ჯუანშერი, 187, 7); ჴმა უყო ჴმითა მაღლითა (ჯუანშერი, 152, 1; 154, 8; 190, 1); იწყლა წყლულებითა დიდითა (ჯუანშერი, 194, 15); განიხარა სიხარულითა დიდითა (მა-

ტიანე ქართლისა, 280, 17); უძღვნა ძღვენი დიდი და მოუწდომელი (მატიანე ქართლისა, 280, 18); აღუთქვა ფიცითა აღთქმა (მატიანე ქართლისა, 289, 1); მიუძღვნა ძღვენი დიდი (მატიანე ქართლისა, 309, 1);

საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, რომ ვერბალური ალიტერაცია ქართული კლასიკური მწერლობისათვის დამახასიათებელი ხერხი ყოფილა და იმდენად გავრცელებულიც, რომ ზოგიერთი მათგანი შემდგომ სტერეოტიპულ გამოთქმებადაც ქცეულა, როგორიცაა, მაგალითად: განიხარა სიხარულითა დიდითა, უძღვნა ძღვენი ან ძღვენი უძღვნა და სხვა.

სპარსული კლასიკური პოეზიისათვის ხატოვანი აზროვნებაა ძირითადად დამახასიათებელი. „სპარსული პოეზიის ესთეტიკური კონცეფციის პრინციპია კოლორიტულობა და დეკორატიულობა“[5]. ამ კოლორიტის შექმნაში უპირველესი მნიშვნელობა მეტაფორა-შედარებებს ენიჭება. სპარსული სურათის აღწერილობა სავსეა მეტაფორა-სიმბოლოებით. სპარსული პოეზიისათვის ეს სიმბოლოები წარმოადგენს პოეტურ ყალიბებს, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე ნორმატული ხასიათისაა. თუ მთარგმნელს უნდა, რომ არ დაკარგოს სპარსული პოეზიის ნამდვილი აღმოსაელური კოლორიტი, არ უნდა დაამსხვრიოს ეს ყალიბები[6].

„ვისრამიანის“ ქართველი მთარგმნელი სპარსული პოეზიის შესანიშნავ ცოდნას ამჟღავნებს. მას კარგად ესმის, რომ პოეზიის ამ ყალიბების დამსხვრევა არ შეიძლება და ყოველთვის ცდილობს სპარსულ მხატვრულ სახეებს არ დაუკარგოს დედნისეული იერი (ეს განსაკუთრებით მეტაფორა-შედარებებს ეხება). ამიტომაა, რომ ყველაზე ფაქიზი ქართველი მთარგმნელი არის მეტაფორა-შედარებების მიმართ: მათი ქართულ თარგმანში გადმოტანისას იგი საოცარ სიფრთხილესა და მხატვრულ ალღოს იჩენს, რადგან მხატვრულ ხერხებს შორის ყველაზე რთული სახე მაინც მეტაფორა-შედარებებია.

„ვისრამიანის“ მეტაფორები უაღრესად მარტივია და ნათელი. მათ ჯერ არ შეხებიათ მოგვიანო სპარსული პოეზიისათვის დამახასიათებელი სირთულე და ხელოვნურობა. ქართველ მთარგმნელს თარგმანში გადმოაქვს თითქმის ყველა მეტაფორა, რომელიც კი იხმარება დედანში. არის შემთხვევები, როცა იგი ქართულისათვის შეუფერებელ ხელოვნურ მეტაფორას ცვლის ქართულ მწერლობაში დამკვიდრებული, უფრო გავრცელებული და ნაცნობი მეტაფორებით, იმისათვის, რომ სახე უფრო გასაგები და ბუნებრივი იყოს და ეგუებოდეს ქართული ენის მხატვრულ ბუნებას. ძირითადად კი მთარგმნელს თითქმის უცვლელად მოაქვს ყველა დედნისეული მეტაფორა. მაგ.;

პირისახისათვის: მზე, ელვა.

„ღრუბლებისაგან ელვა გამოჩნდა, ანუ ანაზდად მზე ამოვიდა, გამოჩნდა ვისის პირი“ (44).

თვალებისათვის: ნარგისი.

1. „ნარგისთათ იაგუნდსა ზედა ცრემლთა ადენდა“ (220).

ز نرگس بر سمن یاقوت ریزان (თ. ۳۳٤)

2. „შენსა ვარდსა ორნი გუშაგნი ნარგისნი უდგანან“ (213).

گلی کورا دو نرگس پاسبانست (თ. ۳۲٦)

---

5 ელ. მეტრეველი, რამდენიმე საკითხი ნიზამისა და რუსთაველის ლიტერატურული ურთიერთობიდან, საკანდ. დისერტაცია, 1946, გვ. 28.

6 იქვე, გვ. 33—34.

3. „ნარგისთათ სისხლსა ვარდსა ზედა ღვრიდა“ (332).

ز نرگس بر سمن یاقوت ریزان (ქ.)

ღაწვისათვის: ამარტა, ვარდი, იაგუნდი.

1. „თუალთა მისთა მარგალიტი ხოვრიელად ამარტასა ზედა დაასხეს“ (152).

2. „ნარგისთათ სისხლსა ვარდსა ზედა ღურიდა“ (332).

ز نرگس بر سمن یاقوت ریزان (ქ.)

3. „შენსა ვარდსა ორნი გუშაგნი ნარგისნი უდგანან“ (213).

گل کورا دو نرگس پاسبانست (თ. ٣٢٦)

4. „ნარგისთათ იაგუნდსა ზედა ცრემლთა ადენდა“ (220).

ز نرگس بر سمن یاقوت ریزان (თ. ٣٣٤)

ბაგისათვის: იაგუნდი.

1. „სალამსა მოაკსენებს მათ იაგუნდთა, რომელთა ოცდათორმეტი მარცუალი მარგალიტი დაცმული აქვს“ (257).

2. „იაგუნდთა შიგან მარგალიტი ჩნდა დაცმული“ (207).

კბილისათვის: მარგალიტი.

1. „ასი ათასი ვარდი პირსა ზედა უყუაოდა და ოცდათორმეტი მარგალიტი დაცმული პირსა შიგან უნათობდა“ (94).

2. „იაგუნდსა შიგან მარგალიტი ჩნდა დაცმული“ (207).

3. „ესე სალამსა მოაკსენებს მათ იაგუნდთა, რომელთა ოცდათორმეტი მარცუალი მარგალიტი დაცმული აქვს“ (257).

ულვაშისათვის: სუმბული.

„სუმბულთ ჯერთ შაიი არ ჩაეცვა“ (60).

شب سیه بنفشه از سنبل همی کشد (თ. ١٠٨)

ცრემლებისათვის: სისხლის ღვარი, მარგალიტი, ეფრატი, ჯეონი.

1. „თუალთა სისხლისა ღვარი ჩამოსდიოდა“ (167).

ز دو نرگس دو رود خون دو اندهـ (თ. ٢٦٠)

2. „თუალთაგან მარგალიტსა ჰყრიდა, ვითა ცა — თოვლსა“ (322).

ز چشمش بر زمین گوهر فشان بود (თ. ٤٥١)

3. „თუალთა მისთა მარგალიტი ხოვრიელად ამარტასა ზედა დაასხეს“ (152).

فراقش زعفران بر ارغوان ریخت
چو مژ گانش گهر بر گهر بیخت با (თ. ٢٣٩)

4. „თავისა თუალისაგან ათასი გრივი მარგალიტი გარდმოყარის“ (42).

ز گوهر چشم او کان دگر شد (თ. ٨٥)

5. „თუალთაგან მხურვალედ ეფრატი სდიოდა“ (167).

6. „არაოდეს გაუყრილვარ ესრე, თუმცა თვალთაგან ჯ ე ო ნ ი არა მდენოდა“ (216).

ა დ ა მ ი ა ნ ი ს გ ა რ ე გ ნ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს: მთვარე, ელვარე მთვარე, შავარდნის მართვე, გაცისკრული მთვარე, მზე, თვალი პატიოსანი, სარო მაყალი, ვარდი, მოციონარე იაგუნდი, ძველი ნაძვი, ბროლის სვეტი, ადრაგუნი და ნასრანი.

1. „ჩემი მ თ ვ ა რ ე დილეგსა შიგან დამალა“ (171).

چاه گشت در من ماه که (თ. ٢٦٦)

2. „რა ცხრა თვე გავიდა, მისგან გამოვიდა ე ლ ვ ა რ ე მ თ ვ ა რ ე“ (10).

از و تابنده تر ماهی بر آمد (ქ.)

3. „რომლისა მეწვალკოტე ორისა წლისა გ ა ც ი ს ი ლ ი მ თ ვ ა რ ე ა“ (213).

گلی کش بوستان ماه دو هفتست (თ. ٣٢٦)

4. „აწ გაზრდილა მრავლითა ნებიერობითა, შ ა ვ ა რ დ ნ ი ს ა მ ა რ თ ვ ე ს ა ამაღლება დაუწყია“ (12).

کنون بر رست پیش من بصد ناز
بپرواز اندر آمد بچۀ باز (თ. ٤٠)

5. „ცასა ერთი მ ზ ე სხვა მოემატა“ (149).

دیگر بیفزود آسمانرا مهی (თ. ٢٣٤)

6. „მ ზ ე და მ თ უ ა რ ე ერთგან შეიყარნეს, მუშკი და ამბარი ერთგან შეიზილნეს“ (181).

بهم آمیخته شد مشک و عنبر
دو هفته ماه شد پیوسته با خور (თ. ٢٨١)

7. „ვ ა რ დ ი ვნახე შიგან შევნიერი“ (137).

گلی دیدم در و اردیبشتی (თ. ٢١٤)

8. „შევნებისა საჭურჭლე პოეა და მაშიგან მ ო ც ი ო ნ ა რ ე ი ა გ უ ნ დ ი“ (41).

که ناگه یافترا خوبی یک گنج
درو یاقوت خندان‌وا سخنگوی (თ. ٨٤)

9. „მე იგი ძ ვ ე ლ ი ნ ა ძ ვ ი ვარ, რომელ შენმან კიდეგანობამან წამაქცია“ (235).

من آن سروم که هجران تو بر کند (თ. ٣٥٢)

10. „დაწერა წიგნისა თავსა ზედა სახელი... ვარდითა სავსისა, ბ რ ო ლ ი ს ა ს ვ ე ტ ს ა“ (279).

ستون نقره و پیرایه تاج (თ. ٤٠٧)

11. „მომპარეა ჩემი თ ვ ა ლ ი პ ა ტ ი ო ს ა ნ ი“ (171).

12. „ერთსა ბაღსა შიგან ორნი ყვავილნი: ა დ რ ა გ უ ნ ი და ნ ა ს რ ა ნ ი“ (11).

جو دِ یک باغ آذرگون و نسرین (ა.)

მოტანილი მასალიდანაც ჩანს, რომ ის სირთულე და ხელოვნურობა, რომელიც ტიპიურია გვიანდელი საუკუნეების სპარსული პოეზიისათვის, არ ახასიათებს „ვისრამიანის“ სპარსულ ტექსტს, თორემ როგორღაც მაინც ამისახებოდა ქართულ თარგმანში. მეტაფორიზაცია ქართულ მწერლობაში სპარსული პოეზიის გზით შემოდის და შემოდის მოგვიანებით. ეს კარგადა ჩანს ძველი ქართული მწერლობის ხასიათის შესწავლისას. მთელ ქართულს მწერლობაში მხოლოდ მეხოტბეებთან ვხვდებით შედარება-მეტაფორების დაახლოებით იმ სისტემას, რომელიც დამახასიათებელია მოგვიანო სპარსული პოეზიისათვის. ადრეულ ქართულ მწერლობაში კი მეტაფორები ძალზე ძუნწადაა ხმარებული და ისიც თითქმის ყოველთვის ადამიანის საერთო გარეგნობის აღსაწერადაა გამოყენებული. მაგალითად: მ ზ ე ჲ სიმართლისა მას შინა გამობრწყინდა (70); თჳთ მ ნ ა თ ო ბ ი ნ ა თ ე ლ ი უსხეულო ხარ (207); სასულიერო პოეზიაში ამ ტიპის მეტაფორები ქრისტეს მიმართაა ნახმარი. ბასილი ისტორიკოსთანაც გვხვდება ეს მეტაფორები: „დასხდეს ტახტსა ბედნიერსა ორნი მ ნ ა თ ო ბ ნ ი, ორნი მ ზ ე ნ ი, ორნი განმანათლებელნი“ (122, 7, 8). საერთო ხასიათის თხზულებებშიც „ვისრამიანამდე“ იშვიათად მიმართავენ მეტაფორას, როგორც მხატვრულ წერილს. ის გაცილებით უფრო გვიან იკიდებს ფეხს, ვიდრე შედარება.

ცნობილი არაბისტის ე. კრაჩკოვსკის აზრით, რუდაქის თანადროული არაბული პოეზიისათვისაც ძირითადი მხატვრული ხერხია შედარება, რომელიც გაცილებით უფრო ფართოდაა გავრცელებული არაბულ პოეზიაში, ვიდრე მეტაფორა.

შედარება, როგორც მხატვრული გამოსახვის ერთ-ერთი საშუალება, „ვისრამიანის“ ძირითადი მხატვრული ხერხია. ფახრედდინ გორგანელი ამ მხრივ უთუოდ ადრეული ხანის სპარსული პოეზიის ტრადიციას მიჰყვება. ეს მოვლენა გარკვეულად აისახა ქართულ თარგმანშიც. შეიძლება ითქვას, რომ თუ „ვეფხისტყაოსანის“ სტილი აშკარად მ ე ტ ა ფ ო რ უ ლ ი ა, „ვისრამიანში“ პირველი და ძირითადი მხატვრული ხერხი შ ე დ ა რ ე ბ ა ა.

მხატვრული შედარების დროს ერთმანეთს უპირისპირდება კარგად ნაცნობი საგნები, ხატები და მოვლენები. ამ დაპირისპირებით მეტი სიცხადე და მხატვრული გამომსახველობა მიიღწევა, სახე უფრო კონკრეტული და გასაგები ხდება. შედარებისას მთავარია არა მსგავსის, არამედ განსხვავებულის დაჭერა, თუმცა შედარება წარმოებს მხოლოდ მსგავსთან. და ამ დროს ყოველი მწერალი ცდილობს იყოს ინდივიდუალური, რათა მის მიერ მიგნებულ შედარებას ჰქონდეს მთავარი ნიშან-თვისება — სიახლე და მოულოდნელობა.

შედარებას მეტწილად იმისათვის მიმართავს მწერალი, რომ უფრო ძლიერად გამოხატოს მხატვრული სახე, გააძლიეროს სანახაობის ეფექტი, ასახოს რაიმე არაჩვეულებრივი, წრეს გადასული. ასეთი აღქმისათვის რომ შეამზადოს მკითხველი, ავტორი წინასწარ ხატავს რაღაც მის მსგავსს, მისთვის უფრო ცნობილ ხატს. ამგვარად, შედარებას ნაწარმოებში შეაქვს მეტი მრავალფეროვნება, ეფექტურობა და თხრობის სილამაზე.

გარდა მხატვრული ღირებულებისა და ესთეტიკური ფუნქციისა, შედარების უხვი გამოყენება იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ ის ნათელსა ჰფენს მწერლის თანამედროვე ცხოვრების ზნე-ჩვეულებებს, ყოფას, ერის შინაგან სამყაროს, მის ფსიქიკასა და ფსიქოლოგიას.

„ვისრამიანში“ დადასტურებული მასალა ამ მხრივ ძალზე საინტერესოა. ამ მასალის არათუ ამოწურვა, უბრალო ჩამოთვლაც კი გაჭირდებოდა, ისე ამოუწურავია მასში წარმოდგენილი მხატვრული შედარებების მარაგი.

„ვისრამიანის“ ქართველი მთარგმნელი არსებითად მისდევს დედნისეულ მხატვრულ სახეებს, მაგრამ არაიშვიათად შედარებების შერჩევისას დაკანონებულსა და უკვე მოძველებულს გვერდს უვლის და სახის მხატვრული გადახალისების და ახლებურად ამეტყველების მიზნით, იძლევა მოულოდნელსა და ახალ შედარებას, რომლის გამოყენებით უფრო დიდ მხატვრულ ეფექტსა და სახის ექსპრესიულობას აღწევს.

შევეცდებით ცალკე გამოვყოთ და წარმოვაჩინოთ ძირითადად ადამიანის აღწერის, ბუნების, საწუთროს, მატერიალური კულტურის და სხვა საგნების თუ მოვლენების აღსაწერად გამოყენებული შედარებების მთელი სისტემა.

ადამიანის გარეგნობის აღწერის დროს შესადარებელ ობიექტებად გამოყენებულია ციური სხეულები, ძვირფასი ქვები და მატერიალური კულტურის ზოგიერთი საგანი.

პირისახისათვის: მზე, ამომავალი მზე, მთვარე, თხუთმეტი დღის მთვარე, ვარდი, ძოწი, ყაყაჩო, ბროწეულის ყვავილი, დრაჭკანი, ვარდიანი წალკოტი, ვენახი, გაზაფხულის ღრუბელი, ნაცარი, დაჟანგებული სარკე.

1. „პირი მისი მზესა ჰგუანდა“ (161).

رخی خورشید گشته نیکوی را (თ. ٢٥٢)

2. „პირი გამოუჩნდა, ვითა ამომავალი მზე“ (69).

چو خورشیدی سر ازبالین بر آورد (თ. ١٢٤)

3. „პირი სისავსითა მთვარესა, რომელსა ზედა ვარდი ჰყვაოდის“ (272).

هفته بیکر نغز چون ماه دو (თ. ٣٩٨)

4. „სადაცა წალკოტსა შიგან ვარდი პოვის, მისისა პირისა მიმსგავსებისთვის მას ჰკოცნიდის“ (58).

بباغ اندر گل صد برگ جستی
بیاد روی او برگل گرستی (თ. ١٠٦)

5. „პირი მისი ვარდისა მსგავსი, ზაფრანად გარდაექცა“ (44).

رخ گلگونش گشته زعفران گون (თ. ٨٧)

6. „გულოანსა პირი ბროწეულისა ყვავილსა უგეანდის და ჯაბანსა სიყვითლითა დრაჭკანსა“ (28).

یکی را گونه شد همرنگ دینار
یکی را پهره شد مانند گلنار (თ. ٦١)

7. „პირი ვარდიანსა წალკოტსა უგვანდა“ (207).

نی تستا گلستانی بوستانی خرد بدو (თ. ۳۱۷)

8. „ვენახსა ჰგვანდა ეისის პირი“ (48).

مرخ سیس روی بود بغی چو (თ. ۹۲)

9. „პირი მისი გაზაფხულისა ღრუბელსა ჰგვანდა“ (69).
10. „პირი, ვითა ნაცარი, შეჰქმნოდა“ (100).
11. „პირი, ვითა დაჟანგებული სარკე შეჰქმნოდეს“ (50).

هدرخا زنگ خیز چو تش (თ. ۹٤)

ბაგისათვის: ლალი, წითელი იაგუნდი, ვარდი.
1. „ბაგენი ლალსა უგვანდეს და კბილნი მარგალიტსა“ (60).

مرخ لال چون [ت-خ] لبدو هنوزش (თ. ۱۰۸) (კ.)

2. „ერთი ბაგე ვარდსა ზედა მუშკორეულსა ჰგუანდა“ (207).

بزند بیکی چون گل که بر وی‌مشک (თ. ۳۱۸)

3. „ვარდის ფერითა ბაგითა ნადიმი გარდაიხადე“ (51).
4. „ბაგე წითლისა იაგუნდისა მსგავსი, ცისფერად შეექმნა“ (44).

لب میگونش گشته آسمان گون (თ. ۸۷)

წითელი იაგუნდის ნაცვლად დედანშია ღვინისფერი ბაგე. ეს შედარება შესაძლოა იყოს ნუსხისეული.
კბილებისათვის: მარგალიტი.
„ბაგენი ლალსა უგუანდეს და კბილნი მარგალიტსა“ (60).

هنوزش لال چون خرد بود (თ. ۱۰۸)

დედანში არ ჩანს ეს შედარება.
თვალებისათვის: ნარგისი, ღრუბელი, ზღვა.
1. „ნარგისისა მსგავსნი თვალნი — დღე და ღამე ღრუბლისაებრ წვიმენ“ (72).

همان چشمش چون نرگس بیارست (თ. ۱۲۹)

2. „შენნი თვალნი გაზაფხულისა ღრუბელნი იქმნენ მტირალნი“ (115).

که گردد چشم تو ابر بهاری (თ. ۱۸۳)

3. „ღრუბელსა ჰგვანან მთასა ზედა მავალსა, თვალნი ჩემნი“ (165).

دو چشم بر کوه برسان ابر با رند (კ.)

4. „თვალი ჩემი ზღვაა ნამისა სიმრავლითა“ (204).

چو دریا کرد چشمم ز اشک من (თ. ۳۱۵)

5. „ზღვასა ჰგვანდეს თვალნი შენნი ცრემლისაგან“ (247).

چو دریا بود چشم تو ز اشک آب (თ. ۳٦٤)

6. თვალნი მისნი მაისისა ღრუბელსა ჰგვანდეს წვიმისა დაულევნელობითა“ (77).

წამწამისათვის: ლურსმანი.

„წამწამანი თვალთა ზედა ლურსმად შემქმნიან“ (62).

مسمار تشت من پشم برچشم مژه (თ. ۱۱۲)

თმისათვის: ღრუბელი, მუშკისა ტოილო, გველი, შაქრის ლერწამი, ღამის სიბნელე.

1. „წამწამანი თვალთა ზედა ლურსმად შემქმნიან და თმანი ტანსა ზედა გველად“ (62).

همیدون موی بر اندام من (თ. ۱۱۲)

2. „თმანი ღრუბლად უჩნდეს, რომლისაგან წვიმა მუშკისა გამოვიდოდა“ (213).

چو ابری دید زلف مشکبارش (თ. ۳۲۸)

3. „თმანი შავნი და გრუზნი სიჭშირითა—შაქრისა ლერწამსა“ (207).

دو زلفش خوانده نقش هر فسونی (თ. ۳۱۷)

დედანში არ არის ეს შედარება.

4. „ღამე სიბნელითა შენთა თმათა ჰგუანდა“ (285).

شب تاریک بد همرنگ موی (თ. ٤١٤)

ყურის ძირისათვის: წმიდა ვეცხლი.

„ყურის ძირნი წმიდასა ვეცხლსა უგუანდეს“ (60).

هنوزش بود سیمین دو بناگوش (თ. ۱۰۸)

ხელისათვის: ბროლი.

„მოეკიდა ხელითა ბროლისა მსგავსითა“ (41).

بلورین دست او بگرفت ناگاه (ქ.)

გულისათვის: ქვა, ღრუბელი, ჯოჯოხეთი, საქარავნო ფუნდუკი, სადაფი, ცვილი.

1. „გული ჩემი ღრუბელსა ჰგავს“ (129).

چونست چون ابری کشیده دلم (ქ.)

2. „ვისის გული ღმრთისა შეგონებითა, ვითა ქვა ცვილურად მოლბა“ (196).

3. „ჩემი გლახ საწყალი გული საქარავნოსა ფუნდუკსა ჰგავს“ (242).

دلم سنگین من گویی که خانست (თ. ۳٥۹; ქ.)

4. „გული ჩემი სადაფსა ჰგავს“ (239).

დედანში: دلم چون گوهرست وعشق چون کان (თ. ۳٥۷)

5. „და გული — ჯოჯოხეთი პირდაულევრობითა“ (204).

چو دوزخ کرد جانرا بسی غم (თ. ٣١٥)

6. „გული ჩემი, ვითა ცვილი, საზელად გაქვს“ (84).

داری کہ شاہ و داری من لا (თ. ١٤٤)—ცვილი არაა დედანში

ნაკვთისა და აღნაგობისათვის: ნაძვი, სიმართლის ისარი, მშვილდი.

1. „სხეული მისი ნაკუთად ნაძუისა მსგავსი იყო“ (57).

چو قدش آفت سرو شد (თ. ١٠٥)

2. „ნაკვთი სიმართლისა ისარსა უგვანდა“ (272).

جوانرا سرو چون تیر بالا (თ. ٣٩٨)

დედანშია: جوانرا سرو, ახალგაზრდა სარო.

3. „ვისისა ნაკვთი მშვილდად შექმნა“ (204).

قضا از قامت و بالا کمان ساخت (თ. ٣١٤)

4. „თუ რამინ სიგრძითა ნაძუსა ჰგავს“ (72).

اگر رامین بالا هست چون سرو (თ. ١٣٠)

ტანისათვის: ბროლი, გია.

1. „ბროწეულისა უუავილი მისთა ღაწუთა სახე იყო და ტანი მისი გიისა“ (204).

2. „ტანისა სითეთრე ბროლსა უგუანდა ყასაბგარდაფენილსა“ (207).

نهد سیم چون اندام قصب در (თ. ٣١٨)

ენისათვის: შაქარი.

„შაქრისა მსგავსითა ენითა საუბარი დაიწყუ“ (51).

ადამიანის საერთო აღწერისათვის: თვალი პატიოსანი, მზე, მთვარე, გავსებული მთვარე, მზე და მთვარე.

1. „ჯდა ვისი, ვითა მზე ტახტსა ზედა“ (94).

نشسته ویس چون خورشید بر تخت (თ. ١٥٦)

2. „მოიყვანეს დედოფალი ვისი, ვითა მზე“ (120).

3. „ეგრე ელვიდა, ვითა გავსებული მთვარე“ (135).

همه تابید چون ماه دو هفته (თ. ٢١٢)

4. „მათი ცოლები, ვითა მზე და მთუარე“ (21).

დედანშია: ვარსკვლავები და მთვარე.

არის შემთხვევები, როდესაც შედარება არაა სპარსულ დედანში და ქართველ მთარგმნელს თავად შეაქვს იგი სახის მხატვრულად გამდიდრების მიზნით. მაგ., დედანში იკითხება: سرو چون بالای ران رخ آن (თ. ١٦٥), ქართველ მთარგმნელს დედნისეულ — رخ — სახის შედარებად შეაქვს დედნისათვის საერთოდ დამახასიათებელი შედარება და თარგმნის ასე:

„მზისა მსგავსი პირი, ტანისა საროისა ნაკუთსა“ (101).

ხშირად ორიგინალის უბრალო სახე მხატვრულ სიმაღლემდე ადის ქართულ თარგმანში: „პირსა მისსა, ძოწისა მსგავსსა, ზაფრანისფერი დაედვა“ (22). გარდა იმისა, რომ ახალი შედარება შემოიტანა და სახე მხატვრულად გააცხოველა, ქართველმა მთარგმნელმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი კონტრასტსაც. მთარგმნელის მიერ მოტანილი შედარება საყვებით ეგუება იმ განწყობას, რომელიც ასახულია დედანში: გალაღებული ძოწისფერი მთაბადის სახე, მძიმე მოსასმენი ამბის შემდეგ, ზარდმა რომ მოუტანა ვისის დაქორწინების შესახებ, წყრომისა და მეტი სიმძიმილისაგან, ერთბაშად იცვლება ზაფრანისფრად. მთარგმნელი კარგად გადმოსცემს ამ უეცარი ცვლილებით გამოწვეულ შთაბეჭდილებას. დედანში ამავე სიტუაციას აგვიწერს შემდეგი ბეითი:

رخی کز سر خیش گفتی نبیدست
بدانسان شد که گفتی شنبلیدست (თ. ٥٥)

როგორც ვხედავთ, ქართველი მთარგმნელი იცავს სიზუსტეს და თან ახერხებს იმასაც, რომ დედნისეული სახის დაუმახინჯებლად დარჩეს ქართული მხატვრული აზროვნების სფეროში.

მთაბადის დარბაზში მჯდომი გამიჯნურებული რამინის ორგვარი სიმთვრალე ასეა გადმოცემული თარგმანში:

„მიჯნურობისაგან და ღვინისაგან ორფერი სიმთვრალე ჰქონდა და ღვინისაგან პირი ყაყაჩოსა დამსგავსებოდა“ (87).

დედანში ამის სანაცვლოდ იკითხება:

خ ز از مستی بسان زر دْ (თ.١٤٨)

სახე სიმთვრალისაგან მბრწყინავ ოქროს მიუგავდა.

მთარგმნელმა აქაც სპარსელისათვის სრულიად ბუნებრივი და გასაგები შედარება შეცვალა ქართველი მკითხველისათვის უფრო ნაცნობი შედარებით — ყაყაჩო.

ღაწვების შესადარებელ ობიექტად სპარსულში გამოყენებულია ვარდი, ბროწეულის ყვავილი, ტულიპი. ქართულ თარგმანში ვხვდებით ვარდისფერ ღვინოს, ვარდს და ბროწეულის ყვავილს. ტულიპი, როგორც წესი, უველგან შეცვლილია ვარდით. ქართველი მთარგმნელი ერიდება უცხო და გაუგებარი შედარებების შემოტანას თარგმანში.

შედარების თემად ძალიან ხშირად გამოყენებულია მიჯნურთა ემოციები, რომანის გმირთა სულიერი განცდები. მიჯნური ხან მთვრალსაა შედარებული, ხან გამძვინვარებულ ლომსა და ვეფხვს ან კლდის კაკაბს, ხან უძიროზღვასა და მტირალ ან „ქუხილიან“ ღრუბელს, ხან კიდევ თავმოკვეთილ ფრინველს და დაკოდილ გველს ან ყვავილებს.

„მიჯნური მთრვალსა ჰგავს, რომელ, რა კაცსა ეთიროს, ჭირი და ლხინი უველა სწორად უჩს“ (124).

کجا عاشق بمرد مست مانند
ندانند غم و شادی در مستی که (თ. ١٩٨; ქ.)

სიყვარულით დატყვევებული გული მოჯნურისა მახეში გაბმულ ნადირთანაა ერთგან შედარებული:

„ჩაიპრა გული ჩემი შენისა სიყუარულისაგან უნებლიე, ვითა ნადირი ბადესა“ (63).

دلم آفتاد در مهرت بناکام
شتابان همچو گوری مانده در دام (თ. ١١٤)

ანდა: „შენ ვისის მიჯნურობა ასრე არ გამოგერცხების, ვითა ზანგსა სიშავე“ (209).

شود شسته ز جانت این تباهی
گر از زنگی شود شسته سیاهی (თ. ٣٢١)

ქართველმა მთარგმნელმა დედნისეული პირობითი წინადადება: შენი სულისაგან ეს გრძნობა გაირეცხება, თუ ზანგს სიშავე გამოერეცხება — შეცვალა უარყოფითით. რაკი ასეთი პირობა საერთოდ შეუძლებელი რამაა, ქართველმა მთარგმნელმა თარგმანში კატეგორიულობა შეიტანა. მან მხატვრული თვალსაზრისითაც უფრო გამართლებულად მიიჩნია ეს ფორმა.

„მიჯნურობისაგან, ვითა ლომი გაგულოვნებულიყო“ (106).

کجا در مهر چون شیران جگر داشت (თ. ١٧٢)

ანდა: „ვითა ხელი ცურვიდის, ვითა ქანჯარი და ველური თხა კაცთა ჰფრთხებოდის“ (58).

چو گور و آهو از مردم رمیدی (თ. ١٠٦)

მთარგმნელმა ფრაზას მეტი დინამიურობა შთანიჭა და უფრო ხატოვანად გადმოსცა გამიჯნურებული რამინის სულიერი მდგომარეობა.

„შეპირვებისაგან გული მწუადსა უგვანდა, თორნესა შიგან შემწუარსა, თუალთაგან დაუწყვეტელად ცრემლისა დენა ნოეს რღუნობისა ღრუბელსა უგუანდის“ (77).

دلش بریان و آن دو دیده گریان
چو تنوری کزو بر خاست طوفان (თ. ١٣٦)

განცდის მთელი სიმწვავე ასეთივე ემოციურობით არის გადმოცემული ამ შემთხვევაშიც: „შეღამებით გათენებამდის ვკვნესი და ვიღვლარშნები, ვითა დაკოდილი გველი“ (63).

بشب تا روز پیچان و نوازم
چو ماری چوب خورده در میانم (თ. ١١٤)

ამ შედარებით, გრძნობადი მომენტის გახაზვის გარდა, მხედველობითი სურათიცაა დახატული ავტორის მიერ. ასეთსავე ოპტიკურ სახეს ქმნის პოეტი შემდეგი შედარებით: „ვითა მარცუალი ცხელსა ქვესა ზედა, ეგრე ქვე-ზე ხლტებოდა“ (282).

بسان دانه بر تابه بی‌آرام (თ. ٤١١)

გასაოცარი ძალის პერეტითი სურათია დახატული შემდეგი შედარებით: „ვისი ესრე თრთოდა, ვითა წმიდისა წუალსა შიგან მზე“ (282).

سمن بر ویس لرزان گشت چون بید
چو در آب روان در عکس خورشید

დედანში ორმაგი შედარებაა სახეზე: იასამნის მკერდა ვისი ისე კანკალებდა, როგორც ტირიფი, ისე, როგორც წმინდა წყალში მზის გამოსახულება. ქართველი მთარგმნელი ტრადიციულ შედარებას უთარგმნელად ტოვებს და უფრო მოხდენილი, ცხოველი შედარება გადმოაქვს თარგმანში. ათრთოლებული ვისის კანკალი შესანიშნავი პარალელია ანკარა წყალში მოცახცახე მზის ათინათთან. სუფთა ჰვრეტითი მომენტის გარდა, ამ შედარებით გახაზულია სურათის ემოციური ძალაც.

„წყრომით იზახდა, ვითა ღრუბელი ქუხილიანი“ (43).

ز خشم دل خرو شان گشته چون ابر (თ. ٢٢٥)

გმირის რისხვა ქუხილის გრგვინვასაა შედარებული. სიტყვა „ქუხილი“ არა ჩანს დედანში. იქ ის თავისთავად იგულისხმება. ქართველი მთარგმნელი მეტი ექსპრესიულობისათვის დედნისეულ მთელ აზრს სიტყვა „ქუხილიანი“-ს მეშვეობით გადმოგვცემს.

„კვნესა ჩემი ვარსკელავთა მიესმის, ვტირი, ვითა გაზაფხულისა ღრუბელი, ვკივი, ვითა კლდისა კაკაბი“ (256).

فغان من ببندد راه کیوان
چنان گریم که گرید ابر آذار
چنان نالم که نالد کبک کهسار (თ. ٣٧٩)

დედნისეული შედარება კონკრეტული ხასიათისაა. თარგმანში იგი განზოგადებულია: „ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ თ ა მიესმის“ — მრავლობითი ფორმის ხმარებით.

ამ მაგალითშიც და ბევრგან კიდევ სხვაგან შედარების საგნებად ცხოველთა და მცენარეული სამყაროა გამოყენებული:

„ვითა ვეფხი საგებელისაგან აიჭრა“ (143).

بجست از خواب شاهنشاه چو ببر (თ. ٢٢٥)

ანდა: „რამინ, ვითა ვეფხი, ზედა შეხლტა“ (124).

სტატიკური დინამიურობის სურათია შექმნილი შემდეგი შედარებით:

„ჯდა, ვითა მებრძოლი პილო“ (100).

چو پیل خشمناک آشفته و مست (თ. ١٦٣)

„ვითა მფრინველი თავ-მოკვეთილი ფართხალებდა“ (110).

ძნელია უფრო ზუსტი და ბუნებრივი შედარების დაძებნა გმირის სულიერი განცდის გადმოსაცემად.

„რა თოკსა ზედა შევიდა, ვითა ფრინველი ბანთა ზედა გავიდა“ (179).

چو پران شد ز پرده جست بر بام (თ. ٢٧٨)

ანდა: „მას თოკსა ზედა უხამურითა ფერხითა გაეიდა, ვითა მოშაითი“ (179).

برهنه سر بر همنه پای مانده (თ. ٢٧٨)

მოშაითთან ვისის შედარება ქართველი მთარგმნელის მიერ ჩანს შემოტანილი თარგმანში. დედანში ნათქვამია, რომ ვისი ფეხშიშველა იყო. სახის

მხატვრული გამდიდრების მიზნით და მეტი ეფექტისათვის გმირის სიმკვირცხლეს და მოხერხებულობას ოსტატურად დაძებნილი შედარება მიუსადაგა.

„სიკეკლუცითა ფარშამანგსა ჰგუანდა სიყმე ჩემი“ (225) — ამბობს რამინი.

ز خوبی بود چون طاوس رنگین (თ. ٣٤١ ბ.)

აქ ფერთა სიჭრელეა ძირითადი მომენტი შედარებისა. ფარშამანგის ბოლოს ფერთა ლამაზი ნაირობა რამინის სიყმეს, მის ახალგაზრდულ სილამაზესაა შედარებული. სხვა შემთხვევაში რამინი თავის სიყმაწვილეს გაზაფხულის ყვავილს ადარებს:

„სიყმაწვილე ჩემი — გაზაფხულისა ყვავილსა“ (225).

ვისისთან შეხვედრის მოსწრაფე რამინს მეტისმეტი სიხარულისაგან თოვლი ვარდის ფურცლად მიუჩნდს: „თოვლი გზა-გზა ვარდის ფურცლად უჩნდა“ (322).

بره بربرزرا گل برگ پنداشت (თ. ٤٥١)

ამ შედარებით ავტორი გახაზავს იმ სიამისა და ბედნიერების გრძნობას, რომელიც მოელის რამინს მიჯნურთან შეხვედრით.

რამინისაგან „გამწირაობის“ წიგნის მიღებით აღელვებული ვისი შიშისა და სირცხვილისაგან ვერ ამეღავნებს თავის სულიერ განწყობას. იგი იძულებულია დაფაროს ნამდვილი გრძნობა და მხიარულად მოაჩვენოს თავი ხალხს. ამ მომენტის გადმოსაცემად მთარგმნელი მიმართავს მარჯვე შედარებას, რომლითაც გადმოსცემს კონტრასტს:

„უაყაჩოსა ამით ჰგუანდა, რომელ გარეთ მისებურად მხიარულობდა და შიგნით ეგრევე გული გაშავებოდა, და გარეთ სამოთხესა ჰგვანდა და გულსა დალრეჯილობითა — ჯოჯოხეთსა“ (219).

لبش بود از برون چون لاله خندان
شده دل ز اندرون چون تفته سندان (თ. ٣٣٣)

დედანში შესაბამ ადგილას ტულიპია გამოყენებული. იმავე შედარებას მიმართავს ავტორი, როდესაც ვისი საყვედურობს რამინს მის გამწირაობას: „უაყაჩოსა ფურცელსა გიგვანდა საუბარი: ზედათ წითლად ჩნდა და ქვეშეთ შავი გველი წვა“ (223).

چو برگ لاله بودت خوب گفتار
بزیر لاله در خفته سیه مار (თ. ٣٣٩)

აქაც ის კონტრასტია გახაზული, რომელიც იჩენს თავს რამინის ფიცსა და ამ ფიცის ფაქტიურ შედეგს შორის.

საზოგადოდ, სპარსელი ავტორიცა და ქართველი მთარგმნელიც ოსტატურად ახერხებენ გმირთა სულიერი განცდების, მათი ემოციებისა და განწყობილების გადმოცემას მხატვრული სახვის სხვადასხვა საშუალებებით; განსაკუთრებით კი შედარებების ასეთი მარჯვე და ზუსტი გამოყენებით. ზოგიერთი შედარება სტატიკურ მდგომარეობაში აგვიწერს ადამიანის სხეულს, მის სულიერ მდგომარეობას, ზოგიერთიც გვიხატავს დინამიკაში გმირთა ემოციებსა და სხვადასხვა ხასიათის განცდებს (წუხილი იქნება ეს თუ სიხარული). დედნისათვის დამახასიათებელი ემოციური სიჭარბე გასაოცარი მხატვრული ზომიერების გრძნობითა და სიფაქიზით აქვს გადმოცემული ქართველ მთარგმნელს.

გმირთა ემოციური განწყობისათვის საჭირო ფონს რომანში ხშირად ქმნის ბუნება, რომელიც არაიშვიათად გასულიერებულია ავტორის მიერ. ბუნებას მიეწერება ადამიანური განცდები და ტკივილები (ტირილი, კვნესა, მოთქმა და მისთ.), იგია მონაწილე გმირთა წუხილისა თუ სიხარულისა. ყველაფერი ეს მაღალი ოსტატობითა და ხელოვნებით არის აღწერილი სპარსელი ავტორის მიერ და ამავე ზომის ხელოვნებითაა გადმოცემული ქართულ „ვისრამიანშიც“.

რამინის „გამრთელებით“ გახარებული მოაბადი სანადიროდ და საასპარეზოდ იწვევს მას: „ქვეყანა გამწვანებული, ბევრი ათასფერი ყვავილი მიწისაგან ამოსულა, მთამან ბერძნულისა ოქსინოისა კაბა შეიკერა და ყარყუმი ქუდი თავისაგან მოიხადა, და ეგზომი წყარო გამოცემულა, რომელ წყლისაგან ავაზა უნავოდ თხასა ვერ შეიპყრობს“ (98).

که سبزست از باران کشور ماه
همی تابد زخاکش زهره و ماه
قصب پوشیده رومی کوه اروند
کلاه قاقم از تارک بیفگند
زبس بر دشت عرقاب بهاری
نگیرد یوز آهوی شکاری (თ. ١٦١)

გაზაფხულის ჟამს ბუნების გამოღვიძების ეს სურათი მარტოოდენ პოეტური სამკაული არაა ვისრამიანის მხატვრულ ქსოვილში, იგი სავალდებულო კომპონენტია კონტექსტში, რომლის ჩართვაც მოტივირებულია ნადირობითა და პაპარეზობით, აქედანაა მისი აღწერის საჭიროებაც.

ბრწყინვალედაა აღწერილი მოაბადის ნადიმის სცენა ზაფხულის სურათის ფონზე. „ზაფხულისა ჟამი იყო, დღე ჰამო. მინდორნი, ველნი და წალკოტნი სამოთხესა ჰგვანდეს. ხენი — ნაყოფიანნი, წყალნი — მდინარენი და ფრინველნი ზედა. დამღეროდეს. ნარგისნი მწდეთა ჰგვანდეს და ია ნი თავჩამოგდებულობითა — მთვრალთა; შტონი ნაყოფისაგან — ნაშრევანისა გვირგვინსა სიტურფითა; ველნი სიმწვანითა — ზურმუხტსა და მთანი ბეჟმედსა, ყოველი ქვეყანა ყვავილითა, სიტურფითა და სულნელებითა ავსილ იყო. საწუთრო ახალ სძლისაებრ ნაზობდა“ (188).

مه اردیبهشت و روز خرداد
جهان از خرمی چون کرخ بغداد
بیابان از خوشی همچون گلستان
گلستان از صنم همچون بتستان
درخت رود باری سیم ریزان
نسیم نو بهاری مشک بیزان
چمن مجلس بهاران مجلس آرای
زنان بلبلش چنگ و فاخته نای
درو نرگس چو ساقی جام بردست
بنفشه سرفرو افگنده چون مست
ز گوهر شاخها چون تاج کسری
به پیکر باغها چون روی لیلی
ز سبزه روی هامون پر زمرد
ز لا له کوه سنگین پر ز بسد
همه صحرا ز لاله روی حورا
همه مرز از بنفشه جعد زیبا
بهشت آسا زمین بازیب و خوشی
عروس آسا جهان باغنج و کشی
(თ. ٢٩٢—٢٩٣)

თარგმანის ეს ადგილი ბრწყინვალე ნიმუშია ქართველი მთარგმნელის სადა კეთილშობილი უბრალოებითა და სიდიადით გამორჩეული სტილისა. ყო-

ველი შედარება ზუსტი და გამოკვეთილია, მხატვრულად სრულყოფილი, გააზრებული და ლაკონიური; ფრაზა ეკონომიური, სხარტი და ტევადი. სიტყვიერი ფაქტურა მთლიანად კლასიკურად გამჭვირვალეა. ფერიც და ხაზიც, აქ შედარებების უშუალო ჭვრეტისათვის დამახასიათებელი მომენტებია (ველი სიმწვანით — ზურმუხტია და ცა — ბეჭედი; ნარგისი მწდე და ია თავჩაზოგდებულობით — მთვრალი).

„ღამე სიბნელითა წერისა ფერად შავი იყო... ცასა ზედა მთვარე და მასკულავნი ალარა ჩნდეს, ქვეყანა ლილისფერად ქმნილიყო, ცა შავსა ფარდაგსა ჰგვანდა, მთვარისა საფარად ამოკრულსა; ჰაერმან, თუ სთქვა, საგლოველი შეიმოსა მისისა საქმისათვის, მზემან და მთვარემან თავისი ლაშქრითა დასაღეთისაკენ ილაშქრეს და მუნვე დაიმალნეს და უჩინო იქმნეს; ლაშქარნი თავის თავისთა ადგილთა განიადგეს; ეტლნი რკინისა კედელთა ჰგვანდეს და მასკულავნი მათგან აბეზარ ქმნილთა; ვერძნი და მოზვერნი დაღრეჯით დამალულნი თრთოდეს ღომის შიშითა და თავისი ადგილი დაეგდო; თუ სთქვა, ღომი უსულო დგას და მეტყუბარი ორთა მოყვარეთაებრ მწოლთა დაჰედით უძრავ ქმნილ იყვნეს; კირჩხიბი გამწყრალი, კუდ-ამობზეკილი, ღომისა ჭანგთა ქვეშე იყო; ქალწული დაიცისაებრ დგა, ხელთა ტევანნი დაეჭირნეს; სასწორი დაშლილი და დახლართული უხმარ ქმნილიყო; ღრიანკალი ერთგან მოდრეკილიყო, ვითა გველი გაცივებული; მშვილდოსანსა, ვითა კერპსა მშვილდითა ომი არ შეეძლო; თხა ისრისაგან უშიშრად ქვე დაწოლილიყო; წყლის საქანელი — ჭასა შიგან ჩაჩრილი და მისი მზიდავი — ბედითად მომცდარი; თევზი ბადისაგან დაბმული და ვითა ხმელთა ზედა გაჩრილი დარჩომისაგან უიმედო ქმნილიყო“ (40 — 41).

დედანში ამ სურათის აღწერას მთელი თავი აქვს დათმობილი (თ. ٨٠—٨٤) ქართული თარგმანის ეს ადგილი ზუსტად იმეორებს სპარსულ ტექსტის შესაბამ ადგილს. ქართველ მთარგმნელს, ჩანს, სხვა ნუსხა ჰქონდა ხელთ, სადაც არ იყო დადასტურებული ნაბეჭდი სპარსული ტექსტის ეს ზედმეტი ადგილები (ზედმეტი ქართული ტექსტისათვის).

ბუნება ამ შემთხვევაში მონაწილეა გმირის ბედისა. იგი იღწვის „მისისა საქმისათვის“, თითქოს საგანგებოდ დასტირის ვისის გატაცებას. ავტორის მიერ დახატული ბუნების ეს სურათი ორგანულადაა შერწყმული და შედეღებული ამ კომპოზიციას და ფონს უქმნის შესატყვის ემოციურ განწყობას. თითქოს საგანგებოდ იქუფრება ცა, საგანგებოდ ეფარებიან თვალს ცისარი სხეულები, მთელი ზოდიაქო იღებს მონაწილეობას განგების გადაწყვეტილებაში — უნდა მოხდეს ვისის გატაცება.

შედარების ერთ-ერთი თემაა რომანში საწუთროს უხანობა.

„მშვილდოსანსა ჰგავს საწუთრო. მიწყით გაყრაა მისი ისარი და სული ჩემი სასაგნო“ (165).

چو تیر انداز شد گشت زما نه
فراغش تیر و جان من نشا نه (თ. ٢٥٨)

სხვა ადგილას საწუთროს ულმობლობა და ადამიანთა არსებობის ხანმოკლეობა მოხდენილი შედარებით აქვს დახასიათებული ავტორს: „საწუთრო, ვითა მოგზაურთა სადგომი ფუნდუკია და ჩვენ მოქარავენენი ვართ“ (170). დედანში ამის საბადლოდ იკითხება:

جهان چون راه و خان مردمانست
درنگ مادر و در یک زمانست (თ. ١٢٧)

ვისის დაუდგრომლობით გაალმასებული ძიძა ცდილობს როგორმე ჩაუნერგოს მას რამინის სიყვარული და ასე მიმართავს:

„მბრუნავი ხარ, ვითა წისქვილისა ქვა, ქვეყანა არ იქცევის და საწუთრო, და შენ ბრუნავ, ვითა ნარდისა მღერისა ჟამსა კაბათსა“ (91).

به گردانی چو چرخ آسیا بی
بگردد آسیا و تو بگردی
بسان کعبتین بر تخت نردی (თ. ١٥٢)

აქ მთელი ჯაჭვია შედარებებისა. ერთმხრივ დახასიათებულია ვისის დაუდგრომლობა, რომლის ბუნების ეს თვისება წისქვილის ქვის ბრუნვასთანაა შედარებული. აქვე შემოტანილია კიდევ უფრო მეტი გამომსახველობითი ძალის მქონე შედარება, როგორც გაგრძელება პირველი შედარებისა (კამათელის ბრუნვა).

რამინისადმი გაგზავნილ მეორე წერილში ვისი უჩივის ბედსა და საწუთროს: „საწუთრო ესრე აშლილა, ვითა უთაო ლაშქარი“ (236).

چون باشد بی امیر آشفته لشکر (თ. ٣٥٣)

მთარგმნელი საოცარი ხელოვნებით ახერხებს შედარების უზუსტეს დაცვას.

კიდევ ბევრი მაგალითის მოხმობა შეიძლებოდა. „ვისრამიანში“ ამოურწყავია მსგავსი მხატვრული მასალა.

შედარება-მეტაფორების მთელი სისტემის შექმნა ენაში ხანგრძლივი განვითარების პროცესის შედეგია. ქართული მწერლობა მდიდარია მხატვრული სახვის ნაირი საშუალებებით. ბუნებრივია, შედარებაც, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ხერხი, უცხო არაა მისთვის. მაგრამ ის სიშრელე და სიმდიდრე, რომელიც დამახასიათებელია აღმოსავლური მწერლობისათვის, თავდაპირველად არ გააჩნდა ქართულ მწერლობას. ყველა შედარება ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში დაკავშირებულია ქრისტესთან. არსებობს შედარების სხვა თემებიც: ბუნების ძალთა საგნების აღწერა, ციური სხეულები (მზე, მთვარე და სხვა მნათობები), მცენარეული და ცხოველური სამყარო, ძვირფასი ქვები და სხვა მისთანანი. ასე მაგალითად: „ჰბრწყინავ შენ, ვითარცა მთიები, გუნდსა შორის მონაზონთასა“ (118). „უქმსა უდაბნოსა, ვითარცა მზეჲ, გამოშჩნდი. ღირსო, მსგავსად მზისა ჰნათობდი)... და ვითარცა რაჲ ელვისა მცხინვარებანი საცნაურად ბრწყინვენ სათნოვებანი შენნი“ (25). „ვითარცა მთოვარეჲ შორის ორთა მზეთა, აღმოჰქდა დღეს შობისა და ღმრთის გამოცხადებისა დღესასწაულთა საჭსენებელი შენი და ორ კერძე ბრწყინვალედ განანათლებს“ (91). „გამობრწყინდეს ელვანი სარმრთოთა სიტყუათა შენთანი, ვითარცა ისარნი ნათლისანი, ღირსო ბასილი, და განდევნეს ბნელი იგი წვალებისაჲ (91). „გამოშჩნდი შენ, ვითარცა მთიები ბრწყინვალეჲ საღმრთოთა ნათლითა“ (91) ვითარცა სოფლისა მნათობსა, ვაქებდეთ მაცხოვარსა“//„ვითარცა ვარსკვლავი გამობრწყინდა ქრისტჱს მოწამე და არეთა შინა ჩრდილოჲსათა მზჱ ებრ გამობრწყინდა ნეტარი ჰაბო“ (182).ბორცუნი იმღერდეს, ვითარცა კრავნი“//. „დაიკლა, ვითარცა კრავი“ (186). „იხარებდეს ცანი ცათანი და გარდამოჰქდა ზეცით სული წმიდაჲ, ვითარცა

ტრედი"). „გამობრწყინდა, ვითარცა ოქროჲ წმიდაჲ მოთმინებითა ენებათაა" (241). „განბრწყინდეს შუიდ წილად ბრწყინვალედ, ვითარცა ოქროჲ ბრძმედსა" (87). „ნერგთა მათგან ეკლოვანთა, ვითარცა ვარდი შუენიერი ფერთა მეწამულთა გამოჩნდა ნეტარი ჰაბო" (140).

ზოგადი ხასიათის, გაუპირობნებელი შედარებებია დამახასიათებელი ძველი ქართული საისტორიო ხასიათის თხზულებებისათვის, რომლებსაც ჯერ არა აქვთ მინიშნებული ინდივიდუალობის ელფერი.

„გამოვიდა ერი ურიცხვი, ვითარცა უუაღლნი ველისანი" (ლონტი, 88,9); „მწველი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა" (89, 11)"; მტუერი ფერჴისა მათისა, ვითარცა ღრუბელი სქელი" (6, 24); „მოვიდა ქართა მათ შინა, ვითარცა ჯიქი სიფიცხითა, ვითარცა ვეფხი სიმჭნითა, ვითარცა ლომი ზახილითა" (28, 9); „ელვა აბჯრისა მათისა, ვითარცა ელვა ცისა" (7, 1); „აღიზახა, ვითარცა ლომმან დაოტა" (ჯუანშერი, 234, 4); „დაასხეს ისარი, ვითარცა წვიმა მძლავრი" (156, 2); წარმოემართნეს, ვითარცა ქვეშა სიმარვლითა" (234, 20); „იყო ხმა იგი, ვითარცა ხმა ქუხილისა" (175, 15); „იყო სიმსხო ლახურისა, ვითარ მკლავი კაცისა" (175, 15); „შეუზახებდა ჴმითა მაღლითა და ვითა გრიგალი მი და მოიქცეოდა" (დავითის ისტორიკოსი, 329, 3); „ვეფხსა მიამსგავსა მაკედონელი იგი სიფიცხითა" (337, 19); „ხოლო იგი, ვითარცა ძაღლი, მიექცა ნათხევარსა და ვითარცა ღორი, ინწუბა სანგორელსა მწუირისასა" (325, 14).

ამ ტიპის შედარებებს შემდეგშიც ვხვდებით საერო მწერლობის ძეგლებში. მოტანილი მასალიდან კარგად ჩანს, რომ მწერლობის განვითარების ადრეულ ხანაში შედარება-მეტაფორათა სისტემა უფრო მარტივია და ზოგადი ხასიათისა. სპარსულიდან თარგმნილ თქმულებებში უკვე ჭარბად იქრება მხატვრული ხერხებისა და სახეების აღმოსავლური სიჭრელე და ბატონება, რაც შედარება-მეტაფორების ხმარებაშიც ვლინდება სავსებით ბუნებრივად. „ამირან-დარეჯანიანის" წარმომავლობის გამო მოსალოდნელი იყო, რომ ამ ძეგლში შედარება-მეტაფორათა ხმარების მდიდარ მასალას აღმოვაჩენდით. მაგრამ, თუ მეტაფორას საერთოდ არ იცნობს ეს თხზულება, შედარების, როგორც მხატვრული ხერხის, გამოყენების ხასიათითაც არ შეეფერება აღმოსავლური პოეზიისათვის დამახასიათებელ შედარება-მეტაფორათა სისტემას. „ამირან-დარეჯანიანში" დადასტურებული შედარებები ყველა ტრადიციულია და ახალსა და მოულოდნელს არას შეიცავს, მაგალითად: „ხმელთა მათთა ჴეხა ცისა-სა ქუხილსა გვანდა (13); „ვითა კატა მოკლა" (14, 24); „ოქროქსოვილნი, ვითა მზე ელაედეს" (83), „იჩქითად სინათლე გამოვიდა ასეთი, ვითა მზე ამოსულიყო" (83), „ხმა ჰჭონდა, საზარი, ვითა გრგვინვა ზღვისა" (91). „მიუხდა ქვეითი, ვითა ვეფხი" (92), „ფერხთა მისთა ხმა კლდეთა რღვევასა ჰგვანდა" (138), „ხმა გამოუხდის, ვითა ჴეხა" (138). და სხვა მისთ.

შედარება-მეტაფორათა ჩვენ მიერ განხილული მასალიდან ჩანს, რომ მოგვიანო სპარსული პოეზიისათვის დამახასიათებელი რთული და ხელოვნური სისტემა არაა ნიშანდობლივი ძველი ქართული მწერლობისათვის. ეს სისტემა ქართულ მწერლობაში გვიანდელი სპარსული პოეზიის გზით იქრება. მხოლოდ მეხლტბეებთან ეხვდებით დაახლოებით იმ ხასიათის მეტაფორა-შედარებებს, რომლებიც დამახასიათებელია სპარსული პოეზიისათვის. გაზვიადებულ და ჭარბ ორნამენტაციას, რომელსაც ადგილი აქვს ნიზამისა და მის შემდეგდროინ-

დელ სპარსულ პოეზიაში, ვერც „ვისრამიანის“ სპარსულ დედანში ვხვდებით და მით უფრო მის ქართულ თარგმანში. „ვისრამიანის“ ქართველი მთარგმნელი დიდი მხატვრული ზომიერების გრძნობით ახერხებს ჰარმონიულად შეაზავოს ერთად ქართული ტრადიციული მასალა და დედნისეული მხატვრული მოცემები. იგი სცდება ინერციისა და მხატვრული ტრივიალობის ფარგლებს და ახლებურად ახმიანებს ქართული მწერლობის წიაღში მთელემარე ელემენტებს და ამ ელემენტთა დედნის მხატვრულ ქსოვილთან შეზავებით სულ სხვა ღირებულობას ანიჭებს ქართულ თარგმანს.

М. Г. МАМАЦАШВИЛИ

К ИЗУЧЕНИЮ ХУДОЖЕСТВЕННОЙ СПЕЦИФИКИ «ВИСРАМИАНИ»

(Резюме)

В настоящей статье впервые на обширном материале рассматривается вопрос о художественном мышлении грузинского переводчика «Висрамиани». Привлеченный материал касается художественных средств используемых переводчиком при переводе персидского оригинала. В основном это: лексические и синонимные параллелизмы, сравнения и метафоры.

Данная статья является лишь частью изучаемой автором темы. Но и на основании представленного материала можно утверждать, что в поэтическом языке Фахреддина Горгани, а следовательно, и в художественном мышлении грузинского переводчика, не просматривается та сложная система метафор и сравнений, которая так характерна для поэзии Низами и всей последующей персидской литературы.

Наряду с обильным использованием персидских изобразительных средств, грузинский переводчик черпает материал, в основном, из богатого источника родной, грузинской литературы.

ბაჭარ გიგინეიშვილი

სოლომონის იგავთა ქართული რედაქციები

წინამდებარე გამოკვლევა ემყარება სოლომონის იგავთა ჩვენ მიერ გამოსაცემად მომზადებულ კრიტიკულ ტექსტს. იგავთა წიგნის ფილოლოგიური ანალიზი რიგ საინტერესო საკითხს აღძრავს, რომელთაგან ზოგიერთი დამატებით კვლევა-ძიებას მოითხოვს. აქ წარმოდგენილია ტექსტთან დაკავშირებული მხოლოდ რამდენიმე ძირითადი საკითხი.

სოლომონის იგავების წიგნი წარმოდგენილია 3 ქართული ნუსხით. ესენია: ოშკური, A — 51 (მცხეთური) და ბაჭარის გამოცემა. ამ ნუსხების აღწერა აქ არ გვაქვს მოცემული. ამის საჭიროება არ იყო, ეს საკმაოდ ცნობილი ნუსხებია.

სოლომონის იგავთა წიგნი შეგონებებს შეიცავს. გაბმულ თხრობასთან აქ არ გვაქვს საქმე. ამან მნიშვნელოვნად განაპირობა ძეგლის ენობრივ-სტილისტური თავისებურება.

I. ქართულ ნუსხათა რედაქციული ურთიერთმიმართება

ძეგლის დიდ ნაწილში გვაქვს ორი რედაქცია. პირველი წარმოდგენილია ოშკური და საბასეული ნუსხებით, მეორე კი — ბაჭარის გამოცემით. არის ადგილები, როცა ბაჭარის ბიბლიის ტექსტი რედაქციულად თანხვდება ოშკურ-მცხეთურს. და გვაქვს მხოლოდ ერთი რედაქცია. ასეთი შემთხვევები ფრაგმენტული ხასიათისაა: რამდენადმე მოზრდილ მონაკვეთზე მიყოლებით მხოლოდ ერთი რედაქცია არ დასტურდება. ერთი რედაქცია გვაქვს შემდეგ ადგილებში: I, 1 — 2, 6 — 10, 24 — 30; II, 3 — 6; III, 1 — 14, 16 — 24, 26 — 28, 30 — — 35; IV, 1 — 10, 13, 16 — 19, 21 — 22, 27; V, 1 — 4, 8 — 15; VI, 10 — 11, 12 — 15, 19, 24, 30; VII, 1 — 2; VIII, 34 — 35; IX, 1 — 3, 8 — 11, 13 — 14, 18 a, 18 c — 18 d; X, 1 — 2, 4; XI, 23, 30; XIII, 9 — 9 a; XIV, 25 — 28. როგორც ვხედავთ, ერთი რედაქციის ფრაგმენტულად წარმოჩენის შემთხვევები მხოლოდ ძეგლის პირველ ნახევარში იჩენს თავს. ძეგლის მეორე ნახევარში ორ რედაქციაზე ნაკლები, როგორც წესი, არასოდეს გვაქვს.

რიგ შემთხვევაში იგავთა ტექსტი მკვეთრად განსხვავებულ სამ რედაქციას გვაძლევს. მესამე რედაქცია მოქცეული გვაქვს ოშკურ და ბაჭარის რედაქციათა შორის, რადგან, როგორც ძველი აღთქმის სხვა წიგნთა გამოკვლევებში გვაქვს მითითებული, ზოგჯერ საბას ტექსტში მუხლები ოშკური და მოსკოვური (ბაჭარის) რედაქციების სათანადო მუხლთა კომბინაციის შედეგად მიღებულის შთაბეჭდილებას ტოვებენ. მესამე რედაქცია ვლინდება როგორც მცირე (ერთიდან სამამდე მუხლის რაოდენობით), ისე — საკმაოდ მოზრდილი მონაკვეთების სახით. ძირითადად საბასეული (მცხეთური) ნუსხის ტექსტი

ოშკური რედაქციისაა, მაგრამ ფრაგმენტული წარმოდგენა მისი დამოუკიდებელ რედაქციად მაინც საკმაოდ ხშირია და, რაც მთავარია, კანონზომიერი. ეს ფაქტი საბას ნუსხის რედაქციული შედგენილობის საკითხს უკავშირდება და ამაზე საგანგებოდ ქვემოთ გვექნება საუბარი.

სამი რედაქციის ერთდროულად გამოვლენის ნიმუშად გამოდგება შემდეგი მაგალითები:

Ш	Ч	Щ
ყოველი საცოდ დაიმარხენ გულმან შენმან, რამეთუ ამათგან არიან გამოსავალნი ცხოვრებისანი.	და ყოველი საცოდ დაიმარხე გულსა შინა, რომლისაგან არიან გამოსავალნი ცხოვრებისანი.	ყოველითა დაცვითა დაიცევ გული შენი, რამეთუ ამათგან—გამოსავალნი ცხორებისანი.
	იგ. სოლ. 4, 23	
არაწმიდება არს, რომელთა იკმიონ ღუინოდ ფრიად და საგინელ—მთრვალობად და ყოველი, რომელი აღერიოს ამათ, ვერ იყოს ბრძენ.	უძლებ არს ღვინო და შემაგინებელ—სიმთვრალე, ხოლო ყოველნი უგუნურნი ეთანადებიან.	არა აღუთმენელ—ღუნო და საყვედრელ—სიმთვრალე და ყოველი ცოფად მავალი ვერ იქმნეს ბრძენ.
	იგ. სოლ. 20, 1	
ვითარცა სიმძაფრჱ წყლისაჲ — გული მეფისაჲ ჴელსა ღმრთისასა: ვიდრეცა წამ-უყვნა, მოდრკა.	ვითარცა ნაკადელნი წყალთანი, ეგრეთვე გულნი მეფისანი ჴელთა შინა ღმრთისათა: სადა ნებავს მიხედვად, მიაქციოს მუნით.	ვითარცა ჩქერა წყლისა, ეგრეთ გული მეფისა ჴელთა შინა ღმრთისათა: სადაცა უკეთუ ენებოს მიქცევად მუნ მიდრიკოს იგი.
	იგ. სოლ. 21, 1	
და ამას გეტყჳ თქუენ ბრძენთა, რაჲთა გულისხმა-ჰყოთ: სირცხჳლი პირისაჲ საშჯელსა შინა — არაკეთილ.	ამას გეტყჳ თქუენ გონიერთა ცნობად: სიმართლისა ნუ გრცხუნჱნიან, თუალთ-ღებაჲ სასჯელსა შინა — არაკეთილ არს.	ხოლო ამას გეტყჳ თქუენ მეცნიერთა გულისხმის-ყოფად: ურცხჳნო პირი არაკეთილ არს სამსჯავროსა ზედა.
	იგ. სოლ. 24, 23	

არის ერთი მონაკვეთი ძეგლისა, რომელიც მხოლოდ მცხეთური (საბასეული) რედაქციითაა წარმოდგენილი. ესაა მე-20 თავის მე-14 — 22-ე მუხლები. Ш და Щ რედაქციათა ტექსტს ეს მუხლები არა აქვს. აკლია ეს ნაწილი ბერძნულ ტექსტსაც. საბას ნუსხის რედაქციული ნაირგვაროვნების გამო მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ, ოშკური ნუსხის ნაკლული ადგილები ყველა შემთხვევაში შეგვევსო საბას ნუსხის წაკითხვებით.

იქ, სადაც Ч რედაქცია წარმოჩნდება (Ш-ისა და Щ-ის გვერდით), დაპირისპირება რედაქციებს შორის ეშვისთვის ადგილს არ ტოვებს, საქმე

გვაქვს ყოველთვის მკვეთრად ჩამოყალიბებულ სხვადასხვა სტილთან. ძნელია ამისავე თქმა ყველა ცალკეულ შემთხვევაში C და Q რედაქციათა ურთიერთობის შესახებ. ოშკური და ბაქარის რედაქციებს შორის განსხვავება ხან საკმაოდ დიდია, ხან კი იმ ზომისა, რომ ზუსტი კვალიფიკაცია ძნელდება. შეიძლება ისინი განისაზღვრონ, როგორც ორი მინიმალურად განსხვავებული დამოუკიდებელი რედაქცია, ან — როგორც ორი მაქსიმალურად განსხვავებული ვარიანტი ერთისა და იმავე რედაქციისა. გარკვეულ შემთხვევებში ორივე კვალიფიკაცია თანაბრად მართებული იქნებოდა.

მოვიტანთ როგორც მკვეთრი დაპირისპირების, ისე „მინიმალური რედაქციული სხვაობის“ ნიმუშებს:

მკვეთრი სხვაობა

C	Q
მეფისა თქუმად, მსგავს არს ბრძღუენასა ლომისასა და ვითარცა ცუარი მწუანვილსა ზედა, ეგრეცა — მხიარულებად მისი.	მეფისა შერისხვა მსგავს არს მყვირალისა ლომისა და ვითარცა თივასა ცვარი, ეგრეთ — სიწყნარე მისი.

იგ. სოლ. 19, 12.

და მხულივი ქელითა ემტკიცებინ კლდესა და ღათუ ადვილად შესაყრობელ არს, არამედ დამკვდრებულ არს ტაძართა სამეუფოთა.	ფსევნი, ქელითა დაყრდნობილი და ადგილ მოსანადირებელი, მყოფი, დამკვდრებულ არს სიმტკიცეთა შინა მეფეთასა.

იგ. სოლ. 30, 28.

მინიმალური რედაქციული სხვაობა

და შთავნთქათ იგი, ვითარცა ჯოჯოხეთმან ცხოველი და აღვიღოთ ქუეყანით საჭსენებელი მისი.	ხოლო შთაენთქნეთ იგი[ნ]ი, ვითარცა ჯოჯოხეთმან ცოცხალი და აღვჰკოცოთ ქუეყანისაგან საჭსენებელი მისი.

იგ. სოლ. 1, 12.

სიგლახაკემან კაცი დაამდაბლის, ხოლო ჭელთა მჭნეთა განამდიდრიან.	სიგლახაკემან კაცი დაამდაბლის, ხოლო ჭელნი მჭნეთანი გამდიდრდენ.

იგ. სოლ. 10,4 და სხვა.

II. ცალკეულ ნუსხათა რედაქციული შედგენილობის საკითხი

ყველა ნუსხა, როგორც მასალა გვიჩვენებს, რედაქციული თვალსაზრისით ჩამოყალიბებულ მთლიანობას არ წარმოადგენს.

ეს ითქმის, უპირველეს ყოვლისა, საბას ნუსხის მიმართ და, რამდენადმე, ბაქარის ბიბლიის მიმართაც. ოშკური ნუსხა ამ შემთხვევაში გამონაკლისს ქმნის. ბაქარის გამოცემა გარკვეულ ნაწილში, როგორც აღვნიშნეთ, C რედაქციისაა, უმეტეს ნაწილში კი დამოუკიდებელ რედაქციად გვეელინება.

ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ბაქარის გამოცემა, შესაძლოა, ორ სხვადასხვა თარგმანს ემყარებოდეს.

საბას ნუსხა, იქ სადაც ის ოშკური რედაქციის არაა, გვაძლევს მცირე და მოზრდილ განსხვავებულ ნაკვეთებს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ საბას ნუსხის დამოუკიდებელ რედაქციად გამოყენა კანონზომიერ კავშირშია ამ ხელნაწერში ხელთა მოწაცვლეობასთან. საბასეული ხელნაწერი ხელის თვალსაზრისითაც არაა ერთგვარი სოლომონის იგავთა წიგნის ყველა ნაწილში. ვლინდება სამგვარი ხელი: ა) ჩვენ მიერ „ძირითადად" წოდებული (ნუსხური), ბ) ძირითადისაგან განსხვავებული ნუსხური, გ) მხედრული. „ძირითადი" ხელით ნაწერი ტექსტი, უმეტეს შემთხვევაში, ოშკური რედაქციისა, დანარჩენი ორი ხელით გადაწერილი ადგილები, ჩვეულებრივ, რედაქციულად დამოუკიდებელნი არიან.

„ძირითად" ნუსხურ ხელს „განსხვავებული ნუსხური" უპირისპირდება ზოგი პალეოგრაფიული ნიშნის მიხედვით, განსაკუთრებით კი — დ-ნის წერისა და გადაბმის მანერით, უ-ს, ც-სა და წ-ს დაწერილობით. „განსხვავებული ნუსხურით" არის ნაწერი მოზრდილი ფრაგმენტი (30-ე თავის პირველი 14 მუხლი და მისი მომდევნო XXIV თავის პირველი 3 მუხლი), რომელიც მკვეთრად ემიჯნება Ⴑ და Ⴒ რედაქციებში დაცულ ტექსტს.

რედაქციულად დამოუკიდებელი მოზრდილი ფრაგმენტები, უმეტეს შემთხვევაში, მაინც მხედრული ხელითაა შესრულებული: VII, 3 — 27; XIII, 10 — 18; XIV, 7 — 14; XVII, 1 — 16; XVIII, 23—XIX, 2; XIX, 26—XX, 5; XX, 16 — 30. შესაძლოა, ისინი გვიანდელ ჩანამატებს წარმოადგენდნენ, აღებულს რომელიმე გვიანდელი ქართული რედაქციიდან.

მცირე ზომის რედაქციულად დამოუკიდებელი ფრაგმენტები შესრულებულია ძირითადისაგან რამდენადმე განსხვავებული ნუსხური ხელით, რომელიც მაინც დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ძირითად ხელთან და ამიტომ მისი ცალკე გამოყოფა საჭიროდ არ ეცანით. ამგვარი ხელით ნაწერი ჩანამატები 1 — 2 მუხლის რაოდენობით გვაქვს. ეს ადგილებია: XVIII, 6, 8 — 9; XXI, 1 — 2, 5, 10, 22. ჩანამატები სხვაგანაცაა, მაგრამ ისინი ცალკე რედაქციას არ წარმოადგენენ. ხსენებული ხელით შესრულებული ერთი ადგილი (18,8 — 9) წარმოგვიდგენს -უე ნაწილაკიან ზმნურ ფორმას: შიოდის-უე, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ხსენებული ადგილი შევსებულია XII საუკუნის არაუადრესი ტექსტით, შესაძლოა გელათურითაც კი (გელათური ბიბლიისათვის დამახასიათებელ ენობრივ ნიშანთა შესახებ იხ. ბ. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, რუსთაველის ხანის ქართული ბიბლიის თარგმანი: „შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი", გვ. 157 — 158).

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ოშკური რედაქციის საბასეული ნუსხა დეფექტური ყოფილა, რაც წინადახედულ გადამწერს გათვალისწინებია და აღგილებიც დაუტოვებია შესავსებად. ნაკლული ადგილები მოგვიანებით შეუვსიათ სხვა რედაქციის ტექსტით და ზოგან მხედრული ხელით ჩაუმატებიათ, ზოგან კი — ნუსხურით.

III. რედაქციათა წარმომავლობის საკითხი

რედაქციათა წარმომავლობის საკითხი, როგორც ძეგლმა გვიჩვენა, კვლევის უკვე ამ საფეხურზედაც შეიძლება გახდეს მსჯელობის საგანი. მოსეს ხუთწიგნეულის ქართული რედაქციების შესწავლა ძალზე მცირე იმედს იძლეოდა იმისთვის, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომი უცხოენოვანი თარგმანების საშუალებით შესაძლებელი გამხდარიყო წარმომავლობის საკითხების კვლევა. როგორც ჩანს, ხუთწიგნეულთან დაკავშირებული ვითარება არსებითად განსხვავდება იმ ვითარებისაგან, რომელსაც ძველი აღთქმის წიგნთა მომდევნო ნაწილში ვაწყდებით. ამდენად, ბიბლიის ამა თუ იმ ცალკეული წიგნის მიმართ, შესაძლოა, სრულიად განსხვავებული დასკვნები იქნეს გაკეთებული. ამგვარი მდგომარეობა გვაქვს, კერძოდ, სოლომონის იგავთა წიგნშიც. თუ ოშკური რედაქციის წარმომავლობა ხუთწიგნეულის ფარგლებში ძალზე ბუნდოვანი იყო, ჩვენი ძეგლის ფარგლებში სურათი გაცილებით უფრო ნათელია. ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო მოსალოდნელია სოლომონის იგავთა ოშკურ ხელნაწერში დაცული ტექსტის უახლოესი წყარო ბერძნული იყოს. რა საფუძველი გვაქვს ამგვარი ვარაუდისთვის? ბერძნული სეპტანტიდან ოშკური რედაქციის წარმომავლობაზე მიუთითებენ შემდეგი მომენტები:

1. ყველა იმ ადგილი, რომელიც აკლია ბერძნულ ტექსტს, აკლია ოშკის ნუსხასაც, მაშინ როცა ადგილები დაცულია საბას და ბაქარის ნუსხებში. დაცულია სათანადო მუხლები სომხურ, სლავურ და რუსულ თარგმანებშიც. ნაკლულია ოშკურსა და ბერძნულში შემდეგი ადგილები: 8, 32-ის მეორე ნახევარი და 8, 33; 11, 4; 15, 31; 16, 1; 16, 3 — 4; 18, 23-დან 19, 2-ის ჩათვლით; 2,14-დან მოკიდებული 2, 22-ის ჩათვლით, 24, 22.

2. ხშირად ბერძნული ტექსტის ცალკეული მუხლები მოცემულია ვრცლად, რაც გამომცემელს საფუძველს აძლევს დაყოს იქითი შემადგენელ ნაწილებად. ასე, მაგალითად, 24-ე თავის 22-ე მუხლი წარმოდგენილია 6 მუხლის სახით: 22, 22 a, 22 b, 22 c, 22 d, 22 e. ეს ვრცელი რედაქცია გვაქვს ოშკურსა და ბაქარის ნუსხებში, სადაც კი დამატებითი ლიტერით აღნიშნული მუხლები ხშირად აკლია და ტექსტი შეკუმშული სახითაა მოცემული.

მაგალითები:

ბ	ქ
ვინ-მე იქადოს, ვითარმედ წმიდად გული აქუნდეს, ანუ ვინმე იკადროს და თქუას, ვითარმედ: წმიდად ვარ ცოდვათაგან?	ვინ-მე იქადოს გული წმიდად ქონებად, ანუ ვინ-მე იკადროს თქმად, ვითარმედ: წმიდა ვარ ცოდვისაგან?
რომელი ძჳრსა იტყოდის მამისა და დედისათჳს, მისი დაშრტეს სანთელი. ნაწილი წრაფით მოგებული პირველად უკუანაჲსკნელ არა იკუ-	

რთხოს იგი. ნუ იტყჳ, ვითარმედ: „მივავო მტერთა“, არამედ ითმინჳ, რაჲთა უფალი შეგეწიოს შენ.

იგ. სოლ. 20, 9

როგორც ვხედავთ, ოშკისა და საბას რედაქციები ამ მუხლში მოცულობით მნიშვნელოვნად სხვაობენ. ოშკურ ნუსხაში წარმოდგენილი მომდევნო ნაწილი მუხლისა, რომელიც ბერძნულ ტექსტში 9 a, 9 b და 9 c-თია აღნიშნული, საბასთან სრულიად არ გვაქვს.

ანალოგიურ ვითარებას ვაწყდებით 24-ე თავის 22-ე მუხლში. საინტერესოა ის გარემოება, რომ აქ ოშკისა და საბას ნუსხები იმ ნაწილში, რომელიც ორივეგანაა წარმოდგენილი, რედაქციულად ერთნი არიან.

ოშკური ნუსხა

რამეთუ მეყსეულად იჴმინიან უღმრთონი, ხოლო ტანჯვაჲ ორთაჲვე ამათ ვინ-მე ცნას? რომელი შვილი სიტყუასა ეკრძალებოდის, წარწყმედასა განერეს, შეწყნარებით შეიწყნარა იგი... და არარაჲ ტყუვილი პირისა მისისაგან გამოვიდეს. მახჳლი არს ენაჲ მეუფისაჲ, და არა ჴორციელი, ვინცა მისცეს კაცთაგანი, ძარღჳთურთ განილიოს. და ძუალნი კაცთანი შეჰამნეს და შეწუნეს, ვითარცა ალმან, ვითარმედ უჴმ იყუენ იგინი, ვითარცა მართუენი ორბისანი.

A — 51

რამეთუ მეყსეულად იჴმინიან უღმრთონი, ხოლო ტანჯვაჲ ორთაჲვე ამათ ვინ-მე ცნას? რომელი შვილი სხუასა ეკრძალებოდის, წარწყმედასა მსწრაფლ და ადრე განერეს, შეწყნარებით შეიწყნაროს იგი უფალმან. და რამეთუ არარაჲ ტყუვილი პირისა მისისაგან გამოვიდეს.

იგ. სოლ. 24, 22.

3. ყველაზე კარგი საბუთი ოშკური ნუსხის ბერძნული წარმომავლობისა მაინც თავების ის თავისებური გადანაცვლებაა, რომელიც წარმოდგენილია ტექსტის მე-2 ნახევარში. ოშკური ხელნაწერი 24-ე თავის 22-ე მუხლის შემდეგ ურთავს ტექსტში 30-ე თავის პირველ 14 მუხლს (ეს ჩართული ნაწილი რედაქციულად სხვადასხვაა სამსავე ნუსხაში). ამის შემდეგ გრძელდება ისევ 24-ე თავი. 24-ე თავის დასრულების შემდეგ, მოსალოდნელი 25-ე თავის ნაცვლად, გრძელდება 30-ე თავი იმ ნაწილიდან, სადაც იგი შეწყვეტილი იყო ჩართვისას. 30-უ თავის შემდეგ მოდის 31-ე თავის პირველი 9 მუხლი და მხოლოდ ამის შემდეგ 25-ე, 26-ე 27-ე, 28-ე და 29-ე თავები. 31-ე თავის დასასრული 29-ე თავის შემდეგაა გადატანილი (ტექსტის ბოლოს). როგორც ვხედავთ, საკმაოდ რთული სურათია და საყურადღებო ისაა, რომ ოშკურ ტექსტში წარმოდგენილი თანმიმდევრობა წარმოადგენს იმ ვითარების ზუსტ ასლს, რომელიც დასტურდება ბერძნულ ტექსტში. არც ერთი სხვა ქართული ნუსხა, არც სომხური, სლავური და რუსული

თარგმანები ბიბლიისა, არაფერს მსგავსს არ გვიჩვენებენ.

ზემოაღნიშნულის გარდა, არის ტექსტუალური ერთგვაროვნება ოშკურსა და ბერძნულ ტექსტებს შორის. ჩვენი აზრით, ჩამოთვლილ ძირითად ნიშანთა საფუძველზე შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ უახლოეს წყაროს ოშკური რედაქციისათვის ბერძნული, სეპტანტაში დაცული, ტექსტი წარმოადგენდა. ოღონდ უნდა შევნიშნოთ ერთი: ფორმებისა და კონსტრუქციების ზუსტ გადმოცემას ოშკური რედაქცია არ ეწევა. ამ მხრივ ბერძნულთან ბაქარის ტექსტი უფრო ახლოა დგას. მაგრამ ეს გარემოება სრულიად არ ეწინააღმდეგება ჩვენს ვარაუდს. საქმე იმაშია, რომ ოშკური რედაქციის ავტორი, ამოდის რა ქართული ენის სპეციფიკიდან, თავისუფალ, დედნით შეუბოჭავ თარგმანს გვაძლევს.

გაცილებით უფრო ძნელი ჩანს ბაქარის რედაქციის წარმომავლობის დადგენის საკითხი. ძეგლის პირველ ნახევარში ოშკისა და ბაქარის ნუსხები ზოგჯერ ერთი რედაქციისაა. მეორე ნახევარში სხვა სურათი გვაქვს. მაგრამ თარგმნის სიზუსტის მხრივ, როგორც ვთქვით, ბაქარი მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს ბერძნულთან. ასე, მაგალითად, მიმღეობური კონსტრუქციის გამოყენება, დამახასიათებელი ბაქარისეული ნუსხისათვის, ნაკლებ ნიშანდობლივია ოშკური რედაქციისათვის. ამ საკითხში ბაქარის გამოცემა ბერძნულთან მეტ შეხვედრებს გვიჩვენებს, მაგრამ სამაგიეროდ პირიანი ფორმები ოშკურ რედაქციას მეტი სიზუსტით აქვს გადმოღებული:

Ქ (ბაქარიხ. ნ.)	Შ (ოშკური)	ბერძნული
უპატიო-მყოფელი მამისა და განმგდებელი დედისა თუსისა სირცხვილს მიიღებს და ყუმრდრებასა.	რომელი შეურაცხ-ჰყოფდეს მამასა და განიშოვრებდეს დედასა თჳსსა, სარცხჳნელ და საყუედრელ იქმნეს.	ὁ ἀτιμάζων πατέρα καὶ ἀπωθούμενος μητέρα αὐτοῦ καταισχυνθήσεται καὶ ἐπονείδιστος ἔσται.

იგ. სოლ. 19, 26.

მუხლის პირველ ნახევარში, როგორც ვხედავთ, ბერძნულთან უფრო ახლოა ბაქარის რედაქცია, მეორეში კი — ოშკისა. ეს აჩენს საკითხს: ხომ არ გვაქვს გამაშუალებელი წყარო ბაქარის გამოცემასა და ბერძნულ ტექტს შორის? შესაძლოა, ასეთი ყოფილიყო სლავური ბიბლია. მითითებული ადგილი ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს. სლავურში[1] ზემოთ მოყვანილი ადგილი ასე იკითხება: Безчéствуяй отцà й встрѣвáяй мáтерь свою, срамоту пріймéть й поношéніе.

სლავურ ტექსტსა და ბაქარისეულს შორის სრული დამთხვევაა. ამგვარი მაგალითები სხვაცაა, მაგრამ აქ არ მოვიტანთ. თითქოს ბაქარის რედაქციის წყაროდ სლავური შეიძლებოდა გვეფიქრებინა, მაგრამ არის რიგი გარემოება, რომელიც ამგვარ ჰიპოთეზას ეწინააღმდეგება.

[1] ვსარგებლობდით სლავური ბიბლიის 1751 წლის გამოცემით.

1. Баҳарის нуськаꙋ акліа ме-20 тавиꙋ шꙋа наꙋ-ліи 9 мꙋхлиꙋ раодеѧнобитъ (20, 14 — 20, 22). Егевеи мꙋхлеби акліа ошкур да берѣзнул текстъ. Слаꙋрши ки ес адгиле даꙋлиа.

2) Зогаꙋ баҳарис редакціашиꙋ исеи ꙋкаитхеа гаꙋкъс, ромелсаꙋ слаꙋрши (да ерꙋ сꙋаꙋгаꙋ) ерꙋ гадастꙋреба. Магалитеби:

Ч	Ꙋ	слаꙋриа
ꙋитарꙋа ꙋарꙋи лꙋгꙋаса да ꙋкмаа мꙋаса...	ꙋитарꙋа ꙋарꙋи мꙋаса шина да ꙋкмаа. ꙋинꙋса зеда...	якоже роса в жа́тву и якоже дождь в лѣтѣ.

иг. Соломонисни 26, 1.

Ар ҳанс титоҳс баҳарис редакціашиꙋ гадастꙋребꙋли ꙋинꙋлис ꙋꙋаро. Саинтересоа ам мъриꙋ ис гарегоба, ром слаꙋрꙋ гамоцемаши ам мꙋхлс моꙋпоꙋгеба скольоши ҳатанили гариантъ, садац снѣгъ икитхеба. Шесадлоа, ꙋинꙋли ам снѣгъ-идан модиодес. Саидан модис скольоши мититебꙋли ꙋкитхеа? Албат слаꙋриа библіис ꙋпро адринделі гамоцемидан.

Баҳарис редакціис 26-е тавиꙋ ме-10 мꙋхлі аси икитхеба: „мраꙋлад иелгебис ꙋоꙋелі ҳорціа ꙋгꙋрꙋтоа, раметоꙋ шеимꙋсриаꙋ наꙋгеарні мъатні".

Наꙋгеарні-с адгилас ошкур редакціашиꙋ ганкꙋрегеаа гаꙋкъс, рац гахгеебас ніꙋшнавс. Ганкꙋрегеаа-с шесатꙋиси мніꙋшнелоба — изступленіе — арис ꙋармодгенили слаꙋрꙋ библіашиꙋ (агрегеи берѣзнулши: ἔκστασις, да сомхꙋрши: *ქისტაცილებაჲ*).

Баҳарисеꙋли наꙋгеарні-с ꙋꙋаро ар ҳанс.

3) 30-е тавиꙋ пиреꙋели мꙋхлис дасаꙋꙋиси баҳарис редакціашиꙋ срꙋлиад ганскгаꙋгдеба Ч да Ꙋ редакціебис сатанадо адгилисагаꙋ:

Ч	Ꙋ	Ꙋ (баҳарис р.)
Ситꙋꙋата ҳемматакъс, шеилс, гаꙋшинодеꙋ да шеиҳрдалеꙋ игини да инандеи.	Ситꙋꙋата ҳемтагаꙋ гаꙋшинодеꙋ, шеилс, да шеиꙋꙋнареꙋ, игонидеи(!) да инандеи.	игаагма тꙋа: каци ифиилиса матарт, ифиилиса матарт да ꙋкалиса.

иг. Сол. 30, 1.

Баҳарис нуськаши ꙋармодгенили ꙋкаитхеа ар гаꙋгдеба ареꙋ слаꙋрꙋ, ареꙋ берѣзнул текстъши. Русул библіаши ки гапоꙋлобт метнакалебад ахло мдгома, маграм ара идентꙋр ꙋкаитхеас: Слова Агура, сына Иакева. Вдохновенные изречения, которыя сказал этот человек Ифиилу, Ифиилу и Укалу. Рогорц иҳкеа, русули библіис ес адгиле ебраꙋл библіаши моцемꙋл ꙋкаитхеас имеорѣбс ситꙋꙋаситꙋꙋит.

Амденад баҳарис нуськаши дацꙋли соломорнис игаата ꙋармомаꙋлобаꙋ гаркеꙋꙋлад рисамеа тъма жнелиа. Мит ꙋпро жнелиа миси слаꙋрꙋ ꙋꙋароскен дакаꙋширеба. Шедарегит мет сиахлоеꙋс баҳарис редакціа

რუსულ ტექსტთან ავლენს. საკითხი ჯერჯერობით ღიად უნდა იქნეს დატოვებული.

IV. ძეგლის ლექსიკა

ლექსიკიდან ყურადღებას იქცევს ზოგი ისეთი სიტყვა, რომელიც აქამდე არ შეგვხვედრია. ასეთებია: **ნიკელი** და **დრტყილი**.

აქ მოცემული სახით ისინი არც საბას ლექსიკონში დასტურდება.

ა) **ნიკელი** ასეთ კონტექსტში გვხვდება:

ვითარცა საყური ნიკელსა ღორისასა, ეგრეცა დედაკაცსა სახე-ბოროტსა სიკეთჱ.

იგ. სოლ. 11, 22 — 0.

საბას ნუსხა, რომელიც ტექსტის ამ ნაწილში ვარიანტულ სხვაობას ამჟღავნებს ოშკურთან, ნიკელის მაგიერ **უელ**-ლექსემას გვაძლევს, ხოლო რედაქციულად განსხვავებული ბაქარის ნუსხა კი ცხკრ-ს. გამოდის, რომ ნიკელი ნიშნავს როგორც ცხვირს, ისე — **უელს**. ბერძნულში შესაბამის ადგილას გვხვდება ῥὶς სიტყვის ῥἰνι ფორმა, რაც ცხვირს ნიშნავს. ასევეა სომხურშიც: **քիթ** „ცხვირი", „დრუნჩი". საბას ლექსიკონში სიტყვა წარმოდგენილია ნიკველი-ს სახით. განმარტება ასეთია: „ღორის ცხვირი, ნ. დინგი". საბა ტექსტიდან ადგილს არ იმოწმებს, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ის სწორედ ჩვენ მიერ მოტანილ ადგილზე დამყარებით იძლევა განმარტებას, რადგან ცხვირი მაინცდამაინც ღორთან დაუკავშირებია. საბას განმარტება ზუსტი არაა. კონტექსტი გვარწმუნებს, რომ **ნიკელი** საერთოდ **ცხვირი, დრუნჩია**. წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი აღარ ექნებოდა შესიტყვებას „ნიკელსა ღორისასა" (-ღორის ცხვირსა **ღორისასა**). ნიკელი კანონზომიერი შესატყვისი ჩანს მეგრული ნიკუ-სი („ნიკაპი")[2].

ბ) **დრტყილი** გვხვდება ოშკისა და საბას ნუსხებში (C რედაქციაში). ბაქარის რედაქციაში მის ადგილას **ნესტუნი** დასტურდება. ბერძნულშიც ამავე მნიშვნელობის სიტყვაა: μυκτήρ. სომხურში შესაბამის ადგილას **պսակունք** გვაქვს, რაც ცურს, **უვავილის ბუტკოს, ძუძუს თავს** ნიშნავს. მალხასიანთან მოცემულია აგრეთვე სხვა მნიშვნელობაც: „სტვირი", „ნახვრეტი". საბას ნუსხაში ხსენებული სიტყვა გვხვდება დრყილი-ს სახით. ლექსიკონში საბა მას განმარტავს, როგორც „ძუძუს თავს". ეს მნიშვნელობა სომხური სათანადო სიტყვის ერთ-ერთ მნიშვნელობას თანხვდება. მაგრამ რადგან სომხურში სხვა მნიშვნელობაცაა მოცემული — საერთო ბერძნულსა და ბაქარის რედაქციასთან — უფრო საფიქრებელია **დრტყილი/დრყილი** „ნესტჳს", „ხვრელს" ნიშნავდეს.

გ) საინტერესოა ბაქარის რედაქციაში დადასტურებული/ **სახიბი**, რომელიც **საბელს** ნიშნავს:

---

[2] იხ. ბ. გიგინეიშვილი, ეტიმოლოგიური შენიშვნები ბიბლიის ქართულ თარგმანთა ლექსიკის გამო: კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის IX სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და თეზისები. თბ., 1967, გვ. 9 — 10.

...ვითარცა ქარი დასაკლავად მიიყვანების და ვითარცა ძაღლი ხახიბითა ზედა.

იგ. სოლ. 7, 22 Ქ

ოშკურ რედაქციაში ხახიბი-ს შესატყვისად არაფერი გვაქვს. ბერძნულში წარმოდგენილია δεσμός „საბელი", სომხურში — տուն „თოკი", „ბაგირი", „მარყუჟი". საბას ლექსიკონში ეს სიტყვა არ ჩანს[3].

ლექსიკის სხვა ნიმუშებიდან აღსანიშნავია მნიშვნელობის ცვლისა თუ დავიწროების შემდეგი შემთხვევები:

ა. უმანკო „გულუბრყვილო", „უეშმაკო":

უმანკოსა მას ჰრწამნ ყოველი სიტყუაჲ, ხოლო გონიერი იგი მოიქცეს სინანულად". იგ. სოლ. 14, 15 Ჳ.

ბაქარის რედაქციაშიც უმანკო დასტურდება.

ეს მნიშვნელობა (დავიწროებული) საბას გათვალისწინებული არა აქვს.

ბ. ემღერინ „დასცინის". „აბუჩად იგდებს":

სული მაძღარი გოლსა ემღერინ, ხოლო სულსა ნაკლულევანსა მწარჱცა იგი ტკბილვე ჰგონიენ.

იგ. სოლ. 27,7 Ჳ.

Ქ რედაქციაში ემღერინ-ის ფარდად ეკიცხვის გვაქვს. ბერძნულში სათანადო ადგილას გვხვდება ἐμπαίζει, რაც ნიშნავს „დასცინის", „აბუჩად იგდებს". ამ სიტყვას ბერძნულში, ისე როგორც ქართულში, „თამაშის" მნიშვნელობაც აქვს, მაგრამ იგი კონტექსტს არ შეეფერება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სიტყვა არვე-ს არქაული ფორმით წარმოდგენა. ეს სიტყვა საკმაოდ ხშირი ხმარებისაა ძველ ქართულში. საბას განმარტებით იგია „ჯოგი თხათა და ცხოვართა". არვე მ. ანდრონიკაშვილს ოსურიდან ნასესხებად მიაჩნია[4], სადაც გვაქვს მსგავსი ელერადობის aerwaez „ირმის ჯოგი"[5]. საშუალო სპარსულში ეს სიტყვა არ ჩანს. ვარაუდი გასაზიარებელია. კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას შემატებდა ამ ვარაუდს იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ ჩვენს ძეგლში არვე დადასტურებულია არვეზ ფორმით:

ცნობით იცნე სულნი საწყოჲსა შენისანი და მიჰსცე გული შენი არვეზთა შენთა.

იგ. სოლ. 27, 23 — 0.

ბაქარის ნუსხაში შესაბამის ადგილას სამწყსოთა გვაქვს. როგორც ჩანს, არვეზი საკმაოდ ძველი ნასესხობაა. იგი ზეპირი გზითაა შესული სალიტერატურო ქართულში.

---

3 საბები, როგორც ჩანს, დამახინჯებული ფორმაა საკივი-სა (იხ. საბა).

4 ჟ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი, 1966, გვ. 77.

5 В. Абаев. Историко-этимологический словарь осетинского языка. т. I. М.—Л., 1958.

Б. К. ГИГИНЕЙШВИЛИ

ГРУЗИНСКИЕ ВЕРСИИ КНИГИ ПРИТЧЕЙ СОЛОМОНОВЫХ

(Резюме)

Грузинский перевод книги Притчей Соломоновых представлен двумя списками: ошкским, мцхетским, а также московским изданием царевича Бакара.

В разных частях текста списки группируются по-разному. В большей части книги имеются две редакции: первая объединяет ошкский и мцхетский списки, вторая же представлена московским изданием. Фрагментарно появляется и третья редакция, когда мцхетская рукопись дает совершенно отличное от других рукописей чтения. В таких случаях мы имеем дело с тремя четко разграниченными редакциями, в основе каждой из которых лежит лишь одна рукопись. Лишь в одном месте текста, где ошкский и московский тексты дефектны, имеем одну редакцию (сохранившуюся в мцхетской рукописи).

Не лишено интереса то обстоятельство, что появление третьей редакции (мцхетской) обычно связано с изменением почерка в мцхетской рукописи: редакционно самостоятельные чтения в указанном списке написаны другим почерком (мхедрули или нусхури) и, повидимому, вписаны позднее на заранее оставленных местах. Места же оставлялись переписчиком сознательно, так как он надеялся пополнить дефектные места своего оригинала, который был в основном ошкской версии, за счет других списков. Пополнение этих мест позднее произошло, повидимому, из списков, принадлежащих другой версии, что и вызвало пестроту текста с точки зрения версионного состава.

Попытка найти иноязычные источники для грузинских редакций, казавшаяся бесплодной на данном этапе изучения для книг Мойсеева пятикнижия, применительно к книге Притчей в определенной части является вполне реальной. Перемещения глав в тексте ошкской и греческих рукописях, общие дефектные места и однотипные стихи наглядно показывают, что ошкская редакция Притчей переведена с греческого.

Трудно сказать что-либо определенное относительно московского издания. Вероятнее всего, оно имеет связь с славянским переводом, однако категорически утверждать это не представляется возможным ввиду отдельных разночтений.

ნარგიზა გოგუაძე

აგიოგრაფიული თხზულების მეტაფრასული რედაქციის მიმართებისათვის კიმენურთან

(„ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“ რედაქციათა მიხედვით)

ქართულ ნათარგმნ აგიოგრაფიაში ერთი და იგივე თხზულება ხშირად რამდენიმე ვერსიით არის წარმოდგენილი. ერთ-ერთი ასეთი ძეგლია „ილარიონ პალესტინელის ცხოვრება“. ჩვენი მსჯელობის საგანი იქნება ამ თხზულების ბერძნული ენიდან ქართულად ნათარგმნი ორი რედაქცია[1], მათი ურთიერთმიმართება. პირველი, უფრო ადრინდელი ვერსია, რომელსაც პირობითად „კიმენურს“ ვუწოდებთ, დღესდღეობით ერთი ნუსხითაა ცნობილი, ესაა X საუკუნის მრავალთავი, Sina 11, (გვ. 321 — 360). ბერძნული დედანი, საიდანაც მომდინარეობს „ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“ ქართული ადრინდელი რედაქცია, თავისთავად უკვე გადაკეთებული და გადამუშავებული ვერსიაა ლათინური ტექსტისა[2].

„ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“ ეს ადრინდელი რედაქცია დიდი მოცულობის, კარგად დამუშავებული ძეგლია. ის სულ არ ჰგავს ისეთ „კიმენს“, რომელიც გულისხმობს ფაქტების მოკლედ და ლიტონად აღწერას.

ჩვენი ძეგლის მეტაფრასული ტექსტი ქართულ ენაზე სამი ნუსხითაა დაცული: ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის № 1276 (XI — XIII ს. ს.), A ფონდის № 1053 (XII ს.) და ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის № 4 (XVI ს.) ხელნაწერებში.

„ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია მოცულობით საგრძნობლად ჩამორჩება კიმენურს: კიმენური ტექსტი საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი 62 გვერდია, მეტაფრასული კი — 46. სვიმეონ მეტაფრასტი, რომელსაც მიეწერება საერთოდ სექტემბერ-იანვრის თვეების საკითხავების შედგენა, ჩვენი ძეგლის რედაქტირებისას აწარმოებს გამოკრებას: კიმენურ ტექსტს, რომელსაც ძირითად ნაწილში უცვლელად ტოვებს, აკლებს შესავალს და დამოძღვრას, იღებს დიალოგებს, ზოგიერთ ამბავს გად-

---

[1] მესამე რედაქცია წარმოადგენს გასული საუკუნის შუა წლებში სლავურიდან მომდინარე თარგმანს. იგი შესრულებულია დავით ინანაშვილის მიერ.

[2] რაკი იერონიმის ლათინური ტექსტი ბერძნულად გადაღებისას საგრძნობლად შეცვალა და გადააკეთა სოფრონმა, ამიტომ ბერძნული ტექსტის გამომცემელი პაპადოპულო-კერამევსი თხზულების ავტორებად ასახელებს იერონიმსა და სოფრონს ერთად. იხ. პაპადოპულო-კერამევსის „'Ανάλεκτα ἱεροσολυμιτικῆς στᾰχυολογίας“, ტ. V. ასევე უნდა დავასახელოთ ჩვენც „ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“ ადრინდელი ვერსიის ავტორებად იერონიმი და სოფრონი (ს. კაკაბაძის „ეტიუდების“ V ტომში ეს ძეგლი უცნობი ავტორების თხზულებათა შორის არის დასახელებული, იხ. გვ. 128).

მოგვცემს ზოგადად, შეკუმშულად. ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, რა ხასიათის სამუშაოა ჩატარებული მეტაფრასტის მეირ, ცალ-ცალკე დავაჯგუფოთ თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი მომენტის ნიმუშები:

დაწვრილებითი ამბების შეკუმშვა, ზოგადად გადმოცემა.

კ ი მ ე ნ ი

„მერმე დედაკაცი ვინმე იყო რონოკორაჲთ დაბრმობილი ათისა წლისა ჟამთა და ყოველი მონაგები მისი მკურნალთათჳს წარეგო და არარაჲ მათგანი სარგებელ ეყო. არამედ ვითარცა წიდოვნისაჲ მის დედაკაცისაჲ, რომელსა სახარებასა წერილ არს, უფროჲს-ღა უძკრჱს მოვიდოდა. და ჴელის-პყრობით მოჰგუარეს მას. და უთხრობდა მიზეზსა მას ენებისასა და რავდენი ჟამი არს, რამეთუ ყოველი მონაგები მისი მკურნალთათჳს მისცა და არაჲ სარგებელ ეყო, არამედ უფროჲს ხოლო დამძიმდა. ეევდრებოდა მას, რაჲთა სახელითა ქრისტჱსითა დასდვას ჴელი თუალთა მისთა და განკურნოს იგი. ჰრქუა მას წმიდამან მან: უკუეთუმცა, რომელი იგი მკურნალთათჳს წარაგე, მიგეცა გლახაკთა[თჳს], ადრევემცა სულთა და [ჴორცთა] მკურნალსა განუკურნებიე უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა. და ესე ვითარცა თქუა, სახელითა იესუ ქრისტჱსითა შეახო თუალთა მისთა და მეყსეულად აღიხილნა. და ყოველნი, რომელნი ხედვიდეს, ადიდებდეს ღმერთსა". [329 r-v].

მ ე ტ ა ფ რ ა ს ი

„ამის საკვირველისა ილარიონისა სჱუძლა ვინმე დედაკაცი რინოკუროროჲთ მოვიდა მეათით წლითგან ჰასაკისაჲთ ხედვისაგან დაკლებული, რომელმან იგი მკურნალთაცა შემსჭუალვითა სიმდიდრე თჳსი ფრიად რაჲმე დაამცირა. ხოლო ნათელი არარაჲთ უმეტესი მოიღო მათ მიერ, არამედ უჴეშმარიტესისა მკურნალისა ილარიონისდა დაუნჯებულ იყო მედად კურნებასავე თანა მსწრაფლ მიცემაჲსა კურნებისაჲ, რომელი პოვა რაჲ, ადვილად მიიქცა მოხარული სახიდ თჳსსა" [S—1276, 180 v].

სხვა მაგალითი:

კ ი მ ე ნ ი

„განიზრახა გონებასა თჳსსა ბერმან, რაჲთა ეგეევითართა ადგილთა უდაბნოთა, სადა კაცი არა იყო, მუნმცა მივიდა და დაეყუდა, უკუეთუმცა პოვა; რამეთუ სადაცა წარვიდოდა და ვიდრეცა მივიდის, რომელთა იხილიან იგი, პირისაგან

მ ე ტ ა ფ რ ა ს ი

„ვინაჲ მიერცა მირიდებაჲ ეგულვა წმიდასა, რამეთუ ევლტოდა სათნოებისა მიერსა მას დიდებასა მჭირსედ მდევარსა მისსა. არამედ ესრეთ დიდად შეარყია ღმერთმან ქალაქი იგი, ვიდრე ზღუასაცა თჳსთა საზღვართაგან განდგომადმდე და

საცნაურ არნ, ვითარმედ ღმრთისა კაცი არს ესე. და ყოველნი მორბიოდიან მისა, რამეთუ ეგეოითარი მადლი მოცემულ იყო მას ღმრთისა მიერ. და ვითარ იგი ამას ზრახვიდა, ესევითარი იქმნა ძრვაჲ და შერყევაჲ ყოველსა მას სოფელსა, ვითარმედ მათ ადგილთა ზღუაჲ აღიძრა და საზღვართა თჳსთა გარდამოვიდოდა, და სოღრმჱ უფსკრულისაჲ საშინელი და შესაძრწუნებელი გამოჩნდა ადგილსა მას, ვინაჲ-იგი გამოვიდა ზღუაჲ. და ყოველნი ნავნი, რომელნი იყვნეს მას შინა, ყოველსა ადგილსა, სადაცა იპოვა, კბოდეთა და ჴევთა და კიდეთა და მწუერვალთა მთათასა სიმძაფრითა ქარისაჲთა განთხინა და მუნ ისხნეს დამუსრვილნი. ხედვიდეს რაჲ ამას კაცნი ეპიდავროს ქალაქისანი ესრჱთ გაძნელებულსა და ყოველნი მკუდრნი მის ქუეყანისანი მიუწუდომელსა სიმაღლესა ჰაერთასა აღწევნილსა ზღუასა სიმძაფრითა მით ღელვათაჲთა და ფრიად დაჰფარვიდა ქუეყანასა, ჰგონებდეს, ვითარმედ მეორედ წყლით რღუნაჲ არს და ყოვლისა ქუეყანისა წარღუნასა და წარწყმედასა მოელოდეს, და თავისა თჳსისა ცხორებაჲ ყოვლადვე წარეწირა, და ეშინოდა: ნუუკუჱ ჴმელი ქუეყანაჲ საფუძველითგან დაიქცეს და ქუეშე უფსკრულთა დაინთქნენ ყოველნი ერითბამად ცოლით და შვილითურთ, და თჳსსა სიკუდილსა მოელოდეს. და მოვიდეს სრბით წმიდისა ილარიონისა, ღაღადებდეს და ეტყოდეს: ევედრე უფალსა, რაჲთა შეგჳწყალნეს ჩუენ. რამეთუ ხედვიდეს მოწევნულსა მას მათ ზედა საშინელსა სიკუდილსა და სასტიკსა. აწ ძალითა უფლისაჲთა მოვედ და შემწეიე ჩუენ და სასოწარკუეთილნი მიჴსნენ ჩუენ ყოველი ერი ერთბამად სოფლითურთ წარჩუჱნებად უფსკრულისა მთხრებელად საშინელად და განსაკჳრვებელად. და ესოდენ აღიძრნეს ღელვანი ვიდრე სხუად რღუნად ამისსა საგონებლობამდე აწცა ძიებად სხჳსა ნოეესსა და კიდობნისა, რამეთუ უფალი თქუმულ არს სულგრძელ და დიდ ძალი მისი; და უბრალოებით არა უბრალო ყოს უფალმან მოსრულებასა შინა და მოძრავობასა თანად გზაჲ მისი; და ღრუბელ-მტუჱრ ფერჴთა მისთაჲ აშინებს ზღუასა და განაჴმობს მას და ყოველთა მდინარეთა მოაოჭრებს.

ამისთჳს კუალადცა ცოლით და შვილითურთ აღსაარებულისა შეწევნისა მოჲვლტოდეს და ევედრებოდეს ილარიონს დაყენებად მათგან რისხვაჲ უფლისაჲ, რაჲთა არა სრულიად წამოიცარიელოს თხლეცა მისი უკუანაჲსკნელი; არამედ რისხვასა შინა წყალობაჲ მოიჴსენოს სახიერმან, რომლისა ყოველნი გზანი საკჳრველისაებრ ითქჳნ წინაწარმეტყუელისა წყალობა და ჭეშმარიტება.

ხოლო წმიდამან მან ადგილთა რათმე სამნი ჯუარნი აღჰმართნა. პირისპირ ზღუსა მის და ზეცად აღპრობითა ჴელთა თჳსთაჲთა დააყენა შინებაჲ იგი და განიკუჱშთა სრვაჲ. და უშიშროებასა უთავსმდებებდა მათ ყოფადისათჳს“ [S — 1276, 195 r-v].

წყმედისა ამისგან. რამეთუ ჩუენისა შეწევნისათჳს კაცთმოყუარისა ღმრთისა მადლი მოგიძღუა და მოგიყვანა ჩუენდა. მუჴლნი დაიდგნეს მის წინაშე, რაჲთა საჭურველი ღმრთისაჲ შეიმოსოს. და ვითარცა მბრძოლი წყობასა საშინელსა მას და სასტიკსა ზედა მოსლვასა ზღუასა ბრძოლად წმიდაჲ იგი მოიყვანეს და მერმე წინა-დაუდგომსა მას სიმძაფრესა მისსა დადგინეს. ხოლო წმიდაჲ იგი კმასა ზედა უფლისასა სარწმუნოებით დამტკიცებულ იყო შეუორგულებელად, რომელსა იტყჳს, ვითარმედ: უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაჲ, ვითარცა მარცუალი მდოგჳსაჲ, ჰრქუა მთასა ამას: მიიცვალე ამიერ, და იცვალოს. და ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს, შემძლებელ იყოს. და წინაშე პირსა ზღუსა მის მოსლვასა განშორებულად-რე ქჳშასა ზედა სამსა ადგილსა სასწაული ჯუარისაჲ გამოწერა, და დადგა მზის აღმოსავალით და განიპყრნა ჴელნი ზეცად და ევედრებოდა უფალსა, რაჲთა დასცხრეს რისხვაჲ იგი ღმრთისაჲ, და მლხინებელ ექმნეს დაბადებულთა თჳსთა, და შეჰრისხნეს ზღუასა მას და საშინელი ესე სიმძაფრით ზედა მოსლვაჲ მისი ბრძანებითა ძალისა მისისაჲთა თჳს[ს]ავე ადგილსა კუალად მიაგოს და დღჱ ესე დაყუდებად მიაქციე.

და ილოცვიდა რაჟა ნეტარი იგი ესრჱთ, სიმაღლედ მდუღარედ ამაღლდა ზღუაჲ იგი, ვიდრე ყოველითა სიტყჳთა კაცთაჲთა საშინელი იგი ძალი უფლისაჲ მითხრობად ვერ შესაძლებელ არს, რამეთუ დასულებითა უზომოჲთა შეპყრობილ იყვნეს. ყოველნი ხედვიდეს მას, ესრე ჰგონებდეს, ვითარმედ მეყსეულად ყოველი სოფელი დაფაროს და წარწყმიდოს. რამეთუ ზღუაჲ იგი განსაკჳრვებელი ვიდრე

ჰაერთამდე აღმაღლებით მოემართა და მოვიდოდა ქუეყანად. და ამისა მას რისხვასა განეწყო ბრძოლად ეედრებაჲ წმიდისაჲ მის, არა ხოლო ჰაერთა, არამედ ყოველნი კაცნი განვლნა და უფლისა მიიწია, მლხინებელ და შემნდობელ და მეოხად დაბადებულთა მისთა ექმნა.

და ესრეთ მასვე დღესა ღმრთისა კაცთ-მოყუარებაჲ მეყსეულად გამოუბრწყინდა, ჟამად-ჟამად მართლ უკუნ-იქცეოდა და ვიდოდა ზღუაჲ ბრძანებითა ღმრთისაჲთა და თუსსავე საზღვარსა კუალად ეგო. ამას საშინელსა ძალსა უფლისასა და წმიდასა ლოცვასა მონისა ღმრთისა ილარიონისსა უპიდავრონს ქალაქსა და ყოველსა მას სოფელსა მამანი შვილთა ნათესავით[ი]ნათესავად ვიდრე აქა დღედმდე მიუთხრობენ. რამეთუ მოციქულთა თუსთა ეტყუს მაცხოვარი: უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაჲ, ჰრქუათ მთასა ამას: შთავარდი ზღუასა. ხოლო აქა უსაკჯრველსს იქმნა უფლისა ბრძანებითა, რამეთუ რომელი-იგი მრისხანედ უზომოთა მთათა დაჰფარვიდა ზღუაჲ, წინაშე ფერჴთა მას ბერისათა მართლ უკუნქცეულად და მდოვრად დინებაჲ უბრძანა მას უფალმან და თუს[ს]ავე საზღვარსა კუალად გებად“ [356 v — 357 v].

მეტაფრასტი შემოკლებისას სისტემატურად იღებს დიალოგებს. მაგალითები:

კ ი მ ე ნ ი	მ ე ტ ა ფ რ ა ს ი
„დედაკაცი ვინმე იყო ელევთერაპოლელი. ათხუთმეტი წელი აქუნდა ქმრისა თუსისა თანა და შვილი არა ესუა, რამეთუ ბერწ იყო იგი. მივიდა იგი მისა და დავარდა ქუეშე ფერჴთა მისთა. ხოლო მან ვითარცა იხილა იგი, ევლტოდა მას,	„დედაკაცი ვინმე ათხუთმეტ წელ ბერწი ელევთერეპოლით მოვიდა წმიდისა. დაღათუ შემდგომად განშორებისა და მეუდაბნოებისა დედაკაცისა სახე ხილვად ყოველად არა თავს-ედვა მას. არამედ იგი ფრიად გოდებდა და ცრემლთა

რამეთუ ვინაჲთგან მონაზონ ქმნულ იყო იგი, არასადა ზრახულ იყო დედაკაცსა და არცა ყოვლად მოსრულ იყო მისა. ხოლო იგი კრემლით ევედრებოდა მას და ეტყოდა: რაჲსა გარე მიიქცევი, მე გევედრები შენ, რაჲსათჳს მევლტი მე. გარდარეულისა ჭირისათჳს გევედრები, კაცო ღმრთისაო, შემიწყალე მე, მონაო ჴელმარიტისა უფლისაო, მოიჴსენე, რამეთუ ამას ბუნებასა პატივ-სცა მაცხოვარმან და ამის ბუნებისაგან ჯერ-იჩინა ჴორცთა შესხმაჲ და ამანვე ბუნებამან გშვა შენ. ამის მადლისათჳს ნუ გარე წარმაქცევ მე ცალიერსა შენგან, რამეთუ არა უჴმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა" [327 r — v].

ლმობასა შემოიღებდა საწყალობელად რაჲმე და სალმობიერად ჴმობითა და ამით წყალობად მოზიდვად მისდა ძლევის-მოყუარებდა, რაჲთა დაჰჴნეს ბერწობაჲ მისი და საკრველნი ენებისანი" [S — 1276, 179 r].

მეტაფრასული ტექსტი ზოგიერთ ამბავს ისე მკაფიოდ ვეღარ გადმოსცემს, როგორც კიმენური; ამ უკანასკნელისგან განსხვავებით მეტაფრასში გადახვევაც გვაქვს, მაგალითად, ამ რიგისა:

კ ი მ ე ნ ი

„...შჯდ დღე ილოცვიდა მისთჳს, და დაასხნა ჴელნი მისნი მას ზედა და ჰრქუა მას: სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსითა განვედი ამისგან, არაწმიდაო სულო, და წარვედ ურწყულთა ადგილთა. და შეაძრწუნა იგი ეშმაკმან მან, დააკუეთა ქუეყანასა და განვიდა მისგან".

მ ე ტ ა ფ რ ა ს ი

„ხოლო მან მყის კაცთმოყუარე ჴელი განველურებულსა მას ზედა დასდვა და ქრისტეს საზარელისა სახელისა დართვითა მყის განჴადა მისგან ბოროტი ეშმაკი ესრეთ ადვილად, ვიდრემდის ვერღარა უადვილეს იყვის მცირისა რაჲსმე და ხენეშისა ძაღლისაჲ".

ილარიონის ცხოვრების მეტაფრასულ ტექსტს თავის მხრივ გააჩნია ისეთი ადგილი, რაც არ არის კიმენურში. ესაა ე. წ. ჩართულები (სადაც რედაქტორი მსმენელს მიმართავს ხოლმე), მაგ.: ერთმა ძუნწმა ბერმა თავის ვენახში მცველები დაყენა და არ შეუშვა ილარიონი და მისი თანმხლები ბერები. მეტაფრასტი ამაზე შენიშნავს:

„გარნა მას წინა-უკმო მოუქდა საქმე ესე, ვითარცა შემდგომად მცირედისა სიტყუამან გაუწყოს. ხოლო პირველად ჯერ-არს კეთილისა და უცხოთმოყუარისა სულისათჳს უწყებად, რომელი წინააღმდგომ იყო ძჳრისა მის კნინ სიტყჳსა" (187 v — 188 r).

მეორე ბერს გულუხვობის საზღაური კი ერთი-სამად მიეზღო: „გარნა შენ განიცადე ღირსებითიცა მისაგებელი და საქმე ღმრთისა მართლმსაჯულობისა და ნეტარისა მის კურთხევისა ღირსი" (188 r).

ილარიონის ცხოვრების აღწერას უდაბნოში მეტაფრასტი თავის მხრივ ამატებს:

„გარნა არა უწყი, ვითარ უძლებ იქმნა სიტყუაჲ ამის ირიოჲს მარხვისათჳს ყოველად წარმოთქუმითა თჳთ მათ დასასრულისათა მისთა წინა მოტაცებად, არამედ კუალადცა აღიწოდებოდედ ჩუენდა შემდგომობისა მიმართ საქმეთაჲსა და შემდგომითი-შემდგომად მოგუმთხრობოდედ კაცისა ამის წარმართებანი“ (178 r).

ილარიონის მიერ ჩადენილი სასწაულების (კერძოდ, იტალიკოსის ცხენების განკურნების) თხრობის შემდეგ მეტაფრასტი ჩაურთავს:

„უეჭუელად ვალ გარდა ესენი ილარიონის კეთილად დაღათუ არა შემდგომნიცა რაჲმე შევძინნეთ, გარნა მეშინის ნუუკუმ მლტოლვარე წერილისა უძღებებისაჲ უდებებისა ბრალობასა შთავვარდე და უფროჲს-ღა ესეეითართა მსმენელთა მიერ, რომელთაჲ კეთილთა თხრობასა შინა არა უფროჲს ზომიერისასა განმრავლებაჲ, არამედ დაკლებაჲ რაჲსმე შემაწუხებელად უწყი, ვინაჲცა ითქუმოდენ და წინა დაგეგებვოდენ თქუენ კეთილთა შეინაჴეთა განსაძღებელად კეთილნი მისნი“ (183).

აქვე აღვნიშნავთ, რომ კიმენური რედაქციისათვის დამახასიათებელი გადასვლები თხრობისას მესამე პირიდან მოულოდნელად პირველ პირში, მეტაფრასულმ რედაქციამ არ იცის.

მეტაფრასულ ტექსტში არაა, გამოტოვებულია მთლიანად მთელი რიგი ადგილები. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ რედაქტორს ახასიათებს ტენდენცია, გამოტოვოს დამოძღვრებანი: მთლიანად არის ამოღებული თავი: „სწავლაჲ წმიდისა ილარიონისი“ (მოცულობით მანქანაზე გადაბეჭდილი 12 გვერდი). დამოძღვრანი, რომლებიც გაბნეულია აქა-იქ ცალკეულ ეპიზოდებთან დაკავშირებით, ასევე ამოღებულია მეტაფრასტის მიერ.

ასე, მაგალითად, ილარიონმა განკურნა სნეული ჰაბუკი და დაუბრუნა იგი თავისიანებს. ჰაბუკი ბრუნდება სახლში. ამაზე ამთავრებს ამბავს მეტაფრასტი. კიმენში კი ამის შემდეგ აი, რა ხდება:

„ეტყოდა წმიდაჲ იგი მათ, რომელნი მოსრულ იყვნეს მუნ: არა არს საქმჲ ესე ძალისა ჩემისაგან, ძმანო, არამედ კაცთ-მოყუარისა მადლი მაცხოვრისაჲ, რომელმან უძლურებანი ჩუენნი თავისა თჳსისად იტკრთნა და სნეულებანი თავს-ისხნა, და მას გამოუთქუმელითა მით ჩუენდა მომართ სიყუარულითა შორთა მისთა მიერ განჰკურნებს. მას უკუე დაუცხრომელად ვადიდებდეთ, ძმანო“ (330 v).

მეორე ნიმუში: აქლემის განკურნების შემდეგ, კიმენური ტექსტის მიხედვით, ილარიონი ისევ შეუდგება ხალხის დამოძღვრას (მეტაფრასულში ეს არაა):

„ეტყოდა მათ ნეტარი იგი, რომელნი მოსრულ იყვნეს მისა, ვითარმედ: ესოდენ სიძულილად აღგზებულ არს კაცთათჳს ეშმაკი, არა ხოლო მათსა წარწყმედასა მრავალსახედ ისწრაფის, არამედ მათსა შორაგებსაცა; უკუეთუ შეუნდოს უფალმან, ხოლო თჳნიერ შენდობისა უფლისა არცა პირუტყუთა საცხოვართათჳს ჭელ-ეწიფების მას. რამეთუ შეუნდო მას, ითხოვა რაჲ იობისი იგი საცხოვარი განრყუნად, რამეთუ ამათითა მიტევებითა ჰგონებდა ღმრთისა სიყუარულისაგან განშორებად ჴეშმარიტისა მის ღმრთის-მსახურისა მეგობრისა უფლისა იობისთჳს. ეგრევე ღორებისაჲ მის ითხოვეს და ჭელმწიფებაჲ მოიღეს ეშმაკთა, რაჲთა ამათგან უჩუენოს უფალმან უმეცართა

მათ, რამეთუ უსოდენი სიმრავლჱ ეშმაკთაჲ ერთისაგან სულისა კაცისა უფალმან დათჳა უფსკრულთა“ (337 r).

კიმენს წმიდა ილარიონის მიერ უსასყიდლოდ განკურნების შესახებ რამდენიმე ამბავი აქვს მოთხრობილი, მეტაფრასული ამათგან ერთ ეპიზოდს გამოტოვებს მთლიანად:

„ერთი ვინმე მათგანი, ფრიად მდიდარი და მთავარი მის ადგილისაჲ, წყლით მანკიერი და ყოველად სალმობისა მისგან გარდარეულად განსივებული, მოვიდა და შეუვრდა ფერჴთა მის წმიდისათა. და ვითარცა ლოცვა ყო მისთჳს წეტარმან მან, მასვე ჟამსა განცოცხლდა კაცი იგი და, გან-რაჲ-იკურნა, მოართუა წმიდასა მას ძღუენი. ხოლო მან ჰრქუა მას: წერილ არს ჩუენთჳს: ღმრთისა მიერ უსასყიდლოდ მიიღეთ და უსასყიდლოდ მიეცით. და ვითარცა თქუა ესე, განუტევა იგი და არაჲ მიიღო მისგან“ (355).

გამოტოვებულია კიმენური ტექსტის შესაკალი ნაწილი, სადაც საუბარია ავტორის განზრახვაზე, რომ იწყებს ღმერთშემოსილი ილარიონის ცხოვრების აღწერას; მეტაფრასული რედაქცია პირდაპირ იწყებს ბიოგრაფიით: — ილარიონი დაიბადა ქალაქ ღაზაში და ა. შ.

ძირითადად კი მეტაფრასტი მისდევს კიმენურ ტექსტს და, სადაც იგი გამოკრებას არ აწარმოებს, თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს კიმენს. მაგალითები[3]:

კიმენი	მეტაფრასი
„Μέλλων δὲ ἐκλείπειν ὁ μακάριος, νήφων ἐν σεμνῇ καταστάσει ἔλεγεν· „Ἐκπορεύου, ψυχή. τί φοβῇ; Ἔξελθε· τί διστάζεις; Ἑβδομήκοντα ἔτη ἐδουλεύσας τῷ Χριστῷ καὶ θάνατον φοβῇ; Χριστός σε καλεῖ. πορεύου χαίρουσα πρὸς αὐτόν“. Καὶ εἰπὼν ταῦτα ὁ ἅγιος, καὶ σφραγισάμενος ἑαυτόν, ἐτελευώθη“.	„და ვითარცა მოაკლდებოდა წმიდაჲ იგი, ფრთხილად კეთილითა დაწყნარებულებითა იტყოდა: განგუალე, განგუალე, სულო ჩემო, რაჲსა გეშინის! სამეოც და ათი წელი ჰმსახურე უფალსა და აწ სიკუდილისა გეშინისა? ქრისტჱ გიწყალს შენ და მიეგებე სიხარულით. და ვითარცა ესე თქუა ნეტარმან მან, დაიბეჭდა თავი სასწაულითა მით ჯუარისაჲთა და აღესრულა“ (359 v).	„და ეგულებოდა რაჲ მოკლებაჲ, ფრთხილ იყო და ფრიადსა აჩუენებდა მყუდროებასა და კეთილად დაწყნარებულებასა და ესევითარად ეზრახებოდა თავსა თჳსსა; განგუალე, სულო, რად გეშინის, რად ორგულებ, სამეოც და ათ წელს ჰმონებ ქრისტესა და ჯერეთ სიკუდილისაგან გეშინისა? იგი გიწოდს შენ. აწ წარვედ მისსა მიმართ მხიარული! ესე თქუა და ყოველად დაიბეჭდა თავი თჳსი ჯუარითა ქრისტესითა და იგი სამძე მიმლოდეთა მათ მისთა წიაღჴდა კარვებთა“ (197 v — 198 r).

[3] სამწუხაროდ, ხელი არ მიგვიწვდება მეტაფრასული რედაქციის ბერძნულ დედანზე. ჰალკინს BHG(I)-ში დასახელებული აქვს წიგნი Strout-ისა, სადაც დაბეჭდილია ბერძნული

მეორე ნიმუში:

კიმენი

„მოთხარა ქუეშე ზღურბლსა სახლისა მის ქალწულისასა იდუმალ და დაჰფლა და წარვიდა. ხოლო მოწევნითა მით ცეცხლშემწუელითა და ხრწნილებისა საქმითა და ენებითა დაბნელდა ქალწული იგი გონებითა, იწყო სიცბილდ და პირისა განმრუდებად და უღირსად თავსა განუტევებდა და დაიბნევნ მისგან შუენიერებისა სამოსელსა და განიჭსნინ თმასა და იღრჩენნ კბილთა და ურცხჳნოდ სიტყუთ მოიხადინ არაწმიდასა მას ყრმასა“ (334 r).

მეტაფრასი

„ესენი ზღურბლთა ქუეშე ქალწულისათა ფარულად აღმოთხრითა დაისხნეს. ვინაჲ მყის ეშმაკი რაჲმე გემოთ-მოყუარებისაჲ შეუჯდა მას და თანად განილეოდაცა ტრფიალებითა ყრმისაჲთა და ბოროტად ქონებითა მის მიერ წარწყმდებოდა საწყალობელად. და განცხადებულადცა აღბორგებულსა მსგაჳს იყო, რამეთუ იქცევდა პირსა, იღრჩენდა კბილთა, თმანი მისნი უმჯობლად პირსა ზედა და მკერდსა შთამოიტეობვოდეს და ზედაჲსზედა ჴმობდა სახელსა ჰატრფიალოჲსასა“ (183 v).

სურათი ნათელია. „ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“ მეტაფრასული ტექსტის რედაქტორი ახდენს პირველადი, კიმენური ტექსტიდან გ ა მ ო კ რ ე ბ ა ს ს რ უ ლ ი ა დ გ ა რ კ ვ ე უ ლ ი მ ე თ ო დ ი თ ა და მიზ ნ ი თ. ეს არ არის მეტაფრასულ ლიტერატურაში გამონაკლისი შემთხვევა. ასეთი მეთოდით დამუშავებულა სხვა „ცხოვრებანიც“[4]. აქ არ შეიძლება არ მოგვაგონდეს „ბალავარიანის“ ვრცელი და მოკლე რედაქციების ურთიერთმიმართება, ამ ძეგლის ორი რედაქციის ტექსტების განხილვის შედეგად მიღებული დასკვნები: „ვრცელი ბალავარიანის ფართო ადგილები... ორიოდე სიტყვით არის გადმოცემული მოკლეში. როცა ასეთ ადგილებს ვაკვირდებით, ირკვევა, რომ ესენი მეტწილად ისეთი ადგილები ჩანან, სადაც დამოძღვრებაა გადმოცემული ან ახსნა-განმარტებაა მოწოდებული რაიმე განყენებული ცნების გარშემო, ანდა დაწვრილებითი თხრობაა რომელიმე კერძო შემთხვევისა, რომელსაც ამბის საერთო განვითარებაში არსებითი არაფერი შეაქვს....

ადვილად ასახსნელი რჩება ისიც, თუ რატომ გამოტოვა მოკლე ბალავარიანის რედაქტორმა ერცელის მრავალი ადგილი... მეტწილად გაშვებულია სწორედ ისეთი ადგილები, რომლებიც სწავლულებას ანუ სიბრძნეს ეხება,... ღვთის დიდებას, ქრისტიანობას, ქერუბთთაყვანისმცემლობასა და სხვას, რომლებიც უმთავრესად დიალოგის ანუ სიტყვისგების ფორმით არის გადმოცემული ერცელს ბალავარიანში...

ტენდენცია, არ დაამძიმოს თხრობა ზედმეტი წვრილმანებით, არ დარჩეს იგი გაშიანურებული, განტვირთოს იგი ჭარბი მოძღვრებითისა და საღვთისმეტყველო ელემენტებისაგან, დამახასიათებელია მოკლე ბალავარიანის რე-

---

მეტაფრასი, მაგრამ ეს წიგნი არ დაიძებნა ჩვენი ქვეყნის დიდი ქალაქების ბიბლიოთეკებში (თბილისი, მოსკოვი, ლენინგრადი, ვილნიუსი). შემხვედრ ადგილებს ვადარებთ ბერძნულ კიმენურ ტექსტს.

[4] გადაშეტაფრასებისას შეუმოკლებიათ მაგ., „საბა პალესტინელის ცხოვრება“. იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. კიმენი, II, 1946, გვ. 118.

დაქტორისათვის; წარმართოს ეს თხრობა ცხოველად და დინამიკურად, ასწრაფებით, გადმოსცეს მეტწილად მთავარ მოქმედ პირთა თავგადასავალი, აი უმთავრესი ნიშნები, რომლებიც წითელი ზოლივით გასდევს მოკლე რედაქციას... მოკლე ბალავარიანის კონსპექტურობა წარმოდგენილი მიზნითა და გზით არის წარმოქმნილი"[5].

წმიდათა ცხოვრების ვრცელი ტექსტი „საკითხავთა" კრებულებში შეტანისას სრულიად შეგნებულად, წინასწარი განზრახვით და გარკვეული მეთოდით გადამუშავდებოდა ხოლმე. ამას გვიჩვენებს როგორც „ბალავარიანის" ტექსტის, ასევე „ილარიონ პალესტინელის" ტექსტის ორი რედაქციის ურთიერთმიმართებანი.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ გარემოებაზე: „ილარიონ პალესტინელის ცხოვრების" კომენური ტექსტი (ისევე, როგორც ვრცელი „ბალავარიანი") კარგად დამუშავებული, ლიტერატურული გემოვნებით შესრულებული საკმაოდ მოზრდილი თხზულებაა. ამდენად ის არ წარმოადგენს ისეთ „კომენს", რასაც ჩვეულებრივ უწოდებდნენ ხოლმე „ლიტონად" აღწერილს, უბრალო ენით გადმოცემულ ფაქტებს წმიდათა ცხოვრებისას. ირკვევა, საკითხავებში შეტანისას ვრცელი აგიოგრაფიული თხზულების შეკუმშვა-შემოკლება ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა მე-10 — 11 საუკუნეების ქრისტიანული მწერლობისათვის.

„ილარიონ პალესტინელის ცხოვრების" მეტაფრასული რედაქცია სვიმეონ ლოლოტეთის სახელთანაა დაკავშირებული[6]. კითხვა ისმის: როგორ შეესაბამება სვიმეონ მეტაფრასტის მუშაობის პრინციპებს ამ სახის სამოუშაოს ჩატარება? უფრო ნათლად რომ ვთქვათ, რამდენად შესაძლებელია დავუშვათ, რომ სვიმეონი, ერთის მხრივ, ავრცობდა, ალამაზებდა, გადაკაზმავდა წმიდათა წამება-ცხოვრებებს, მეორეს მხრივ კი, პირიქით — ამოკლებდა, კუმშავდა მათ?[7] სვიმეონ მეტაფრასტის მუშაობის მეთოდების შესახებ რამდენიმე ცნობა მოგვეპოვება მე-10—11 საუკუნეთა მოღვაწეებისა, ამდენად სანდო და ფრიად ყურადსაღები.

1) ერთია მიქაელ ფსელოსის ენკომია, მიძღვნილი სვიმეონისადმი. ამ ჭებას განიხილავს თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც სვიმეონ მეტაფრასტის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებს შეჰხებია (ვ. ვასილიევსკი, ვ. ლატიშევი, ა. ერჰარდი, კ. კეკელიძე). სვიმეონის მუშაობის პრინციპების შესახებ მიქაელ ფსელოსი აღნიშნავს შემდეგს: მეტაფრასტი პირველად წყაროებს ძირითადად უცვლელად ტოვებდა, ფაქტებს არ ცვლიდა და მხოლოდ თავისებურად „გადაამუშავებდა, გარდაკაზმავდა, გააკეთილშობილებდა ხოლმეო. (ესაა ერთი ძირითადი ნიშანი მისი მუშაობისა და მისი უდიდესი ნიჭი და დამსახურება სწორედ ამაში გამოჩნდა). მეტაფრასტი წმიდათა ცხოვრების გადაკეთებისას ზოგ რაიმეს ტექსტს დააკლებდა ხოლმეო ფსელოსის ცნობით: „Незачем было удерживать при отдельных сказаниях длинные вступления, часто весьма схожие по содержанию. Значительное количество подле-

---

[5] ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ბალავარიანის ქართული რედაქციები, 1957, გვ. 40 — 41.

[6] „ილარიონ პალესტინელის ცხოვრება" ოქტომბრის თვის საკითხავებში შედის (იკითხება 21 ოქტომბერს). სექტემბერ-იანვრის თვეების საკითხავების გადამეტაფრასება მიეწერება სვიმეონ მეტაფრასტს.

[7] ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ სვიმეონს ზოგჯერ თავის კრებულში უცვლელად გადმოჰქონდა ცხოვრება-წამების ტექსტი (ვ. ვასილიევსკი).

жавших пересмотру житий написано было в форме торжественных похвальных речей, что, кроме достаточно длинного вступления, непременно требовало патетического заключения и разных других украшений посередине, состоявших большею частью из общих мест риторических сравнений и уподоблений. Все это само собою отпадало; оставалась одна повествовательная часть"[8]. მაშასადამე, სვიმეონ მეტაფრასტისათვის უცხო არაა პირველ წყაროდან, პირველადი ტექსტიდან გარკვეული ნაწილების ამოღება და დაკლება. (საქმე იმაშია, რა მასალა ჰქონდა ხელთ!).

2) მეორე ცნობა ეკუთვნის მე-11 საუკუნის ცნობილ ქართველ მოღვაწეს ეფრემ მცირეს: სვიმეონ მეტაფრასტმა „გულსმოდგინედ ჴელ-ყო საქმესა და წინა დაიდვა „ძუძლი იგი მოწამეთაჲ", რომელსა „კიმენ" უწოდიან, ესე იგი არს „მდებარე" და შეცვალა მეტაფრასად. პირველად შეამკო უშუჱრებაჲ სიტყჳსაჲ, ხოლო არა ეგრეთ, ვითარმცა სჩუჰა, ძალი შემოეღო, არამედ იგივე ძალი პირველ აღწერილისა სიტყჳსაჲ შეამკო და აღწერა უბრწყინვალესად. და კუალად შემკობასა თანა უშუჱრისასა იღუაწა სრულიად განგდებაჲ სიტყჳსა საეკუმჱლისაჲ და მწვალებელთა მიერ შეძინებულისაჲ. და ორნი ესე დიდნი შემატებანი მისცნა წამებასა წმიდათასა, რამეთუ იფქლი. გაწმედილ ყო ღუარძლისაგან და ყოვლად შუენიერად შეცვალნა უშუჱრებისაგან, ხოლო წმიდათა მოციქულთა... ცხოვრებანი... მწვალებელთა მიერ განდრეკილად აღწერილნი იგი მიმოსლვანი განყარნა და თჳთ თავით თჳსით „საეკლესიოთა თხრობათაგან და ხრონოღრაფთა" მცირედ-მცირედი საკითხავები შექმნა და „მოსაჴსენებელ" უწოდა. და აღირჩია ყოველივე უეკუმჱლი და ჴეშმარიტი, დაღაცათუ მცირე იყვის, ვიდრეცა ცრუჲ და საეკუმჱლი, დაღაცათუ დიდ და ვრცელ იყვის"[9].

რომ შევაჯამოთ:

1) სვიმეონმა ლიტონად და უბრალოდ დაწერილი ცხოვრებანი გაამშვენიერა, გარდაკაზმა, ლამაზად შეაწყო.

2) მწვალებელთა მიერ წარყვნილი ადგილები გაასწორა.

3) დიდ მოციქულებზე თხრობანი („მოსაჴსენებელნი") თავიდან შეადგინა წყაროებზე დაყრდნობით.

ამაზე დამატებით სხვაგან ეფრემ მცირე გვამცნობს („დიმიტრი თესალონიკელის ცხოვრების" ტექსტს S — 384-ში ურთავს ანდერძს): „გევედრები ყოველთა, რომელნიცა მიემთხჳნეთ წამებასა ამას, რაჲთა უწყებულ იყვნეთ, ვითარმედ არა თუ ამისთჳს დაწერილ არს, ვითარცა უმეტესსა რასმე მეტყუელი პირველისასა, გარნა რამეთუ ყოველთავე ამათ დიდთა მოწამეთა ორ-ორი აქუს წამებაჲ—უძუელესი და უღრმესი. ეგრეთვე აქუნდეს ამასცა მეორე ესე პირველსავე თანა, რამეთუ ესე ბერძენთაცა ესრეთ აქუს, რაჲთა, რომელიცა ვის სთნდეს, მას იკითხვიდეს" (გვ. 488): წმიდანების ცხოვრების პირველი ვერსიებიც კარგია, მაგრამ სვიმეონ მეტაფრასტი მაინც იძლევა მათ „უცხადეს და უღრმეს" რედაქციას, რომელი გენებოთ, ის იკითხეთო.

---

[8] დამოწმება მოგვაქვს ვ. ვასილევსკის წერილიდან „О жизни и трудах Симеона Метафраста".

[9] კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 223 — 224.

3) მესამე სანდო ცნობა სვიმეონის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ მიეკუთვნება იოანე ქსიფილინოსს[10]. ქართულ ენაზე შემონახულია მისი მიმართვა ალექსი I კომნენის მიმართ, სადაც აღნიშნავს, რა მუშაობა ჩაატარა სვიმეონ მეტაფრასტმა: „არა სრულისა წელიწდისა საკითხავნი ძლიერისა ამის რიტორისა შრომამან თჳსითა შეუნიერითა განმავრცელებლობითა შეამკვნა, არამედ რაოდენთა უკუე წმიდა საჴსენებელნი იდღესასწაულებიან ზამთრისა [თთუეთა]. ოდეს იგი ღამეცა ფრიად გრძელი არს და უადრესრე. ეინაჲთგან ეკლესიათა შინა შეკრებულთა ეგეოვითართა აღმოკითხვათა სმენისათჳს გუსურის. მათნი ცხორებანი და ღუწოლანი ფრიად კეთილად, ცხადად და მარჯუედ, და ვითარ არა ეგებოდა სხუებრ უმჯობესად მისისა ენაკეთილობისა მიერ უნაკლულოდ თარგმნნა. ხოლო ზაფხულისა ჟამისანი, რაჟამს იგი ღამისა სიკნინითა და ძილისა ბუნებითად მძლეველობისა მიერ პატიოსანთა ტაძართა შინა საცისკრონი ქებანიცა შეზომებულ უკუე იქმნებიან და დღისა ნათლითა წევნულ და ამისთჳს რეცა ყოველთა ზედა საკითხავნი უქმარ ყოველნივე ძუელნი კიმენისანი ზაფხულისა წმიდათა საჴსენებელნი არა უწყი ვითარ ჲათქუმელ გარდაუქმნელად და შეუმჯობლად დაუტევნა“ (ეტიუდები, V, გვ. 239 — 240). აქედან ვგებულობთ, რომ სვიმეონმა გადაამუშავა მხოლოდ ზამთრის თვეების საკითხავები. იოანე ქსიფილინოსი აგრძელებს სვიმეონის მიერ წამოწყებულ საქმეს და ადგენს ზაფხულის თვეების (თებერვალი-აგვისტო) საკითხავებს.

ქსიფილინოსის ცნობაში სვიმეონის შესახებ ხაზია გასმული იმაზე, რომ სვიმეონი გ ა ნ ა ვ რ ც ო ბ დ ა ხოლმე ტექსტსო. სვიმეონ მეტაფრასტის მოღვაწეობის ძირითად და უძნელეს მომენტად სწორედ ეს მომენტი ითვლებოდა — ლიტონად აღწერილი ამბების გარდაკაზმვა, გაშვენიერება, გავრცობა. ამიტომ უსუამენ ხაზს ამ გარემოებას მისი დახასიათებისას ყოველთვის, მაგრამ, როგორც ფსელოსის ცნობიდან ჩანს, სვიმეონის მოღვაწეობას სხვა მხარეებიც გააჩნდა.

ასე, მაგალითად, „ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის შესწავლამ წინ წამოსწია სვიმეონ მეტაფრასტის მუშაობის ერთი მხარე: ცხოვრების ვრცელი ტექსტის შეკუმშვა-გამოკრება.

მაშასადამე, ვრცელი თხზულების შემოკლებული სახით შეტანა გადამეტაფრასებული საკითხავების კრებულებში არ ჩანს მოულოდნელი და დაუშვებელი. პირიქით, როცა ძეგლი კარგად არის დამუშავებული და დიდი ლიტერატურული გემოვნებითაა შესრულებული, როგორიცაა ჩვენს შემთხვევაში „ილარიონ პალესტინელის ცხოვრების“ ე. წ. კიმენური ტექსტი, მას, რასაკვირველია, არ სჭირდება გარდაკაზმვა და გალამაზება (რასაც ლიტონად აღწერილი ცხოვრებანი მოითხოვს); იგი ზოგიერთი ცვლილებით (რაც უმთავრესად გამოკრებას გულისხმობს) გადააქვთ საკითხავების კრებულებში.

---

[10] ეს ცნობები ამოღებული გვაქვს კ. კეკელიძის შრომებიდან.

Н. Д. ГОГУАДЗЕ

О ВЗАИМООТНОШЕНИИ МЕТАФРАСТИЧЕСКОЙ И КИМЕНИЧЕСКОЙ ВЕРСИЙ ОДНОГО АГИОГРАФИЧЕСКОГО СОЧИНЕНИЯ

(по редакциям «Жития Иллариона Палестинского»)

(Р е з ю м е)

В древнегрузинских рукописях сохранились две редакции перевода «Жития Иллариона Палестинского». Первую, раннюю редакцию содержит рукопись Sin. 11 (X в.), вторую содержат рукописи: S—1276 (XI—XIII вв.), A—1053 (XII в.) и рукопись Кутаисск. муз. № 4 (XVI в).

При сличении этих версий выяснилось следующее: метафрастическая версия восходит к кименической (ранней), причем текст последней значительно сокращен: нет вступления, поучения, опущены диалоги; поэтому метафрастический текст по объему меньше, чем кименический. Примерно такими же принципами руководствовался и редактор краткой редакции «Балавариани». Надо полагать, что при составлении сборников «Чтений» („ჯეთხები“) прибегали не только к расширению и детализации кименических текстов, но и напротив, сокращению их в тех случаях, когда ранняя версия представляла собой более обширный и изобилующий различными деталями текст.

ენრიკო გაბიძაშვილი

რომანოზ ერისთავი და მისი უცნობი თხზულება

VI საუკუნის შუა წლები ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიაში მნიშვნელოვანი თარიღია. სწორედ აქედან ითვლის თავის დღეებს სამონასტრო ორგანიზაცია აღმოსავლეთ საქართველოში. ეს თარიღი უკავშირდება ე. წ. „ათსამმეტ ასურელ მამათა“ ქართლსა და კახეთში დამკვიდრებასა და მოღვაწეობას.

იოვანე ზედაზნელის თორმეტ მოწაფეთაგან, რომლებსაც აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მრავალი ეკლესიისა და მონასტრის მშენებლობა მიეწერებათ, ერთ-ერთი პოპულარული პიროვნება გამხდარა დავით გარეჯელი. მის სახელთანაა დაკავშირებული ისეთი უნიკალური და უძველესი ძეგლის დაარსება, როგორიც გარეჯის მონასტერია; მის სახელს ატარებს თბილისის მთაწმინდა. დავით გარეჯელის პიროვნება და საქმიანობა ფართოდ აისახა ლიტერატურულ სფეროშიც. თუ ჩვენამდე არ მოაღწია მის შესახებ დაწერილმა უძველესმა თხზულებამ, რომელიც, საფიქრებელია, შეიქმნებოდა დავით გარეჯელის სამონასტრო მოღვაწეობის ახლო პერიოდში, ჩვენამდე შემოინახა მისი ცხოვრების ამსახველი ორი ძველი ძეგლი, რომელთა შექმნის დროდ X — XII საუკუნეებს მიიჩნევენ. დავით გარეჯელის შესახებ ჩვენამდე მოღწეული ლიტერატურული მემკვიდრეობა საკმაო სისრულითაა შესწავლილი და დამუშავებული.

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდებში მივაკვლიეთ XVIII ს. (№ 252) ხელნაწერს, რომელიც დავით გარეჯელის ცხოვრების უცნობ რედაქციას შეიცავს. ხელნაწერთა აღწერილობაში[1], როგორც ჩანს, ეს თხზულება სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილ მეტაფრასულ რედაქციადაა მიჩნეული, ხოლო ავტორი გადამწერადაა გამოცხადებული. ხელნაწერი დედანია, ამდენად ამ თხზულების შექმნაც XVIII საუკუნით განისაზღვრება. ხელნაწერის ანდერძი გვამცნობს, რომ ეს თხზულება დაუწერია მთავარეპისკოპოსს რომანოზს: „მე ფრიად ცოდვილმან მთავარეპისკოპოსმან რომანოზ... ლოცვათა შინა თქვენთა ხსენებასა ჩემსა ნუ დაივიწყებთ მიმთხვეულნი ამის წიგნისა“. უფრო ზემოთ ავტორი გვამცნობს, თუ რა მიზეზების გამო მოიწადინა მან ხელმეორედ აღწერა უკვე ადრე აღწერილი დავითის ცხოვრება[2].

---

[1] თ ს ს ც არქივის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, I, შედგენილი პროფ. ს. ყაუხჩიშვილის და კ. გაგოშიძის მიერ ავად. კ. კეკელიძის რედაქციით, თბ., 1949, გვ. 218.

[2] ამ თხზულების ტექსტი დაიბეჭდა: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III, დამატებაში, გვ. 291 — 311.

დავით გარეჯელის გვიანდელი მეტაფრასული ცხოვრების ავტორი, რომელიც რომანოზ მთავარეპისკოპოსს უწოდებს თავის თავს, რომანოზ გიორგის ძე ერისთავია, XVIII ს. ქართულ მწერლობაში საკმაოდ ცნობილი რომანოზ მიტროპოლიტი. ამ პიროვნების ცხოვრება-მოღვაწეობის მომენტების გათვალისწინება შესაძლებელი ხდება მხოლოდ ნაწილობრივ, საარქივო საბუთებსა და ხელნაწერთა მინაწერებში გაბნეული ცნობების მიხედვით.

რომანოზი არაგვის ერისთავთა ცნობილ გვარს ეკუთვნის. ის იყო შვილი გიორგი არაგვის ერისთავისა[3] და ძმა ბაქარ ბატონიშვილის მეუღლის ანასი, როგორც ეს ჩანს ლენინგრადის ცენტრალური ისტორიული არქივის ერთი საბუთიდან, რომელშიც ანა შუამდგომლობს თავის ძმაზე — მიტროპოლიტ რომანზე, რომ მას მოსკოვში დაბრუნების ნება დართონ[4].

რომანოზს საეკლესიო კარიერა დაუწყია გარეჯის უდაბნოში, სადაც პირველად ჩაუცვამს მონაზვნის ჩოხა; ის იქ 12 წელი დარჩენილა. ეს ნათლად ჩანს იმერთა და აფხაზთა კათალიკოზის, გრიგოლის სარეკომენდაციო წერილიდან, რომელიც რომანოზის რუსეთიდან საქართველოში დაბრუნების ერთ-ერთ მიზეზად ასახელებს გარეჯის უდაბნოში მოსვლის სურვილს: „ერთი განშორებული უდაბნო არს, ჩოხა იქ ჩაუცვამს და თორმეტი წელიწადი იქ ყოფილა. იქ მისელა სდომებია და დამარხვა"[5].

რომანოზი საქართველოდან რუსეთში წასულა და იქ მთლიანად გაძარცულს 1722 წ. ჩაუღწევია, როგორც ეს ჩანს დარეჯან არჩილის ასულის 1722 წ. 9 ივლისის თხოვნიდან, რომელიც მას სინოდში წარუდგენია[6]. ამ ცნობიდან ირკვევა, რომ რომანოზი ამ დროს არქიმანდრიტია. დარეჯანის ცნობას ადასტურებს ზემოხსენებული გრიგოლ კათალიკოზის წერილიც: „...ათას შვიდას ოცდა ორს მანდ მოსკოვს ხელმწიფეს ხლებოდა და ხუთი წელიწადი დაეყო მანდ". აქედან ჩანს, რომ რომანოზს 1727 წლამდე უცხოვრია მოსკოვში. რომანოზი მოსკოვში დონის მონასტერში დაუბინავებიათ და წლიურად 100 მან. ჯამაგირი დაუნიშნავთ.

რუსეთში ჩასვლიდან ცოტა ხნის შემდეგ რომანოზს საქართველოში დაბრუნება განუზრახავს და სპეციალური თხოვნაც წარუდგენია სინოდში, მაგრამ მისთვის უარი უთქვამთ, როგორც ეს სინოდის არქივის საბუთებიდან ჩანს. სიმონოველი არქიმანდრიტის პეტრეს ცნობით იგი მოსკოვში დაუტოვებიათ და თვიურად 30 მან. ჯამაგირი დაუნიშავთ[7].

1725 წელს ბატონიშვილი ბაქარის წარმომადგენელი გენერალი ვახტანგ ამილახვარი კვლავ შუამდგომლობს სინოდში, რათა რომანოზს სამშობლოში დაბრუნების ნება მისცენ. ამჯერად რომანოზისათვის ნება დაურთავთ და ასტარხანამდე 100 მანეთი მიუციათ[8]. როგორც ზემოთ მოტანილი გრიგოლ კა-

---

[3] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 349.

[4] ვსარგებლობთ მ. ქავთარიას ნაშრომში („დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა", თბილისი, 1965,) გამოყენებული ლენინგ. ცენტრ. არქივის საბუთებით.

[5] Sd 2962. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულ საბუთებზე, რომლებიც შეიცავენ ცნობებს რომანოზის შესახებ, მიგვითითა მ. ქავთარიამ (ეს საბუთები დ. ბაქრაძის მიერ გადმოწერილია სინოდალური არქივიდან).

[6] ЦГИАЛ. Ф 796. Опись 3, дело 769.

[7] იქვე.

[8] იქვე.

თალიკოსის წერილიდან ჩანს, რომანოზს მოსკოვი 1727 წელს დაუტოვებია და გარეჯის უდაბნოში სამუდამოდ დამკვიდრების მიზნით საქართველოსაკენ გამომგზავრებულა (Sd — 2962). რომანოზს თავისი სურვილი ვერ შეუსრულებია — გარეჯის უდაბნომდე ვერ მიუღწევია იმ დიდი ტრაგედიის გამო, რომელიც მის ოჯახსა და გარეჯის მონასტერს განუცდია ლეკების შემოსევების შედეგად, რაც დასტურდება დომენტი კათალიკოსის სარეკომენდაციო წერილიდან: „მოუხდა ამ მიტროპოლიტის შამის ადგილს, ციხესა და მამულსა ოცი ათასი ლეკი, სრულიად ამისი ძმანი და დედა და ფამილი ასე დახოცეს, არავინ დარჩა დიდით წერილამდის. ამის საყდრისა და ეპარქიის მამული სრულიად მოაოჯრეს. სადაცა აღთქმა ჰქონდა, იმ მონასტრის გზას ვეღარ მიუდგა, მისი კრებულიცა დახოცეს“ (Sd — 2962). ამასვე აღნიშნავს გრიგოლი იმერთა და აფხაზთა კათალიკოსის წერილიც: „ათას შვიდას ოცდა რვას მოვიდა. დიდი არეულობა შეიქმნა. იმ მონასტრის (გარეჯის — ე. გ.) მამანი და კრებულნი ამოწყვიტეს, სოფლები და მამული გაუოხრეს. იქ (გარეჯაში — ე. გ.) ვეღარ მივიდა — არ შეიძლებოდა დგომა. და ამის მამულს და ციხეს შემოადგა მძლავრი ჯარი ლეკისა, დედა, ძმები და სრულიად ფამილი ასე ამოწყვიტეს, ამის შეტი არღარა გადარჩა ძუძუს-მწოვართაგან. ოცდა ხუთი სული დაიჭირეს, აწვამეს“. (Sd — 2962).

იგივეა ნთქვამი თვით რომანოზის მიერ სინოდისადმი გაგზავნილ წერილში: „ურჯულომ ძმები, ნათესავი, დედა და სხვა ათასი სული თავის ქონებით ერთ დღეს სრულიად დახოცეს. დაწვეს და ტყვედ წაასხეს. მეც მეძებდნენ სასიკვდილოდ, წაველ, გავეცალე...“ (Sd — 2974).

როგორც ჩანს, რომანოზის ჩამოსვლის ახლო ხანებში გარეჯის უდაბნოს დიდი დარბევა განუცდია, რასაც ხელი შეუშლია რომანოზისათვის რომ იქ დამკვიდრებულიყო. ჩანს ის თავის მამულში მისულა, მაგრამ, ლეკების შემოსევის გამო, აქაც ვერ უპოვია სიმშვიდე. გამოქცეულა და, როგორც ეს გრიგოლის წერილიდან ჩანს, თბილისში მოსულა, სადაც მას საკმაო ხანი უნდა დაეყო. „...თავის სამიტროპოლიტო სახლში მივიდა ტფილისის ქალაქში. რაც მადედამ ჭელმწიფის წყალობა მოყოლოდა, საყდარი ააშენა პატიოსანი და სასახლე, მონასტერი გააკეთა, სოფელი შესწირა“ (Sd — 2962). არც თბილისში მოუსვენებიათ რომანოზი. აქ მის კარ-მიდამოსა და ეკლესიას ყიზილბაშები შემოსეოდნენ: „...მოვიდა სხვა ყიზილბაშის ჯარი, სასახლეცა წაართვეს და საყდარშიაც შიგ დადგენ, ეპარქია სრულიად გაოხრდა“ — აგრძელებს თავის წერილს გრიგოლი. ყიზილბაშთა ძალადობას მხოლოდ 1735 წლის შემდეგ შეიძლება ჰქონოდა ადგილი, რადგან მხოლოდ ამ წლიდან შეიცვალა ქართლში „ოსმალობა“ „ყიზილბაშობით“[9]. რომანოზი თავისი თხზულების, დავით გარეჯელის მეტაფრასული ცხოვრების, ანდერძშიც ლაპარაკობს სამეფო ქალაქის დაწვაზე და თავისი ქონების განადგურებაზე: „ათას შვიდას ოცდაჩვიდმეტ წელს ქრისტეს აქეთ იქმნა ფრიადი და საშინე[ლი] წვა, რომ სრულიად მოსპო სამეუფო ქალაქი, დაიწუა, — რომელიმე მცირედ უბნები დარჩა; არასოდეს არ ნახულა ეგევითარი, არცა-ღა ანდერძად. — აღურიცხველი საჭონელი, სრულიად მონასტერში და ყოველნი ეკლესიანი. მაშინ დამეწო ყოველი საცხოვრებელი ჩემი. მე ფრიად ცოდვილმან მთავარეპისკოპოს-

---

9 საქართველოს ისტორია, I, 1956, გვ. 317.

მან რომანოზ[10]"... „სამეუფო ქალაქში" თბილისი უნდა იგულისხმებოდეს. მაგრამ 1737 წ. მისი გადაწვის შესახებ არაფერია ცნობილი. თანაც არ ჩანს, ეს სტიქიური უბედურების შედეგია, თუ ყიზილბაშთა საქმიანობა.

შესაძლებელია, გრიგოლ კათალიკოსის ზემოაღნიშნული წერილის მოწმობა ყიზილბაშთა შემოსევის შესახებ პარალელს პოულობდეს რომანოზის ანდერძში აღნიშნულ ფაქტებთან, რაც 1737 წ. მომხდარა. ეტყობა, რომანოზს დიდი შევიწროება და დევნა განუცდია, რის გამოც ის იმერეთში გახიზნულა. ეს აღნიშნულია რომანოზის წერილში: „...მეც მეძებდნენ სასიკვდილოდ, წაველ და რვა თვე მელეტინის (?!) იმერეთის ცართან ვიყავ" (Sd — 2974). ამას გრიგოლიც ადასტურებს: „ამ ჩვენს სამეფოს მტრისაგან ლტოლვილი მოვიდა. ჩვენმა მეფემ პატივი აძლივა, მაგრამ მანდავ ირჩია წამოსვლა და მეფემ გამოისტუმრა" (Sd—2962). იმერეთში რომანოზი 8 თვეს დარჩენილა. აქვე მას განუზრახავს რუსეთში დაბრუნება და შესდგომია კიდეც სამზადისს; სარეკომენდაციო წერილები გამოურთმევია ალექსანდრე იმერთა მეფისათვის, აგრეთვე დომენტი ქართლის კათალიკოზისა და გრიგოლ იმერთა და აფხაზთა კათალიკოზისათვის და „აგვისტოს დიდის ჰირითა" ყიზლარში ჩასულა, რათა აქედან მოსკოვს გამგზავრებულიყო, მაგრამ იქ რომანოზი შეუჩერებიათ: „აქ დამიშორეს. აღარ გამომიშვეს, მოსკოვში მოვსულიყავი და რისი ღირსი ვიყავი, იმ ალაგას დავეყენებიე დიდს ხელმწიფესა და წმინდასა სინოდსა, ჩემი აშბავიცა შეეტყოთ. სამი წიგნი მაქვს: ერთი მეფისა, ორი ჩვენის პატრიარხისა" (Sd — 2974). ყიზლარში მისი დაკავების შემდეგ რომანოზს სინოდისათვის მიუმართავს ზემოთ მოტანილი წერილით, რომლის მიხედვითაც მას გადაწყვეტილი აქვს სამუდამოდ რუსეთში დარჩეს: „გამომიშონ და სიკვდილამდე ხელმწიფის მლოცველი ვიყო და აღარსად არ წავიდე მათის დიდებულობის სადღეგრძელოთა. თუ აქედან სადმე წაველ ან გამყიდიან, ან დამატყვევებენ. უსჯულოსა მოვრჩი და ქრისტიანობაში მოველ, აქადამ რომ დავიკარგო, ჩემთვის წაწყმედა იქნების".

რომანოზს მიუღწევია საწადელისათვის: მისთვის მოსკოვში ჩასვლის ნება მიუციათ. რომანოზი მოსკოვშია 1743 წელს, რაც ჩანს იქიდან, რომ მის მიერ სინოდში წარდგენილი მიმართვა ბაქარის ბიბლიის ცალების საქართველოში გაგზავნის თხოვნის შესახებ ამ წლითაა დათარიღებული. როდისღა წავიდა იგი საქართველოდან? 1737 წელს, როდესაც იგი თავისი ქონების დაწვის ამბებს მოგვითხრობს, იგი ჯერ თბილისშია. ამ წლის შემდეგ იგი მალე უნდა წასულიყო იმერეთში, სადაც რვა თვე დარჩენილა და შემდეგ ყიზლარში ჩასულა, რამდენიმე ხნის შეჩერების შემდეგ კი იქედან მოსკოვში. ასე რომ, ამ მგზავრობას ადგილი 1737 — 43 წ. ჰქონდა. ამას თუ გამოვაკლებთ იმ დროს, რაც დასჭირდებოდა თბილისიდან გასვლის სამზადისს, ქუთაისში ჩასვლას. იქ თითქმის ერთი წლით გაჩერებას, ყიზლარში ჩასვლისათვის დროს, შეგვიძლია ეს ჩარჩოები დავავიწროვოთ: მისი იმერეთიდან გასვლა 1739 — 40 წ. ადრე არ არის მოსალოდნელი, რადგან დომენტი კათალიკოზს იმერეთიდან მისთვის სარეკომენდაციო წერილი მხოლოდ 1739 წლის ნოემბრის შემდეგ შეეძლო გაეტანებინა: ვახუშტის ცნობით, მან ამ დროს გამოიარა თურქეთიდან იმერეთში. ასე რომ, რომანოზის ჩასვლა მოსკოვს 1741 — 42 წ. არის სავარაუდებელი. რომანოზს თავისი აღთქმა, რომ სამუდამოდ დარჩებოდა რუსეთში, არ შეუს-

[10] ცენტ. არქ. № 254, 23 (ფ. 1446).

რულებია. რუსეთიდან იგი მაინც დავით გარეჯის უდაბნოში დაბრუნებულა და იქ დაუსრულებია თავისი ცხოვრება, რის შესახებაც ცნობას გვაწვდის A-150 ხელნაწერის ერთი მინაწერი: „რომანოზ ქართველი მიტროპოლიტი ასაფლავეს დავით გარეჯის უდაბნოსა შინა, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიასა შინა, სადაცა ცხადად იხილვების მისი საფლავის ქვა“. გაურკვეველია, როდის წაძღვიდა რომანოზი რუსეთიდან, რადგან 1745 წლის შემდეგ, როდესაც მას რუსეთში შეუდგენია „წინწილა ღაღადებისა“, მისი სახელი აღარ ჩანს.

ამრიგად, იმ მცირე ცნობების საფუძველზე, რომლებიც საარქივო მასალებსა და ხელნაწერთა მინაწერებშია დაცული, რომანოზის ცხოვრება-მოღვაწეობის უმთავრესი მომენტები ასე წარმოგვიდგება:

რომანოზი გარეჯის უდაბნოში ბერად შემდგარა 1710 წელს და 12 წელი (1722 წლამდე) იქ დაუყოვნია. თუ რომანოზი, როგორც ამას საეკლესიო კანონები მოითხოვდა, ბერად აღკვეცისას 25 წლისა იყო, მაშინ იგი დაბადებულა 1685 წლის ახლო ხანებში.

1722 — 1727 წლებში რომანოზი მოღვაწეობს მოსკოვის დონის მონასტერში. 1728 წ. დაბრუნებულა საქართველოში და მალე დამკვიდრებულა თბილისში, სადაც იგი ჩანს 1735 — 37 წლებში. 1739 წელს უნდა ჩასულიყო იმერეთში და იქედან მოსკოვისაკენ გამგზავრებულიყო. 1740 წლის აგვისტოში ჩასულა ყიზლარში. მოსკოვში მისი ჩასვლა 1741 — 1742 წლებისთვისაა სავარაუდებელი. ის მოსკოვში ჩანს 1743 — 1745 წლებში. მოსკოვიდან გარეჯაში წასვლის დრო უცნობია, ასევე უცნობია მისი გარეჯაში მოღვაწეობის ხანგრძლივობის დრო და გარდაცვალების თარიღი.

რამდენიმე სიტყვა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობისა და საქმიანობის შესახებ ქართული ლიტერატურის ისტორიაში რომანოზ მიტროპოლიტი ცნობილია როგორც მხოლოდ „წინწილა ღაღადებისა“-ს ავტორი. ეს თხზულება, რომელიც „შეიცავს სახარება-სამოციქულოსა და დავით-საწინასწარმეტყველოდან ამოკრებილ ადგილებს ამა თუ იმ დოგმატური თუ მორალური ხასიათის დებულებათა შესახებ“[11], მას დაუწერია 1745 წ. „მწირობასა და რუსეთსა შინა სტუმრობასა საქართველოსა მეფის შვილის ბაქარისსა“[12]. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მისი სხვა ლიტერატურული ნაშრომების შესახებ არაფერია ცნობილი. აგად. კ. კეკელიძე მის ლიტერატურულ მოღვაწეობის ადგილად მხოლოდ რუსეთს თვლის: „მისმა ლიტერატურულმა მოღვაწეობამ განვლო რუსეთში, მოსკოვს“[13], აღნიშნავს მკვლევარი. როგორც ჩვენმა თხზულებამ ცხადყო, იგი საქართველოშიც ეწეოდა ლიტერატურულ შემოქმედებას. დავით გარეჯელის მეტაფრასული ცხოვრების ახალი ვარიანტი რომანოზს თბილისში უნდა დაეწერა. არ შეიძლება მას მანამდეც არ ეცადა თავისი კალამი ლიტერატურულ საქმიანობაში. ჩვენი დაკვირვებით, მის კალამს უნდა ეკუთვნოდეს დიდი გარეჯელის სვინაქსარული ცხოვრების რედაქციაც, რომელიც შეტანილია დომენტი ჯანდიერიშვილის მიერ 1726 წ. მოსკოვში გადაწერილ A — 220 სვინაქსარულ კრებულში. ჩვენთვის მთლად ნათელი არ არის ეს მცირე მოცულობის თხზულება რომანოზმა სახელდახელოდ შეადგინა რუსეთშივე ამ ხელნაწერის გადაწერის მომენტში (იგი იქ იმყოფებოდა სწორედ

---

[11] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 349.

[12] იქვე; A-150, გვ. 22 — 35.

[13] იქვე.

1722 — 27 წწ.), თუ მას ეს თხზულება დაწერილი ჰქონდა ჯერ კიდევ გარეჯაში მოღვაწეობის დროს, ე. ი. 1722 წლამდე. ჩვენ სწორედ ეს მეორე შესაძლებლობა მიგვაჩნია უფრო სარწმუნოდ[14]. მაშინ რომანოზის ლიტერატურული მოღვაწეობის ტერიტორიული სფერო გაცილებით გაფართოვდება: გარდა მოსკოვისა, მას ლიტერატურული მუშაობა უწარმოებია გარეჯის უდაბნოსა და თბილისში, ხოლო მის ლიტერატურულ შრომებს, „წინწილა ღაღადებისა“-ს გარდა, მიემატება დოდო გარეჯელის სვინაქსარული ცხოვრების 1726 წლამდე დაწერილი ნუსხა და დავით გარეჯელის ცხოვრების 1737 — 40 წწ. დაწერილი ვრცელი თხზულება. როგორც ვხედავთ, ორივე ეს თხზულება „წინწილა ღაღადებისა“-ზე ადრეა დაწერილი.

არ შეიძლება ამ თხზულების დაწერა მწერლის მხოლოდ ლიტერატურული ვარჯიშის შედეგი იყოს. რომანოზის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩენამდე გარეჯის ლიტერატურულმა სკოლამ საფუძველი ჩაუყარა ერთ მნიშვნელოვან ეროვნულ საქმეს: იქმნება მრავალი ქართველი მოღვაწის ცხოვრების ამსახველი ჰაგიოგრაფიული თხზულება, დგება ნაციონალურ მოღვაწეთა ცხოვრების კრებულები, სადღესასწაულოები და სვინაქსარული კრებულები, სადაც თავმოყრილია ნაციონალური მასალის უმეტესი ნაწილი. ამ საქმიანობაში განსაკუთრებული ღვაწლი დომენტი ქართლის კათალიკოზსა და ბესარიონ ორბელიშვილს მიუძღვით: რომანოზის მოღვაწეობის პერიოდში ეს საქმიანობა გრძელდებოდა და ამიტომ, ვფიქრობთ, რომანოზის ეს ლიტერატურული თხზულება ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამოძახილი უნდა იყოს. A — 220 კრებულში შესული დოდო გარეჯელის სვინაქსარული ცხოვრების შესაძლებელ ავტორად რომანოზის გამოცხადებისას არ გამოვრიცხავთ იმ აზრსაც, რომ 1726 წ. ჯანდიერაშვილის მიერ გადაწერილ კრებულს რომანოზის რედაქტორული ხელი აჩნდეს, რომ ამ კრებულის შედგენაში შესაძლებელი იყოს მისი ინიციატივა და მონაწილეობა.

რომანოზის თხზულების ძირითადი წყაროს მიგნება სიძნელეს არ წარმოადგენს: ამ ძეგლს საფუძვლად დავით გარეჯელის ცხოვრების ძველი მეტაფრასული რედაქცია დადებია. ეს ფაქტი ხაზგასმულია ამ გვიანდელი ძეგლის ავტორისეულ ანდერძ-მინაწერში:

„წმიდაო ღმერთ-შემოსილო დავით გარეჯელო, შენი ცხოვრების მეტაფრასი მქონდა და სურვილიცა ვიყავ ცხოვრებისა შენისა სმენად და მრავალჯელ აღმომეკითხა, ვითარმედ ზეპირითცა ვიცოდი. არამედ არა ხოლო თუ წიგნი, არამედ მრავალ წელს ვიყოფებოდი უდაბნოსა და თჳთ საფლავსა შენსა მონასტერსა, ზოგიცა მუ[6] დამკჳდრებულთა ძმათა მამათაგან შესმა და ადგილნიცა თვალითა ვიხილე. ამისთჳს ვითარცა პირველი ცხოვრება, ჰე შმარიტებით აღვწერე ცხოვრება შენი მთლად და უნაკლულოდ“ (23).

ავტორისეული ანდერძი კიდევაც რომ არაფერს ამბობდეს წყაროდ გამოყენებული თხზულების შესახებ, ეს ნათლად ჩანს ამ ორი ძეგლის ტექსტოლო-

[14] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, სვინაქსარული რედაქციები (XI — XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა, თბილისი, 1968, გვ. 245 — 249; 415 — 418.

გიური ანალიზიდანაც მართალია, გვიანდელი რედაქციის მეტაფრასულ ცხოვრებას მთლად ზუსტად არ გადმოაქვს წყაროს სათანადო ადგილი, მაგრამ მცირე ფრაზეოლოგიური და შინაარსობრივი განსხვავება ხელს არ გვიშლის, რომ მათი ურთიერთმიმართება ნათლად დავინახოთ. მოვიტანთ რამდენიმე სალიტერატურო პარალელს, სადაც, სხვა ადგილებთან შედარებით, უფრო ნათლად ჩანს მათი ფრაზეოლოგიური იგივეობა, ან ნათესაობა:

დავით გარეჯელის გვიანდელი ცხოვრება

„...რომელი ზრდის ყოველთა და მართველთაცა ყორნისათა, რომელნი ხადიან მას“ (294, 10)[15].

„...არამედ შენ მიიქეც ადგილსა შენსა, რამეთუ ძმა შენი და მოწაფე ლუკიანე ქვე-მდებარე არს პირსა ზედა [თკუსა]. მიეედ და აღადგინე დანუგეშინის-ეც მას, რათა არა სულმოკლე იქმნას“ (296, 9).

„იხილა ეშაპი დიდი, რომელისა თვალნი იყვნეს საზარელ და ვრცელ და ქედსა მისსა ვითარცა ძაგარი რამე ხენეში და შუბლსა მისსა მოაქვნდა რქა დიდი. ხოლო კუდი მისი იყო ვითარცა ძელი რამე სიზრქითა და სიგრძითა“ (295, 13).

„...ესპა განგებულებასა შენსა, ღმერთო! მეყსეულად წამოდგეს სამნი ირემნი ნუკრთა თანა თუსთა საესენი სძითა“ (294,21).

„ხოლო მან, გამომსახველმან ჯუარისამან, ახალ უველად გარდააქცია იგი“ (294, 29).

დავით გარეჯელის მეტაფრასული ცხოვრება

„...რომელმან მოსცის საზრდელი პირუტყუთა და მართუეთა ყორნისათა, რომელნი ხადიან მას“ (155, 1).

„ხოლო შენ წარვედ ქუაბად შენდა, რამეთუ მოწაფე შენი ლუკიანე დაცემული მდებარე არს პირსა ზედა თკუსა შიშისაკს ეეშაპისა და აღადგინე იგი და განამტკიცე და ნუგეშინის-ეც“ (162, 5).

„...მას შინა მკჳდრ თუო ეშაპი დიდი და საზარელი, რამეთუ აქუნდეს თუალნი დიდნი და მსგავსნი ბრწყინვალებისა ცეცხლისაჲსა და რქაჲ დიდი მოაქუნდა თავსა ზედა მისსა და თმაჲ ფრიადი მსგავსი ძაგრისაჲ საშუალ ქედისა მისისა და ყოველითურთ საზარელ და განსაკჳრებელ იყო მჴეცი იგი“ (158, 34).

„ესპა განგებულებათა შენთა, ქრისტე! მეყუსეულად სამნი ირემნი ნუკრთა თანა მათთა წარმოდგეს წინაშე მათსა და ეთარცა ცხოვარნი დადგეს დამშჯდებულნი“ (156, 31).

„ხოლო მან, საუფლოჲსა ჯუარისა გამომსახველმან მის ზედა, მეყუსეულად ახლად უველად გარდაიქცა(!) იგი (157, 8).

[15] გვერდები მითითებულია: მეტაფრასული ცხოვრებისათვის — იც. აბულაძის მიერ 1955 წ. გამოცემული შრომის („ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წყვნთა ძველი რედაქციები“) მიხედვით, გვიანდელისათვის — ძვ. ქართული აგიოგრ. ლიტ. ძეგლების III წ. მიხედვით.

„...რომლისა დამწყებისა მისისა სასწაული აქამომდე იხილებბის, რამეთუ არა აღმოცენების მუნ მწვანვილი ადგილსა მას“ (296, 3).

„...ვიდრე აქამომდე იხილების ნიშსა დამწურობისასა მჭონებელი, რამეთუ ყოვლითურთ არღარა აღმოცენების მწუანვილი მას ადგილსა“ (161, 20).

ჩვენ მიერ ნაჩვენები ადგილები ეჭვს არ იწვევს, რომ გვიანდელი მეტაფრასული ცხოვრება შედგენილია დავით გარეჯელის ძველი მეტაფრასული რედაქციის ცხოვრების საფუძველზე. ეს უდავოა, მიუხედავად იმისა, რომ მოტანილი ადგილების სრული, ზედმიწევნითი დამთხვევის მაგალითები არ გვქონია და ამასთანავე ნაჩვენები პარალელური ადგილების მსგავსი შემთხვევები არც თუ ხშირად შეგვხვდა ამ თხზულებათა ტექსტობრივად შედარების დროს. ძირითადად გვიანდელი რედაქციის ცხოვრება არამცთუ არ იჩენს სრულ ფრაზეოლოგიურ იგივეობას წყაროსთან, არამედ ყოველთვის ცდილობს წყაროს შინაარსი საკუთარი სიტყვებითა და წინადადებათა განსხვავებული წყობით გადმოგვცეს, რითაც მიღწეულია ავტორის მიზანი: შექმნას, ფორმალურად მაინც, წყაროსაგან განსხვავებული„ დამოუკიდებელი თხზულება.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ გვიანდელი ცხოვრების ავტორი ხშირად ტოვებს, ან საგრძნობლად ამოკლებს წყაროში აღწერილი ლოცვებისა და ვრცელი დიალოგების ტექსტს. უფრო ხშირად ეს შემოკლება პარაფრაზულია, ზოგჯერ კი ზოგადი, შემაჯამებელი წინადადებითაა გადმოცემული.

მეორეს მხრივ, განსახილველი თხზულების ავტორი ამატებს ისეთ ადგილებს, რომელიც წყაროში არა გვაქვს, ან ავრცობს წყაროს ზოგიერთ ეპიზოდს. ამრიგად, გვიანდელ თხზულებაში დასტურდება ავტორის მიერ წყაროს ლიტერატურული გადამუშავების ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ხერხი: წყაროს ზოგიერთი ადგილის გამოტოვება ან შემოკლება და პირუკუ, ზოგიერთი დეტალის დამატება და გავრცობა. აღსანიშნავია, რომ პირველის შემთხვევები მეტია, ვიდრე მეორის. ძირითადად ყურადღებას შევაჩერებთ ჩვენი ძეგლის იმ ადგილებზე, რომლებიც წყაროსაგან განსხვავებული, ზედმეტი, ან გავრცობილი ჩანს.

არსებითად განსხვავებულია ამ ორი თხზულების დასაწყისი. ამ ნაწილში მათ შინაარსობრივადაც არაფერი აქვთ საერთო. განსახილველი თხზულების მეტაფრასული ცხოვრებისათვის დამახასიათებელი განყენებული ხასიათის ვრცელი შესავალი ავტორის ორიგინალური შემოქმედების ნაყოფია და არა წყაროს შესაბამისი შესავლის გადმოკეთება. ორივე თხზულებიდან მათი ვრცელი შესავლის მხოლოდ დასაწყისს მოვიტანთ:

გვიანდელი ცხოვრება

„ვინაჲთგან ყოვლისა დასაწყისი და დასაბამი და ყოვლისა მყოფისა არსისა და უარსოჲსა, ხილულისა [და] არა ხილულისა მიზეზი და შემოქმედი ღმერთი არს, მივსცეთ

მეტაფრასული ცხოვრება

„საკსენებელსა მართლისასა მომთხრობელთა და მოქალაქობასა წმიდათასა აღმწერელთა გონებისა სადამე თუალთა განწმედილად ჯერიყო ქონებაჲ, ხოლო ენასა მე-

მას დიდება, პატივი და თაყუანისცემა მამასა, ძესა და სულსა წმიდასა. ეჰა გამოუთქმელსა მას და განუზომელსა სახიერებასა და მოწყალებასა ღმრთისასა! ჩუენ, კაცთათჳს ბუნებით მოკვდავთა და მიწისაგანთა შეურაცხთა მონათა [მისთა], მის მიერვე ჴელთა ამღებელმან მიწით შეზელილისა კაცისა, რომელსა მტერმან სამოთხე მიჰპარა, რათამცა აღიყუანა პირველსავე პატივსა... (291).

ტყუეულსა კეთილ მორთულად და შესწორებულად მოთხრობისა აღწერად მიცემულისასა, რათა დიდთა ქებათა და შესხმათა მიმთხუევად ღირსი არა დაიკნინებოდის ბიწიანად მჭონებელთა მიერ ბაგეთა სულისათა და რამეთუ მრავლად გჳსწავიეს წერილთა სახმრთოთაგან, ვითარმედ უწმიდესად მიახლებად მნებებელნი ვიეთნიმე შორს დიდგინებოდეს ვითარ უწმიდონი მიახლებად წმიდათა... (144, 5).

წყაროსაგან განსხვავებით, ახალ მეტაფრასულ ცხოვრებას შესაელის შემდეგ, სადაც ლაპარაკია დავითისა და სხვა ასურელი მამების ქართლში მოსვლის შესახებ, ჩართული აქვს იოვანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების სახელები. შესაძლებელია, ავტორმა მათი სახელები ზეპირად შეიტანა თხზულებაში, რადგან ძველ მეტაფრასულ ცხოვრებაში ეს სახელები საერთოდ არაა ნახსენები. მას ეს სია არ შეეძლო აეღო არც იოვანე ზედაზნელის ერცელი ცხოვრების რედაქციებიდან და არც შიოს მეტაფრასული ცხოვრებიდან. იოვანე ზედაზნელის მეტაფრასულ ცხოვრებათა წინ წამძღვარებული ასურელ მოღვაწეთა სია განსხვავებულია ჩვენი თხზულების სიისაგან. 1. გეიანდელ მეტაფრასულ ცხოვრებაში იოვანე ზედაზნელის ჩათვლით 12 მოღვაწეა ჩამოთვლილი: იოვანე ზედაზენი, შიო მღვიმელი, დავით გარეჯელი, ისე წილკნელი, თათა მამებელი, პიროს ბრეთელი, მიქელ ულუმბელი, ამბა ალავერდელი, ისიდორე სამთავნელი, აბიბოს ნეკრესელი, არსენ იყალთოელი, სტეფანე ხირსელი; აკლია ანტონ მარტომყოფელი და ელია დიაკონი. 2. ზენონ იყალთოელის ნაცვლად შედცომით არის არსენ იყალთოელი. 3. სტეფანე ქისიკელის ნაცვლად—სტეფანე ხირსელი. 4. თათა სტეფანწმინდელის ნაცვლად—თათა მამებელი. არ ემთხვევა იგი არც შიო მღვიმელის მეტაფრასული ცხოვრების სიას, რადგან ა). იქ მხოლოდ სახელებია ჩამოთვლილი. ბ). შიოს მეტაფრასულ ცხოვრებაში წარმოდგენილი პირებიდან ჩვენ ძეგლში არ არის ანტონი, თეოდოსიოს, ელია, პიმენ, ნათან.

ასურელ მოღვაწეთა სია მოცემულია კიდევ ერთ გვიანდელ თხზულებაში. ეს არის A — 220 კრებულში შესული იოვანე ზედაზნელის სვინაქსარული ცხოვრება[16], რომელთანაც ჩვენ თხზულებაში ჩამოთვლილი ასურელ მოღვაწეთა სია გარკვეულ სიახლოვეს იჩენს. მსგავსებას გვაფიქრებინებს ორივე ნუსხაში სტეფანე ხირსელის ხსენება, რაც სხვაგან არსად არ გვხვდება, მაგრამ სხვაობაც თვალსაჩინოა: განსხვავებით ჩვენი ნუსხისაგან, აქ იხსენიებიან — ანტონ მარტომყოფელი, ელია დიაკონი და ზენონ იყალთოელი, რომლის მაგივრადაც შეცდომით დავით გარეჯლის გეიანდელ მეტაფრასულ ცხოვრებაში არსენ იყალთოელი სწერია.

ამრიგად, ჩანს, ასურელ მამათა სახელები ჩვენს ძეგლში ავტორს ზეპირად შეუტანია რომელიმე წყაროს გამოყენების გარეშე.

---

[16] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, სვინაქსარული რედაქციები (XI — XVIII სს.). თბ., 1968, გვ. 388.

სირიელ მოღვაწეთა ასუოეთიდან ქართლში ჩამოსვლა და მცხეთას მისვლა ძეგლში ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული. აღნიშნულია, რომ: „წარმოემართნეს და მოიწინეს ქართლად, დედაქალაქად მცხეთად, წმიდასა კათოლიკე სამოციქულოსა ეკლესიასა, სადა-იგი არს კვართი უფლისა და სვეტი ცხოველი, რომელსა ზედა მჯდომარე არს პატრიარქი. რამეთუ მაშინ იყო ე ვ ლ ა ი ო ს ღირსი და თანა-შესწორებული ანგელოზთა. მხილველთა ურთიერთას განიხარეს სიხარულითა სულიერითა“ (292,27).

ეს მომენტი დავით გარეჯელის ძველ მეტაფრასულ ცხოვრებაში უფრო მოკლედაა გადმოცემული: „წარმოვიდა (იოვანე — ე. გ.) წინაძღომითა საღმრთოჲთა მოწაფეთა თჳსთა თანა და მოიწია დედაქალაქსა მცხეთისასა და შუნ თაყუანის-მცემელნი პატიოსნისა სუეტისაჲ, მიერ აღვიდა მთასა ზედა, რომელ არს ჩრდილოჲთ კერძო ქალაქსა მცხეთისასა“ (150, 14).

საიდან გაჩნდა ევლაიოსის სახელი ჩვენს თხზულებაში?

ევლაიოსის სახელი არ იხსენიება არა მარტო დავით გარეჯელის ცხოვრების არც ერთ რედაქციაში, არამედ — არც იოვანე ზედაზნელის ცხოვრებათა რედაქციებშიც. დასახელებულ ცხოვრებაში არ არის ნახსენები არც ქ რ ი ს ტ ე ს კ ვ ა რ თ ი.

ცხადია, თუკი აქ რომელიმე წყაროს გამოყენებაზე შეიძლება საუბარი, ავტორს შეეძლო გამოეყენებინა მხოლოდ შიო მღვიმელის მეტაფრასული ცხოვრების რედაქცია, რადგან ეს ერთადერთი ადრინდელი თხზულებაა, სადაც ძალიან ვრცლადაა მოთხრობილი ევლავიოს პატრიარქის შეხვედრა იოვანესთან და მის მოწაფეებთან. აქვეა აღნიშნული: „წარემართნეს უკუე და მიიწივნეს წმიდად ეკლესიად და დავარდეს წინაშე განმაცხოველებელისა მის ადგილისა, სადა-იგი ღმრთისა ჯერ-ჩინებითა აღემართა საკჳრველებით სუეტი იგი დიდებული, რომელი მდგომარე არს ჰაერთა შინა თუნიერ ჴელთა კაცობრივთა ზედა კერძო კ უ ა რ თ ი ს ა მის ზეგარდმო ქსოვილისა ქ რ ი ს ტ ე ს მჴსნელისა ჩუენისა“ (გე. 83, 15).

როგორც ჩანს, რომანოზმა ერთი წინადადებით გადმოიღო შიოს ცხოვრებაში რამდენიმე გვერდზე მოთხრობილი ეპიზოდი. შესაძლებელია, მან ეს ადგილი ზეპირად შეიტანა თავის თხზულებაში, რა თქმა უნდა, შიოს მეტაფრასული ცხოვრების ცოდნის საფუძველზე. სხვაგვარად ამ ფაქტის ახსნა არ შეიძლება, რადგან გარდა შიოს მეტაფრასული ცხოვრებისა „ევლავიოს“ სახელს და „კუართ“ სიტყვას ასურელ მამათა ცხოვრების არც ერთ ნუსხაში არ ეხვდებით.

ამრიგად, ახალი მეტაფრასული ცხოვრების დასაწყისი ნაწილი, რომელიც შეიცავს ზოგად შესავალსა და ასურელ მამათა ქართლში მოსვლისა და დამკვიდრების მოკლე აღწერას, თავის ძირითადი წყაროსაგან, დავით გარეჯლის ძველი მეტაფრასული ცხოვრებისაგან დამოუკიდებელი და განსხვავებულია. ამ ნაწილში მათი შეხების წერტილები მხოლოდ ზოგად შინაარსობრივი შეიძლება იყოს. ახალი მეტაფრასული ცხოვრებისათვის ძველი მეტაფრასული ცხოვრება ამ შემთხვევაში წყარო არ არის. ამ ორი ძეგლის ფრაზეოლოგიურ-შინაარსობრივი თვალსაჩინო მსგავსება იწყება დავით გარეჯელის მოღვაწეობის უშუალო აღწერით, რომლის დამადასტურებელი მაგალითები ჩვენ ზემოთ ვაჩვენეთ.

მიუხედავად თხზულებათა ძირითად ნაწილში აღნიშნული მსგავსებისა, არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც ამ ორი ძეგლის შესაბამისი ადგილე-

ბი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავდებიან არა მარტო ფრაზეოლოგიურად, არამედ ზოგჯერ ფაქტობრივი ნიუანსებითაც. რა თქმა უნდა, ახალი მეტაფრასული ცხოვრების განსხვავება წყაროსაგან ძირათადად ფრაზეოლოგიურია და არ შეიძლება პრინციპულ ფაქტობრივ განსხვავებებს შეიცავდეს. მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა გვაქვს, როდესაც გვიანდელი თხზულება წყაროსთან შედარებით საწინააღმდეგო სურათს იძლევა. ეს არის იერუსალიმის იმ პატრიარქის სახელი. რომლის ზეობის დროსაც დავითი იერუსალიმს ეწვია ქრისტეს საფლავის მოსალოცად და რომელსაც ძიღში ანგელოზის გამოცხადებით ეუწყა დავითის ჩასვლა. ძველი რედაქციით ეს არის ე ლ ი ა პატრიარქი, ხოლო გვიანდელი თხზულებით კი მ ა კ ა რ ი:

„მოუველინა მას ღამესა შინა ანგელოზი პატრიარქსა იერუსალემისასა ე ლ ი ას ესრეთ მეტყუელი..." (179, 35).

„ხოლო ღამესა მას დაადგრა ანგელოზი უფლისა წმიდასა პატრიარქსა მ ა კ ა რ ის და ჰრქუა": (306, 18).

ჩვენთვის გაურკვეველია, რატომ შესცვალა გვიანდელი თხზულების ავტორმა დავით გარეჯელის ძველი ცხოვრებათა ჩვენება, ვფიქრობთ, რომ ეს შეცვლა მაინც საფუძველს მოკლებულია.

ჩვენი თხზულება, როგორც ვთქვით, საკმაო რაოდენობით გვიჩვენებს წყაროსაგან ფრაზეოლოგიურად განსხვავებულსა და ზედმეტ ადგილებს არა მარტო შესავალ, არამედ თხზულების ძირითად ნაწილში. ასეთი მაგალითების სიმრავლის მიუხედავად, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე უფრო დამახასიათებელ ნიმუშს ვაჩვენებთ.

იმ ეპიზოდთან დაკავშირებით, როდესაც ლუკიანემ უდაბნოს საშინელი სიმკაცრე იხილა და შეშინდა, მისდამი დავითის ნუგეში ძველ მეტაფრასულ ცხოვრებაში ასეა გადმოცემული: „ანუ არა გასმიესა წმიდათა წერილთაგან, ვითარ საუფლოჲსა ჴმისა მიერ მეტყუელებდნენ რაჲ ვითარმედ: „მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი?" (გვ. 156). გვიანდელ მეტაფრასულ ცხოვრებას წყაროს ეს ჩვენება შეუცვლია თვით სახარებიდან გაცილებით ვრცელი ამონაწერით, რომელშიც ზუსტადაა გადმოტანილი მათეს სახარების შეექვსე თავის 25, 26 და 32 მუხლები რამდენიმე წინადადების გამოტოვებით: „ისმინე წმიდათა წერილთა თქმული მახარებელისა წმიდისა სახარებისა ბრძანება: „ნუ ზრუნავთ სულისა თქუენისათჳს რა ეჭამოთ, ანუ რა ესვათ, ნუცა ჯორკოთა თქუენისათჳს, რა შეივიმოსოთ, რამეთუ იცის მამამან თქუენმან ზეცათამან რა გიჴმს თქუენ, რამეთუ ამას ყოველსა წარმავალნი ეძიებენ. კეალად მიხედენით მფრინველთა ცათასა, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან და მამა თქუენი ზეცათა ზრდის მათ" (294,14).

ავტორს გამოუყენებული მუხლების თანამიმდევრობა დაურღვევია და 32 მუხლი, რაც ზემოთ ხაზგასმით აღვნიშნეთ, 25-სა და 26-ს შუა შეუტანია და ამით სახარებიდან ამოღებული ნაწილისათვის უფრო ჩამოყალიბებული სახე მიუცია. ეს გადაადგილება ავტორს ეფექტურად აქვს გაკეთებული.

ამ ორი ძეგლის განსხვავებული ადგილებიდან საკმაო ნაწილი მოდის დოდო გარეჯელის ცხოვრების მოვლენებთან დაკავშირებით.

დოდოს შესახებ თხრობას ჩვენს თხზულებაში გაცილებით მეტი ადგილი აქვს დათმობილი, ვიდრე ძველ მეტაფრასულ ცხოვრებაში. ჩვენი თხზულება

პარაფრაზულად იმეორებს თითქმის იგივეს, რაც არის წყაროში, მაგრამ დამატებით შეიცავს ცნობებს დოდოს ლოცვა-მოღვაწეობის, გარდაცვალებისა და მისი საფლავის შესახებ. რადგანაც დოდოს შესახებ ჩვენს თხზულებაში ჩართული დამატებითი ადგილები არაკონკრეტულ მასალას შეიცავს და წარმოდგენილია საეკლესიო მწერლობისათვის დამახასიათებელი ზოგადი თხრობის ფორმით, რომელიც წმინდანის ღვთისნიერებას, განკრძალულ მარხვას, ლოცვასა და მსგავს დეტალების აღწერას შეეხება, ამდენად ეს ავტორს შეეძლო წყაროს გამოყენების გარეშე ზეპირად შეეტანა თავის თხზულებაში, მაგრამ ზოგიერთი გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მას უნდა გამოეყენებინა დოდო გარეჯელის სვინაქსარული ცხოვრების მასალა. ძირითადად დოდოს სვინაქსარულ ცხოვრებასა და დავით გარეჯელის გეიანდელი მეტაფრასული ცხოვრების იმ ნაწილს, რომელიც დოდოს ცხოვრების აღწერას შეიცავს, ფრაზეოლოგიურად და შინაარსობრივადაც ბევრი საერთო არა აქვთ, მაგრამ რამდენიმე ისეთ დეტალებში ემთხვევიან ერთმანეთს, რაც მათ საერთო წყაროში — დავით გარეჯელის ძველ მეტაფრასულ ცხოვრებაში — საერთოდ არ არის.

მაგ., დავითი ძველი ცხოვრების მიხედვით ეუბნება დოდოს: „აღვედ რჭასა იმას კლდისასა, რომელიც აღმართებულ არს პირისპირ ჩუენსა“ (გვ. 167). გვიანდელი ცხოვრება კი უმატებს: „აღვედ რჭასა იმას, რომელი დამართებით ჩვენსა არს, რომელსა ეწოდა ვიდრე დღეინდელად დღემდე დოდორჭა“ (299, 30). ეს წინადადება შესაძლებელია ავტორს დოდო გარეჯელის სვინაქსარული ცხოვრებიდან ახსოვდეს: „ამის შემდგომად უჩუენა პირისპირ მისსა გაღმართ კლდე აღმართული, რომელსა ეწოდა ვიდრე დღეინდელამდე დოდორჭა“ (გვ. 417).

მეორე მაგალითი: ძველ მეტაფრასულ ცხოვრებაში ნათქვამია, რომ როდესაც ბუბაქარი თავის ოჯახითურთ გარეჯაში მივიდა და ბერად შედგა „დავით თანა წარატანა მათ მოწაფე თჳსი ლუკიანე და მოუმცნო მამასა დოდოს, რათა მისცეს მღდელი ერთი თანა წარსლვად ბუბაქარისა და ნათლის-ცემად მისა ყოველთა თანა ნათესავთა მისთა“ (გვ. 174). შესაბამის ადგილს დოდო გარეჯელის სვინაქსარული ცხოვრება ასე გადმოგვცემს: „ხოლო ოდეს ბუბაქარ, მთავარი რუსთავისა, მოიწია წმიდისა დავითისა, წარგზავნა წმიდისა დოდოსა, რამეთუ მღდელი იყო მსხუერპლის შემწირველი წმიდა დოდო“ (გვ. 417)[17]. ძველ მეტაფრასულ ცხოვრებაში, როგორც ვნახეთ, დოდოს მღვდლობაზე არაფერია ნათქვამი. სწორედ დოდოს სვინაქსარული ცხოვრებიდან უნდა იყოს აღებული ახალი მეტაფრასული ცხოვრების შემდეგი ფრაზა: „...და რამეთუ მღდელობისა, წესი აქუნდა ღირსსა დოდოს...“ (300,6), მართალია, ეს ფრაზა ჩვენს ძეგლში არა ბუბაქარის ეპიზოდს უკავშირდება, არამედ გარეჯაში პირველ მორწმუნეთა შემოკრებასთან დაკავშირებით არის ნახმარი, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

ძველ მეტაფრასულ ცხოვრებაში არაფერია ნათქვამი დოდოს მიცვალებისა და საფლავის შესახებ, გეიანდელი მეტაფრასული ცხოვრება და დოდოს

---

[17] გეორგები მითითებულია ე. გაბიძაშვილის მიერ 1968 წ. გამოცემული შრომის („ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების“, წიგნი IV, სვინაქსარული რედაქციები (XI — XVIII სს.) მიხედვით.

სვინაქსარული ცხოვრების რედაქცია კი საკმაო სისრულით მოგვითხრობს ამის შესახებ:

გვიანდელი მეტაფრასული ცხოვრება

კაცმან ამან წმიდამან აღასრულა ცხოვრება თჳსი მუნ ვიდრე სიბერემდე სანატრელითა მით ცხოვრებითა ანგელოზთა სიხარულსა და ცხოვრებასა სუფევასა ზეცისასსა მიიცვალა პირისაგან განსვენებად, ძილი მართალთა დაიძინა და აღმოეცენებიან საფლავით მისით სურნელება... (301, 1).

მუნვე არს ეკლესია შვენიერი და საფლავიცა ღირსისა მის, რომელი შემდგომად მიცვალებისა მისისა პატივად წმიდისა აღუშენეს და დასხნეს ნაწილნი მისნი, რომელი კურნებისა წყაროსა აღმოუცენებს სურვილით მვედრებელთა მისთა" (300, 30).

დოდო გარეკელის სვინაქსარული ცხოვრება

უკანასკნელი სიბერისა მიიღო მანცა ვალი იგი ბუნებისა ჩუენისა — დაიძინა ძილი იგი მართალთა. ანგელოზთა მგალობელთა მოიცვეს სული მისი და აღიყვანეს წინაშე ღმრთისა სუფევასა წმიდათასა, სადა-იგი არს განსუენება დამაშურალთა და მოღუაწეთა, რომელი თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა აღეიდა. შეკრბა კრებული უოველთა მამათა და მიიღეს ზემოსა მას კლდესა სენაკსა მოლუაწებისა მისისასა და მუნ შექმნეს სენაკი იგი ეკლესიად მარცხენით კერძო კლდისაგან გამოკუეთილი, სადა-იგი სხენან წმიდანი ნაწილნი სხეულთა მისთანი და კურნებს მტუერი საფლავისა მისისა უოველსა უძლურებასა კაცთასა. ზედა საფლავსა არს დახატული წმიდა იგი მიცვალებულის სახედ, კუალად კედელთა მის საფლავისთა აღუყვანება მისი ანგელოზთაგან ზეცად (გვ. 418).

გარკვეით ჩანს მოტანილი ადგილების სიახლოვე შინაარსობრივად და ნაწილობრივ ფრაზეოლოგიურადაც. დამოწმებული ადგილების ბოლო ნაწილი ავტორის მიერ საკუთარი თვალით ხილულის გადმოცემაა; განსაკუთრებით ნათლად ჩანს ეს დოდოს სვინაქსარული ცხოვრების მიხედვით. გვიანდელ მეტაფრასულ ცხოვრებაში კი ეს მომენტი ზოგადადაა გადმოღებული.

წყაროსაგან განსხვავებით და ზედმეტად ჩვენს თხზულებას ბოლოს ერთვის მოსახსენებელი დავითის მოწაფისა, ალბათ, იგულისხმება ლუკიანე, რადგან სახელი არ არის ნახსენები. რამდენიმე ზოგადი წინადადებით გადმოცემულია მისი ღაწლი და საფლავის ადგილმდებარეობა: „რომლისა საფლავი არს დამართებით კარსა სამეუფოსა საფლავისავე თანა წმიდისა დავითისსა" (311,5).

ჩვენ მხოლოდ ნაწილი აღენიშნეთ ისეთი უმთავრესი სხვაობებისა, რომლებსაც ჩვენი თხზულება უარყოფდა წყაროსეულ ტექსტს და სცვლიდა მას ანალოგიური, მაგრამ განსხვავებული ტექსტით, ან უმატებდა და აერცობდა წყა-

რუსეულ ტექსტს. უფრო მეტია ისეთი შემთხვევები, როდესაც ახალი მეტაფრასული ცხოვრება აკეთებს წყაროს შესაბამისი ადგილის პარაფრაზს, მაგრამ მასში შეაქვს დამატებითი დეტალები და ზოგჯერ ფაქტიური მასალაც. მაგ.,

მეტაფრასული ცხოვრება

„ყოველით კერძო აღძრულნი საღმრთოჲთა სურვილითა მორბიოდეს წმიდისა ამის მამისა ხილვად და შემთხუევად მისდა და უმრავლესი მათგანნი ეგებერებოდეს მას, რათა უტევნეს დადგრომად მის—თანა“ (გვ. 165, 1).

„მოიწია ვიდრე სამკჳდრებელად ჩემდა იერუსალემად საკუთარი მონა ჩემი დავით და სარწმუნოებითა მისითა წარიღო მადლი იერუსალემისაჲ, ხოლო შენ წარავლინენ მალემსრბოლნი კაცნი, რათა ეწივნენ მას, რამეთუ მივალს იგი გზასა... შემოსილი დაბებკულითა სამოსლითა, და აქუს ძუელი მალაკი, რომელსა შინა სხენან სამნი ქვანი ეკლოგიად მიღებულნი“ (180,1).

„რქაჲ დიდი მოაქუნდა თავსა ზედა მისსა და თმაჲ ფრიადი მსგავსი ძაგრისაჲ საშუალ ქედსა მისისა“ (158,37).

გვიანდელი ცხოვრება

„მაშინ ყოველით კერძო შემოკრებებოდეს უდაბნოსა მას ხილვად წმიდისა დავითისა ამიერნი და იმიერნი, ქვეყანისანი ქართლისანი, კახეთისანი და იმერნი და ეგებერებოდეს წმიდასა მას, რათა მამობრივითა შეწევნითა წინა უძღოდეს მათ გზასა ღმრთისასა“... (298, 25).

„აღდეგ მსწრაფლ და იძიენ კაცნი მალედ მწეველნი და მოიძიე კაცი ღმრთისა, რომელსა ეწოდების დავით ღირსი, რამეთუ დაბებკულითა მოსილ არს უნდოდ და გუ[ა]დრაკი ჰკიდავს ბეჭთა მისთა და წვერნი მისნი შთავლენან ვიდრე სარტყელადმდე და კვერთხი კელთა მისთა და კამლნი უნდოდ ფერკთა და მან წარიღო სრულიად მადლი ქალაქისა წმიდისა იერუსალიმისა“ (306,20).

„ქედსა მისსა ვითარცა ძაგარი რამე ხენეში და შუბლსა მისსა მოაქვნდა რქაჲ დიდი, ხოლო კუდი მისი იყო ვითარცა ძელი რამე სიზრქითა და სიგრძითა“ (295, 14).

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ახალი მეტაფრასული ცხოვრების ავტორის ერთი ლიტერატურული ხერხი, რაც წყაროს ზოგიერთი დეტალის სხვა კონტექსტში გამოყენებაში მდგომარეობს. მაგალითად, წყაროში ხაზგასმულია, რომ „ფრიადი ნადირი არს ამათ უდაბნოთა შინა, ირემი და გარეთხაჲ და სხუათა ნადირთა თჳთო სახეთა სიმრავლე ურიცხუ“ (გვ. 163). ეს შენიშნულია ქახეთის სამთავროდან წამოსულ მონადირეთა მიერ დავითის მასპინძლობებული ირმების ხილვის ეპიზოდთან დაკავშირებით. ჩვენს თხზულებაში ეს ფრაზა თითქმის ზუსტად არის გამოყენებული, მაგრამ სხვა სიტუაციაში, გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე წყაროში — დავითისადმი ღმრთის მიერ მასპინძლობებლად მოვლენილი ირმების პირველად გამოჩენის დროს. ალბათ, ასეთი შენიშვნის უფრო ადრე გაკეთება, ვიდრე ეს წყაროშია, ჩვენი თხზულების ავტორს იმიტომ დასჭირდა, რომ ირმების ასეთი უეცარი გამოჩენა მკითხველისათვის უფრო დამაჯერებელი იყოს.

ასეთივე გადაადგილების მეორე მაგალითს ჩვენ ძეგლში გაცილებით მეტი ეფექტი აქვს, ვიდრე წყაროს ჩვენებას. ძველ მეტაფრასულ ცხოვრებაში ირმების მოვლინების შემდეგ ლაპარაკია ვეშაპზე, რომელიც დავითისა და ლუკიანეს სადგომის მოშორებით, ქვევით ქვაბში ცხოვრობდა; მოცემულია ვეშაპის საშინელი შესახედაობის აღწერა. შემდეგ კი იწყება თხრობა იმის შესახებ, თუ როგორ მოსტაცა მან ერთი ნუკრი წმინდანებთან მომავალ ირმებს და როგორი შეძრწუნებულნი შემოცვივდენ ისინი დავითის ქვაბში. დავითი მიდის ირმების „მავნებელთა“ მოსაძებნად და ქვაბში იხილავს ვეშაპს.

ეს ადგილი ორიგინალურად აქვს გაკეთებული ძეგლის ავტორს. ირემთა მოვლინების ეპიზოდის დამთავრებისთანავე იწყება თხრობა იმის შესახებ, რომ დამფრთხალი ირმები მოცვივდნენ ბერებთან და მათ ერთი ნუკრი აკლდათ. დავითი მიჰყვება ირემთა ნაკვალევს იმის გასარკვევად, თუ რა მოხდა. ჯერჯერობით მკითხველისათვისაც საქმის ვითარება გაურკვეველია, მან არ იცის ვეშაპის არსებობა. განსხვავებით წყაროსაგან, ვეშაპის გამოჩენა მოულოდნელად ხდება: უეცრად კლდის ნაპრალებში დავითმა იხილა ვეშაპი, რომლის არსებობა მან არ იცოდა. აქ გაცილებით ეფექტურია ვეშაპის საშინელი შესახედაობის ისეთივე აღწერა, როგორიც წყაროში მოჰმედება — სიტუაციისაგან დამოუკიდებლად გვქონდა. ფაქტიურად ჩვენს თხზულებას გამოუტოვებია წყაროს ზემოაღნიშნული ადგილი არა მექანიკურად, არამედ შეგნებულად, კომპოზიციური თვალსაზრისით, ხოლო გამოტოვებული ადგილის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მასალა, რაც ვეშაპის აღწერას შეეხება, მაინც გამოყენებული აქვს მისი ხილვის ეპიზოდში.

აღსანიშნავია გვიანდელი მეტაფრასული ცხოვრების ავტორის ერთი მეთოდი, რაც წყაროს ლექსიკის სინონიმებით, ან შინაარსობრივად ახლო მდგომი სიტყვებით შეცვლაში გამოიხატება. მიზანი ასეთი შენაცვლებისა, როგორც ჩანს, წყაროს ფრაზეოლოგიის ზუსტი განმეორების თავიდან აცილებაში მდგომარეობს:

მეტაფრასული ცხოვრება

„...დაეცა პირსა ზედა თკსსა და მდებარე იყო ვითარცა მკუდარი“ (160, 31).

„მეყსეულად ცით შთამოტევებული მეხი ეცა ვეშაპსა მას და აღანთო იგი“ (161, 17).

„...რომელსა ჟამსა განიკურნა ძე იგი“ (172, 23).

„...შთასხნა იგინი ეკლოგიად მალაკსა შინა თკსსა“... (179, 26).

„...უკუეთუ არა სრულ ჰყო სიტყუაჲ, ჩემი და არა წარხვდე ამიერ, ამით კუერთხითა და ჯუარითა ქრისტესითა განვხეთქო მუცელი შენი“ (159, 35).

გვიანდელი თხზულება

„...დაეცა პირსა ზედა თკსსა შეშინებული და იდვა ვითარცა უსულო“ (295,31).

„გარდამოვარდა ზეცით შთამოტევებული ცეცხლი და მეყსეულად აღწვა ვეშაპი იგი“ (296, 3).

„რომელსა ჟამსა უმოღხინეს იქმნა ესრეთ“ (303,10).

„შთაისხნა იგინი გურძაკთა შინა სიხარულითა“ (306,3).

„უკეთუ არა მერჩდე, განვაპო მუცელი შენი ჯუარითა ამით კვერთხითურთ“... (295, 22).

არ შეიძლება აღუნიშნველად დავტოვოთ ჩვენი თხზულების ისეთი მხატვრული შედარებები, რომლებიც პარალელს ვერ პოულობენ წყაროში და, საფიქრებელია, ავტორის ორიგინალური შემოქმედების ნაყოფი უნდა იყოს.

1. დავითის მთელი ღამის განმავლობაში განუწყვეტელი ლოცვა ასეთი მხატვრული სახეებითაა გადმოცემული: „ოდესმე დაუტევის (დავითმა—ე. გ.) მზე ზურგით კერძო დასავალთა და არა მიდრკის ზედგომისაგან და ლოცვისა და მსგავსად ნილოსისა გარდამომდინარეთა ცრემლთა ვედრებასა შინა ღმრთისასა ყოფად ნებისა მისისა და მიმთხვევად აღთქმულთა მათ კეთილთა საუკუნოსა ცხოვრებისა და ყოველის სოფლისა მშვიდობისათჳს და განძლიერებისა ქრისტეს სჯულისა და მცნებისა, ვიდრემდის აღმოჴდის კვალად მზე პირისპირ მისსა აღმოსავლეთ და ესრეთ შემდგომად მცირედ განისვენის“ (293, 21).

2. დავითის სწავლა-დარიგებანი შედარებულია ცხოველ წყაროს, რომელსაც სულიერ სწავლას მოწყურებული წმიდა ძმები ხარბად ეწაფებიან:

„მოიხილნა ყოველნი, ყოველი სწავლა სულიერი და ღმერთ-მყოფელი აუწყა და განამტკიცნა ყოველით კერძოვე და სუეს წყურიელთა წყარო წყლისა მის ცხოველისა, რომელი დიოდა ვითარცა პირისაგან მის ღირსისა და ვითარცა აღვსებულ იყო სულითა წმიდისათა სიყრმითგანვე ღირსი ესე ქებისა წმიდა დავით“ (308, 18).

თხზულების სხვა ადგილებზე რომ არაჟერი ვთქვათ, ილუსტრირებული შედარებები ადასტურებენ ავტორის ლიტერატურულ გემოვნებასა და გაწაფულობას.

მოკლედ შევეხოთ განსახილველ თხზულებაში შემჩნეულ ისეთ ზედმეტსა და განსხვავებულ ადგილებს, რომელთა შემოტანა ძეგლში ავტორის მიერ გარეჯის უდაბნოში მოღვაწეობის დროს საკუთარი დაკვირვებების შედეგი უნდა იყოს. ქვემოთ მოტანილ ხაზგასმულ ადგილებს წყაროში პარალელი არ ეძებნებათ: „...გამოვიდა და წარვიდა სამხრით კერძო წვერსა მის მთისასა, სადა აწ არს ლავრა დიდი გამოკვეთილი“ (295, 27).

„აღვედ რჩასა იმას... რომელსა ეწოდა ვიდრე დღეინდელად დღემდე დოდორჩა, რომელი ახლავს წმიდასა დავითს პირისპირ ფარსახ ერთ“ (299,30).

ძველ მეტაფრასულ ცხოვრებაში დავითის მიერ იერუსალიმიდან მოტანილი წმინდა ჭვის შესახებ აღნიშნულია: „ესე ჭვაჲ მდებარე არს უდაბნოსა ამას ვიდრე აქამომდე...“ (182, 25). ახალი მეტაფრასული ცხოვრების ავტორი კრიტიკულად უდგება წყაროს ჩვენებას და, რადგანაც მის დროს ეს ჭვა გარეჯში აღარ იპოვება, აღუნიშვნელად არ ტოვებს ამ ფაქტს: „...ჭვისა მის, რომელი იყო მონასტერსა მისსა ჟამ რამოდენიმე და ვითარებათაგან მღელვარისა ამის სოფლისათა უჩინოქმნა“ (308,2).

დავით გარეჯელის ძველ მეტაფრასულ ცხოვრებაში გარეჯის მკვიდრთა გამრავლების ფაქტი მოკლედ არის გადმოცემული: „ხოლო წარჴდეს რაჲ, ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე და სიმრავლე ფრიადი შემოკრებოდა ძმათა“ (გვ. 175, 34). ამის შესაბამისი ადგილი ახალ მეტაფრასულ ცხოვრებაში ერთიათად

ერცელია. ჩვენ აქ მხოლოდ დასაწყის ნაწილს მოვიტანთ, რომელშიც უნდა იგულისხმებოდეს ავტორის მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალი, გარეჯის უდაბნოს დარბევისა და მორწმუნე ბერების ამოჟლეტის ამბები. შესაძლებელია, ავტორი აქ უფრო ძველ ამბებსაც გულისხმობდეს, რომელიც მას სხვადასხვა წერილობითი წყაროებითა და გადმოცემებითაც ეცოდინებოდა: „ხოლო მიერ დღითგან უმეტეს განჴდა ჴმაჲ ღირსისა ამის მამისაჲ ყოველსა ქუეყანასა ქართლისასა და შემოკრბებოდეს სიმრავლე დიდძალი, ვიდრეცა ვერღარა იტეოდეს უდაბნონი ესე. პირველ მკეცთა სადგურნი აღივსო ღირსთა და სათნოთა კაცთა მიერ ანგელოზებრივითა მოქალაქეობითა. და რამეთუ უმრავლესი მათი უკანასკნელ წამებისა მიერ სრულ იქმნეს და ორკეცად გჳრგჳნოსან იქმნეს მოღუაწებისა სარბიელითა და სისხლთა დათხევითა, რამეთუ აღსავსე არიან უდაბნოთა ამათ ნაპრალნი ნაწილთა მათ სანატრელთანი..." (304, 10).

დასკვნები

ძეგლზე ჩატარებული დაკვირვებანი შეიძლება ასე შევაჯამოთ:

დავით გარეჯელის ახალი მეტაფრასული ცხოვრება დაუწერია ქართულ საეკლესიო მწერლობაში ცნობილ მოღვაწეს რომანოზ მიტროპოლიტს 1737 — — 40 წწ. საფიქრებელია, რომ ეს თხზულება დაწერილია მისი თბილისში ყოფნის დროს.

ავტორს ძრითადად უსარგებლია დავით გარეჯელის ძველი მეტაფრასული ცხოვრებით, რაც აღნიშნულია კიდეც ავტორისეულ ანდერძში და რასაც ადასტურებს ამ ორი ძეგლის ტექსტობრივი შესწავლა.

ამ ძირითადი წყაროს გადამუშავების რაიმე ერთი გარკვეული მეთოდი არ ჩანს, მაგრამ მოკლედ მაინც შეიძლება გაირკვეს ავტორის მიერ გამოყენებული ლიტერატურული ხერხები:

ახალი ცხოვრება ძველთან მიმართებით შედარებით მოკლეა. შემოკლება გამოიწვია წყაროს გრძელი ლოცვებისა და ვრცელი დიალოგების შეკვეცამ, რისთვისაც ძირითადად პარაფრაზია გამოყენებული, ზოგიერთი გაჭიანურებული თხრობა სრულებით ამოღებულია და ერთ წინადადებაში შეჯამებული სახითაა გადმოცემული. დასტურდება საწინააღმდეგო მეთოდიც: ზოგიერთი დეტალის დამატება და გავრცობა.

გარდა აღნიშნული ძირითადი წყაროსა, ახალ თხზულებას უსარგებლია შიო მღვიმელის მეტაფრასული ცხოვრებით, დიდო გარეჯელის სეინაჭსარული ცხოვრებით, მათეს სახარების მეექვსე თავის სამი მუხლით და, შესაძლებელია, იოვანე ზედაზნელის სეინაჭსარული ცხოვრებითაც. თხზულებაში შეტანილია ავტორისეული უშუალო დაკვირვებანი მისი დავით გარეჯის მონასტერში მოღვაწეობის დროს.

თხზულება (მიუხედავად იმისა, რომ იგი XVIII ს. ძეგლია) იჩენს აშკარა მიდრეკილებას ენის არქაულობისაკენ. მიუხედავად ავტორის ცდისა, დაიცვას არქაული ენობრივი ნორმები და სტილი, ძეგლში საკმაო რაოდენობით იჩენს თავს არა მარტო ახალი ქართული ენის ელემენტები, არამედ სასაუბრო ენის ფორმებიც. ორთოგრაფიულად ძეგლი ჭრელია, თუმცა უფრო ახალი ორთოგრაფიის მხარეზეა.

თხზულების შექმნის მიზეზი საძიებელია XVIII საუკუნის დასაწყისიდან დაწყებულ იმ ლიტერატურულ საქმიანობაში, რომელიც განსაკუთრებით საგრძნობლად შეეხო აგიოგრაფიასა და ლიტურგიკას და რომელიც მიზნად ისახავდა ნაციონალური მასალის შეკრებას სხვადასხვა კრებულებში და ამ დარგებში არსებული ხარვეზების შევსებას. ჩვენი თხზულებაც დომენტი კათალიკოზისა და ბესარიონ ორბელიშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის გამოძახილი უნდა იყოს.

Э. П. ГАБИДЗАШВИЛИ

РОМАНОЗ ЭРИСТАВИ И ЕГО НЕИЗВЕСТНОЕ СОЧИНЕНИЕ

(Резюме)

Рукопись Центрального государственного исторического архива Грузии № 252 (Ф. 1446), 1-ой половины XVIII века, содержит Житие Давида из Гареджи, в достаточной мере отличающееся от хорошо известных древних редакций жития вышеназванного подвижника. Однако, доселе сочинение это замечено не было. Из колофона рукописи видно, что оно написано митрополитом Романозом Эристави, церковным деятелем, известным в грузинской литературе XVIII века.

О его личности мало что известно. По сведениям, содержащимся в архивных материалах и в приписках рукописей, главные моменты биографии Романоза Эристави таковы:

Романоз принадлежит к знаменитой фамилии Эриставов Арагви. Он являлся сыном Георгия Эристави и братом Анны, супруги царевича Бакара. В 1710 г. он постригся в монахи в пустыне Гареджи и подвизничал там 12 лет. В 1722—1727 годах он находился в Москве, в Донском монастыре. В 1728 году Романоз возвращается в Грузию; он не смог вернуться в Гареджийский монастырь из-за нашествия лезгинов; поэтому он продолжал деятельность в своем митрополитском доме в Тбилиси. Однако, и здесь было беспокойно из-за нашествия персов (имевшего место около 1737 года), и он бежал в Имеретию, где жил 8 месяцев, а затем начал приготовления к отъезду в Москву. В 1741—42 годах он продолжает свою деятельность в Москве, здесь же в 1745 г. он написал свое сочинение „წინწილა ღაღადებისა".

После этого его имя почти нигде не упоминается. Известно лишь, что он опять возвратился в Гареджу, здесь же он и скончался. Доселе неизвестны даты его отъезда из России и кончины.

В грузинской научной литературе он известен лишь как автор „წინწილა ღაღადებისა". По нашему мнению, его перу должно принадлежать и синаксарное житие Додо из Гареджи, внесенное в 1726 году в синаксарный сборник (А—220), а также вышеназванное неизвестное житие Давида из Гареджи, написанное, по всей вероятности, в 1737—40 годах.

Основным источником, которым пользовался автор, является древнее (XII в.) метафрастическое житие Давида из Гареджи, о чем он говорит в колофоне сочинения. Факт этот подтверждается и текстологическим изучением этих сочинений.

Новое житие (по сравнению с первоисточником) меньше по объему. Сокращение достигнуто путем удаления длинных диалогов и молитв древнего метафрастического жития; для этого использован в основном парафраз, вместо механического сокращения. Содержание некоторых

эпизодов, довольно пространных в первоисточнике, передано несколькими предложениями. Однако, замечаются также и противоположные по своему характеру явления: некоторые детали добавлены, эпизоды расширены. Автор, кроме основного источника, пользуется метафрастическим житием Шио Мгвимского, синаксарным житием Додо из Гареджи, отдельными стихами VI главы Евангелия от Матфея и, возможно, синаксарным житием Иоанна Зедазнели.

Сочинение является поздним, но его язык, хотя в нем и встречаются, причем в количестве достаточном, формы разговорного языка, свойственные ново-грузинскому языку, показывает тяготение к архаичности. Орфография сочинения ближе к новой.

Создание подобного сочинения обусловлено литературной деятельностью, развернувшейся в начале XVIII века и коснувшейся, главным образом, агиографии и литургики; целью подобной деятельности было в первую очередь собирание национального материала, имевшегося в разных сборниках, и восполнение существующих пробелов. Вышеназванная новая редакция жития Давида из Гареджи должно быть, отголосок литературной деятельности католикосов Доментия и Виссариона Орбелишвили.

მიხეილ ქავთარია

XVIII საუკ. ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან

მარიამ-მაკრინა ბაგრატიონის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობა

„საქრისტიანო ჰიმნოგრაფიის ისტორიამ მხოლოდ ერთი შემთხვევა იცის ქალის მონაწილეობისა მწერლობის ამ დარგში. ეს არის მეცხრე საუკუნის გამოჩენილი ბიზანტიელი მწერალი ქალი კასია ან იკასი... მეორე მაგალითს ქალის ჰიმნოგრაფიული მუშაობისას იძლევა ჩვენი მაკრინე"[1].

გასაგებია ის ინტერესი, რაც ჩვენმა მკვლევრებმა გამოიჩინეს მარიამ-მაკრინა ბაგრატიონის ცხოვრება-მოღვაწეობის მიმართ. თეიმურაზ ბატონიშვილმა[2], პლატონ იოსელიანმა[3], თედო ჟორდანიამ, ალექსანდრე ხახანაშვილმა[4], მოსე ჯანაშვილმა[5], კორნელი კეკელიძემ, ლევან ასათიანმა[6], ლევან მენაბდემ[7], ენრიკო გაბიძაშვილმა[8] და სხვებმა მაკრინას შემოქმედების მრავალი საკითხი გაარკვიეს.

მარიამ-მაკრინა ბაგრატიონი ერეკლე I ნაზარალიხანის ასულია. ერეკლე პირველის ოჯახის წევრებმა ქართული კულტურის ისტორიაში გარკვეული წვლილი შეიტანეს. ერეკლე პირველს ჩვენი ისტორიკოსები დიდი სიმპათიით არ იხსენიებენ. პირიქით, ამბობენ, რომ იგი იყო „ქართლისა და წესთა საქართველოსათა უცნობელი და მეფობასა გამოუცდელი", რომ მის დროს იყო „რბევა კახეთისა ლეკთა", რომ „შემოხდა უმეტეს პირველისა ქცევა და ზნენი ყიზილბაშთა და დაუტევებდნენ ქართულთა. იწყეს კეკლუცობა, განცხრომა, მათებრ სმა-ჭამა, სიბილწე, ტყვის ყიდვა, მრუშება, ვიდრე სოდომიამდე, რამეთუ პატივისათჳს და როჭთათჳს იქმნებოდიან მაჰმადიან და მიიღებდიან უეენისაგან როჭიკსა"[9]. მიუხედავად ამისა, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს,

---

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, მეთვრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, გვ. 246 — 7. ქვემოთ უეულგან ეტიუდები, IV.

[2] თეიმურაზ ბატონიშვილის წერილი მარი ბროსესადმი დაცულია ლენინგრადში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, ხელნაწერი E — 156. ნაწყვეტი გამოქვეყნებული აქვს ტრ. რუხაძეს წიგნში „ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან", 1954, გვ. 150. სქოლიო.

[3] П. И о с е л и а н и, Род князей Чолокаевых и мученик св. Бидзина Чолокаев, 1866 г.

[4] Очерки по истории груз. словесности, т. II.

[5] მაკრინე ბატონიშვილი, გაზ. „სახალხო გაზეთი", 1913, № 868; მგოსანი მეფე დავითი და მისი დაი მაკრინა, გაზ. „საქართველო", 1919, № 94, 95.

[6] ძველი საქართველოს პოეტი ქალები, პირველი გამოცემა, 1936; მეორე გამოცემა, 1949.

[7] ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკეთი პირველი, 1962.

[8] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, 1968.

[9] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, 1913, გვ. 93, 198, 199.

ერეკლესა და მისი ოჯახის წევრებს მაინც გარკვეული წვლილი შეუტანიათ ჩვენი კულტურისა და მწიგნობრობის ისტორიაში.

სამწუხაროდ, წყაროების სიმცირის გამო, არ ვიცით ერეკლე პირველის ოჯახური ამბები, ამიტომ ძნელია იმის ზუსტად დადგენაც კი, თუ როდის დაიბადა მაკრინა, რომელი დის ან ძმის მომდევნო იყო და სხვ.

ერეკლე I თეიმურაზ პირველის შვილიშვილი იყო, იგი ქართლის სამეფოს განაგებდა 1688 — 1703 წლებში, 1703 წლიდან კი მას უბრძანეს კახეთიც, სადაც მეფედ მისი ძე დავითი დაჯდა. თვით კი გაემგზავრა სპარსეთს და იქ გარდაიცვალა 1709 წელს.

ერეკლე პირველს ჰყავდა რამდენიმე შვილი, ზოგი ხარჭისაგან და ზოგიც კანონიერი მეუღლის ანა ჩოლოყაშვილისაგან. ანა თავისი დროისათვის განათლებული ქალი ყოფილა. იგი აქტიურად ერეოდა როგორც საერო, ასევე საეკლესიო ცხოვრების საკმეებში. ანტონ კათალიკოსის ცნობით, მას უშუალო მონაწილეობა მიუღია ქართული საეკლესიო კალენდრის რეფორმაში. ანტონი წერს „მპყრობელობასა კახეთს დედის დედისა ჩემისასა, დედოფლისა ანნასასა, დადუეს ეპისკოპოსთა ვიეთმე და მღვდელთა ღუაწლი წმიდისა ქეთევანისა ჴსენებად 13 სექტემბერსა“ ნაცვლად 1 მარტისა[10]. მწიგნობრობისადმი სიყვარული ანას შვილებისათვის ჩაუნერგავს. ამის საუკეთესო დადასტურებაა თეიმურაზ II-ისა და მაკრინას შემოქმედება და საქმიანობა.

არსებობს მოსაზრება, რომ ანამ იმოგზაურა იერუსალიმში წმინდა ადგილების მოსალოცად. ამ ფაქტზე პირველად მიუთითა პლ. იოსელიანმა[11] და მ. ბროსემ[12]. ქ. კეკელიძემ, მართალია, საეჭვოდ მიიჩნია ეს მოსაზრება, მაგრამ მაინც იყარაუდა ანას მოგზაურობის შესაძლო ქრონოლოგიური ჩარჩოები — 1696 — 1703 წ[13]. ქ. კეკელიძის ეჭვი, ჩვენი აზრით, სავსებით სამართლიანია, რადგანაც პლ. იოსელიანი და მარი ბროსე ეყრდნობიან საბუთს (Hd — 1430), რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ გამოაქვეყნა დ. მეგრელაძემ[14] და რომელიც, ვფიქრობთ, ანა დედოფალს არ ეხება[15]. ვიმოწმებთ სათანადო ადგილს: „აწე იუწყენით ესეცა — სწერს დავით იმამყულიხანი უსეინყულიხანს, ვახტანგ VI — ჩვენს მიერ წარმოთხრობილნი თქუენც მოგხსენებიათ და იცნობთ და იცით, რომ მონაზონი ბატონი ანნა, როგორად სიმცროთგან ღუთის მსახურებაზედ აღზრდილა და იქცევა და თავისი თავი ღუთისათვის შეუწირავს, მწვედ პატიოსანი და კეთილად მქცევი ბატონი დედაკაცია. მაშინ, რომე ბატონი მამაჩვენი მანდ ბრძანდებოდა, თან ახლდა. მწვედ მწყალობელი და ყურის მომგდები ბრძანებულა. ასრე მაშინაც იერუსალიმს წასულა მოუნდომა. ბატონს მწვედ დაეშალა და არ ნდომოდა გაშვება, მაგრამ არ დაეშალა წასვლა. წასულიყო, ბატონს მანდ, თქუენის ქალაქიდამე, მოქალაქე ბეჭდები გაეტანებინა თანა. ბელადებს კარგად და უმიზეზიანოდ იერუსალიმს მიეყუანათ:

---

10 S — 1464, შდრ. ქ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, IV, გვ. 183.

11 Род князей Чолокаевых, 1866, стр. 10.

12 Histoire de la Géorgie. II P. Additions XIV. St.-Pétersbourg. 1857. g. 408.

13 ქ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ეტიუდები, ტ. IV, გვ. 230.

14 დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, მასალები XVIII ს. ოციანი წლების ქართლ-კახეთის ისტორიისათვის, დაბეჭდილია კრებულში: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის,. ნაკეთი 33. 1960, გვ. 173 — 175.

15 დასახელებულ წერილში დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე ც ამავე აზრს გამოთქვამს.

.კარგად ხანი იერუსალიმს ყოფილიყო. ახლა იმთავითვე შენდობით აქავე საქართველოებში მოსულა.

აქანამდის აქ ბრძანდებოდა. ახლა ისევ დაგვეთხოვა. მწუედ გვეწყინა და დაუშალეთ, რომე ჩვენთვისაც მწუედ დასაკლისად დავინახეთ და ჩვენს ქვეყანასაც დიდად დააკლდება, რომე ერთი ამ რიგი სიკეთის მქონებელი არაეინ დარჩომოდა. რადგან დიდი აღთქმა ქონოდა, ჩვენგან აღარ დაიშალა, წამოვიდა. ამანაც თქუენ მოგმართათ და ჩვენ შემოგვედრეთ, რომე თქვენნი მოქალაქენი ვაჭარნი ბევრნი იარებიან იმ ალაგებშია, ამდენი წუალობა უყავით ამას და ჩვენის გულისათვისაც მოიწადინეთ, რომე ერთი ბრიანს კაცს გაატანოთ და იქ მოარულს, რომე ღუთისა შეწუევნით უმიზეზოდ იმ ალაგებში მიიყუანონ"....

ერთი შეხედვით, ამ წერილში მოხსენებული ანა მართლაც შეიძლება კაცმა ანა დედოფლად მიიჩნიოს, თითქოს ამას მიანიშნებს კახეთის მეფის მოკრძალებული ტონი, შუამდგომლობა-რეკომენდაცია ქართლის სუვერენთან, თვით „ბატონ ანას" საქმიანობის დახასიათება ერეკლე I-ის დროს, მაგრამ არის ერთი და გადამწუეტი მნიშვნელობის მქონე წინააღმდეგობა. კახეთის დედოფალი ანა გარდაიცვალა, ვახუშტის ცნობით, 1716 წლის 14 აპრილს[16]. ვახტანგი კი უსეინყულიხანის სახელით ქართლს 1719 წლიდან განაგებდა. მაშასადამე, კახეთის მეფეს დავითს უსეინყულიხანისათვის საკუთარი დედის შესახებ რეკომენდაციის გამოთხოვა არ შეეძლო[17]. ამიტომ სავარაუდოა, საბუთში მოხსენებული ანა სხვა ანაა და არა ერეკლე პირველის მეუღლე, როგორც ეს შეცდომით ივარაუდეს პლ. იოსელიანმა და მარი ბროსემ[18].

ერეკლე I ნაზარალიხანს რჯულიერი მეუღლისაგან და ხარჭებისაგან, კ. კეკელიძის დაკვირვებით, ჰყოლია შემდეგი შვილები: კონსტანტინე, დავითი, თეიმურაზი, რიზაყული-მირზა, მუსტაფა-მირზა, ისლამ-მირზა, ელენე, ხუარეშანი და მაკრინა[19]. ამათგან ანას შვილები იყვნენ: დავით, ელენე, თეიმურაზ, მაკრინა. თუ ვისგან ჰყავდა ერეკლეს რიზაყული-მირზა, მუსტაფა, ისლამ-მირზა არ ჩანს.

როგორც ისტორიული საბუთებიდან ჩანს, ერეკლე პირველს სხვა შვილებიც ჰყოლია: გიორგი, ანტონი, ქეთევანი, გურგასლანი.

გიორგი იხსენიება XVII ს. 90-იან წლების დოკუმენტებში (Ad — 86; 1696 წ., Hd — 6357; 1696 წ. Sd — 564). ერთ-ერთ საბუთში გიორგის შესახებ ეკითხულობთ: „ქ. ნებითა და შეწუევნითა მღთისითა, ჩვენ მეფეთ-მეფემან და თვით ჴელმწიფემან პატრონმან ნაზარალიხან და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალმან პატრონმან ანამ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან პატრონმან იმამყულიმ, და პატრონმან კონსტანტინემ, და პატრონმან გიორგიმ ესე ამიერით უკუნისამდე მოუშლელი წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქვენ სუფრაჯის ჯალაბს ქეთევანს, ასე რომე თქვენს შვილს ავთანდილს, ქაიხოსროს, ასე რომე ზემო წერაქვი ჩვენს შვილს გიორგის უბოძეთ და ჩვენ შვილს გიორგის თქვენ ზრდით, რადგან ის ყმაწვილი თქვენთან იყო, ისიც თქვენთვინ მოგვციია და მოგვიბარებია... რაც საჩენო გამოსაღები

16 ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, 1913, გვ. 205; თ. ქორდანია, ქრონიკები, III, გვ. 61. 369.

17 შდრ. დ. მეგრელაძის წერილი, გვ. 173.

18 მარი ბროსემ საბუთი უთარიღოდ გამოაქვეყნა.

19 ეტიუდები, IV. გვ. 232.

იყოს, თქვენ დახარჯეოდეთ მაგ ყმაწვილზე, ჩვენს მოხელეს იქ ჭელი ნუ აქვს, არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არც შემდგომთა სხვათა მეფეთაგან... აპრილის ი ვ, ქორონიკონს ტ ა დ"[20].

1697 წლის საბუთში[21] იხსენიება გურგასლან: „...ნაზარალიხან, თანამეცხედრემ ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან ანნამ და ძემან ჩვენმან სასურველმან პატრონმან იმანყულიმ, პატრონმან კონსტანდილემ და გ უ რ გ ა ს ლ ა ნ, ესე ამიერით გასათავებელი წიგნი გიბოძეთ..." შესაძლებელია ეს გურგასლანი და გიორგი ერთი და იგივე იყოს, რადგანაც სხვა საბუთში ჩვენ იგი ვერ დავადასტურეთ (არ ეგულისხმობთ Sd — 46, რომელიც პირია). თუმცა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ნაკლებად სავარაუდებელია ოფიციალურ სამეფო დოკუმენტში მეფისწულთა სახელების ალრევა.

მარი ბროსე თავის Rapport-ების 73-ე გვერდზე მიუთითებს, რომ ალავერდში წმ. იოსების საფლავის მახლობლად არის საფლავი შემდეგი ეპიტაფიით:

„ქრისტეს აქეთ ათას-შვიდას ათთვრამეტსა წელსა განვედით ჰორცთაგან და მივიცვალენით ხრწნილებისაგან უხრწნელებად ჩვენ, მეფეთ-მეფის ე რ ე კ ლ ე ს ა ს უ ლ ი და დ ე დ ო ფ ა ლ თ-დ ე დ ო ფ ლ ი ს ა ნ ნ ა მ ი ე რ შ ო ბ ი ლ ი, თანა-მეცხედრე ანდრონიკაშვილისა, ქიზიყის მოურავის ძის აბელისა, ბატონის-შვილი ქ ე თ ე ვ ა ნ. დავიდეთ სამარხოსა ამას, საძვალესა მეფეთასა, მას ჟამს, ოდეს განაგებდა კვერთხსა მეფობისასა ძმა ჩვენი მეფე დავით, ქ-ქ-ს უვ (406)"[22].

სხვა ცნობა ამ ქეთევანის შესახებ ჩვენ არ გვაქვს. სავარაუდოა, ამავე წყაროს ეყრდნობოდა შ. ჯანაშვილი, როცა იგი ქეთევანს ერეკლეს შვილად მიიჩნევდა, თუმცა მას წყარო გამოკვლევაში არ მიუთითებია[23].

ანტონი იხსენიება 1690 წლის 27 აგვისტოს ერთადერთი დოკუმენტის (Qd — 2150) ასლში. ამ საბუთში ანტონი დასახელებულია პირველად, ე. ი. იგი ივარაუდება უფროსად. დაბეჭდითებით რაიმეს თქმა ძნელია.

დასახელებული პირების დაბადების თარიღის შესახებ თითქმის არაფრის თქმა არ შეგვიძლია. ძნელია ზუსტად მათი უფროს-უმცროსობის დადგენაც. მაგალითისათვის საინტერესოა შემდეგი ფაქტი: დოკუმენტებში, როგორც წესი (თითქმის არ არის არც ერთი გამონაკლისი), მოცემულია ასეთი რიგი: „ძემან ჩემან იმანყული და კონსტანტილე" და ა. შ. საბუთების ეს ტრადიცია მიგვანიშნებს, რომ უფროსი იყო იმანყული და მომდევნო კოსტანტინე[24]. ამას ისიც უჭერს მხარს, რომ კახეთის მეფედ ჯერ დავითი იყო და შემდეგ კოსტანტინე. მაგრამ ამას ეწინააღმდეგება თვით დავითის ცნობა, რომელიც ღვთაების გუჯარშია[25]: კოსტანტინეს შესახებ იგი წერს: „ირანის ტახტის გამგებელად დგენილმან, ბრძენ ფილასოფოსმან, მკნემ, აჴოვანმან, ირანის მდივანბეგ-

---

20 Hd — 6357.

21 Hd — 2521.

22 თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, III, გვ. 69.

23 შ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, „მეფისანი მეფე დავითი და მისი დაი მაკრინა, გაზ. „საქართველო", 1919, № 94, შდრ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, IV, გვ. 232, სქოლიო.

24 Hd — 1913; Hd — 1253; Hd — 2593; Hd — 9690; Ad — 69 და ა. შ.

25 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X—XIX სს.) ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დ ო ლ ი ძ ე მ, თბ., 1965, გვ. 359.

მან, და თვალუხვავად მსაჯულმან, უხუცესმან ძმამან ჩემმან კოსტანტინე მაჰმად-ყულიხან"... მაშასადამე, ამ ცნობით კოსტანტინე უფროსად გამოდის. ერთი სიტყვით, ცნობების შეთავსება ჭირს.

მარიამ-მაკრინა დაბადებული უნდა იყოს 1697 — 1698 წლებში[26]. იგი ადრე გაუთხოვებიათ ნიკოლოზ ალავერდელის ძმისწულზე — ედიშერ ჩოლოყაშვილზე. 1714 წელს მარიამი თავის მეუღლესთან ერთად იხსენიება ხელნაწერ A — 366-ის ანდერძში[27].

მარიამი სულ მალე დაქვრივებულა. იგი გულისტკივილით წერს: „სოფლისა ამის პირუკუმარიტობა და მიმოქცეულობა ჩემზედაც მოიწია და საწუთოსა ამის შვება მწრაფლ გამოქარდა, და მეუღლე ჩემი, ძმისწული ამის სანატრელისა ამბა ალავერდელისა ნიკოლოზის, კახეთის სალთხუცესის ედიშერ ქვეყნისა ჩვენისა აღმოჯრებელთა უსჯულოთა და ხენეშთა ლეკთა მიერ წყობასა შინა აღსრულდა და დავშთი სოფლისა ამის მწყუდიადსა შინა კელმოკლებით მარადის მორუდუნე ჴმით სულთქმისათა"[28]...

ედიშერ ჩოლოყაშვილი უნდა დაღუპულიყო 1716 წლამდე, რადგანაც ამ წელს გადაწერილ ხელნაწერთა ანდერძებში (A — 379 და A — 380) იგი მიცვალებულად მოიხსენიება. მაშასადამე, ედიშერ ჩოლოყაშვილი 1714 — 1716 წწ. შორის მოუკლავთ. ქმრის გარდაცვალების უმალ მარიამი მონაზვნად აღკვეცილა — „არარა სხვა ნუგეშისცემა ვიძიე, გარნა ესე, რათამცა თავი ჩემი... ამის წმიდისა მოწამისდა შემეევდრებინა".

1716 წ. იგი უკვე მონაზონია, იწოდება მაკრინად და ენკრატისის პატივი აქვს[29]. ალავერდში, როგორც ჩანს, ენკრატისად კურთხევის ტრადიცია ყოფილა. კახთა მეფის ალექსანდრეს და (XVI ს.) ალავერდში ენკრატისი ყოფილა[30].

მაკრინას სახელი გვხვდება 1733, 1740[31], 1741 წლების დოკუმენტებში[32]. ამიტომ მოსაზრება, რომ მაკრინა 1732 წელს გარდაიცვალა[33], მართალი არაა. ჩვენი აზრით, მართებულად ვარაუდობს კ. კეკელიძე მაკრინას გარდაცვალებას 1744 წლის შემდგომ.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული აზრით, მაკრინა ბაგრატიონი მოღვაწეობდა და შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა ალავერდის მონასტერში[34].

---

[26] ქ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. IV, გვ. 232.

[27] Ф. Жордания, Описание, т. I, стр. 361.

[28] ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წიგნი V, გვ. 41.

[29] Ф. Жордания. Описание, т. I, стр. 366—367. პლ. იოსელიანის ცნობით, მარიამი მონაზვნობის სახელია, ხოლო მაკრინე — საერო. იხ. Род князей Чолокаевых, გვ. 10—13.

[30] ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, გამოც. ჩუბინოვისაგან 1854, გვ. 111. შდრ.: თორნიკე პაპუნია, მარიამის მიმოსვლის ძე. ქართული რედაქციები, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. I, გვ. 69 — 70.

[31] Ad — 329. აქ. ქიმიაშვილი, მასალები XV — XVIII სს. ქართლ-კახეთის საეროშოების ისტორიისათვის, დაბეჭდილია კრებულში: „რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი", 1964, გვ. 140 — 150. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტი გამოსცა, ანგარიშენები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, 1965, გვ. 395 — 396.

[32] ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, V, გვ. 46.

[33] თ. ჟორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 252.

[34] ალავერდის მონასტერი, როგორც დამოუკიდებელი სამწერლობო კერა, შეტანილი აქვს ღ. მენაბდეს თავის წიგნში „ძველი ქართული მწერლობის კერები", წ. I, გვ. 335 — 347.

„თავისი ცხოვრების მომდევნო წლები მარიამ-მაკრინამ ალავერდის მონასტერში გაატარა“[35]. „ქრისტეს სიკვდილის შემდეგ მარიამი, თავისი ძმის ნებართვით, მონაზვნად აღიკვეცა ალავერდიჲს მონასტერსი“[36] (ხაზი ჩვენია, მ. ქ.).

მკვლევართა ასეთი დაბეჯითებითი განცხადებისათვის საფუძველი ერთგვარად არსებობს.

თეიმურაზ პირველთან გამოგზავნილი რუსი ელჩები, არა ერთხელ ახსენებენ „Егорьевской монастырь Лаверды“[37].

თვით მაკრინა იოსებ ალავერდელის სვინაქსარულ ცხოვრებაში წერს: „მრავალგზის მიეცა ტყუენვასა ქვეყანა ესე და უსჯულოთა მიმართ სრულიად ოჴრებასა და უფროსღა მონასტერი ესე მრავალგზის სრულიადცა დაიპყრეს უსჯულოთა“[38]. საგალობელში (გალობა 9, ტროპარი 3) კი იგი წერს: „აღმაღლა და ადიდა ღმერთმან ტაძარი ესე ყოვლად დიდებულისა წმიდისა მოწამისა გიორგისა, რომელსა შინა მდებარე არს პატიოსანი ნაწილი შენი“.

თითქოსდა ასეთი ცნობების შემდეგ დასაეჭვებელი არაფერია, მაგრამ ალავერდის მონასტრის არსებობის საკითხი ჩვენთვის მაინც საეჭვოა. ჯერ ერთი, სად იყო მონასტერი და ვისი სახელობისა იყო, მეორეც — დედათა იყო თუ მამათა? ამ კითხვებს წყაროებში პასუხი არ ეძებნება.

ალავერდის, როგორც საკულტო დაწესებულების, ისტორია უკავშირდება იოსების სახელს, რომელიც სხვა ასურელ მამებთან ერთად მოსულა ჩვენში VI საუკ. მეორე ნახევარში. თითქოსდა სხვა ასურელი მამების ანალოგიით მასაც მონასტერი უნდა აეგო, თუმცაღა ასურელ მამათა ცხოვრებებში ეს ნათქვამი არაა. პირიქით, მის შესახებ ნათქვამია, რომ „ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან ეკლესიაჲ ალავერდისაჲ აღაშენა წოდებასა ზედა სახელგანთქმულისა მოწამისა გიორგისსა“... მეორე რედაქციაში იოანე ზედაზნელის ცხოვრებისაში ნათქვამია „ხოლო ამის ნეტარისა იოვანეს მოწაფეთაგანმან აღაშენა ალავერდი...“[39] როგორც ვხედავთ, აქ ნათქვამი არაა, რომ იოსებმა მაინც-დამაინც მონასტერი აღაშენა. პირიქით, აღნიშნავს ეკლესიის მშენებლობას, უფრო მეტიც, XVII ს. გასულის ჩათვლით არც ერთი ქართული დოკუმენტი არ მიუთითებს ალავერდის მონასტრის არსებობაზე (უბრალოდ არ ახსენებს ალავერდის მონასტერს), როგორც ეს ზ. ალექსიძისა და შ. ბურჯანაძის მიერ შედგენილი საძიებლებიდან ჩანს[40]. თ. ჟორდანიას, დ. ფურცელაძის,

---

35 ლ. მენაბდე, დასახელებული წიგნი, გვ. 344.

36 ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, თბილისი, 1963, გვ. 41.

37 Материалы по истории грузино-русских взаимоотношений (1615—1640), Документы к печати подготовил и предисловием снабдил М. Полиевктов, 1937, стр. 50, 256, 258.

38 შ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 218. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, ე. გაბიძაშვილის მიერ გამოცემული, 1968, გვ. 403 — 406.

39 ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლეულია და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, 1955, გვ. 67, 66.

40 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წიგნი I, 1964, გვ. 16 — 17.

ს. კაკაბაძის და სხვათა მიერ გამოქვეყნებულ XVIII ს. ალავერდულ საბუთებში არსად არ იხსენიება ალავერდი მონასტრად[41].

მაშასადამე, ალავერდის მონასტერი, ყოველ შემთხვევაში, კათედრალთან არ არსებულა. თუ დავუშვებთ, რომ არსებობდა ალავერდის მონასტერი, უნდა ისიც ვივარაუდოთ, რომ იგი იყო ქალთა სავანე, რაკი მარიამ-მაკრინა იქ მოღვაწეობდა. სხვა მონაზვნის სახელი ალავერდის მონასტრიდან ჩვენმა ისტორიამ არ იცის.

თითქოსდა ყველაზე მეტად ანგარიშგასაწევია რუსი ელჩების ცნობები, რომლებიც, როგორც წესი, ალავერდს მხოლოდ მონასტრად იხსენიებენ. მაგრამ, თუ მათ ცნობებშიც ღრმად ჩავიხედავთ, ვნახავთ, რომ ისინიც ტაძარს გულისხმობენ და არა მონასტერს. ერთ-ერთ ცნობაში ისინი აღწერენ წირვას: „служил поп Пахом. На крылосах стояли: на правом архиепископ Зеведей на левом митрополит Никифор...“ და ა. შ. აქ ნახსენები ზებედე არის ალავერდელი ზებედე, რომელიც ელჩებს მასპინძლობდა და თავის კათედრალში, ალავერდში ესწრებოდა წირვას. თუ მაინც ვიგულისხმებთ არა კათედრალს, არამედ მონასტერს, მაშინ იგი ყოფილა მამათა, სადაც ყოველად შეუძლებელია მაკრინას ცხოვრება და მოღვაწეობა ვივარაუდოთ[42].

მაშასადამე, ალავერდში, წმ. გიორგის სახ. კათედრალთან არავითარი მონასტერი არ არსებობდა, არც დედათა და არც მამათა. მაშ სად მოღვაწეობდა მაკრინა?

მაკრინას სახელით ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე ხელნაწერი და ისტორიული საბუთი. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ შეწირულების წიგნი. იგი 1724 წლით თარიღდება. საბუთი გამოქვეყნებულია ს. კაკაბაძის მიერ და თავისთავად მეტად საინტერესო დოკუმენტია.

ამ დოკუმენტში მაკრინა გადმოგვცემს თავისი ბიოგრაფიიდან მომენტებს და წერს: „...არარა სხვა ნუგეშისცემა ვიძიე, გარნა ესე, რათამცა თავი ჩემი და მეუღლის ჩემისა გვამი, რომელი ქრისტეს სარწმუნოებისათჳს იღწვოდა და სისხლი თჳსი ქრისტეს მბრძოლთაგან დასთხია, ტაძარსა ამას დიდებულსა დამედვა და თავი ჩემი ამას წმიდისა მოწამისდა შემევედრებინა. ვინადგან სამარხო მეფეთა და პაპათა ჩემთა იყო, აქა აღვირჩიე მკვიდრობა, და კახეთის მპყრობელსა ძმასა ჩემსა მეფეს დავითს, რომელი იგი იპყრობდა მას ჟამსა ქვეყანასა თჳისსა, შეურდი და ვევედრე, რათამცა ერთი მცირე ეკვდარი მოუბოძნეს, რათა სამარხოდ ჩვენდა მომეღო და მან ჩემდამი კეთილითა გონებითა და მტკიცენეულითა გულითა აღძრულმან, ვინადგან მსახურებასა შინა მისსა აღსრულებულიყო შეუღლე ჩემი, მიბოძა ტაძარი წმიდისა მღვდელთმოძღვრისა ნიკოლოზისა ალავერდს. და დავსდევ ტაძარსა მას შინა და მეცა მიერიდგან სამკვიდრებელად ჩემდა აღვირჩიე ადგილი იგი და ნუგეშინის საცემლად მაქვნდა მსახურება დიდებულისა მოწა-

---

41 თ. ჟორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრის საბუთები, 1903; Д. Пурцеладзе. Грузинские церковные гуджары. ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წიგნი IV — V, 1913.

42 მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრების მე-18 კანონი სპეციალურად კრძალავს „არა ჴერ-არს დედათა ქცევაჲ საეპისკოპოსოსა შინა, გინა სამამაცოთა მონასტერთა შინა“. А — 76, 169 ვ. ეს მოთხოვნა ყოველთვის მკაცრად იყო დაცული.

მისა გიორგისა. და მკვიდრობა ტაძარსა მას შინა და მიერ დღიდგან გულსა დამედვა..."[43]. და სხვ.

ამ ამონაწერიდან ცხადია, რომ მაკრინა მონასტერში კი არ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, არამედ ალავერდის წმ. გიორგის სახელობის კათედრალთან მიუჩინეს მას წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის ერთ-ერთი ეკვდერი, ბინა და სალოცავი. ამიტომ იწოდება იგი ენკრატისად, რაც შეწირულს გულისხმობს. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ალავერდის ეპარქიას ამ დროს განაგებდა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, რომელიც მაკრინას მეუღლის, ედიშერ ჩოლოყაშვილის, ალალი ბიძა (მამის ძმა) იყო.

მაკრინას მთელი თავისი კუთვნილი ქონება შეუწირავს ალავერდის კათედრალისათვის. სათანადო დოკუმენტებში ვკითხულობთ: „კნინი ძღვენი მიუძღვანე: უტოს ერთი საკვამლო, ბულულაშვილის ნასახლები მამული ორად გაყოფილი, ორის ვენაკით, მისის საჴნავით და უჴნავით, მთით, ბარით და მისის სამართლიანის განმსაზღვრებითა, რომელ ძმისა ჩემისა კახეთის მჴურობლის მეფის დავითის მიერ ჴზითვად მომებოძნეს ძველადგანვე,... ვინადგან ძე არ მესვა და მამულს შემკვიდრე შვილი არა მყვანდა, აღვიღე და წმიდას გიორგის ალავერდს, შეფეთა სამარხოსა და ჩვენსა სამყოფსა, შემოგწირე და მოგიძღვანე მცირე ესე შესაწირავი"[44]. ამავე დროს, მაკრინა ღვთისმსახურებისათვის საჭირო ინვენტარის გაახლება-შეძენასაც ეწეოდა, როგორც ეს ამავე საბუთიდან ჩანს.

მაკრინას ჰყოლია ერთი ქალიშვილი, რომელიც 1724 წლისათვის უკვე გათხოვილი ჩანს. ამავე შეწირულების წიგნში მაკრინა წერს: „...ხოლო ასულსა ჩემსა, შემოვედრებულსა. შენსა და საფარველსა ქვეშე შენსა აღზრდილსა, ფარევდინ მადლი შენი მეუღლით მისით აწ და უკუნისამდე"[45]. სამწუხაროდ, საბუთებიდან არ ჩანს არც ქალიშვილის სახელი, არც მისი ქმრის ვინაობა და საერთოდ მისი ცხოვრების პერიპეტიები.

მარიამს ახლო კონტაქტი ჰქონია კახეთის სამეფო კართან. ძმები არცთუ იშვიათად იყენებდნენ მაკრინას ცოდნას და უნარს. მას კახეთის მეფეების დავალებით რამდენჯერმე შეუდგენია სამეფო დოკუმენტები, შეწირულების წიგნი, რომლებიც თავისი მხატვრული სტილით აშკარად გამოირჩევა სხვა ანალოგიური საბუთებისაგან[46]. მაკრინას დაწერილი დოკუმენტები, განსაკუთრებით კი მისი შეწირულების წიგნი, თამამად შეიძლება ითქვას, არ არის მოკლებული მხატვრულობას; მასში ჩანს გამოცდილი ოსტატის ხელი. აშკარად იგრძნობა ჰიმნოგრაფიული ლიტერატურის გავლენა.

საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ ერთ ადგილს: „ეჰა, მჴნეო შორის მოღვაწეთაო, ღვაწლისა მძლეო გიორგი, რომელმან სრბა აღასრულე შენ, სარწმუნოებით ღირსო, და მოიღე ღმრთისაგან ძღვენისა შენისა გვირგვინი, რომელმან

---

43 ს. ყაყაბაძე, ისტორიული საბუთები, V, 1913, გვ. 41. ეს საბუთი უნდა ეკუთვნოდეს დ. ფურცელაძის წიგნში, გვ. 15—16.

44 ს. ყაყაბაძე, ისტორიული საბუთები, V, გვ.42—43.

45 იქვე.

46 ნაწილი ე. წ. ღვთაების გუჯრისა — ის. დოლიძე — ქართული სამართლის დოკუმენტები, ტ. II, 1724 წ. შეწირულობის წიგნი, — ს. ყაყაბაძე, ისტორიული საბუთები, V, გვ. 38 — 44; 1733 წ. თეიმურაზ II სიგელი ნინოწმინდისადმი, იქვე, გვ. 46 — 48. თეიმურაზ II სიგელი ალავერდისადმი 1741 წ. — თ. ჟორდანია. ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 252 — 253.

მაცხოვრისა თანა იქნე და სიკვდილი ნებსით თვისით მსგაესად მისსა დაითმინე, დიდებულო, რათა სუფევედე მის თანა და კაღნიერად მეოხად ყოველთა შენდა შემოერდომილთა, და მიანიჭებ უხვებით მდიდრად წყალობასა, რომელიცა შევედრებიან. და აწ, შეიწირე შესაწირავი ესე და მოხედენ გონებასა ჩემსა, რომელიც სულითა შემუსვრილითა და გულითა მდაბლითა შეგივრდები შენ და ვითხოვ ოხასა შენსა. და მასმინე სიტკბოებით საწადელი ჴმა შენი, მსგავსად მეუფისა შენისა, ვითარმედ: ასულო, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნოს შენ და მომანიჭე კეთილი და ურცხვენელად წარდგომა წინაშე მეუფისსა ქრისტესსა და ამასცა შინა ცხოვრებასა და მფარველ მექმენ და მხიარულ ყავ სული და ცნობა ჩემი და გული და გონება, ღმერთშემოსილო; და მოსწრაფე მყავ ყოფად ნებისა ღმრთისა, რათა ვპოო შენდობა ურიცხვთა ცოდვათა ჩემთა მეოხებითა შენითა..."[47].

მარიამ-მაკრინა ჩვენი კულტურის ისტორიაში შევიდა როგორც დახელოვნებული კალიგრაფიც. საგანგებო აღნიშვნის ღირსია მისი გადანუსხული სულხან-საბა ორბელიანის ვრცელი რედაქციის ლექსიკონი — H — 1740; ეს ცალი ლექსიკონისა საინტერესოა იმით, რომ მასზე მაკრინას დაურთავს ღვთისმშობლის აკროსტიქული საგალობელი. მაკრინას შეუდგენია და გადაუწერია აგრეთვე კანონიკური ხასიათის კრებული, რომელიც XVIII ს. მიწურულის ნუსხებითაა ჩვენამდე მოღწეული[48].

მარიამ-მაკრინა ბაგრატიონის ლიტერატურული მოღვაწეობა აშკარად განსაზღვრულია დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლის მოთხოვნებით. დავით გარეჯის კულტურულ კერაში სამი ძირითადი მიმართულებით წარიმართებოდა ლიტერატურული საქმიანობა[49]: 1. ჰაგიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიული კრებულების შედგენა. 2. დოგმატიკურ-პოლემიკური საკითხების დამუშავება და 3. კულტურულ-მწიგნობრული საქმიანობა. ამ ამოცანების გადასაწყვეტად დავით გარეჯა აერთიანებდა არა მარტო საკუთარ ძალებს, არამედ ქართლ-კახეთის შემოქმედებით ინტელიგენციასაც და საერთო მიმართულებას აძლევდა მათ საქმიანობას.

მარიამ-მაკრინას შემოქმედებაც დავით გარეჯის ლიტერატურულ საქმიანობასთან მჭიდრო კავშირში უნდა განვიხილოთ. მაკრინა გარეჯის „დაკვეთით" მუშაობს და ემორჩილება იქ შემუშავებულ საერთო ეროვნულ ტენდენციებს. მარიამ-მაკრინას შემოქმედება უშუალოდ უკავშირდება ქართული ჰაგიოგრაფიული კრებულების შევსება-სრულყოფას. მას თავისი, არცთუ პატარა, წვლილი შეუტანია ბესარიონ კათალიკოსის რედაქციის ჰაგიოგრაფიული კრებულის დამუშავებაში. როგორც ცნობილია, ბესარიონ ორბელიშვილმა საფუძვლად აიღო დომენტი კათალიკოსის რედაქციის ჰაგიოგრაფიული

---

47 ს. ყ ა ყ ა ბ ა ძ ე, ისტორიული საბუთები, წიგნი V, გვ. 43.

48 გიორგი ლეონიძის ცნობით, მაკრინას დაუწერია გიორგი საყაძის შესახებ ისტორიული შრომა. იგი წერს: „XVIII ს. დასაწყისში ისინი (საქმე ეხება გიორგი საყაძის ჩვენამდე არ მოღწეულ პირად წერილებს. მ. ქ.) გამოუყენებია თავის ისტორიულ ნაშრომში ცნობილ მარიამს (მაკრინა) ბატონიშვილს (ერეკლე I ასულს). ასე, 1840-იან წლებში ნიკიფორე გორის ეპისკოპოსს პლატონ იოსელიანისათვის გადაუცია მარიამის ისტორიული ნაშრომი, საიდანაც პლ. იოსელიანს რუსულად უთარგმნია თავის თხზულებაში გიორგი საყაძის ერთი პირადი წერილი, ზურაბ არაგვის ერისთაისადმი მიწერილი". შემორჩენილი მასალების მიხედვით, ასეთი შრომის კვალი დღესდღეობით აღარ ჩანს. (იხ. გამოკვლევები და წერილები, 1958 წ., გვ. 122 — 123).

49 დაწვრილებით იხ. მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, 1965.

კრებული და იგი ახალი მასალით გაავრცო[50]. ამ დიდ საქმეში მან ჩააბა შემოქმედთა ფართო კოლექტივი. როგორც ჩანს, ბესარიონს ყურადღების გარეშე არც მაკრინა-მარიამის პოეტური შესაძლებლობანი დარჩენია. მაკრინასათვის დაუვალებიათ იოსებ ალავერდელის სახელზე ლიტურგიკული კანონის გამართვა (ორი საგალობელი და სვინაქსარული ცხოვრება), ეს საინტერესო და ახლობელი უნდა ყოფილიყო მაკრინასათვის, რამდენადაც იგი ალავერდში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ამიტომ, ვიმეორებთ, მაკრინას შემოქმედება განხილული და შეფასებული უნდა იქნეს იმ საერთო მიმდინარეობის ფონზე, რომელიც ჩვენში XVIII ს. დასაწყისში გამოიკვეთა და რომლის მეთაურობა დომენტისა და ბესარიონის სახელებს უკავშირდება.

ყველაზე ადრეული ხელნაწერი, რომელსაც მაკრინას შრომა დაუცავს, არის სწორედ ბესარიონის რედაქციის ჰაგიოგრაფიული კრებული S — 3269, რომელიც XVIII ს. 20-იან წლებში დამუშავდა, დაიხვეწა და საბოლოოდ გაფორმდა გარეჯაში. აქედან მოყოლებული მაკრინას საგალობელი გავრცელდა, მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლებები და შევიდა თითქმის ყველა სადღესასწაულოში.

მაკრინას ახლო კავშირზე დავით გარეჯის ლიტერატურულ სკოლასთან და მის ლიტერატურულ მიმართულებასთან მიუთითებს მისი შემოქმედებითი კონტაქტი ამავე სკოლის მეორე წარმომადგენელთან, იესე ქსნის ერისთავთან, რომელიც, ისევე როგორც მაკრინა, არ ცხოვრობდა გარეჯაში, მაგრამ დასახელებული სკოლის „დაკვეთით“ მუშაობდა და ამ სკოლის სახელმძღვანელო პრინციპებით მოქმედებდა. როგორც ეტყობა, მაკრინას ბესარიონისა და დომენტის სიკვდილის შემდეგ ერთგვარად ხელმძღვანელის როლიც კი უკისრია ჰაგიოგრაფიული კრებულების შემდგომი დახვეწისათვის მუშაობაში. მართალია, მას დამოუკიდებელი პრაქტიკული ნაბიჯები არ გადაუდგამს, მაგრამ სწორედ ამ განწყობილებების გაგრძელებაზე უნდა მიუთითებდეს ანტონ პირველი, როდესაც „მარტირიკაში“ — ჰაგიოგრაფიული კრებულების მესამე რედაქციაში — ხაზგასმით წერს: „მრავალგზის ვედრებით მაწყა მე ქმნად ისტორიად ყოვლად დიდებულთა ღუაწლთა წმიდისა დედოფლისა ქეთევანისათა დედისდამან ჩემმან, მეფისა ირაკლი პირველისა ასულმან, ღირსმან ენკრატისმან მაკრინა, მაგრა ნიადაგ ურჩ ვექმენ მეტყუელი...“.

მაკრინას შემოქმედებითი საქმიანობის სხვა მომენტებიც დავით გარეჯის ტრადიციებზეა დაფუძნებული. მაკრინას შეუდგენია კანონიკური ხასიათის კრებული, რომელშიც ძირითადად დოგმატიკური ხასიათის თხზულებებია თავმოყრილი. ეს ფაქტი აშკარად მიუთითებს იმას, რომ მაკრინა დავით გარეჯის საერთო ინტერესებს იზიარებს. დავით გარეჯაში ამ დროს იწერება ანტიგრიგორიანული სტატიები, ანტიპაპისტური შინაარსის წიგნი „გრდემლი“, ტიმოთე გაბაშვილის „მარწუხი“ და სხვ. ამავე პერიოდში მაკრინა ადგენს დოგმატიკური ხასიათის კრებულს. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არ იყო. მაკრინას შედგენილი კრებული შემორჩენილია რამდენიმე ხელნაწერით, რომელთა შო-

---

50 დომენტის კრებულის შესახებ იხ. ე ლ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ქართული ჰაგიოგრაფიული კრებული და მისი შემდგენელი, პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, გვ. 415 — 420; მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. I. გვ. 86 — 93; მისივე, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, 1965, გვ. 57 — 58.

რის უძველესია 1778 — 79 წლების ხელნაწერი Q — 427. ხელნაწერში დაბეჭდილია კანონიკური ხასიათის შემდეგი საკითხავები: 1. „სჯულის კანონი", 2. სვიმეონ თესალონიკელის „წიგნი საპოძღურო" და 3. იოანე მმარხველის „კანონნი შეცოდებულთანი". მაკრინას საგანგებოდ დაურთავს ანდერძი, რომელშიც მისი საქმიანობა რამდენადმე დახასიათებულია: „გეეტრები ყოველთა, რომელთა საქმარად რადმე გიჩნდესთ წიგნი ესე, რათა ლოცუა ჰყოთ ჩემ ცოდვილსა მეფის ერეკლეს ასულის ენკრატისის მაკრინასთჳს. რომელმან ფრიადი შრომა დაესდევ ამას ზედა და გამოწულილვით გამოვიძიე, და სადაც რომ ვპოვე, შევკრიბე და გავმართე, რომელთა გენებოსთ, მიიღეთ უშურველად. და რომელნი სწერდეთ, ვითა აჰა სწერია, ნურარას დააკლებთ ღვთის სიყუარულისათჳს. თუ უმჯობესი ანუ უმეტესი რამ ჰპოოთ და ამას აკლდეს, შეჰმატეთ, უკეთუ არად გენებოსთ, ანუ თუ არად საქმარ იყოს, თქუჳნ უმჯობესი უწყით, ნება თქუჳნი იყავნ და მე ნუ საქირდელ მყოფთ. და ჩემის უსწავლელობისაგან გიკვირდესთ, თუ ვითარ შევიძლე ამისიცა აღწერა, არამედ ფრიად მსუროდა, რამეთუ ფრანგთა და სომეხთა ჰქონდათ ესევითარნი აღსარების წიგნი. მეც ამისათჳს დავშუჳრ, რამეთუ ჩუჳნდა არა სადა პოვნილ იყო... მე საფუძველი დავსდევ და რომელსა მოგცესთ ღმერთმან გულისჴმის ყოფა, თქუჳნ უმჯობესად შესცვალეთ და აღაშენეთ საფუძველსა ამას ზედა"[61].

მართალია, დასახელებულ კრებულში მოთავსებული თხზულებები არ არის მაკრინას ორიგინალური შემოქმედების ნაყოფი, მაგრამ გარკვეული დანიშნულების კრებულის შედგენა, საჭირო სტატიების დაჩხრეკა და სათანადოდ გამართვა თხოულობდა დიდ შრომას, დოგმატიკურ საკითხებში განსწავლულობასა და საეკლესიო ცხოვრების კარგ ცოდნას. სწორედ ამ დაკვირვებულობის შედეგია მაკრინას კრებული და მასზე დართული ანდერძი.

მარიამ-მაკრინა აქტიურად ეხმაურებოდა დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლის მესამე ძირითად მოთხოვნასაც, რომელიც მიზნად ისახავდა ხელნაწერების გამრავლება-გავრცელებას. მაკრინა ამ ასპარეზზეც აქტიურად იღვწოდა. ჯერ კიდევ მონაზვნად აღკეცამდე გვეელინება იგი ხელნაწერების დამკვეთ-გადამწერის როლში, ხოლო მონაზვნად აღკეცის შემდეგ კიდევ უფრო გაცხოველა ეს საქმიანობა. იგი არა მარტო თვით წერდა, არამედ სხვებსაც აგულიანებდა და საჭირო შემთხვევაში მატერიალურადაც ეხმარებოდა. მისი საფასით გადაწერილი და მოკაზმული ხელნაწერები იმთავითვე აშშენებდნენ კახეთის ეკლესია-მონასტრებს; მათ შორის, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ალავერდი, ნინოწმინდა, დავით გარეჯის უდაბნოს იოანე ნათლისმცემლის მონასტერი და სხვ. ალავერდის ტაძარს შესწირა მან, როგორც ერთ

---

61 ანდერძი გამოქვეყნებულია. იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი Q კოლექცია, ტ. I, შედგენილი ე. შეტრეველისა და ქრ. შარაშიძის მიერ, იღ. ახულაძის რედაქციით, 1957, გვ. 429 — 430. ანდერძში ორი თარიღია: „ჩრისტესით ჩღ" და ქორონიკონი უჟვ. მეორე თარიღი გულისხმობს აღნიშნული ნუსხის გადაწერას, ხოლო პირველი — შეცდომაა, 1700 წ. მარიამი, შესაძლოა, დაბადებულიც არ ყოფილა, თუ იყო, ამ წელს იგი სულ რამდენიმე წლისა იქნებოდა და მას ასეთი სამუშაოს შესრულება არ შეეძლო. მეორეც, მაკრინა დასახელებულია, როგორც ენკრატისი. მაშასადამე, კრებულის შედგენა 1716 წლის შემდგომ მოხდა.

დოკუმენტში წერს: „მცირე გულანი, თორმეტი თვე სრული და უნაკლულო პარაკლიტონით; მარხვანით და ზატიკით, ყოვლითურთ განსრულებული“[52].

ნინოწმინდის კათედრალისათვის შეუწირავს მარიამს 1721 წელს სახარება, რომელიც, პოეტ-აკადემიკოსის გ. ლეონიძის სიტყვით, „ისე წვრილათ არის დაწერილი, რომ კალშით შეუძლებელია, ნემსით ან წვრილი ჩხირით უნდა იყოს დაწერილი“[53]. ხელნაწერი შეუმკეია მაკრინას მინაწერით[54], რომელიც კარგად წარმოაჩენს მის შემოქმედებით განწყობილებებს. მაქსიმე აღმსარებლის თხზულებანი და ცხოვრება, რომელიც საეკლესიო მოღვაწეს ითობ პიტარეთელს გადაუწერია, შეუწირავს ნათლისმცემლის მონასტრისათვის (A — 636).

როგორც ნათქვამიდან ჩანს, მაკრინას მთელი შემოქმედება ძირითადად დაეით გარეჯის ლიტერატურული სკოლის გავლენით ვითარდებოდა და იშლებოდა. ეს, რა თქმა უნდა, იმას სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მაკრინა ყოველი ცალკეული ნაბიჯის გადადგმისათვის დირექტივას გარეჯიდან იღებდა, რომ იგი შეზღუდული იყო. არა, დაეით გარეჯის ლიტერატურული სკოლა XVIII საუკ. დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში ერთადერთი იყო, რომელიც ტონს აძლევდა და ხელმძღვანელობდა ქართულ საეკლესიო მწერლობას. გარეჯის სამონასტრო კერაში შემუშავდა საეკლესიო მწერლობის აღორძინებისა და ახლებური გააზრების ფართო გეგმა. გარეჯის ლიტერატურულმა სკოლამ დააკისრა ქართულ ჰაგიოგრაფიას უდიდესი ეროვნული და პატრიოტული მისია და იგი ქვეყნის პოლიტიკური აღორძინების სამსახურში ჩააყენა. ამიტომ იყო სწორედ, რომ მაკრინასი და სხვების შემოქმედება მას დაექვემდებარა, მისი გავლენა ატყვია. ასეთ ასპექტით უნდა იქნეს გაგებული და შეფასებული მაკრინას ლიტერატურული მოღვაწეობა.

მაკრინას ლიტერატურული მემკვიდრეობა დიდი არ არის. იგი შედგება იოსებ ალავერდელისადმი მიძღვნილი ორი ჰიმნოგრაფიული კანონისაგან, ამავე წმინდანის სვინაქსარული ცხოვრებისაგან[55] და ღეთისმშობლის საგალობლისაგან. მასვე ეკუთვნის ის სტიქარონები და სხვა მცირე ზომის საგალობელნი, რომლითაც შემკულია განგება. ასურელ მამათა ცხოვრების წიგნებში იოსებ ალავერდელზე ძალიან ცოტა ცნობაა დაცული. ამიტომ მაკრინა გარკვეული სიძნელის წინაშე იდგა როგორც საგალობლების, ისე, განსაკუთრებით, სვინაქსარის წერის დროს. ამ უკანასკნელის დანიშნულებაა შეძლებისდაგვარად მოკლედ გადმოსცეს ფაქტები წმინდანის ცხოვრებიდან. მაკრინას ხელთ არაფერი ჰქონდა და ამიტომ სვინაქსარიც ძალზე მშრალი და არსებითად არაფრის მთქმელი ფრაზებითაა დატვირთული, რასაც ავტორი იმით ამართლებს, რომ „ცოდვათა ჩუენთათჳს მრავალგზის მიეცა ტყუენეასა ქუეყანა ესე და უსჯულოთა მიერ სრულიადსა ოჴრებასა და უფროს-ღა მონასტერი ესე მრავალგზის სრულიადცა დაიპყრეს უსჯულოთა და თჳსად სამკჳდრებელად შესცვალეს წმიდაჲ ესე ადგილი და წარტყუენეს ყოველი სამკაული ტაძრისა

---

52 ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, V, 1913, გვ. 42.

53 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H ფონდი, ტ. VI, გვ. 482. ხელნაწერი H — 3262.

54 გამოქვეყნებულია იქვე.

55 იოსებ ალავერდელის ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები და კრიტიკული ტექსტი, იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV. სვინაქსარული რედაქციები (XVI—XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა, იღ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით 1968, გვ. 233—238: 403—406.

ამის, მას თანავე მოფარულ იქმნა ცხოვრებაცა ამის ნეტარისა და არღარასადა იპოვა ჟამთა ჩუენთა"[56]. ამის გამო მაკრინა ყურადღებას ამახვილებს იმ ლეგენდებზე, რომლებიც საერთოდ ასურელ მამათა მოღუაწეობას უკავშირდება.

მაკრინას ჰიმნების ძირითადი ტენდენცია და მთავარი მიმართულება პატრიოტიზმია. ეს გასაგებიცაა, რადგანაც მაკრინას ჰიმნები იწერებოდა მაშინ, როდესაც ჩვენში ეროვნულ-პატრიოტული განწყობილება საეკლესიო მწერლობის წამყვანი სტიმულატორი იყო. მაკრინა იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ საკუთარი წმინდანები „უფროჲსადცა იღუაწოს ჩუენთჳს და ქუეყანათა თჳსთათჳს, რამეთუ ვართ მკჳდრნი სამ[ე]ფოთა მისთანი და მსახურეულნი ძეთა მისთანი"[57]. ამიტომ იგი პირველსავე გალობაში ამბობს: „მოისწრაფე აწ. მამაო, და დადეგინ განწყობილთა ამათ კრებულთა და შვილთა, მედღესასწაულეთა შენთა და ისმინე ვედრება ჩუ[ჳ]ნი და გჳჴსენ საბრჴეთაგან ეშმაკისათა, რომელნი გუბრძუანან ჩუ[ჳ]ნ და ჴელი შეწევნისა აღგჳპყარ სანატრელო".

მაკრინა გატაცებით ლაპარაკობს, რომ იოსებმა მძიმე საქმე იტვირთა და მოიწია „სანახებსა ამას კახეთისასა". მისმა განმანათლებლურმა საქმიანობამ „განადიდა სამკჳდრებელი შენი, და აღავსო კრებულითა სულიერითა". ამის გამო „დიდებულ არს დაბაჲ მცირე ალაევრდი და მეფენი სასოებითა შენითა სამარხოდ თჳსად შეამზადებენ". ავტორის თქმით, იოსები მანათობელ კელაპტრად მოევლინა ქვეყანას: „იქმენ, მამაო, სანთელ ყოველად ბრწყინვალე ბნელისა მყოფთა შორის და განანათლე ქუეყანაჲ კახეთისაჲ", დაუღალავი შრომის წყალობით — „არა ეც ძილი თუალთა შენთა, მამაო, და არცა განსუენება წამთა შენთა" — იოსებმა გააგრძელა წმ. ნინოს განმანათლებლური საქმე და „აღამაღლა და ადიდა ღმერთმან ტაძარი ესე ყოველად დიდებულისა წმიდისა მოწამისა გიორგისა, რომელსა „შინა მდებარე არს პატიოსანი ნაწილი შენი" და „სანატრელისა დედოფლისა ქეთევანითურთ" მორწყენ შენ ქუეყანა კახეთის მოძღურებითა შენითა და განამრავლე მართლმადიდებლობა".

ავტორი აღტაცებით წერს იოსების ღვაწლზე მშობლიური ქვეყნისა და ეკლესიის წინაშე, მის დამსახურებაზე ჩვენში მართლმადიდებლობის დაცვისა და განმტკიცების საქმეში. ავტორი არ იშურებს ძალას და შესაძლებლობას და იოსებს დიდების შარავანდედით მოსავს.

მარიამ-მაკრინას საგალობლების მხატვრული დონე მაღალია და ავტორის ნიჭიერებაზე მიუთითებს. როგორც კ. კეკელიძე წერს, მაკრინას „ემარჯვება მოხდენილი ეპითეტები, შედარებანი, მეტაფორანი და პარალელიზმები"[58]. მართლაც, საგალობლებში არც თუ იშვიათია მოხდენილი და ორიგინალური შედარება, საყურადღებო სახე და ფრთიანი ფრაზა, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი არსებითად იყენებს ქართულ ჰიმნოგრაფიაში ნახმარ და დამკვიდრებულ პოეტურ ფაქტურას. კ. კეკელიძეს სპეციალურად აქვს აღნუსხული საინტერესო მაგალითები, რომელთაც ჩვენ, რა თქმა უნდა, აქ აღარ გავიმეორებთ, მაგრამ საილუსტრაციოდ რამდენიმეს დავიმოწმებთ: „ცრემლითა სთესე შენ მოლუაწება და მჴელეული ასეულად შეუკრიბე თავსა შენსა"; „ენა შენი,

---

56 იოსებ ალავერდელის ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები და კრიტიკული ტექსტი, გვ. 405.

57 გრიგოლ დოდორქელი, ქეთევან დედოფლის წამება, ტრ. რუხაძის გამოცემა, დაბეჭდილია ჟურნალში „ლიტერატურული ძიებანი", ტ. IV, 1949, გვ. 248.

58 კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. IV, გვ. 249.

ყოველად ბრძენო, საწერელ მწიგნობრისა ჴელოვნისა იქმნა". „ლამპრად ელვარედ სულისა შენისა მოიგე სიწმიდე და წყაროთა მით ცრემლთა შენთათა შეაცურევდი სულთა მათ უნაყოფოთა ცოდვისა ბრალთა გუალვითა მორწყევდი განჴმელთა გულთა" და სხვა მრავალი.

როგორც ამ ორიოდე მაგალითიდანაც ჩანს, მაკრინას კარგად უპრის კალამი და შეუძლია სათქმელს კარგი პოეტური ფორმა მოუნახოს.

მაკრინას ორი საგალობლიდან ერთი აკროსტიქიანია. კიდურწერილობა იძლევა: „მაკრინა შემსხმელი შენი, შემიწყალე, წმიდაო", ტექნიკურად, ცხადია, აკროსტიქიანი ჰიმნი უფრო ძნელი გასაკეთებელია. ეს სიძნელე, რომელიც ხელოვნური შეზღუდვითაა გამოწვეული, აშკარად იგრძნობა. საგალობელს აკლია სიმსუბუქე, სილაღე, რაც მეორე საგალობლისათვის დამახასიათებელია. ორივე საგალობელი, როგორც წესი, ოთხ-ოთხი ტროპარისგან შედგება. მეოთხე ტროპარი წარმოადგენს ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ სტრიქონებს. აღორძინების ხანის ჰიმნოგრაფიისათვის საერთოდ, და კონკრეტულად მაკრინას შემოქმედებაში, დამახასიათებელია ის, რომ საგალობლების ცალკეული გალობანი აღარ არის პოეტური მეტრიკით აგებული, არამედ წარმოადგენს პროზაულ სტროფებს, რომლებსაც აღარ ახასიათებს აღარც მარცვალთა რაოდენობის განსაზღვრულობა, სალექსო სტრიქონებად დაყოფა და სხვ. ამიტომ ძლისპირ-ტროპართა ურთიერთობათა შესახებ საუბრის აუცილებლობა, რაც ასე საჭიროა კლასიკური ჰიმნოგრაფიის დახასიათებისას, აქ ზედმეტია და არაფრის მომცემი. ცხადია, გალობათა ძლისპირები, რომელთაც მაკრინა იყენებს, ძველია და მათი უმრავლესობა დადასტურებულია (იხ. ძლისპირთა კრებული A — 603-ში ხმა დ გ), მაგრამ მაკრინა აღარ თვლის საჭიროდ ისინი მთელი სიზუსტით დაიცვას. ხაზს ვუსვამთ სიზუსტეს, პრინციპში მაინც ძლისპირების თარგზე აკეთებს მაკრინა თავის გალობებს.

ფაქტობრივი მონაცემების თვალსაზრისით საგალობელი, როგორც მოსაღდნელი იყო, ბევრს არას შეიცავს. ავტორი ძირითადად ლაპარაკობს იოსების დამსახურებაზე ჩვენში ქრისტიანობის განმტკიცების საქმეში.

როგორც ვთქვით, იოსების შესახებ ცნობები თითქმის არ შენახულა. სვინაქსარიც თვით მაკრინას მიერაა გაკეთებული. რადგანაც სვინაქსარი ჩართულია საგალობელში და ისინი ქმნიან ერთ მთლიან ლიტურგიკულ კანონს, ამიტომ ისინი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ავსებენ ფაქტებით ერთმანეთს, და, მაშასადამე, ნაკლებად იმეორებენ ერთმანეთს. როგორც მოსალოდნელი იყო სიახლოვე ტექსტებს შორის არის, იგრძნობა საერთო განწყობილება. იშვიათად, მაგრამ მაინც არის გამონათქვამებისა და ფრაზების დამთხვევა.

გალობა	სვინაქსარი
„და მისდევდი კუალსა წმიდასა მამათასა და მარტოებით დაეყუდე ადგილსა ძნელსა და ფიცხელსა და ღმერთი მხოლო გაჴუნდა თანამზრახველად".	„ესე დაემკვიდრა მას შინა ადგილთა უდაბნოთა, უშენთა და უვალთა კაცთაგან და უნაყოფოთა და იქცეოდა მუნ მხოლოჲ მხოლოსა ღვთისა მზრახველ" (გვ. 215).

მაკრინას შემოქმედებაში ცალკე დგას ერთი „ღვთისმშობლის შესხმა", რომელიც მის მიერ გადაწერილ საბას ლექსიკონის ცალს ერთვის. თვით ავტორი „ქებას" იამბიკოს ეძახის: „ესე იამბიკოდ შესხმა მცირე ძღვნადმცა

შენდა შეწირულ არს", მაგრამ სინამდვილეში იგი იამბიკო არ არის. იამბიკოს განმსაზღვრელი და დამახასიათებელი არც ერთი კომპონენტი არ არის დაცული. „შესხმა" 26 სალექსო სტრიქონისაგან შედგება, მარცვალთა რაოდენობა სტრიქონებში განსაზღვრული არაა. არის 12, 13, 14, 15, 16, 18, 20, 21, 22 და. ა. შ. მარცვლიანი სტრიქონები. მაგრამ რაც „შესხმას" გამოყოფს და საინტერესოს ხდის — ესაა მისი კიდურწერილობა. ქართულ ჰიმნოგრაფიაში გართულებული და ხელოვნური აკროსტიქების მრავალი ნიმუში გვაქვს. საკმარისია იოანე პეტრიწისა და ვინმე იეზეკიელის იამბიკოების დასახელება[59]. მაგრამ მაკრინასთან ჩვენ გვაქვს რამდენადმე განსხვავებული სახე, რომელიც, როგორც ჩანს, ამ დროს ერთგვარად მოდად ქცეულა. „შესხმის" ყოველი სტრიქონის დასაწყისი და ბოლო ასოები კიდურწერილობისაა, ამავე დროს პირველი 13 სტრიქონის ბოლო ასოები არის მომდევნო 13 სტრიქონის დასაწყისის ასოები. რა თქმა უნდა, ასეთი ტექნიკური სირთულე დაღს ასვამს ნაწარმოებს და ზღუდავს ავტორსაც.

„შესხმა" ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი 13 სტრიქონი უშუალოდ ღვთისმშობლისადმია მიმართული, ხოლო მეორე ნაწილში ჩანს მაკრინას განწყობილებანი და სურვილები. აკროსტიქში იკითხება: „მაკრინა არის გარდმომწერელი ლექსიკონისა ამის".

მსგავსი აკროსტიქიანი შესხმა ჩვენ გვხვდება იესე ქსნის ერისთავის შემოქმედებაშიც. მაკრინასა და იესეს ჰიმნებს შორის მსგავსება აშკარაა როგორც ფორმით, ისე განწყობილებით. მაკრინას ჰიმნი თავისთავად დიდი პოეტური ღირებულების არ არის, მაგრამ იესეს ჰიმნთან შედარებით უფრო ლაღი და მიმზიდველია.

მარიამ-მაკრინა ეკუთვნის იმ ჰიმნოგრაფთა წყებას (ჩვენი მწერლობის ე. წ. აღორძინების პერიოდიდან), რომელთა საგალობლების ერთი ნაწილი დღეს გამოქვეყნებულია, მაგრამ, სამწუხაროდ, არა მეცნიერულად და კრიტიკულად.

ანტონ კათალიკოსმა XVIII ს. 50 — 60-იან წლებში დაამუშავა ქართული სადღესასწაულოს ახალი რედაქცია, რომელმაც ქართული საეკლესიო პრაქტიკიდან არსებითად გამოდევნა ყველა ძველი რედაქცია. ანტონმა თავის შრომაში ძირითადად ძველი მასალა გამოიყენა. მაგრამ მან იგი საფუძვლიანად გადაამუშავა და ბევრი განგება-კანონი თვით ახლად შექმნა და შეიტანა. ანტონმა მაკრინას საგალობლები ძირითადად უცვლელად დატოვა, მხოლოდ რამდენიმე მცირე ზომის გალობა გამოაკლო და სანაცვლოდ თავისი დაუმატა[60].

ანტონის რედაქციის სადღესასწაულო გასულ საუკუნეში სამჯერ გამოიცა; პირველად 1805 წელს მოსკოვში, მეორედ 1811 წელს წესში, შესამედ 1865 წელს კვლავ მოსკოვში. ამ გამოცემებში გამოქვეყნდა პირველად მაკრინას საგალობლები.

1936 წელს ლევან ასათიანმა წიგნში „ძველი საქართველოს პოეტი ქალები" გამოაქვეყნა მაკრინას ჰიმნები[61].

---

59 ქ. ქ ე ქ ე ლ ი ძ ე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I.

60 მან გამოტოვა: „დიდება უფალო ღაღადყავსის დასდებლისა" და ორი ტროპარი.

61 1949 წლის გამოცემაში მკვლევარს მაკრინას საგალობლები აღარ შეუტანია.

პირველი სამი გამოცემა, რა თქმა უნდა, კრიტიკული არ არის. ლევან ასათიანის გამოცემა ტექსტის კრიტიკულ გამოქვეყნებას ისახავდა მიზნად, მაგრამ, სამწუხაროდ, მკვლევარმა იგი ვერ განახორციელა. ლ. ასათიანის გამოცემა არაა ტექსტის მეცნიერული გამოცემა[62]. ეს ჩანს შემდეგიდან:

1. ლ. ასათიანი, როგორც ჩანს, იყენებდა ანტონის რედაქციის სადღესასწაულოს, რომელშიც, როგორც ვთქვით, ყველა გალობა გამოქვეყნებული არაა. ამიტომ არც ლ. ასათიანს გამოუცია მაკრინას ყველა ჰიმნი.

2. ყოველი გალობის ძლისპირები გამოცემაში გამოცხადებულია მაკრინას კუთვნილებად. მაშასადამე, მაკრინას თავისთავად ნაკლულად გამოცემული საგალობლები გაზრდილია 16 ტროპით[63].

3. გამოცემაში ორი დამოუკიდებელი კანონის საგალობლები არეულია და ერთიმეორეშია გადახლართულ-გადაბმული. გამომცემელი უკრიტიკოდ მიყუება ანტონს და არ გამოყოფს ერთიმეორისაგან ცალკეული, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ლექსების სტროფებს.

4. მაკრინას ერთ-ერთი საგალობელი აკროსტიქიანია. გამომცემელს იგი ვერ შეუნიშნავს და არ გამოუყვია (ესეც ანტონის წყალობით, ალბათ). და რადგანაც მან ერთმანეთს გადააბა ორი დამოუკიდებელი გალობა, ამიტომ მკითხველი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოყოფს კიდურწერილობას.

5. მცირე საგალობლები შეტანილია კანონებში, როგორც ეს ანტონის სადღესასწაულოშია, და გამოყოფილი არაა. მათი ადგილი კი მკაცრად განსაზღვრული არც სადღესასწაულოშია.

6. საგალობლების ორთოგრაფია ახალია და რიგ შემთხვევაში გამოცემა სცდება ტექსტის არასწორი წაკითხვების გამო.

მაშასადამე, აუცილებელია მაკრინას პოეტური მემკვიდრეობის ახალი პუბლიკაცია, რომელიც ყველა ძირითადი ხელნაწერის მონაცემებს გაითვალისწინებს.

М. Н. КАВТАРИЯ

ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ГИМНОГРАФИИ XVIII ВЕКА

ГИМНОГРАФИЧЕСКАЯ ДЕЯТЕЛЬНОСТЬ МАРИАМ-МАКРИНЫ БАГРАТИОНИ

(Р е з ю м е)

Гимнографическое наследие Мариам-Макрины Багратиони занимает видное место в истории грузинской гимнографии XVIII в.

В статье рассматривается творчество Мариам-Макрины, характер которого определяется требованиями литературной школы Давида Гареджи.

---

62 ამის შესახებ ჯერ კიდევ ქ. ქიქელიძემ მიუთითა თავის წერილში.

63 შდრ. ქ. ქ ე ქ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, IV, გვ. 248.

მაია რაფავა

ქართული დოგმატიკის ისტორიიდან

(„ერთარსება" და „თანაარს" ტერმინების გაგებისათვის)

ქართულ მწერლობაში ერთმანეთის პარალელურად გამოიყენებოდა ტერმინები: „ე რ თ ა რ ს ე ბ ა"//„ე რ თ ა რ ს ი" და „თ ა ნ ა ა რ ს ი" ისინი თეოლოგიური შინაარსის აღმნიშვნელი ცნებებია და ქრისტიანული ღმერთის რაობას მიუთითებენ.

სპეციალურად ამ ტერმინთა გამოყენების ტრადიციას ქართულ მწერლობაში მოკლედ შეეხო აკად. კ. კეკელიძე. მან აღნიშნა, რომ ისინი ანტიკური ლიტერატურიდან მოდიან და ქრისტიანობამ შეითვისა სამების ერთ-ერთი „პრედიკატის" აღსანიშნავად. „საქართველოში ტერმინს „ერთარსი" ეცილებოდა „თანაარსი". გიორგი ათონელმა უპირატესობა „ერთარსს" მიანიჭა"[1].

ჯერჯერობით ამაზე მეტი ამ ტერმინებზე საგანგებოდ არაფერი თქმულა[2].

რა მიმართებაშია „ერთარსი" და „თანაარსი" ერთმანეთთან, გამოიყენებოდნენ თუ არა ისინი ერთმანეთის სინონიმებად, თუ მათ რაიმე ნიუანსები განასხვავებდა, შეინიშნება თუ არა რაიმე ცვლილებები მათს გამოყენებაში გარკვეული პერიოდების მიხედვით—აი. საკითხები, რომლებიც წამოიჭრება ამ ტერმინებთან დაკავშირებით.

იოანე დამასკელი „დიალექტიკაში" ამ ცნებებს ასე განმარტავს:

Καὶ ὁμοούσια καὶ ὁμοφυῆ καὶ ὁμοειδῆ καὶ ὁμογενῆ καὶ σύμμορφα λέγουσι ὑπὸ τὸ αὐτο εἰδικώτατον εἶδος ἄτομα; Ἑτερούσια καὶ ἑτεροφυῆ καὶ ἑτεροειδῆ καὶ ἑτερογενῆ καὶ ἑτερόμορφα τὰ εἰδικώτατα εἴδη λέγουσιν...[3]

ეს ადგილი ეფრემ მცირის თარგმანში ასე იკითხება:

„ე რ თ ა რ ს ა დ და ერთბუნებად და ერთნათესავად და ერთხატად უწოდენ მისვე სახოვნისა სახისა განუყოფელობასა, ხოლო სხუა-არსად და სხუა-ბუნებად და სხუა-სახედ და სხუა-ნათესავად და სხუა-სახედ იტყჳან თჳთ მას სახოვანსა სახესა" — A — 24, 16 v.

არსენი იყალთოელის თარგმანი:

„თ ა ნ ა ა რ ს ა დ და თანაბუნებად და თანამოსახედ და თანამონათესავედ და თანამოხატოვნედ იტყჳან მისვე და ერთისა სახოანისა სახისა მიმდ-

---

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VIII, თბილისი, 1962, გვ. 164.

[2] ტერმინი „ერთარსება" ვეუხისტყაოსნის მსოფლმხედველობის ანალიზის თვალსაზრისით განხილული აქვთ თ. ბაგრატიონს, ნ. მარს, პ. ინგოროყვას, შ. გოგიბერიძეს, და ე. ხინთიბიძეს.

[3] M i g n e. PG, 94, col. 608.

გომთა განუკუეთელთა. ხოლო სხუა-არსად და სხუა-ბუნებად და სხუა-ნათესავად და სხუა-სახედ და სხუა-ხატოვნებად სახოანთა სახეთა იტყჳან" — S — 1463, 47 r.

აქ ასეთი აზრია: ერთარსი//თანაარსი, ერთბუნება//თანაბუნება და ა. შ. არიან სახეები, რომლებიც ერთსა და იმავე გვარს განეკუთვნებიან. მაგ.: პეტრე და პაველ ერთარსნი//თანაარსნი არიან, ვინაიდან ერთი ზოგადი გვარის — ადამიანის — ცნების ქვეშ ერთიანდებიან.

ბერძნული ὁμοούσιος ეფრემ მცირეს თარგმნილი აქვს „ერთარსით", ხოლო არსენი იყალთოელს — „თანაარსით".

„ერთარს" და „თანაარს" ტერმინების გამოყენების ანალოგიური სურათი დასტურდება სხვა ტერმინების მიმართაც.

ეფრემ მცირე: ὁμοείδιος — ერთსახე 17r; 19 v; 33 r; ὁμοφυής — ერთბუნება 16r; ὁμογενής — ერთნათესაი 1 r; 16 r; 19 v; ერთჟამეული 33 v.

არსენი იყალთოელი: თანამოსახე 47v; 48 r; 53 v; თანაბუნება 47r; თანამონათესავე 39 v; 47 v; 48 r; თანამოჟამე 53 v.

როგორც ვხედავთ, ეფრემ მცირე იყენებს ერთ რიცხვითი სახელით შედგენილ კომპოზიტს, ხოლო არსენი იყალთოელი — თანა წინდებულიან კომპოზიტს. ეს ტერმინები ერთმანეთის სინონიმებია.

მაგრამ ეფრემ მცირის თარგმანში ვხვდებით ამ საერთო სურათიდან გადახვევასაც. კერძოდ, ეფრემ მცირე „ერთარსის" პარალელურად ხმარობს „თანაარს" ტერმინსაც.

ამრიგად, არსენი იყალთოელის თარგმანში სისტემატურად დასტურდება „თანაარსი", მხოლოდ „თანაარსი", ერთი გამონაკლისის გარეშეც. ამ ტერმინის ხმარებაშიც არსენი იყალთოელი იმეთსავე სტაბილურ სურათს იძლევა, როგორიც დადასტურდა საერთოდ მის ტერმინოლოგიაში — „დიალექტიკისა" და „გარდამოცემის" ტექსტების ანალიზისას[1].

რაც შეეხება ეფრემ მცირეს, იგი ხან „ერთარსს" მიმართავს, ხან — „თანაარსს". ისმის კითხვა: ამ მოვლენას რაიმე კანონზომიერი საფუძველი განაპირობებს, თუ იგი ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდის გამოვლენაა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ავტორი ტერმინთა ხმარებაში არასტაბილურ სურათს იძლევა: ერთსა და იმავე ბერძნულ ტერმინს რამდენიმე ქართული შესატყვისით გადმოსცემს.

ტექსტის ანალიზით ირკვევა, რომ ეფრემ მცირის მიერ „ერთარსისა" და „თანაარსის" გამოყენებას გარკვეული კანონზომიერება ახასიათებს: „ერთარსი" გამოყენებულია მთლიანად სამების ან ღმერთის მიმართ; ხოლო „თანაარსი" იმ შემთხვევაში გვხვდება, როცა სამების ცალკეული წევრები — მამა, ძე და სული წმინდაა დასახელებული. „თანაარსია" სამების ცალკეული წევრი, კერძოდ, ძე ან სული წმინდა ან ორივე ერთად — მამა ღმერთისა.

ერთარსი:

„და იმსახურების სამებაჲ ერთარსებაჲ და აუგებელი ღმრთეებაჲ" — 109 r.

---

[1] მ. რაფავა, იოანე დამასკელის „დიალექტიკის" ქართულ-სომხური ვერსიები, „მაცნე", № 2, 1965.

„უღონო არს მათვე გუამთა ერთარსადცა და სხუ-არსადცა წოდება და წმიდაჲ სამებისაჲ ერთარსადცა და სხუა-არსადცა თქუმაჲ ღმრთეებითა" — 79 v.

თანაარსი:

„თანაარსი სული წმიდაჲ მამისა და ძისაჲ" — 58 r.

„თანაარსი მამისაჲ" — 41 r.

„თანაარსი მისა" — 85 v;

„თანაარსებითა ღმრთისა მამისაჲთა" — 82 r[5].

ამრიგად, ეფრემ მცირის თარგმანში არის: „ერთარსი" მთლიანად სამების მიმართ და „თანაარსი" ცალკეული წევრისადმი. არსენი იყალთოელთან კი მუდამ არის „თანაარსი".

საინტერესოა, დიფერენციაცია ამ ტერმინების გამოყენებაში მხოლოდ ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდის სპეციფიკურობას წარმოადგენს, თუ იგი გარკვეული ტრადიციით არის განპირობებული?

როგორი სურათია ამ ტერმინების ხმარების მხრივ ეფრემ მცირისა და არსენი იყალთოელის წინარე პერიოდის მწერლობაში?

ნათარგმნი მწერლობა

1. ერთარსება სამება, ერთარსება ღმერთი. ჩვენი მწერლობის უძველეს ნათარგმნ ძეგლებში „ერთარსება" დასტურდება სამებასთან კონტექსტში, მთლიანად სამების მიმართ.

„ყოვლისა მპყრობელობაჲ ერთარსებითა აქუს და არა განვკუეთო, ხოლო ერთარსებაჲ არს უკუდავი, გარნა თავს თჳსობაჲ განუყო განუყოფელისა ერთარსებისა სამებისა წმიდისა" (საკითხავი, თქუმული წმიდისა დედისა ჩუენისა ნინოჲსა ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა A — 19, გვ. 93). „და ესენი... არა აღიარებდეს... არცა ერთარსებაჲსა წმიდისა სამებისაჲსა" (ცხოვრება საბა პალესტინელისა, კიმენი, II, 170, 1). „ერთარსებითა სამებისაჲთა" (მარტყლ. მესუკაელთაჲ, ლიტერ. ურთ., 55, 9). „და კუალად სამებად ერთარსებაჲ ჰქადაგებთ ღმრთეებასა და ასწავებთ..." (აგათანგ. დამასკ. კათალიკ. ცხოვრება, XB, IV, გვ. 278). „ღმერთსა სამებით დიდებულსა და ერთარსებით ქებულსა" (წარტყუენვაჲ, იერუსალ., TP, IX, 66, 28). „რაჲთა სცხოვნდე ძალითა ერთარსისა სამებისაჲთა" (სიბრძნე ბალაჰარისა", ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტ. 1, 287).

„ერთარსება" გვხვდება ღმერთთან კონტექსტშიც.

„არა თუ სხუაჲ საკადრებელ რაჲმე არს თქუმად, არამედ დუმილითა დიდებად ერთარსებასა ღმრთეებისასა" („ხარებისათჳს და შობისა", კიმენი 1,174, 26).

„ერთარსება" დასტურდება ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების მიერ თარგმნილ ძეგლებში. „სამება ერთარსება" (ცხოვრება მაქსიმე აღმსარებლისა, კიმენი 1, 86, 14), „სამებასა თაყუანისვსცემ ერთარსებით და ერთარსებასა სამებით" (A — 584, 241 v), „სამებით ერთარსებით აგამაღლებთ შენ" (იოანე დამასკელის შობის საგალობელი, rt, sin, 14,

[5] მაგალითები მოტანილია A — 24 ხელნაწერის მიხედვით.

48). „მოიწონეს მისსა ბეთლემდე წინაძღომითა ვარსკულავთ-მთვარისაჲ და შეწირეს ოქროჲ, გუნდრუკი და მური სახედ სამებისა ერთარსებისა“ (გიორგი ათონელის რედაქციის დეკემბრის თვენი, S — 4999 გვ. 538).

ორიგინალური ქართული მწერლობა

„ქადაგებითა დაუმტკიცებიეს ყოველთა სამებისა ერთარსებაჲ“ (მიქაელ მოდრექ. საგალობელთა კრებ. გვ. 244). „სამებისა ერთარსებისა თკუე ბაჲ“ (მინჩხი 1, ძვ. ქ. ს. პ. XXV, 1). „სამებისა ერთარსებაჲ გვასწავე მამისა ძით და სულითურთ და სამსახეობაჲ მისი“ (იოანე მტბევარი, XI, ძვ. ქ. ს. პ. 132, 111).

2. „ერთარსება“ ტერმინის გამოყენების სხვა შემთხვევაც დასტურდება. კერძოდ, „ერთარსება“ იხმარება იმ შემთხვევაშიც, როცა სამების ცალკეული წევრების მიმართებაა აღნიშნული:

„აღჰმაღლდი ღრუბლითა ნათლისაჲთა და იდიდები ერთარსებით მამისა და სულისაჲთა“ (დასდებ. აღდგომ., VIII, ძვ. ქ. ს. პ. 338, 36). „ესე არს, რომელ არს მამაჲ და ძჱ და სული, ყოვლად წმიდაჲ. ერთარსებაჲ უწინარეს საუკუნეთა“ (საკითხავი ნინოჲსი... ნათლისღებისათჳს უფლ. ჩუენისა იესუ ქრისტესი, მ.ჯანაშვილის გამოც. გვ. 89).

და ბოლოს, თვით მე-6 მსოფლიო კრების სიმბოლოშიც ὁμοούσιος ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილია როგორც „ერთარსი“. „გურწამს... ღმერთი ჭეშმარიტი, ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისაჲ“, (ცხოვრ. მაქსიმე აღმსარ. კიმენი 1, 98, 22).

3. ერთგან, „ერთარსება“ დადასტურდა სამების ერთი წევრისადმი მიმართვის ფორმად:

„დაუსაბამო სულო წმიდაო, ერთარსებაო, ერთღმრთეებაო, გადიდებთ, გაქებთ“ (სინური მრავალთაგი, 205, 27).

ამრიგად, ჩვენი მწერლობის როგორც ნათარგმნ ძეგლებში, ისე ორიგინალურ თხზულებებში დასტურდება „ერთარსების“//„ერთარსის“ გამოყენების სამი შემთხვევა: 1) სამება//ღმერთთან კონტექსტში, 2) სამების ცალკეული წევრების მიმართების ჩვენებისას, 3) ცალკეული წევრისადმი.

„ერთარსება“ ტერმინი წარმოადგენს ერთ რიცხვითი სახელით შედგენილ კომპოზიტს. „ერთარსება“ შესატყვისია ბერძნ. ὁμοούσιος-სი. Ὁμός-ნაწილაკისა და οὐσία სახელის შერწყმით ამ ტერმინის დოგმატიკური მნიშვნელობა პირველად დააფასეს განსტიკოსებმა, რომელთაც იხმარეს იგი.

წმინდა დოგმატიკური შინაარსის გარეშეც, თავისთავად ბერძნ. ὁμός მიუთითებს ერთსადაიმავეობას, ერთნაირობას, ერთობას. ერთიდაიგივეობა, ერთობა კი მხოლოდ რამდენიმე პირს აქვს. ამდენად, ὁμός-ს აკისრია როგორც ერთობის ჩვენება, ისე რამდენიმე პირს შორის რელაციის მითითება. Ὁμός-ს გრამატიკული ფუნქცია სრულიად ემთხვევა ტერმინის დოგმატიკურ მნიშვნელობას.

Ὁμοούσιος ქრისტიანული თეოლოგიის სპეციალური ტერმინია, რომელიც მიიღო ნიკეის კრებამ (325 წ.) და ნიშნავს წმინდა სამებას. ღმერთი სამია ჰიპოსტასებით, მაგრამ ერთია, ერთი და იგივეა არსებით. სამი და ერთი!

მნიშვნელობის თვალსაზრისით ბერძნ. ὁμοούσιος-ის ზუსტ შესატყვისს წარმოადგენს ქართული „ერთარსება“, თუმცა აგებულების თვალსაზრისით მათ შორის სხვაობაა.

აგებულებით „ერთარსება“ უფრო წააგავს ბერძნ. μονοούσιος-ს. Μονοούσιος აგრეთვე ქრისტიანული თეოლოგიის ტერმინია. მას ხმარობდა ათანასე ალექსანდრიელი. მაგრამ ცნობილია, რომ იგი არ მიიღო ქრისტიანულმა მართლმადიდებლურმა აღმსარებლობამ, ვინაიდან μόνος — რიცხვითი სახელი — ქრისტიანულ ღმერთში ერთპირიანობის გაგების საშიშროებას ბადებდა და მასში საბელიოსის მწვალებლობა ელანდებოდათ.

განსხვავებით ბერძნ. μονοούσιος-საგან, ქართულ „ერთარსებაში“ რიცხვითი სახელი -ერთი- ერთიდაიგივეობის მნიშვნელობით გაიგებოდა. „ერთარსებაში“, ისევე როგორც ὁμοούσιος-ში, ორმაგი მნიშვნელობა იყო შერწყმული: 1. რამდენიმეს შორის მიმართების, რელაციის აღნიშვნა, ანუ თანაობა; 2. ერთიდაიგივეობის, ერთობის აღნიშვნა. უკანასკნელი მნიშვნელობა თავისთავად გულისხმობს პირველს.

ასეთი გაგება „ერთარსების“ დოგმატიკური მრწამსით არის განპირობებული.

საერთოდ, როგორც ჩანს, ერთ რიცხვითი სახელი კომპოზიტის შემადგენლობაში 1. ერთობას, 2. თანაობას აღნიშნავდა ძვ. ქართულში. ერთ რიცხვითი სახელი სახელს ერთოდა ფუძის ფორმით და გამოხატავდა რამდენიმეს ერთსადაიმავეობას.

ძვ. ქართულში პროდუქტიული იყო ასეთი წარმოების კომპოზიტები: ერთ-მოდასე ὁμο-τάγης; ერთ-სახელი ὁμο-νόμος; ერთ-ტომი ὁμο-γενῆς; ერთ-ბუნება ὁμο-φυῆς; ერთ-ხატი ὁμο-μόρφ; ერთ-სახე ὁμο-ειδής და სხვ.

„ერთარსების“ პარალელურად ქართულ მწერლობაში გვხვდება ტერმინი „თანაარსი“. „თანაარსის“ შედგენილობა ბერძნულის მიმბაძველობით არ აიხსნება. ბერძნულში არაა „თანაარსის“ ბადალი წარმოების ტერმინი. ამრიგად, „თანაარსის“ შედგენილობა ქართულ ნიადაგზე უნდა აიხსნას. საქმე ისაა, რომ „თანაარს“ კომპოზიტის მეორე შემადგენელი ნაწილი — არსი — ზმნური წარმოშობისაა. თავდაპირველი ფორმა იყო: არს აწმყო დროის ზმნა თანა თანდებულიან სახელთან. უძველეს ძეგლებში, დაწყებული ბიბლიის წიგნებიდან, დასტურდება ასეთი ფრაზები: „არა გრწამსა, რამეთუ მე მამისა თანა ვარ და მამაჲ ჩემ თ ა ნ ა ა რ ს? (იოანე, 14, 10). „მამაჲ ჩემი, რომელი ჩემ თანა არს“. (ი. 14, 10).

არს მეშველი ზმნაა აწმყოს მე-3 პირში, თანა თანდებული ერთვის ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სახელს: მამისა თანა. შინაარსობრივ აქ გამოხატულია ძისა და მამის თანაობა, მიმართება. შემდგომ პერიოდში არს მეშველი ზმნა და თანა თანდებული ერთ კომპოზიტად იქნა გააზრებული. თანა თანდებულისა და არს მეშველი ზმნის შერწყმით მივიღეთ ბრუნებადი სახელი, სპეციალური ტერმინი „თანაარსი“.

ტერმინი „თანაარსი“ „ერთარსების“ სინონიმად არის გაგებული სამეცნიერო ლიტერატურაში[6]. თუ რამდენად მართებულია ეს მოსაზრება, გამოაჩენს „თანაარს“ ტერმინის სათანადო კონტექსტში განხილვა.

[6] კ. კეკელიძე, ეტიუდები ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VIII, 1962, გვ. 164.

ტერმინი „თანაარსი“ დადასტურდა ისეთ კონტექსტში, როცა სამების ცალკეული წევრი — ერთი, ან ორი, ან სამიეცა დასახელებული და მათ შორის გარკვეული მიმართებაა გამოვლენილი. ზოგჯერ ჩანს ის წევრი, რომლისადმი მიმართებაც არის აღნიშნული, ზოგჯერ კი ეს წევრი არ ჩანს. მაგ.: „ძჱ ღმრთისაჲ თანახატი და თანაარსი და თანამსგავსი მამისაჲ“ (სინური მრავალთავი 19, 34). „გრწმენეს... სული წმიდაჲ, მისი თანაარსი და თანამოქმედა ყოვლისაჲ“, (აწმებაჲ იზიდოზიდის, ლიტ. ურთ., 115, 10) „უქადაგე... სიტყუა უჟამოჲ, თანაარსი მამისა და სულისაჲ“ (მიქ. მოდრ. კრებული, 244,8).

მაგალითები, სადაც არ ჩანს ის წევრი სამებისა, რომლისადმიც მჟღავნდება მიმართება: „წმიდა არს ძჱ თანაარსი“ (იოანე ბოლნელის ქადაგებანი. 1911, 41, 3), „თანაარსი სიტყუა უჟამოჲ... ჰქადაგე შენ“ (ცხოვრ. და განგებაჲ იოანე ურჰ. დათალიკ.: ეტიუდები VI, 133, 47), „არა ანგელოზი, არცა კაცი აღუთქუა მოვლინებად, არამედ თავ (...) იგი და თანაარსი სული“ (სწავლანი სულიერნი... თეოდორე აღმსარ. სტკდიელთა წინამძღვრისა, A— —1347, 180 r).

გიორგი მთაწმინდელიც საერთო ტრადიციის გავლენით მიმართავს სამების ცალკეული წევრებისადმი „თანაარს“ ტერმინს. ამდენად, არ მართლდება აკად. კ. კეკელიძის სიტყვები, რომ გიორგი ათონელმა უპირატესობა „ერთარსს“ მიანიჭაო. გიორგი მთაწმიდელი ხმარობს როგორც „ერთარსს“, ისე „თანაარსსაც“, მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში. მაგალითად, ნიკეის კრების სიმბოლოს განხილვისას იგი იყენებს „თანაარს“ ტერმინს: „არიოზისთჳს, რომელი დაბადებულად იტყოდა მას მგმობარი და არა თანაარსად მამისა“— A — 584, 231; „თანაარსად მამისა ქადაგეს ძე“ — A — 584, 231 v.

იმავე A — 584 ხელნაწერში გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი რამდენიმე დოგმატიკური ხასიათის სტატიაა მოთავსებული, სადაც ხშირად ეხვედებით „თანაარს“ ტერმინს: იხ. 229 v, 232 r, 246 r — v.

„თანაარს“ ტერმინის გამოყენების ამ საერთო სურათიდან გამონაკლისს წარმოადგენს „გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფი“. მასში როგორც სამების ცალკეული წევრებისადმი, ისე მთლიანად სამების მიმართ, დასტურდება ტერმინი „თანაარსი“.

საქმე იმაშია, რომ ყოველგვარ კონტექსტში მხოლოდ „თანაარს“ ტერმინის გამოყენება სიმპტომატურ ანალოგიას პოულობს „წყაროჲ ცოდნისაჲ-ს“ არსენი იყალთოელის თარგმანთან.

ეს გარემოება განსაკუთრებით საგულისხმოა „გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფის“ ავტორის ვინაობის დადგენისათვის. ხელნაწერებიდან ცნობილია, რომ ანდერძ-მინაწერში ნაწარმოების მთარგმნელად მოხსენებულია ვინმე არსენი. თხზულების გამომცემელი აკად. ს. ყაუხჩიშვილი ღიად ტოვებს არსენის ვინაობის საკითხს[7].

აკად. კ. კეკელიძე ძეგლის ენობრივ-სტილისტური მონაცემების მიხედვით ასკვნის, რომ „ხრონოგრაფის“ მთარგმნელი, მისივე ტერმინით რომ ვთქვათ, პეტრიწონული სკოლის წარმომადგენელია.

---

[7] ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისაჲ, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1920, გვ. IX.

პეტრიწონული სალიტერატურო სკოლის ხანად მკვლევარი მიიჩნევს მე-11 ს. უკანასკნელ ხანას ვიდრე მე-13 ს. ნახევარამდე. ამ პერიოდის მოღვაწე რამდენიმე არსენიდან ავტორი მთელი რიგი ლიტერატურულ-ისტორიული ფაქტების მოშველიებით „ხრონოგრაფის“ მთარგმნელად გამოყოფს არსენი იყალთოელს.

მკვლევარს აღნიშნული აქვს ზოგი მორფოლოგიურ-სინტაქსური და სტილისტური ხასიათის მოვლენა, რომელიც ახასიათებდა პეტრიწონულ სკოლას და რომელიც შეიმჩნევა ძეგლის ენაშიც[8]. ეს ზოგადი ნიშნებია.

ამდენად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ კონკრეტული ენობრივ-სტილისტური ფაქტორის აღნიშვნას, რაც არსენი იყალთოელის მთარგმნელობითი მეთოდის სპეციფიკურობად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა. ერთ-ერთ ასეთ უტყუარ ფაქტორად გვესახება „გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფში“ „თანაარს“ ტერმინის გამოყენება.

როგორც ვნახეთ, „წყაროჲ ცოდნისაჲ“-ს არსენისეულ თარგმანში არსად არ გვხვდება „ერთაარსება“. იქ სისტემატურად დასტურდება „თანაარსი“. მსგავსი ვითარებაა „ხრონოგრაფში“. „თანაარს“ ტერმინის გამოყენება როგორც სამების ცალკეული წევრებისადმი, ისე მთლიანად სამების მიმართ, ადასტურებს კ. კეკელიძის მოსაზრებას, რომ „ხრონოგრაფის“ მთარგმნელი არსენი იყალთოელია.

არსენი იყალთოელი განცალკევებით დგას წინარე პერიოდისა და თანამედროვე მოღვაწეებისაგან. იგი მხოლოდ „თანაარს“ ტერმინს მიმართავს, ხოლო ეფრემ მცირის მიერ ამ ტერმინების გამოყენება ქართულ მწერლობაში არსებული ტრადიციის ასახვაა.

გარდა „გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფისა, „თანაარს“ ტერმინი სამების||ღმერთის მიმართ რამდენიმეჯერ დადასტურდა.

ერთ, მე-12 ს. კრებულში, რომელიც წმინდანთა მეტაფრასულ ცხოვრებებს შეიცავს, წერია: „პავლე მოციქულმან... მკაცროანი ყოველი განამტკიცა სარწმუნოებად თ ა ნ ა ა რ ს ი ს ა ს ა მ ე ბ ი ს ა მიმართ ერთისა“ — S — 417, 77, 20.

რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში გვხვდება:

„და სახელისა მიმართ წმიდისა სამებისა. ნათლისცემითა ასწაონ თაყუანისცემაჲ, თ ა ნ ა ა რ ს ი ს ა ე რ თ ღ მ რ თ ე ე ბ ი ს აჲ — A — 76, 239 r.

„რამეთუ სწორპატიობაჲ წმიდისა სამებისაჲ და თ ა ნ ა ა რ ს ე ბ აჲ და ერთძალობაჲ და ღმრთეებისა ე რ თ ო ბ აჲ მიერ ცხად იქნების“ (ცხოვრ. დიოს კონსტანტინეპოლელისა, ეტიუდები, VI, 178, 32). „თანაარსი სამება“, „თანაარსი ერთღმრთეება“ და „სამებისა თანაარსება“ — ეს მაგალითები „თანაარს“ ტერმინის ჩვეულებრივად გავრცელებულ გამოყენებას არ ეთანხმება. მაგრამ „თანაარსის“ ამ კონტექსტებში ხმარებას გარკვეული ახსნა ეძებნება, თუ მხედველობაში მივიღებთ სამივეგან მესამე კომპონენტის — ერთის — არსებობას.

„თანაარს“ ტერმინი ცალკე არ დგას სამებასთან, არამედ მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა „წმ. სამება“ ან „ღმერთ“ — სიტყვებს ახლავს „ერთობა“ — ცნობილი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინი... ამ ტერმინით გამოხატულია პირველ საწყისის, უზენაესი არსების, ღმერთის ერთობა, მარტივობა, სრულობა.

---

[8] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული თარგმანი გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფისა, ეტიუდები, I, თბ., 1956, გვ. 252 — 260.

„ერთი" „თანაარსთან" ერთად სიმპტომატურია! „თანაარსის" ხმარება ერთი-ს აღმნიშვნელ ცნებასთან მიგვანიშნებს, რომ „თანაარსი" სამება ღმერთთან მიმართებით საკმარისი არაა. როგორც ჩანს, „თანაარსი სამება" ზუსტად არ გამოხატავს წმ. სამების დოგმას. ამიტომ დასახელებულ კონტექსტებში „თანაარს" ტერმინს რაღაც ნიუანსით, კერძოდ, „ერთობის" ნიუანსით ავსებს „ერთი"//„ერთობა" ტერმინები.

„ერთარსისა" და „თანაარსის" განსხვავებულ კონტექსტში გამოყენება გვაფიქრებინებს, რომ მათ მნიშვნელობაში გარკვეული ნიუანსები გამოიყოფა და ეს ორი ტერმინი ქართულ მწერლობაში თანაბარი ღირებულების არ უნდა ყოფილიყო.

„ერთარსება" ტერმინის განხილვისას დადგინდა ამ ტერმინის ორგვარი მნიშვნელობა: 1. თანაობა, რელაცია, 2. ერთობა, ერთიდაიგივეობა.

„თანაარსის" გამოყენების შემთხვევები გვაფარაუდებინებს, რომ ამ ტერმინით მკვეთრად არ გამოიხატებოდა ის ერთობა, ერთიდაიგივეობა, რაც „ერთარსებას" ჰქონდა და აქცენტი გადატანილი იყო თანაობაზე, რამდენიმე წევრის ურთიერთმიმართებაზე. გრამატიკული ნორმების მიხედვით ამ ფუნქციას „თანაარს" კომპოზიტში თანა თანდებული ეწევა. თანა თანდებული გახაზავს თანაობას, რომელიც ჯერ კიდევ არ ნიშნავს ერთობას.

მამა, ეძ და სული წმინდა, თანაარსი გამოხატავს ამ სამი წევრის თანაობას არსებით, მაგრამ არის თუ არა აქ ერთობა? დოგმატი სამებისა, რასაკვირველია, გულისხმობს ამ სამი წევრის ერთსაღაიმავეობას არსებით, მაგრამ ქართული თანა თანდებული თავისი მნიშვნელობით ვერ ანიჭებს მას ერთობის, ერთიდაიგივეობის ისეთ სრულ გაგებას, როგორიც მოეპოვება ბერძნ. ὁμοούσιος-სა და ქართულ „ერთ-არსებას".

ამრიგად, „თანაარსში" სხვა კუთხით არის წარმოდგენილი სამი წევრის ერთგვარობა, კერძოდ, რამდენიმეს შორის მიმართების თვალსაზრისით. ამ მნიშვნელობამ განაპირობა ის გარემოება, რომ ადრეული პერიოდიდანვე „თანაარსი" მხოლოდ სამების ცალკეული წევრებისადმი იხმარებოდა. „თანაარსი" ჰიპოსტასების ისეთი პრედიკატია, რომელიც სამების რომელიმე წევრს დანარჩენებთან გარკვეულ მიმართებაში წარმოაჩენს. ხაზგასმულია მიმართება ამ წევრებს შორის, თანაობა, თანამყოფობა[9].

თანაობა, თანამყოფობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ერთობას. თანაარსებობა შესაძლებელია გავიგოთ არა ისე, რომ ძეს და სული წმინდას მამასთან აბსოლუტურად ერთი არსება გააჩნია, არამედ ისეც, რომ მათ მხოლოდ ნაწილობრივ გააჩნიათ მამის არსება. ცნობილია, რომ სამების სუბორდინაციის საკითხი მწვავედ იდგა თეოლოგიაში, განსაკუთრებით ქრისტიანობის ახლად ფეხადგმის პერიოდში (გავიხსენოთ ტერტულიანე, ფილონ ალექსანდრიელი, ორიგენი). ეკლესიამ უკუაგდო ყოველგვარი სუბორდინაციონიზმი სამების მიმართ.

ამ თვალსაზრისით აშკარაა „ერთარსების" უპირატესობა „თანაარსთან" შედარებით[10]. განსხვავებულ კონტექსტებში ამ ტერმინთა გამოყენება ცხად-

---

9 „თანაარსი" ტერმინის დოგმატიკური მნიშვნელობის გააზრებაში არაერთი მომენტია გასათვალისწინებელი. მათი ახსნა „თანაარსის" სხვადასხვა ნიუანსს უკავშირდება. ეს ცალკე საკითხია. იგი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს და მას აქ არ შევეხებით.

10 ინტერესმოკლებული არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ ბერძნული ὁμοούσιος-ის შესატყ-

ყოფს „ერთარსებასა“ და „თანაარსს“ შორის არსებულ ნიუანსურ სხვაობას. „ერთარსებაში“ თანაობაც ჩანს და ერთობაც, ხოლო „თანაარსში“ — თანაობა, მიმართების ჩვენებაა წინ წამოწეული.

ამდენად, ეს ტერმინები ყოველთვის იდენტური არ არის. ქართულმა დოგმატიკურმა აზროვნებამ მათში გარკვეული ფუნქციონალური ნიუანსი ჩააქსოვა. ტერმინ „თანაარსით“ წმ. სამების ჰიპოსტასური შედგენილობის საკითხია წინ წამოწეული.

რაც შეეხება „ერთარსებას“, აქ აქცენტი გადატანილია ერთობაზე, რომ სამი ჰიპოსტასი ერთია არსებით. „ერთარსება“ ხაზს უსვამს სამების ერთობას. ამდენად, „ერთარსება“ შეტ შინაარსს მოიცავს. როგორც შემდგომ ვნახავთ, ამ ორი ტერმინის ასეთ კრიტიკულ შეფასებას უკვე ეფრემ მცირესთან ვხვდებით.

„ერთარსებისა“ და „თანაარსის“ ურთიერთმიმართების თვალსაზრისით საინტერესოა ზოგი ისეთი ფაქტი, რომელიც კიდევ ერთხელ ასაბუთებს ერთ რიცხვით სახელიან და თანა წინდებულიან კომპოზიტებს შორის არსებულ ფუნქციონალურ ნიუანსს.

1. რამდენიმეჯერ დადასტურდა კომპოზიტის შემადგენლობაში თანა თანდებულისა და ერთ რიცხვითი სახელის ერთად გამოყენების შემთხვევა.

„თ ა ნ ა ე რ თ ნ ე ბ ა თ ა და ერთგანზრახვათა თანაარსთა მისთა“ (თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ, 120, 27), ერთნება თჳსსა და თ ა ნ ა ე რ თ გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ა და ერთჴმა თავისა თჳსისა (იქვე, 3, 8) „თ ა ნ ა ე რ თ ჴ მ ა (დავით აღმაშენ. ისტორიკოსი, 356, 15), „იესუჲს ღმრთეებაჲ... თ ა ნ ა ე რ თ ო ბ ი თ მაცხოვრებელ არს“ (პეტრე იბერიელის შრომები, 22, 25).

არსენი იყალთოელის „გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფში“ რამდენიმეჯერ შეგვხვდა ამ წარმოების კომპოზიტები. „თ ა ნ ა ე რ თ ნ ე ბ ა თ ა მისთა“— 266, 15; „თ ა ნ ა ე რ თ ჴ ო რ ც ო ბ ა ს მეუღლისასა“—174, 7; „თ ა ნ ა ე რ თ ნ ე ბ ა“—40, 18.

მაგალითებიდან აშკარაა, რომ თანა თანდებული და ერთ რიცხვითი სახელი კომპოზიტებში გარკვეული ნიუანსებით განსხვავდება. თანა თანდებული არ მოიცავს იმ მნიშვნელობას, რაც ერთ რიცხვით სახელს აქვს დაკისრებული. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მაგალითებში დაცულია კომპოზიტში ერთ რიცხვითი სახელის ფუნქციების გარდამავალი საფეხური. ერთ რიცხვით სახელიან კომპოზიტებში თანაობისა და ერთობის მნიშვნელობის დადგენა ალბათ ასეთ გარდამავალ საფეხურს გულისხმობდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როცა თანა-ერთიანი კომპოზიტები ერთ რიცხვით სახელიანი კომპოზიტის პარალელურად და, მაშასადამე, ტოლფასოვანი მნიშვნელობით იხმარება: თ ა ნ ა ე რ თ ნ ე ბ ა თ ა და ე რ თ გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ა თ ა“; ე რ თ ნ ე ბ ა... და თ ა ნ ა-ე რ თ გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ა დ ე რ თ ჴ მ ა“.

ვისად ქართულის ანალოგიური წარმოების ტერმინია გამოყენებული რუსულშიც: „единосущный“. სპეციალურ ლიტერატურაში „единосущный“ განსხვავებულია მნიშვნელობით მასთან ახლოს მდგომ „равносущный“-საგან. ე. ბოლოტოვის განმარტებით, ὁ ὁμοούσιος Υἱος не только равносущен, но единосущен (В. Болотов. Лекции по истории древней церкви, т. IV стр. 36). რუსული „единосущный“ არის ქართული „ერთარსების“ ზუსტი შესატყვისი, როგორც დაინახეთ, „единосущный“ მეტი შინაარსის მომცველია, ვიდრე „равносущный“. მასში ქართული „ერთარსების“ მსგავსად, თანაობასთან ერთად ხაზგასმულია ერთობა, ერთიდაიგივეობა (ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ კიდევ დაუბრუნდებით).

2. კიდევ ერთი ფაქტი იმის საილუსტრაციოდ, რომ სამების დოგმატის თვალსაზრისით (რომელიც სამის ერთსადამავეობას გახაზავს) „ერთარსებას“ უპირატესობა ენიჭება „თანაარსთან“ შედარებით.

სამების წევრების ურთიერთმიმართებისათვის ქართულ მწერლობაში გამოიყენება ტერმინები: სწორი, მსგავსი და იგივე.

ეფრემ მცირეს შესაძლებლად მიაჩნია, რომ სამივე ცნება სამება ღვთაების პრედიკატად იქნეს გამოყენებული. მაგრამ დოგმატიკური მრწამსი სამებისა ამ ტერმინს ერთმანეთის ტოლღირებულებით არ იღებს (როგორც ცნობილია, ასეთი პოზიციის სათავე ჯერ კიდევ არისტოტელიდან მოდის. გავიხსენოთ, რომ ეს ტერმინები განხილულია არისტოტელის „მეტაფიზიკის“ მე-5 წიგნში).

ქართულ მწერლობაში სამივე ტერმინი დასტურდება: „მსგავსი“, „სწორი“ და „იგივე“. ეს ტერმინები გვხვდება როგორც ნათარგმნ, ისევე ორიგინალურ ძეგლებში.

ა) ს წ ო რ ი.

„ქალწულმან შვა ძე, ბუნებით ს წ ო რ ი მამისაჲ“ (იოანე მტბევარი, 1; ძვ. ქ. ს. პ. 50, 97).

„სიტყუა მამისაგან გამოსული, ს წ ო რ ი მამისა ბუნებით, გამოჩნდა კორცითა“ (დასდებ. ჰაბოჲსნი; ძვ. ქ. ს. პ. 177, 5).

„სწორი“ თანა თანდებულთან ერთად კომპოზიტში გვხვდება სამების წევრების ჩამოთვლისას.

„თ ა ნ ა ს წ ო რ ი მამისაჲ და ძისაჲ სული“ (იოანე დამასკელის შობის საგალობელი, გ. ათონელის თარგმანი, rt, sin — 14, გვ. 180).

„სიტყუაო, ღმრთისა მამისაო თ ა ნ ა ს წ ო რ ო“ (S — 4999, გვ. 538).

ამათ პარალელურად გვხვდება „სწორი“ ერთ რიცხვით სახელიან კომპოზიტში: „ერთ-სწორი“. ერთ რიცხვითი სახელის დართვით უკვე სხვა ხიბრტყეზე წარმოსდგება სამების დოგმა: აქ თანაბრობაც არის მის წევრებს შორის და, რაც მთავარია, ხაზი ესმება ერთობას. მაგ.:

„ღმრთეებაჲ, გუამოვნებით სამებაჲ და სამებაჲ, ბუნებით ე რ თ ს წ ო რ ე ბ ა ჲ“ (მართლ. და მწვალებ. ეტ. III, 98, 7).

„სამების ა ე რ თ ს წ ო რ ე ბ ა ვერ გულისჴმა-ყვეს“ (ასურ. მოღვაწ. ცხოვრ. ა, 9, 21).

„ე რ თ ს წ ო რ ე ბ ასა სამებისასა“ (ასურ. მოღვაწ. ცხოვრ. ა. 10, 13).

ბ) „სწორისა“ და „ერთსწორის“ ანალოგიური ვითარება შეინიშნება მეორე წყვილ ტერმინებში: „იგივე“ და „ერთიდაიგივე“. „იგივე“ ხშირად დასტურდება ქართულ ლიტერატურაში. იგი უფრო ხშირად შეესატყვისება ბერძნ. ταυτότης-ს.

ამ ტერმინის პარალელურად იოანე პეტრიწი ხშირად მიმართავს ერთ რიცხვით სახელიან კომპოზიტს: ერთიდაიგივე (ი. პ. შრომები, I, 33, 5; II, 45,6). ამრიგად, გვაქვს „სწორი“ და „ერთსწორი“, „იგივე“ და „ერთიდაიგივე“.

განხილულ ტერმინებთან გარკვეულ ანალოგიაში გვესახება „ერთარსება“ და „თანაარსი“. „ერთარსება“ ერთ სიბრტყეზეა „ერთსწორთან“, „ერთსადამავესთან“; ხოლო „თანაარსი“ — „სწორი“, „იგივე“.

3. ერთ რიცხვითი სახელიანი კომპოზიტისა და თანა თანდებულიანი კომპოზიტის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით საინტერესოა კიდევ ერთი მაგალითი: „ერთსახელი“ და „თანამოსახელე“ ტერმინების შედარება.

„დიალექტიკაში“ მოცემულია ამ ტერმინების განმარტება (S — 1463, 45 v).

ეფრემ მცირე მეტი შინაარსის მომცველი ცნებისთვის მიმართავს „ერთსახელს“, ხოლო „თანამოსახელე“ ნაკლებ შინაარსს მოიცავს.

ეფრემისთვის რომ „ერთსახელი“ მეტია, ვიდრე „თანამოსახელე“, ჩანს შემდეგიდან: ეფრემი განმარტავს „თანამოსახელეს“, მსჯელობს მის რაობაზე და ბოლოს უმატებს: „არამედ არა არიან იგინი სახელსა მას ზედა ცხოველისა- სა თანამოსახელე, არამედ უფროჲსღა ერთსახელ“ (A— 24, 14r).

ამრიგად, ეფრემის, „ერთსახელი“ „თანამოსახელეობის“ მნიშვნელობასაც მოიცავს და ერთობასაც, ერთსადაიმავეობასაც.

4. და ბოლოს ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ გარკვეული ფუნქციონალური სახესხვაობითაა გააზრებული ერთი ცნების—ქრისტიანული სამების—აღმნიშვნელი ეს ორი ტერმინი. ეს მომენტი ეფრემ მცირის სახელს უკავშირდება.

„ერთარსება“ და „თანაარსი“ იდენტური ცნებები არ არის ეფრემ მცირისათვის. მათში ეფრემს გარკვეული ნიუანსური სხვაობა აქვს გააზრებული, რაც წმინდა დოგმატიკურ თვალსაზრისს უკავშირდება. ტერმინი „ერთარსება“ უფრო სრულყოფილად გამოხატავს სამების დოგმას, ვიდრე „თანაარსი“. ეფრემ მცირე წერს:

„ესე ყოველნი არა ხოლო თანაარსებასა და უფროჲსღა ერთარსებასა მისსა აჩუენებენ მამისა თანა, არამედ ამასცა, ვითარმედ მისვე და ერთისა მოქმედებისა უფალ არიან მამაჲ და ძე“ — A — 24, 147 v.

ბერძნულში ეს ადგილი ასე იკითხება:

Ταῦτα γὰρ πάντα οὐ μόνον ὁμοούσιον καὶ μετὰ σάρκωσιν τῷ Πατρὶ δείκυυσιν αὐτὸν ἀλλα καὶ τῆς αὐτῆς ἐνεργείας PG, col. 1053.

ბერძნულშია ὁμοούσιος, ეფრემთან—„თანაარსება და უფროჲსღა ერთარსება“, „უფროჲსღა ერთარსება“ გარკვეულ ხარისხობრივ უპირატესობას ავლენს „თანაარსებასთან“ შედარებით. აშკარაა, რომ „ერთარსება“ მოიცავს იმ მნიშვნელობას, რაც იგულისხმება „თანაარსებაში“ და ნიშნავს უფრო მეტსაც — ერთობის თვალსაზრისით.

ჩვენი აზრით, ეფრემ მცირის მხრივ ამ სხვაობისათვის მნიშვნელობის მინიჭებას მხოლოდ მისი მსოფლმხედველობითი შეხედულებები არ განაპირობებდა. იგი გამოძახილი უნდა იყოს ქართულ დოგმატიკურ აზროვნებაში „ერთარსება“ და „თანაარს“ ტერმინებზე არსებული წარმოდგენებისა. ეპოქის სულისკვეთების შესაბამისად, როცა ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დადგენის პროცესი მიმდინარეობდა, ეფრემ მცირემ ორი ტერმინის გააზრების ტრადიციას გარკვეული კრიტიკული შეფასება მისცა.

ამრიგად, ტერმინები „ერთარსება“ და „თანაარსი“ ყოველთვის არ არის იდენტური. ისინი სინონიმებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ გარკვეულ კონტექსტში. ეს გარემოება გაპირობებულია როგორც ენობრივი ფაქტორებით (ერთ რიცხვითი სახელისა და თანა თანდებულის ფუნქციები კომპოზიტებში), ისე დოგმატიკური მნიშვნელობით.

„ერთარსება“ და „თანაარს“ ტერმინებს შორის არსებული ნიუანსური სხვაობა, შესაძლებელია, გამოხატულება იყოს ბერძნულ თეოლოგიურ ტერმინოლოგიაში არსებული სხვაობისა. მხედველობაში გვაქვს მერყეობა ὁμοούσιος და ὁμοιούσιος || ὅμοιος κατ' οὐσίαν ტერმინების გამოყენებისას, რასაც ადგილი ჰქონდა ნიკეის კრების სიმბოლოს მომხრეთა და მის ზომიერ მოწინააღმდეგეთა წრეებში მე-4—6 სს.

Ὁμοούσιος და ὁμοιούσιος ერთმანეთისაგან განსხვავდება ნიუანსებით და არა პრინციპულად. ასეა ეს აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში. Ὁμοούσιος ნიშნავს: მსგავსი არსებით, თვისობრივი განსაზღვრებებით. დოგმატიკური თვალსაზრისით წმ. სამებისადმი საკმარისი არ იყო თქმა: მსგავსი თვისობრივი განსაზღვრებებით. სამების წევრები არა მარტო მსგავსია, არამედ ერთია არსებით, ერთიდაიგივეა. ასეთ გაგებას კი ზუსტად გამოხატავდა ὁμοούσιος. ცნობილია ის ხანგრძლივი პაექრობა, რაც ამ ტერმინების დოგმატიკური მნიშვნელობის გარშემო წარმოებდა. საბოლოოდ გაიმარჯვა ὁμοούσιος ტერმინმა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, თუ როგორ იქნა გამოყენებული ტერმინი „მსგავსი“ — ὅμοιος ორ, ერთმანეთისაგან რამდენიმე საუკუნით დაშორებულ ძეგლში. ერთია, „ეპისტოლეთა წიგნი“ — VII ს. და მეორე — ექვთიმე მთაწმიდელის ნათარგმნი „წინამძღვარი“ — X ს.

„მსგავსი“ ტერმინი გვხვდება მე-7 ს. პირველი ნახევრის ძეგლში „ეპისტოლეთა წიგნი“. კირონ კათალიკოსისა და აბრაამ სომეხთა კათალიკოსის მიმოწერაში, ნიკეის კრების სიმბოლოს განხილვისას, იხსენიება „მსგავსი“. საინტერესოა, რომ სიმბოლოში, სადაც ბერძნულად წერია: ὁμοούσιος, სომეხთა კათალიკოსის წერილში ზის მისი ზუსტი შესატყვისი: *համագոյ հոր* (გვ. 115), ხოლო კირონ ქართველის წერილის სომხურ თარგმანში კი—*նման հոր* (გვ. 103), რაც ქართულად ნიშნავს: „მსგავსი მამისა“. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ კირონის ქართულ ორიგინალში „ერთარსი“ ან „თანაარსი“ ეწერა და *նման* — მსგავსი, მთარგმნელის ინიციატივაა. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ კირონის მრავალმხრივ განათლებასა და ბერძნული და სომხური ენების შესანიშნავ ცოდნას[11], ძნელი დასაშვებია, რომ ეს სიტყვა კირონის უნებურად გაპარულიყო. როგორც ჩანს, კირონ კათალიკოსისთვის უკვე ისე მწვავედ აღარ იდგა „მსგავს“—ὅμοιος ტერმინის დოგმატიკ. ნიუანსის საკითხი, როგორც რამდენიმე საუკუნით ადრე, არიანულ მწვალებლობასთან დისკუსიების დროს.

„მსგავს“ ტერმინის დოგმატიკური რაობის სახეცვლის გასათვალისწინებლად გავიხსენოთ ის საეკლესიო კრებები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ IV—V საუკუნეებში. ეს კრებები იყო არენა დოგმატიკური ხასიათის დისკუსიებისა, სადაც მართლმადიდებლური აღმსარებლობა მთელი თავისი ძალების მობილიზაციით ებრძოდა არიანულ ერესს ὁμοούσιος ტერმინის დასაცავად. ცნობილია, რომ ნახევრადარიანელები ნიკეელთა ტერმინს უპირისპირებდნენ ტერმინებს ὅμοιος და ὁμοιούσιος-ს. ე. ი. ძე ერთარსება კი არაა მამისა, არამედ მსგავსია, მსგავს-არსებაა. „მსგავსი“ კი სამების დოგმატის თვალსაზრისით ნაკლებ მნიშვნელოვანი

---

[11] კირონ კათალიკოსის შესახებ იხ. ეპისტოლეთა წიგნი, ზ. ალექსიძის გამოცემა, თბ., 1968, გვ. 209—212.

იყო, ვიდრე „ერთარსება". „მსგავსი" მხოლოდ თვისებებით მსგავსებას მოასწავებდა და არა არსებით ერთობას. Ὅμοιος—„მსგავსის" ასეთი გაგება კლასიკური ფილოლოგიის ტრადიცია იყო. IV ს. დიდი საეკლესიო მოღვაწენი მკაცრად აკრიტიკებდნენ ამ ტერმინს და ცდილობდნენ თეალნათლივ ეჩვენებიათ ის არსებითი განსხვავებანი, რაც ამ ორ ტერმინს შორის არსებობდა.

ათანასე ალექსანდრიელი და ბასილი დიდი თვითონაც მიმართავდნენ ტერმინს ὅμοιος „მსგავსი", მაგრამ დოგმატის თვალსაზრისით უპირატესობას ანიჭებდნენ ὁμοούσιος-ს[12].

როგორც ჩანს, ტრიადოლოგიური დისკუსიების დროს „მსგავსი" თავისთავად იგულისხმებოდა „ერთარსებაში". „მსგავსი" თავისი დოგმატური მნიშვნელობით ვერ უტოლდებოდა „ერთარსებას".

შემდგომ პერიოდში, ბიზანტიურში ὅμοιος—„მსგავსმა" სხვა ნიუანსი შეიძინა. Ὅμοιος უჩვენებს არა მარტო მსგავსებას, არამედ ერთნაირობას და თანასწორობას[13]. ამით ძისა და მამის არსებით ერთიანობა ცხადდებოდა და ὁμοούσιος დაახლოებით უტოლდებოდა ὁμοούσιος-ს.

ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ὅμοιος ტერმინის მნიშვნელობის სახეცვლილებამ განაპირობა ის გარემოება, რომ კირონ კათალიკოსი მოსალოდნელი ὁμοούσιος—„ერთარსის" ნაცვლად ჩვენ—„მსგავს" ტერმინს ხმარობს. ამას მიემატა ის გარემოებაც, რომ კირონის ეპოქა საკმაოდ დაცილებულია იმ ხანას, როცა ტერმინი „მსგავსი" სასტიკ წინააღმდეგობას ხვდებოდა თავისი არიანული გაგების გამო. ამ საუკუნეების გამოძახილი ძალზე შორეული იყო და ისე აღარ ხვდებოდა ქეშმარიტი მართლმადიდებელი აღმსარებლის ყურს.

გვიან საუკუნეებში ტერმინი „მსგავსი" გარკვეული უფლებებით სარგებლობდა, მაგრამ მისი დოგმატიკური მნიშვნელობა ერთგვარ უნდობლობას მაინც ხვდებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ერთი ადგილი ექვთიმე ათონელის „წინამძღვრიდან"[14].

ბერძნულში წერია: „Εἰ κατὰ τὴν αὐτὴν οὐσίαν ὁμοούσιος ἐστὶ τῷ Πατρὶ ὁμοούσιος ἡμὶν ὁ χριστός (Migne, 94, col. 116).

„უკუეთუ ერთი ბუნებაჲ აქუს და მითვე ბუნებითა არს მსგავს და ერთარსება ჩუენდაცა და მამისაცა".

ბერძნულ ὁμοούσιος-ს ექვთიმე ათონელი ორი სიტყვით თარგმნის: „მსგავსი" და „ერთარსება". Ὁμοούσιος-ში ὅμο ‖ ὅμος ‖ ὅμοιος-ის შესატყვისია „მსგავსი". მაგრამ, როგორც ჩანს, ექვთიმე მთაწმიდელი ὁμοούσιος-ში მეტ შინაარსობრივ გაგებას აქსოვდა, ვიდრე ამას გადმოსცემდა „მსგავსი" და ამიტომ საჭიროდ მიიჩნია იქვე დაერთო „ერთარსება". Ὁμοούσιος—მსგავსი (შდრ. კირონ კათალიკოსის წერილი). მაგრამ ეს ექვთიმე მთაწმიდელისათვის მოკლებულია სისრულეს და უმატებს „ერთარსებას". "ერთარსება" მეტია, ვიდრე „მსგავსი".

---

12 ათანასე ალექსანდრიელის განცხადებით: „ის, ვინც იყენებს სახელს მსგავსი არსებით, ჯერ კიდევ არ იძლევა იმის გაგებას, რომ ყოფნაც არსებისაგანაა. ვინც იყენებს სახელს—ერთარსი, გამოხატავს ერთსაც და მეორე ცნებასაც: არსებით მსგავსებას და არსებისაგან ყოფნასაც—Contra Evnom. Lib. II, col. 648 (ვიმოწმებთ ა. პ. ლებედევის წიგნის მიხედვით „Вселенские соборы IV—V веков", 1896, стр. 66).

13 А. Спасский, История догматических движений в эпоху вселенских соборов, I, 1906, стр. 374.

14 ბერძნული ტექსტი და მისი ქართული თარგმანი მოგვაწოდა ფილოლოგ. მეცნ. დოქტორმა თ. ჯუღნიამ.

*Ὁμοιος-ს—„მსგავს“ ტერმინმა, როგორც ვნახეთ, გარკვეული ცვლილებები განიცადა დოგმატიკური აზროვნების განვითარების პერიოდების მიხედვით. მე-4 ს. იგი წარმოადგენელი იყო, რადგან ის ითვლებოდა არიანობის დევიზად; გვიან საუკუნეებში მხოლოდ ნიუანსებით განსხვავდებოდა „ერთარსებისაგან“, თორემ მარკვეული უფლებებით სარგებლობდა. ამის დამადასტურებელია ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული ორი შემთხვევა—„მსგავსი“ ტერმინის „ერთარსების“ სინონიმად ხმარებისა.

Ὁμοούσιος და ὅμοιος || ὁμοιούσιος შორის არსებული სახესხვაობის ანალოგიურად გვესახება ჩვენ „ერთარსებასა“ და „თანაარსებას“ შორის არსებული აზრობრივი ნიუანსი. მნიშვნელობის თვალსაზრისით როგორ მიმართებაშიც არის „მსგავსი“ „ერთარსებისადმი“, ასეთივე მიმართებაში ჩანს „თანაარსიც“ „ერთარსებისადმი“. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია ὁμοιούσιος-ის განმასხვავებელი ნიშნები ὁμοιούσιος-საგან. ესაა ჰიპოსტასური შედგენილობის წინ წამოწევა, რაც კარგად ჩანს ὁμοιούσιος-ით. ქართულ „თანაარსშიც“ ასეევა წამოწეული ჰიპოსტასური შედგენილობის საკითხი.

„თანაარსის“ ეს ეტიმოლოგია მას „ერთარსების“ ბადლად ვერ აჩენს. ძე მამისა თანა არს, მაგრამ ერთია თუ არა ისინი არსებით? ვიმეორებთ:

„თანაარსით“ ჰიპოსტასებია ხაზგასმული და ამით ყოფიერების მომენტს ესმება ხაზი, ხოლო „ერთარსებაში“ არსება — ὄυσια არსების მომენტს გახაზავს.

ბერძნულში მოიპოვება οὐσία სახელითა და სხვადასხვა წინდებულით შედგენილი კომპოზიტები: μετούσια, παρούσια, συνούσια, ἐνούσια. არცერთი ამ ბერძნულ ტერმინთაგანი არ გამოდგება ὁμοιούσιος-ის სინონიმად და ამდენად, გაუმართლებელია „თანაარსის“ ადექვატის მათ შორის ძებნა. არც წარმოების მიხედვით, არც დოგმატიკური მნიშვნელობით „თანაარსი“ მათ იდენტურად არ გამოცხადდება.

რაც შეეხება ὁμοιούσιος, მისი ტრინიტალური გააზრება გვიან ბიზანტიურში იმდენად სახეცვლილია (როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული), რომ შესაძლებლად მიგვაჩნია დავუშვათ მასთან ქართული „თანაარსის“ აზრობრივი იდენტობა[15]. Ὁμοούσιος-ში ὅμος-ის მნიშვნელობაა: 1. ერთი და იგივე, ერთნაირი, მსგავსი, 2. საერთო, ერთი. იგივე მნიშვნელობა აქვს ერთ რიცხვით სახელს ქართულ „ერთარსებაში“. რაც შეეხება მეორე ტერმინის, ὁμοιούσιος-ის პირველ კომპონენტს—ὅμοιος, იგი ნიშნავს: 1. მსგავსს, 2. სწორს, ერთსა და იმავეს, 3. ზიარს და ა. შ. „ქართულ „თანაარსში“ ასევე ჩანს ეს მსგავსება, სწორება.

„ერთარსების“ დოგმატიკური მნიშვნელობა ზუსტად შეესატყვისება ὁμοούσιος-ს, ხოლო „თანაარსის“ მნიშვნელობა შესაძლებლად მიგვაჩნია ὅμοιος || ὁμοιούσιος-ის ანალოგიურად გავიაზროთ. როგორც ὅμοιος || ὁμοιούσιος-ს, ისე „თანაარსს“ ჰიპოსტასური შედგენილობის წინ წამოწევა განასხვავებს ὁμοούσιος—„ერთარსებისაგან“.

დასკვნა

1. „ერთარსება“//„ერთარს“ და „თანაარს“ ტერმინები ყოველთვის სინონიმურ ცნებებს არ გამოხატავს.

2. „ერთარსება“ და „თანაარსი“ ზუსტად განსაზღვრულ კონტექსტებში დასტურდება.

[15] მით უმეტეს, რომ ქართულ სინამდვილეში დადასტურდა ὁμοιούσιος „მსგავსი“ შესატყვისობა.

„ერთარსება“ გამოიყენება: ა) მთლიანად სამების//ღმერთის მიმართ („სამება ერთარსება“...; „სამებასა თაყუანის-ვსცემ „ერთარსებით“...; ერთარსისა თაყუანის-საცემელისა ღმრთეებისა მადლითა“...). ბ) წმ. სამების ცალკეული წევრებისადმი, მათი მიმართების აღნიშვნისას („იდიდები ერთარსებით მამისა და სულისაჲთა...“; „გურწამს ...ღმერთი ჴეშმარიტი... ერთარსი მამისაჲ“), გ) მხოლოდ ერთი წევრისადმი („დაუსაბამო სულო წმიდაო, ერთარსებაო“...).

„თანაარსი“ გამოიყენება სამების ცალკეული წევრების: ერთის, ორის, ან სამივეს დასახელების შემთხვევაში, მათი მიმართების აღნიშვნისას („ძჱ... თანაარსი და თანამსგავსი მამისაჲ...“; „სული წმიდაჲ... მამისა და ძისა თანაარსი...“); ზოგჯერ ის წევრი სამებისა, რომლისადმი მიმართება იგულისხმება, წინადადებაში არ ჩანს („თანაარსი სიტყუაჲ უკამოჲ... ჰქადაგე შენ...“, „თანაარსისა და ცხოველს-მყოფელისა წმიდისა სულისამან... მაქებელმან“).

საერთო სურათიდან გამონაკლისს წარმოადგენს არსენი იყალთოელის თარგმანები, სადაც ყოველგვარ კონტექსტში დასტურდება მხოლოდ „თანაარსი“.

3. „თანაარს“ ტერმინი ღმერთთან ან წმ. სამებასთან კონტექსტში მხოლოდ იმ შემთხვევაში დასტურდება, როცა ამ უკანასკნელთ ახლავს ტერმინი „ერთი“ („თანაარსისა სამებისა მიმართ ერთისა“..., „თანაარსისა ერთღმრთეებისა...“).

4. „ერთარსება“ ტერმინს ორგვარი ფუნქცია აქვს: 1. თანაობა, მსგავსება, რამდენიმეს ურთიერთმიმართება, 2. ერთობა, ერთიდაიგივეობა. ძირითადი და უპირატესია ერთობის ჩვენება. განმსაზღვრელია როგორც დოგმატიკური მრწამსი (სამების წევრთა არსებით ერთობის, ერთიდაიგივეობის აღნიშვნა), ისე კომპოზიტში ერთ რიცხვითი სახელის ფუნქციონალური სპეციფიკურობა (როგორც ერთობის, ისე თანაობის ჩვენება).

5. ტერმინი „თანაარსი“ სამების ცალკეული წევრების ურთიერთმიმართებას გამოხატავს. აღნიშნულია თანაობა, მსგავსება. ერთობის ფუნქცია იგულისხმება სამების დოგმის თვალსაზრისით.

6. „ერთარსება“ უფრო მეტ შინაარსს მოიცავს, ვიდრე „თანაარსი“. „ერთარსება“ აუცილებლად „თანაარსიც“ არის, მაგრამ „თანაარსი“ ყოველთვის არ გაიგებოდა „ერთარსების“ ბადლად. უპირატესობა ენიჭებოდა „ერთარსებას“ სამების დოგმის თვალსაზრისით (შდრ. ეფრემ მცირის: „ესე ყოველნი არა ხოლო თანაარსებასა და უფროჲსსა ერთარსებასა მისსა აჩუენებენ“).

7. „ერთარსება“ და „თანაარს“ ტერმინებს შორის არსებულ ნიუანსურ სხვაობაში ბერძნულ დოგმატიკურ აზროვნებაში მომხდარ ცვლილებათა ასახვა ჩანს.

საილუსტრაციო მასალა აღებულია

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებიდან.

2. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის ხალექსიკონო ფონდიდან.

3. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეო-

ბის ინსტიტუტში დაცული ბიზანტიურ-ქართული დოკუმენტირებული სალექსიკონო მასალებიდან.

შემოკლებანი:

1. S — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდი.

2. A — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდი.

3. rt—ხელნაწერთა ინსტიტუტის roto ფონდი.

4. კიმენი I — ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი, კიმენი, ტ. I, ტფილისი, 1918.

5. კიმენი II — ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი, კიმენი, ტ. II, თბილისი, 1946.

6. ძვ. ქ. ს. პ. — პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, წიგნი I, ტფილისი, 1913.

7. ლიტ. ურთ. — ი. ლ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX — X სს-ში, თბილისი, 1944.

8. სინური მრავალთავი — ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 5, სინური მრავალთავი 864 წლისაა, აკ. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1959.

9. ეტიუდები — კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან.

10. იოანე ბოლნელის ქადაგებანი, რ. ბარამიძის გამოცემა, თბილისი, 1962 წ.

11. ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტ. — ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, წიგნი I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946.

12. მიქ. მოდრ. საგ. კრებ. — მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა კრებული S — 425.

13. დ. ალმაშ. ისტ. — დავით ალმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, წ. I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1955.

14. ი. პ. შრომები — იოანე პეტრიწის შრომები, შ. ნუცუბიძისა და ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, I, 1940; II, 1937.

15. ასურ. მოღ. ცხ. — ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, I, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1955.

16. თარგმანება ეკლესიასტისაჲ — თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზმკრნელ მიტროპოლიტისაჲ, კ. კეკელიძის გამოცემა, 1920.

17. პეტრე იბერ. შრომები — პეტრე იბერიელი (დიონისე არეოპაგელი), შრომები, ს. ენუქაშვილის გამოცემა, თბილისი, 1961.

18. იოანე — სახარება იოანესი.

19. მ. ჯანაშ. გამოც. М. Джанашвили, История грузинской церкви, кн. I, 1898.

20. ХВ, IV—Христианский Восток, т. IV, вып. I, II, 1915.

21. ТР, IX—Тексты и разыскания по армянско-грузинской филологии, т. I, Л., 1925.

М. А. РАПАВА

ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ДОГМАТИКИ
О ТЕРМИНАХ „ერთარსება" ERTARSEBA И „თანაარსი" TANAARSI

(Р е з ю м е)

В грузинской теологической терминологии для обозначения высшего существа, христианского бога применяются термины „ერთარსება" ertarseba и „თანაარსი" tanaarsi. Эти термины соответствуют греческому ὁμοούσιος. В грузинском языке термины „ერთარსება" ertarseba и „თანაარსი" tanaarsi не всегда являются синонимами. Они употребляются в строго определенных значениях.

„ერთარსება" ertarseba употребляется: 1) в применении к св. троице || к богу в целом; 2) применительно к отдельным членам св. троицы, для обозначения реляции между ними; 3) при обращении к одному из членов троицы. „თანაარსი" tanaarsi употребляется при наименовании отдельных членов троицы. „თანაარსი" tanaarsi в контексте с богом или св. троицей встречается лишь в том случае, когда налицо другой термин „ერთი" erti (единый).

Между термином „ერთარსება" и „თანაარსი" существует некоторое функциональное различие. Термин „ერთარსება" ertarseba „единосущный" выявляет двоякую функцию: а) равенство, соотношение; б) единство, тождественность. Основной и ведущей является функция единства. Термин „თანაარსი" tanaarsi „подобосущный" показывает отношение, равенство между членами св. троицы. Функция единства подразумевается с точки зрения догмата о св. троице.

Термин „ერთარსება" ertarseba более точно и всесторонне передает содержание догмата о троице, чем „თანაარსი" tanaarsi. В нем дан синтез всего учения о троице. Выдающийся грузинский деятель Ефрем Мцире предпочтение отдает термину „ერთარსება" ertarseba и с догматической точки зрения ставит его выше, чем термин „თანაარსი" tanaarsi.

თორნიკე ჟორნია

იოანე დამასკელის ენკომია იოანე ოქროპირის მიმართ

მეხუთე მსოფლიო საეკლესიო კრებამ (553 წ.) მიაკუთვნა იოანე ოქროპირი რჩეულ მწერალთა და მოღვაწეთა რიცხვს. იგი მეცხრე ადგილზეა დასახელებული 12 მოღვაწის სიაში.

იოანე ოქროპირი იყო თავისი დროის გამოჩენილი საეკლესიო ორატორი[1] და მწერალი. მის კალამს ეკუთვნის: ძველი და ახალი აღთქმის ზოგიერთი წიგნის განმარტებანი, საგალობლები, ჰომილიები, ეპისტოლენი და სხვ.[2].

მრავალი თხზულება ოქროპირისა ითარგმნა სხვადასხვა დროს ქართულად[3].

ამ თარგმანების მეშვეობით ერცელდებოდა იოანე ოქროპირის შეხედულებანი საქართველოში[4]. მაგალითად, მათესა და იოანეს სახარებათა განმარტებებში საყურადღებო აზრები აქვს გამოთქმული ოქროპირს, სხვათა შორის, სოციალურ საკითხებზე.

იოანე ოქროპირი გვიჩვენებს მის თანამედროვე ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების შემაძრწუნებელ სურათს. „უკუეთუ ვინმემცა დაჯდა ადგილსა მაღალსა განცდად საქმეთა კაცობრიეთა, რაოდენმცა იტირა და მწუხარე იქმნა და რაჲზომცა განკიცხა იგი. რამეთუ საქმეთა ვიქმთ, რომელნი ღირს არიან სიცილისა და კიცხევისა. იგი ვინმე ზრდის ძაღლთა ნადირობად ველურთა ნადირთა, და თჳთ უუგუნურეს ნადირთასა იქმნების. სხუაჲ ზრდის მფრინველთა ქორთა და შავარდენთა და ოქროსა ფრიადსა წარაგებს ესეეითართა ზედა, და კაცთა შიშმილითა მომყმართა არა მიხედავს. სხუაჲ კუალად ოქრო სოფიოთა და მარმარილოთა კრებს და დაასხამს კედელთა, და გლახაკთა შიშუელთა მცირესაცა სამოსელსა არა მისცემს, და ურიცხუნი აქუნდიან სამოსელნი და გლახაკთა ერთიცა არა აქუნ. და სამშჯაეროთა შინა სხუამან სხუაჲ შთანთ-

---

[1] იოანეს, როგორც შესანიშნავ ორატორს, VI საუკუნიდან ეწოდა „ოქროპირი".

რაჲმე მაგარ და დაურღუშველ[1] ძტკრცე პოვნითა კაცისა ღმრთისაჲთა, არა დარედ გაწნზარხი. რამეთუ[2] ვინმცა სხუაჲ პოვა აღწასუბუქებელად ენებისა. მთავარი ვინმეა[3]; არამედ ჰმთაურობდა მთავართა ამისი მაჭირვებელი[4], ანუ მეფემცა[5]; არამედ ასოჲსა[6] თანალმობითა[7] დადედლებულ[8] იყო ცრობითა. რამეთუ ჶორცი იყო ჶორცთა მისთაგანი და ძუალ[9] მისსა[10] იძულებს[11] მოქმედი. და რომელსა-იგი უჴმდა პირის დაყოფაჲ[12] უსამართლოთაჲ[13], უსამართლოებისა[14] მიდევნებულ იყო.

რასა იქმ, ჶ უსჱულოო[15] დედაკაცო, გერგუნი ზედა გადგს და სამეუფოჲთა[16] პორფირითა გაწმუსკებულ[17] ხარ, ვითარცა სჯულთა ზედა საღმრთოთა[18] მცეველად[19] დადგრებული და სჯულთა[20] დასთრგუნავი[21]?

ეჰა, გამოუთქუმელსა სიბრძესა მეტყუელისასა! ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა*. რამეთუ შენ ხარ ნამდჳლვე[22] ყოველად წმიდისა საღმრთოჲსა[23] სჯულისა[24] დამთრგუნველი მარგალიტსა მრავალსასყიდლისაჲ[25], რომელმან მიერ მიიწეც და გარხეთქე გლახაკი[26] ქურივი წარტაცებითა[27] მისისა საშღილეურო საცხორებელისაჲთა[28]. რასაი[29] იქმ, ჶ უძლებო და უმადლოო დედაკაცო! რომელსა ჴუეყანაჲ[30] და ზღუაჲ ძღუნს[31] მომრთუმელად[32] გაჴუს, ჭურივისა[33] უჴდაჲსა[34] და უღონოჲსა[35] მონაგებსა[36] ზედა მიუხუალა[37]? ჰე[38], თუმცა ამის[39] ცხორებისაგან განჴდაი[40] შეგემთხუოდა დაცვისათჳს და საქმით დამტკიცებისა სიჭუეთა[41] სჯულისათა, ხოლო შენ საჴცოთ ღანაგდებ[42] მას და არა გეცდების მამისაგან ობოლთაჲსა[43] და მსაჯულისა ქურივთაჲსა**[44].

არამედ ესპა საღმრთოთა[45] მიერ სიტყუეთა[46] ნამდჳლვე[47] მარადის აღზრდილსა[48] მას: უსაჯეთ ობოლსა და განამართლეთ ქურივი***. და ელია აქუს მას ფერჴთმუყარებელად[49] მოშურნეობისა ცეცხლმბერველი იგი იოვანეს ემსგავსების[50] კადნიერებასა[51], არა ჯარაის შენდა, გეტყჳს[52], ქონებად[53] ვენაჳი დისა შენისაჲ[54]. ჰგონე[V]ბა[55] ბუნებით მისსა ზესთაობასა[56], დაღათუ პატივითა ჴსთა[57] ეკმენ[58] საბითა მძლავრებითითა[59]. რამეთუ[60] დასაბაჲ[61] სჯულის[62] დაწესებისა მეფე არს, ხოლო უსჯულოებაჲ[63] შენივთებული[64] არა უსამართლოდ სახელ-იდებოდის მძლავრებად[65].

არა წარგეკითხა იზაბელის საქმიანობაჲ. რაჲსა შეხუალ სახლსა ამას ღმრთისასა[66], გაჴედ შორს საღმრთოთა[67] სამეუფოთაგან. საბაჴელ არს[68].

---

* მათ. VII, 6.

** შდრ. ფსალ. LXVII, 6.

*** შდრ. ფსალ. LXXXI, 3.

1 დაურღუშველობით A. დაურღუშეველობითა C. 2 ვინმაცა C. 3 ვინმე C. 4 მჭირვებელი C. 5 მეფეთაცა B. მეფემაცა C. 6 ასოთა C. 7 თანა-ლმობითა] ლმობითა და C. 8 და დადედლებულ C. 9 ძუალ C. 10 მისა C. 11 იძულებით B. 12 პირის დაყოფა C. 13 ურსმრთლოთა C. 14 ურსმრთლობასა C. 15 ურსჯლო C. 16 სამეუფოთა C. 17 შმკობიღ C. 18 სღრეთა C. 19 მცეველად C. 20 შჯლთა B. 21 დათრგუნეა C. 22 ნანდჳლვე C. 23 საღმრთოსა] სრდ, რა C. 24 შჯლისა B. 25 მრელსყიდლისა C. 26 გლახაკი—B. გლხკი C. 27 წრტაებისა C. 28 სცხბლისაჲთა C. 29 რაჲსა C. 30 ქუყნა C. 31 ძღუნს C. 32 მომრთმელად C. 33 ქვრიესაჲ C. 34 უნდოსა C. 35 უღონოსა C. 36 მონგბთა C. 37 მიხეალა C. 38 ჰე BC. 39 ამისცა A. 40 განჴდა C. 41 სიტყთა C. 42 გნგბ C. 43 ობოლთასა C. 44 ქვრიეთასა C. 45 სღთა C. 46 სიტყთა C. 47 ნდჳლვე C. 48 აღმზრდელსა B. 49 ფერჴმუყანბელად C. 50 ემსგავსების C. 51 კადნიერებასა C. 52 გეტყჳ C. 53 ქონბად C. 54 შნისა C. 55 ჰგონებაჲ C. 56 ზეშთაობასა C. ზეშთაობასა A. 57 ზეშთა AC. 58 ეკმენ—C. 59 მძლავრებითა B. მძლავრებითითა C. 60 რამეთო—C. 61 და სბაჲ C. 62 შჯლის B. სჯლისა C. 63 უშჯლბა C. 64 შენივთებული] შნი ნივთებლი C. 65 მძლავრებბად C. 66 ღრსა C. 67 სღთა C. 68 სბჳნულრს C.

საღმრთოჲ ტაძარი, განმბანელ[1] შეცოდებათაჲ. მეზეცმრემან სერობად[2] რაჲ შეიწყნარა იესუ, კეთილად[3] განაბნია, რაჲ-იგი ბორკილად შეეკრიბაჲ. და შენცა, ას ულო, რამეთუ ჯერეთ ასოდეც გხდი[4], დაღათუ ძჳრად[5] ჰსოქმედებ, არამედ ასულვე ხარ სასოებითა ცხორებისაჲთა[6]. ხოლო ცხორებაჲ თჳნიერ სინანულისა არა არს. უკუნ-ეც კეთილად, რაჲ-იგი ბორკილად იტაცე[7].

ამას რაჲ ეტყოდა, ვერ არწმუნა, რამეთუ დაეყენეს სასმენელნი, ვითარცა ასპიტსა არასმენად ღმრთის-მოყუარისა[8] და ბრძნისა წამალის-მცემელისა. ვინაჲთგან[9] უკუე ხედვიდა[10] ვნებისა ყოველად უკურნებელობასა[11], განჭადა[12] სამღდელოთა ეზოთაგან არამჴურებელი იგი სასძლოჲსა[13] საჭოსლისაჲ[14].

მკრძე რაჲ კუალად იუზაბელ ზედა-აუღეკების წირაწარჩეტყუელსა და არასადა იელტის მისგან ქადაგი ჭეშმარიტებისაჲ[15], არცა საკჳრობილედ მიეცემის, არამედ ვითარცა ჭმაჲ ღაღადებისაჲ[16] ექსორიობად[17] დაისაჯების. ეჰა უჯეროსა ცრობასა[18] კუალად გუშლის გულის-თქუმათ[19] მოქმედისასაჲ ეკლესიისაგან განღევნად იკადრებს კაცსა ღმრთისასა[20], და არა ჭეშმარეტ იქმნა[21] გულის-თქუმისაგან,[22] კნინღა[23] წუთ-ერთ ჰრულითა ღმრთისა[24] სულგრძლებისა[25] წამთაჲთა[26], და ექსორია ყო სამეუფოჲთ[27] ქალაქით[28] წმიდაჲ იგი, უფროჲსა[29] წინა-განგებითა ღმრთისა[30], მოყუარეთა და მსახურთა თჳსთა წულებრივისა ცრობისა განმაცხადებელისაჲთა[31].

რამეთუ მას, ვითარცა თჳსნი აქუნდეს უცხონი და ყოველივე თჳსად, უფროჲსა[32] ღმრთისად[33], ვითარ-იგი არსცა ღმრთისაჲ, რომლისათჳს და რომლისა თანა ესე[34] მიმოჴდა[35]; აბრაჰამის თანა უცხოდ[36] სოფლად[37] მიწოდებული, მოსეს თანა სამეუფოთაგან ლტოლვილი, ელიაჲს[38] თანა ქუაბად[39] ქორებისა მილტოლვილი, იესუჲს თანა იელტის ეგჱპტედ, ვიდრემდის ღუაწლსა[40] შინა[41] სიმჭე იცრობოს და ღუაწლის-შემდგომი[42] მოისთულნეს[43], რაჲთა სახით[44] რაჲთმე[45] იობს მიემსგავსოს[46], და მაშინ ღმერთმან ამისსაცა მიმართ თქუას; ანუ ჰგონებაჲ[47] სხუად[48] რადმე გამოცხადებასაჲ[49] შენსა[50], არამედ რაჲთა გამოსჩნდე[51] მართლად[52], რაჲთა ჰჴადაგონ სახარებაჲ.

ხოლო უკუეთუ სხუაჲცა[53] ეიეთნიმე უსჯულოჲსა[54] ამის ექსორიობისა თანაშემწე იქმნეს, ამას დუმილით პატიე-ვ |46| სცემთ[55] კრძალჳთა[56] მამათაჲთა[57], რაჲთა[58] არა ქაშის პატიჟი დაიმჭედროთ მამათ-მბასრობელობითა. რამეთუ მრავალსახეცა არს ამათ პირთათჳს თხრობაჲ: რამეთუ რომელნიმე ეპისკოპოსთა ზედა

---

1 გ-ნმბანელ C. 2 შეცოდებთა C. 3 სეროპრდ C. 4 კეთილ-რდ C. 5 შეეკრიბ-ა C. 6 გჳრდი C. გხდი *AB*. 7 ძჳრად C. 8 ცჴრბისთა C. 9 უკუნ ეც კეთილად, რაჲ-იგი ბორკილად იტ ცე — B. 10 ღრის მოყუარისა C. 11 ვინათგნ C. 12 ხედჳდა C. 13 უკურნებლობ-ასა C. 14 გნძკჳდა C. 15 სრსძლოსა C. 16 სრმოსლის C. 17 ჭტრბისა C. 18 ღრღბისა C. 19 ექსორიობ-ად C. 20 ცნობ-ასა C. 21 გულის-თქუმათ] თქ-მდ C. 22 ღ-ასა C. 23 იქმნ-ის C. 24 გლის თქმისგნ C. 25 კნინღ-ა C. 26 ღ-ა C. 27 სრგრძლებითა C. 28 წმითთა C. 29 სრმეუფოთ C. 30 ქალაქით—C. 31 უფროსღ-ა C. 32 ღ-ა C. 33 გ-ნმაცხადებლისათა C. 34 უფროსღ-ა C. 35 ღ-ად C. 36 ე...*A*. ესე—C. 37 ც\ უ-ელ ქ-ედ(?) *A*. მიმოლეიდა (?) B. 38 ჱლიაჲ BC. 39 სფლ-რდ C. 40 ელიას C. 41 ქუაბ-ად C. 42 ღუაწლთა *A*; ღუაწლთა C. 43 შინა—C. 44 ღუაწლის შ-მდგომი C. 45 მოისთულნეს C. 46 სახით C. 47 რ-მე C. 48 მივმსგჳსოს C. 49 ჰქონებ-ა C. 50 სხ-დ C. 51 გ-მოცხადებ-ასა C. 52 მ-რსა C. 53 გა-მოჩნდეს BC. 54 მართლ-დ C. 55 იქძ-გო *A*. 56 სხ-ნიცა C. 57 უმჯ-ლსა B. ჯმჯლოსა C. 58 პ-ტიესცემთ B. პტ-ესცეთ C. 59 კრძლთა C. 60 მ-მთა C. 61 რაჲთა] რ- B.

დასდებენ უჯეროებასა[1], ხოლო რომელნიმე ამათ ყოველად[2] უბრალო იქმან და დედოფლისა ზედა ოდენ მრღებენ მაჯადებელისა[3] აწყა დაჴსნელთა საკერპოთა ტაძართა განახლებასა[4], უკუეთუ[5] არა თანა-ეწყმნენ მას[6] საღმრთოსა ამის კაცისა განდევნასა ზედა და სძლეოდინ ჰამბავკეთილობაჲ[7]; რამეთუ არა კეთილ არს მარადაჲ[8] ერთიერთას[9] თანა-შეჯუფებაჲ, რაჲთა არა თჳით თჳსთ მსაჯულ ქადაგებულ[10] ეიქმნეთ[11]*.

გინა თუ ესრეთ, გინა თუ ეგრეთ, ან უკრძალავს, ანუ ნათგან მოკუეთა ეკლესიასა წინა-მჴდომელი, ვითარცა თავი გუამისაგან. და დაჴეიცვიდა[12] სამწყსოჲ[13] კეთილისა მწუემსისაგან, რომელი მარადის ქრისტჱს მსგაუსად[14] სულსა თჳსსა დასდებდა ცხოვრებათჳს. და სუროდა[15] ეკლესიასა[16] ქადაგისათჳს, ცხოვართა მაძოვნებელისა[17] დასჯეისათჳს[18], ქრისტჱს თანა-მბრძოლთა წესთმოაყრისათჳს, საყჳრისათჳს საცაურთა მტერთადა[19] წირაგანწყობილთა[20], ზედამდგომელისათჳს ჴუროვთა, მამისათჳს ობოლთა, მტჯრთველისათჳს სნეულთა[21], უცხოთ შემწყარებლისათჳს[22]. და ეძიებდეს პორფირი[23] ქალაქთაჲ[24] ოქროსა უმანკოსა თჳით თჳსით შემამკობელსა მისსა და შ მაზავებელსა მეფობისასა მღდელობასა[25] თაჲ და სულისა[26] მხედველობისა[27] მ მმადლებლსა სკიპტრისა და პორფ ირასა, ღმრთისმოყუარჱნი[28] სასმენელნი ოქროპირსა ქრისტჱს[29] პირსა. და[30] არა თუმცა კადრიერ იყოს სიკუადად[31] მის თანა გაჴჳდილსა ქრისტჱსა, რომელი მასჳ[32] თანამკჳდრად აქუნდა. ჩ ვითარ უცრემლოდ წარმოგითხრა[33] მოუთმენელი განსაცდელი, რამეთუ არცაღა ქჳსა[34] გულსა ძალ-უც არაცრემლოვად ამას ზედა. ვინაჲთგან[35] კლდეცა მოსეს კუმრთხით[36] ცემული წყალთა მოადინებდა, და გული მაგროვანი იწყალს[37] რაჲ სიმძრთა ჰამბჳისაჲთა[38], მდინარებრ დასთხეულ ცრემლთა ცუარებსა[39].

არამ დ მყის სამეუფოჲი აღშფოთნებიან, და კუალად ფარაო ღმრთის მხილველსა ჴმობს ღორედ საგუშჱლისა[40], რომელი ესე იქმნაცა. რაჲთუ მყის მოჴცევასავე თაჲ სამეუფოჲთა[41] ბრძანებითა იოვანესსა დასცხრა შფოთებაჲ.

ესრეთ იცის ღმრთმან პატივი ჲეშჳაიტებით თჳსთაჲ[42] |V|. ცხოველ ვარ მე, იტყჳს[43] უფალი, მადიდებელნი ჩემნი ვადიდნე**. ვინაჲცა[44] კუალად მხიარულებდა[45] სამწყსოჲ[46] ქრისტჱსი, რამეთუ ყოველთა უკუნ-ეზღო ყოველად ყოველთა ქმნილი, იხარებდეს ყოველნი ქრისტჱს მორჩილნი, პოხდეს და აღორძინებოდეს კეთილ ქუეყანასა გულისასა[47] შეწყნარებითა იოვანეს სიტყჳსაჲთა[48], ვითარცა სულისა მიერისა თესლისაჲთა[49].

---

* ამ სიტყვის შემდეგ აკლია B ნუსხას ჩვენ მიერ გამოცემული ტექ-ტის 27-ე გვერდამდე (სიტყვებამდე: არამედ საღმრთოჲთა).

** I მეფ. II, 30.

1 ცჯეროებასა C. 2 ყოველად—C. 3 მჯადაგებელისა C. 4 განაახლებს C. 5 უკუთუ C. 6 მას—B. 7 ანბარე კრთილობრა C. 8 მ-მთა C. 9 ურთიერთას BC. 10 დ... გი... ბულ A. 11 ეიქმნეთ C. 12 დაეჴეიდა C. 13 სრწყსო C. 14 მსგრსდ C. 15 ჰსუროდა C. 16 ეკლესიასა—C. 17 მძოვნებლისა C. 18 და სტჯნჳთ ორს C. 19 მტერთა და C. 20 წინაჲ გწყობილთა C. 21 სნეულთა+მოშხილეულისათს C. 22 შემწყნარებლისათჳს+ეცხოთა A. 23 პორფი A. 24 ქლქთა C. 25 მღდელობასა C. 26 სლიათა C. 27 მხედეელობითა C. 28 ღრის მოყუარენი C. 29 ქრეს A. 30 და—C. 31 სიტყდ C. 32 თანა განჴდილსა ქრისტეს, რომელი მას—C. 33 წრმოგითხრა C. 34 ჭსა C. 35 ვინათგნ C. 36 კუმრთხითა C. 37 იწყლნს C. 38 ჰამბჳეისათა C. 39 ცეარებსა C. 40 საგუმელისა C. 41 სრმეუფოთა C. 42 თრთა C. 43 იტყსო A. 44 ვინაც C. 45 მხიარლობდა C. 46 სრმწყსო C. 47 გლრსსა AC. 48 სიტყჳსათა C. 49 თესლისათა C.

ხოლო ეშმაკი იწყლეოდა[1], და კუალადცა ჩუმულებისაებრ[2] მართლისა ამის ზედა-აღმდგომ იქმნებოდა მწვრთნა მის ეკლესიისა[3] წინა-საჭუმელისა დაჭედად ნეცადინეობითა და წარტყუენვად ჯელ-ყოფითა სიმდიდრისა მისისა წარტყუენველსა იავარსა იავარ-ქმნისაჲთ[4]. მიიღო უკუე ჯელ-წიფებაჲ ჯორცთა ზედა, ვითარცა პირველ[5] იობის ზედა, არა თავს-მდებელმან მან პირველთა ამისთა შერისხვათაჲთ. და კუალად მართალი იგი აღეღო, და სიძე სასძლოჲთ[6] განრჭადა,[7] და ეკლესიასა სასძლოჲ[8] სამკაული მოეძარცუა[9], და ეაჲი არღარა ქორებითა აღეპარსა. რამეთუ ცუდსა, ვითარცა ღმრთივ მოელინებული, საყდრით აღატყდა და ეკლესიაჲ[10] თანად[11] საგანმზრახოჲთ[12] ჴოძოა[13]. და კუალადცა გოდებანი[14] და ცრემლოვანი თანა-განმავალ, ანუ ყოველად წარმავალ ყოფად აღმასურვებელნი[15] ერისანი, და იყო მათდა სიკუდილი უსაწადელეს ცოვრესაგან დაკლებისასა. არამედ ეჰა[16] მიშუბაჲღა[17] ღმრთისაჲ[18] ძჯრთა[19] მოსლვისათჳს[20] ჩსჯაკრითა მით, რომელი მან მხოლოჲან უწყის.

ესრეთ უკუე კუალად[21] განიჭადა ქალაქით და ადგილითი-ადგილ[22] მიჩოსრბითა მისდევდა ქალაქსა, რომლისა ცხორებად[23] სურვიელ[24] იყო და მისთჳს[25] სიკუდილი შესაძელად[26] მეერაცხა[27]*. ღუაწლი[28] კეთილი მოიღუაწა[29], სარწმუნოებაჲ დაიმარხა[30] და სრბაჲ[31] აღასრულა[32]** და მოიხუნა ღუაწლთა ღუაწლთ-სანაცულენი[33] გჳრგჳნი სიმართლისანი.

არამედ მომკუდარჱნაცა არაეე[34] დაუტეეა სძალი თჳსი სიძემან მან თანად სძლის მოყუარემან[35] და შვილთ-მოყუარემან[36]. არცადა შვილნი[37] მისნი დაკლებულ ყოფად მადლისა მისისაგან***.

არამედ საღმრთოჲთა წინა-განგებითა და ბჳმობითა ზოგად[38] შემსგავსებულად[39] სამეუფოდეე[40] აღმოიყვანა, ხილულად[41] უკუე[42] ჯორცთა და უხილავად[43] სულითა[44], და ჰგჳეს[45] ქადაგად[46] საღმრთოჲთ[47] სიტყუაჲთ[48], ვიდრემდის[49] ქრისტე კუალად მოსლვა-ჰყოფდეს,[50] რომლისა თანა იდიდოს[51] მისითაეე[52] მოხარული შუბითაჲ[53] და შუბჳერებითა.

ესე ჩემნი, ჲ მამათა ჩამაო, შენდა ჩომართ ბრგუნვილობანი[54]. არამედ მოგუხე[47] დეედ ჩუენ თანა-მოსახელეთა და ნაცულის-მგებლობდ[55] დამბადებელისაჲ[56] მიმართ საკუთრებასა[57], რომელ-იგი არს ტკბილი, მხიარულებაჲ საუკუნოჲ[58] ქრის-

---

* ამ სიტყვის („მისისაგან-ის“) შემდეგ გაგრძელება ტექსტისა B ნუსხაში.

** შდრ. ფილ. I, 21.

*** შდრ. II ტიმ. IV, 7.

1 იყწლოდა C. 2 ჩუმულებჱსაებრ A. 3 ეკლესისა C. 4 იავარ ქმნისათა C. 5 პირველ—C. 6 სრსძლოთ C. 7 გრნყადა C. 8 სასძლო C. 9 მოეძარცუა C. 10 ეკესა C. 11 თა C. 12 საგნზრახოთჳთ C. 13 მოწყა C. 14 გოგბ̈ნი C. 15 აღმასრულებნი C. 16 ეაჲ C. 17 მიშობაჲღა C. 18 ღა C. 19 ძჯრთა + ზა C. 20 მოსღსაჲთ C. 21 კჳალად — C. 22 ადგილითი ადგილად C. 23 ცხრბა C. 24 სურველ C. 25 ამისთს C. 26 შესაძლებელად C. 27 მეერაცხა C. 28 ღუაწლი C. 29 მოიღუაწა C. 30 დაიმარხა C. 31 და სრბაჲ]სსბა C. 32 აღასრულა C. 33 ღუაწლთა ღუაწლთ-სანაცულენი] ღუაწლთ სანაცულნი C. 34 არაეე] ცხ...ეეა (?) A. 35 მოყუარემან C. 36 შჯლთ ძყურემან C. 37 შჯლნი C. 38 ზოგად C. 39 შემსგ...ებრლ B. 40 სწმფოდ C. 41 ხილეად C. 42 ჯკ... B. 43 ჴხიერეად C. 44 სლით... B. 45 აგეს C. 46 ქადაგად—C. 47 სღრთა C. 48 სი...ყუათა B. სიტყაჲთა C. 49 ვიე C. 50 მოსლე... ჰყოფდეს B. 51 იდიდოს B. 52 მითაეე B. მის თარეე C. 53 შუ... ბითა B. 54 ბრგუნვებაჲნი C. 55 ნაცულის მგებლობად B. ნაცულის მგებლობაჲდ C. 56 დამბაჲდებლისა C. 57 სკუთრბაჲსა C. 58 სრკნო C.

ტე[1] იესუჲს მიე[2] უფლისა[3] ჩუენისა, რომლისა[3] დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მაქუნ და[4] ყოველად წმიდით სულითურთ აწ და[5] მარადის და დაუსრულებელთა საუკუნეთა უკუნისამდე[6], ამინ[7].

1 ჭრ C. 2 ო[ა] C. 3 რ...ა B. რისხა C. 4 და—C. 5 დ... B. აწ[ა]. 6 უკუნიამდე] სჯნეთსა B. 7 მარადის და დაუსრულებელთა საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ—C.

Т. А. ЧКОНИЯ

ПОХВАЛЬНОЕ СЛОВО ИОАННА ДАМАСКИНА ИОАННУ ЗЛАТОУСТУ

(Резюме)

Имя Иоанна Златоуста было широко известно в Грузии. В древнегрузинских рукописях сохранились многие произведения Златоуста, а также биография его, написанная Георгием Александрийским и хвалебное слово Иоанна Дамаскина Иоанну Златоусту.

Похвальное слово было переведено с греческого на грузинский язык в XII веке. Две рукописи (XII—XIII вв. и XVIII в.) содержат в себе полный его текст, сокращенный же текст сохранился в одной рукописи.

Грузинский перевод в основном точно следует греческому тексту, изданному Минем. Некоторые разночтения грузинского перевода, надо полагать, восходят к другому варианту греческого текста.

Неизвестный грузинский писатель оставил нам блестящий перевод похвального слова Иоанна Дамаскина.

ილია აბულაძე

ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები მრავალთავის ზოგიერთი თავის წყარო

VIII. იოანე ოქროპირი, «გურიტისათჳს».

იოანე ოქროპირის «გურიტისათჳს» მხოლოდ ორ მრავალთავში მოიპოვება. ერთი დაცულია სინურ მრავალთავში 864 წლისა, ხოლო—მეორე ათონისაში (№ 11). პირველი გამოცემულია ა. შანიძის მიერ 1959 წ[1]., მეორე კი ჯერხნობით გამოუქვეყნებელია[2].

სინურ ხელნაწერში ეს ნაწარმოები სათაურად ატარებს წარწერას: „მეორჱ თქმული მისივე ოქროპირისაჲ — გურიტისათჳს და წმიდისა ეკლესიისათჳს"; ათონურ ნუსხაში კი მას შემდეგი სათაური მოეპოვება: „თქმული მისივე, გჳრიტისათჳს და სატფურებისათჳს წმიდათა ეკლესიათა". ამრიგად, ამ ორ ნუსხათაგან ერთსაც და მეორესაც (პირდაპირ თუ არაპირდაპირ) ავტორად ჰყავს დასახელებული იოანე ოქროპირი.

იოანეა აღნიშნული ავტორად ამაჲე ნაწარმოების ძველ სომხურ ვერსიაში. იგივე პირი იხსენიება თურმე ავტორად ძველ ლათინურ ვერსიაშიც, რომელიც ითვლება ბერძნულის ერთ ადრეულ თარგმანად[3]. ბერძნულ წყაროს ანონიმურ ნაწარმოებად მიიჩნევენ დასავლეთში და მას აყენებენ იმ ნაწარმოებთა რიგში, რომლებიც იოანე ოქროპირს მიეწერება პირობით.

სომხურად ხსენებული ნაწარმოები ერთადერთი ნუსხით არის შემონახული, რაც მიაკვლია და სათანადო შენიშვნებით გამოაქვეყნა ცნობილმა სომეხმა ფილოლოგმა არისტაკეს ვარდანიანმა 1923 წელს. უნიკალური ნუსხა დაცულია ვენის მხითარიანთა კონგრეგაციის მატენადარანში (№ 2). სათაურად ეს ძეგლი ატარებს წარწერას: *„Ճառ ասացեալ սուրբ կիպրոսիոսիէ եպիսկոպոսէ տեառն Յովհաննու ի սատրաքն որ կիւրդ կրդոց օրինակաւ եկեղ..."* („სატფურებაჲ წმიდისა კათოლიკე ეკლესიისაჲ, უფლისა იოვანესი «გურიტისათჳს», რომელი ქებათა ქებათაჲსაგან გადმოღებულ (არს) ეკლე..."). აქედან ნათლად ჩანს, რომ ეს სათაური ერთი ნაწილით ეხმაურება ათონური ნუსხის ზედწერილს („გჳრიტისათჳს და სატფურებისათჳს წმიდათა ეკლესიათა"), ხოლო მეორით განსხვავებულია მისგან იმით, რომ აქ გაურკვეველად

---

[1] სინური მრავალთავი 864 წლისა აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით: „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები", 5, 1959.

[2] Catalogue des Manuscrits Géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Iviron au mont Athos par R. P. Blake. Paris, 1932, p. 63.

[3] Դասական մատենագրներ և ձեռագրական հանմնատութիւններ. Ր. դրից Ալիշանայիս Վ ա ր դ ա պ ե տ ի, Վենետիկ, 1923. էջ 121—141.

არის მოხსენებული ნაწარმოების ავტორი (უფალი იოანე), მაშინ როცა სინური მრავალთავის ზედწერილი ავტორს გარკვეით წარმოგვიდგენს („თქუ ბული მისივე ოქროპირისაჲ"). სომხური ნუსხის ზედწერილის „იოანე" სომხურ საძეცხიერო მწერლობაში ოქროპირად არის მიჩნეული[4], რასაც ახლა ქართული ხელნაწერებიც ადასტურებს.

ჩვენი ძეგლის სომხური ტექსტის მიმართება ბერძნულთან საგანგებოდ აქვს შესწავლილი მის გამომცემელს, ცნობილ არმენოლოგს არ. ვარდანიანს. მისი დაკვირვებით, სომეხი მთარგმნელი თავისუფალია მონური მიმდევრობისაგან და ცდილობს ბერძნულის მეტად მარტივი და სადა გამოთქმები შეამკოს მრავალი მორთულ-მოკაზმულობით.

თქმულის სამოწმოდ საკმარისია რამდენიმე დამახასიათებელი ნიმუშის მოყვანაც კიო. ასე მაგ.;

1. ბერძნული ტექსტი „მამრ გვრიტს" ὁμόζυγος ან ἄρρενης შესაბამისი ფორმის სიტყვებით კი არ გადმოსცემს ('შეუღლე' და 'მამრი') არამედ წმინდა და მკვიდრი სომხური *վարուժան* („მამალი") სიტყვით.

2. ბერძნულისათვის მეტად ჩვეულებრივი πάρ ὕδατι ('წყლისა თანა') გამოთქმის საპირისპიროდ სომხურ ტექსტშია ფრიად ლამაზი გამოთქმა «*ի յաւազ գետոց ուրեք*» ('წარსავალსა სადმე მდინარეთასა').

3. ἐπὶ τῶν στερεμνίων πρέμνων სადა სიტყვის ნაცვლად ('მაგარსა ხესა ზედა') სომეხი მთარგმნელი ხმარობს: «*ևթէ ի դարուիւրս, ևթէ ի քարածակս, ևթէ ի թուփս*» ('უკუეთუ კბოდის პეპსა, ანუ ნაპრალსა კლდისასა, ანუ ბუჩქსა').

4. ასევე ბერძნული მეტად მარტივი და საკმაოდ სხვა აზრის მატარებელი ნაწყვეტი εἰ καὶ πρὸς ἐσχάτην ἀδικαπλοΐην τυγχάναι, εἰ καὶ πρὸς ἑσπέραν ὥρα ἐστί, μὴ φορείσθω სომხურში გადმოცემულია კლასიკური ენის მთელი მომხიბვლელობითა და მთარგმნელისათვის ჩვეული მხატვრულობით: «*Եւ ևթէ ի կեսին ժամանակին ի յոգոյ հարեալ իցէ, և զի ասիցեմ թէ ի կեսին և վախճանէ իւրում, այլ թէ և ույլքն ևս յուղարկել իցեն, սակաւն մի' սրկիցէ*» ('და თუ უკუანაჲსკნელსა ჟამსა მოკლულ იყოს, და რასა ვიტყოდი, ეითარმედ უკუახაჲსკნელსა დღესა აღსასრულისა მისისასა, არამედ სულნიცა თუ აღმოჰკრთებოდიან, ნუ ეშინინ')[5].

აღნიშნულ ზოგიერთ შემთხვევასთან ერთად არ. ვარდანიანს არ გამოჰპარვია მხედველობიდან ისიც, რომ სომხურ ტექსტში ახალი ხმარების სიტყვები თუ გამოთქმები მოიპოვება. მისი შეხედულებით, ესენია: *աւթ առնեմ* 136, 170 (შდრ. ქართული: „დავადგრები" 229,3): *հաւահաւ լինիմ* 130,13 (შდრ. ქართული: „მოვიკლვი მფრინველისაგან" 225,12). *նուաղկիլք մանկանց* 132,57 (შდრ. ქართული: „ახალნაშიერებულნი ყრმანი" 226,17) და *քաղցրագորով բարբառ* 129,4 (შდრ. ქართული: „ჴმაჲ ტკბილი მოწყლებისაჲ" 225,4)[6].

ასეთი ნიშანდობლივი მომენტების შემდეგ ბუნებრივად ისმის კითხვა, თუ რას აჩვენებს ქართული ტექსტი, რომელიც დაუცავს სინას მრავალთავს და ა. შანიძის მიერ არის გამოქვეყნებული. მიეყვეთ რიგზე.

---

[4] ibid. 125.

[5] იქვე, 126 — 127.

[6] იქვე, 127.

1. „მამრ გვრიტს“ ქართული თარგმანი სომხურისებრ წმინდა ქართული შესაბამისით — „მამლით“ — გადმოსცემს, რაც სულხან-საბა ორბელიანის ახსნით „უფროსად ფრინველთა ზედა ითქმის“.

2. *πὰρ δὲ αὐτοῦ* საპირისპიროდ ქართულსაც ისეთივე ლამაზი გამოთქმა მოეპოვება, როგორიც სომხურს აქვს: „წარსავალსა მას თუ წყალთასა არს“ (შდრ. *ի խաղս գնացեալ ուրիք*).

3. ასევე სომხურისებრ გამოთქმას ვხვდებით ქართულში ბერძნული *ἐπὶ τῶν στερεμνίων πρέμνων* სანაცვლოდ: „ანუ კბოდის-პირსა, ანუ ნაპრალსა კლდისასა, ანუ ოლეთა ზედა“ (შდრ. *«ևթէ ի գարափսրս, սրդ ի քարածկրպս, ևթէ ի թուփս»*).

4. მოყვანილი ბერძნული ნაწყვეტიც — *ἢ καὶ πρὸς ἑσχάτην ἀδαπλοὴν τυγχάνει, ἢ καὶ πρὸς ἑσπέραν ὥρα ἐστί, μὴ φορτίσῃ* სომხურის თუ სრულიად შემხვედრს არა, მისებრ არა ნაკლებ მხატვრულ სანაცვლოს გვაწვდის: „მიღათუ-ვიხძე-წევხულ იყოს აღსასრულისა თჳსისა ჟამთა და სულთა აღმოსლად მიიწეოდის, — და რაჲღა-მე უფროჲსი ვთქუა, — სულნი ღათუ აღმოჰკრთებოდიან... ნუუე წარჰკუეთნ საკრებასა“ (შდრ. *«ևս ևթէ լիտին ժամանակին ի յոլով հարեալ լիցէ, և պի՛ ասիցեմ թէ լիտին աւուրն ի վախճանի իւրում, այլ թէ և ոչիւքն ևս խաղացեալ լիցին, սակաւն մի՛ հրկիցէ»*):

ასეთი თანმიმდევრობა ქართულ-სომხური ტექსტებისა, ბერძნულის საწინააღმდეგოდ, სხვაგანაც არა ერთგან შეინიშნება. ბერძნულს დაცილებული თუ მისგან გადახრილი მსგავსი ადგილები ნაჩვენები აქვს სომხური ტექსტის გამომცემელს სქოლიოებში. ამ ადგილების შეჯერება ქართულთან კვლავ ქართულ-სომხური ტექსტების ურთიერთმხარდაჭერას ამჟღავნებს. მოვიყვანთ რამდენიმე დამახასიათებელ ნიმუშს:

1. Եւ վարուժան՝ այնուհետև ևթէ ի խաղս գնացեալ ուրիք արածիցի, առ գութ գորովոյն իւրոյ փութասցէ վաղվաղակի առ նա հասանելոյ։ (5—8)

„მიერითგან მამალი წარსავალსა მას თუ წყალთასა არნ, რაჟამს ესმის კმაჲ იგი, სურვილითა მით მოწყალებისაჲთა მოისწრაფის მოწევნად მუნ“ (255—7).

[შდრ. ბერძნული თარგმანი: „და მამალსა თჳსსა, რომელი წყალთა თაჲ ძოვს, იბირებს და აღძრავს ფრენად და მისლვად მისა მეყსეულად“].

2. Բոլոր գնին և սնուցանին զձագս իւրեանց։ (9—10).

„დაიდგნიან და იქმნიან ბუდჱ თჳსი და გამოიზარდნიან მართუენი თჳსნი“ (205,9).

[შდრ. თარგმანი ბერძნულისა: „ბუდეთა თჳსთა დაიდგნიან და უშიშად დასხდებიან კუერცხთა ზედა და გამოიზარდნიან“].

3. Եւ սիրոյն հոգւոյւք նմանողք։ „სიყუარულსა ემსგავსენით“ (225,16). (ბერძნულში შესაბამისი ადგილი არ მოიპოვება).

4. Որ երկնաւորն է, զանգի Քրիստոս գալոց էր յերկնից, համացուցանէր մեզ ևթէ այս ինչ նիշ նշանի է։ (69—71).

„რომელი-იგი ცით გამო იყო, რამეთუ ქრისტჱ მოსლვად იყო ზეცით და ამას გუაუწყებდა ჩუენ, ესე ნიში არს“ (226,28 — 30).

[შდრ. თარგმანი ბერძნულისა: „ცით-გამოჭ გაზაფხული. ქრისტე, რომელი მოსლვად იყო ზეცით“].

ბერძნულისაგან განსხვავებული ქართულ-სომხური ტექსტების წარმოდგენილ ადგილთა ურთიერთმხარდაჭერა ცხადად გვიკარნახებს, რომ ეს გარემოება შემთხვევითი არ უნდა იყოს, — ერთი მათგანი მეორეზე უნდა იყოს დამოკიდებული. დასადგენია, რომელი — რომელზე?

არც ის მიგვაჩნია მთლად შემთხვევითად, რომ ქართულ-სომხურ ტექსტებს ერთსა და იმავე ადგილს (უმნიშვნელო გამონაკლისით) მოეპოვებათ საერთო ხმარების სიტყვები. აი ისინიც:

1. ადარიակ 131,24 — მტილი 226,6.

2. ადამანդ 136,166 — ადამანტი 228,24.

3. ადამანդնայ 136,165 — ადამანტიანე 228,23.

4. համբուրիլ 135,153; 136,167; 137,193; 138,229 — ამბორისყოფა 228,14; 228,25; 229,9; 229,34.—პირს-კოცნა (138,232—230,2).

5. ամէն 141,294 — ამენ 231,7.

6. նկնդեցի 132,61 — 63; 135,147; 136,155; 136,180; 137,192 — 199; 140,287; 141,291 — ეკლესია 226,21 — 23; 228,9; 228,16; 228,35; 229,8; 229,14; 231,1; 231,4.

7. նկնիսիաստէս 133,88 — ეკლესიასტე 227,1.

8. ով 135,131; 135,148 — ვაჲ 227,30; 228,10.

9. թարգմանիլ 140,269; 140,288 — თარგმანება 230,27; 231,1. გამოთქუმა (141,292 — 231,5).

10. կապարճ 135,135; 135,137 — კაპარჭი 227,34; 228,1.

11. նաւ 136,172 — ნავი 228,29.

12. նահապետ 133,82 — ნახპეტი 226,35.

13. նիշ 132,71 — ნიში 226,30.

14. ժամանակ 132,60; 134,108 — ჟამი 226,20; 227,16. რაჟამს 229,25 — *իբրև* 138,215.

15. տոմս 139,244 — ტომარი 230,10.

16. քաղաք 136,178 — ქალაქი 228,33.

17. քարտէս 139,242 — ქარტა 230,8 — 9.

18. քնար 140,282 — ქნარი 230,34.

19. ոչխար 137, 183 — 184 — ცხოვარი 229,2 — 3.

20. ճշմարիտ,-ութիւն 137,199; 138,231—ჭეშმარიტი,-ება 229,14; 230,1.

ზემორე წარმოდგენილი 20 საერთო ხმარების სიტყვიდან ოთხია, რომ მოსალოდნელი საერთო სიტყვის მაგიერ სინონიმით არის ასახული (*1. ադարիակ*—მტილი, *4. համբուրիլ* — პირს-კოცნა, *9. թարգմանիլ* — გამოთქუმა და *14. რაჟამს—իբրև*), რაც უჩვეულო არაა სხვა ამგვარი ტექსტებისათვისაც.

ერთსა და იმავე ადგილს კომპოზიტების ხმარებაც ქართულ-სომხურ ტექსტებში აგრეთვე, გვგონია, შემთხვევითი არ უნდა იყოს.

კომპოზიტები სომხურში, ძველსაცა და ახალშიც, როგორც ცნობილია, ქართულთან შედარებით ადვილად იქმნება. სომხური კომპოზიტების საპირის-

პიროდ ქართულში ან ისევ კომპოზიტი გვხვდება ხოლმე (გაორკეცებული, ატრიბუტულ მსაზღვრელიანი ან მართულ მსაზღვრელიანი), ანდა მისი დანაწევრებული სახე კომპონენტების შინაარსის შეუცვლელად.

ჩვენი ძეგლის კომპოზიტებია:

1. *ალქი-ალქი* 131,50 — პირად-პირადი 226,11.
2. *პჷაპჷა* 131,49 — პირად-პირადი 226,11.
3. *ნიჷარჩიქ* 132,57 — ახალნათელღებული 226,17.
4. *ჩიქიჩი* 138,225 — ორგული 229,32.
5. *ქაღყიარაარაარ* 132,62 — ჭმა-ჰამო 226,23.
6. *ამიაანაასჷ* 130,11 — მამლის-მოყუარე 225,10.
7. *ჯარაფიი* 130,1 — კბოდის-პირი 225.8.
8. *ჯარჯაასჷ* 133,61 — კაცის-მოყუარე 226,22.

სომხური ტექსტის კომპოზიტთა საპირისპიროდ ქართულს მათ სანაცვლოდ შემადგენელი ერთეულები ან ცალ-ცალკე სიტყვათა შეწყობით აქვს გადმოცემული ანდა ერთი რომელიმე კომპონენტით თუ მისი ბადლით. მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ:

1. *ასნაიღჩიჩ* 134,104 — მდინარე წყაროჲ 227,12.
2. *ჩაიაჩაი* 130,13 — მოკლეაჲ მფრინველისაგან 225,12.
3. *ქაღყიაიაღიიღ* 129,4 — ჭმაჲ ტკბილი მოწლებისაჲ 225,11.
4. *არაიაჩიჩ* 139,245 — ჴელოვანი 230,13.
5. *ჩიჩჩანაჩ* 132,65 — სმნიერი 226.25.
6. *ჩარაჩნიიმაიჩ* 139,252 — ძმადი 230,15.
7. *ლიანჯაყაიჩ* 135,132 — დამშრშალი 227,31.
8. *იიყჩჩიიი* 132,51 — ოქროვანი 226,14.

კომპოზიტების მსგავსად, რთული ზმნებიც უმეტესად ერთნაირი ფორმით არის ხოლმე ასახული ჩვენი ძეგლის ქართულ-სომხურ ტექსტებში, თუმცა იშვიათი არაა აქაც გადახვევები. ერთნაირად არიან წარმოდგენილი შემდეგი ზმნები:

1. *ბოიჩ ჩარყანჩიქ* 137,208 — შებმის-ყოფა 229,19;
2. *ბაიჩ ჩაიჩიქ* 129,3 — ჭმის-ყოფა 225,4.

სომხური რთული ზმნის საპირისპიროდ ზოგან ქართულში მარტივი ფორმა .გვაქვს:

1. *აყჩ იიჩიქ' აყჩ იიჩეყ* 136.170 — მოელინ 228,29;
2. *აიჭ ჩაიჩიქ' აიჭ ჩაიჩეყ* 137,185 — დაადგრებას 229,3.

იოანე ოქროპირის ნაწარმოების („გურიტისათჳს") ქართულ-სომხური ტექსტების თითქმის ერთნაირი თანამიმდევრობა გვიკარნახებს, როგორც სხვადასხვა მომენტთან დაკავშირებით ზემოთაც აღვნიშნავდით, ერთის დამოკიდებულებას მეორეზე. უეჭველი რამ, ტექსტობრივ ხელმოსაკიდებელი, მანიშნებელი იმისა, რომ ვთქვათ, ქართულზე იყოს დამოკიდებული სომხური, ანდა პირუკუ, სომხურზე — ქართული, ვერ ვიპოვეთ. ისე კი ქართულ ვერსიას შეინახული აქვს სომხურთან საერთო ზოგიერთი ნიშანი.

ერთ ასეთ ნიშნად, ჩვენი ვარაუდით, ის მიგვაჩნია, რომ მასში ერთგან გადატეხილია სომხურისათვის დამახასიათებელი ისეთი გამოთქმა, როგორიცაა *կալ մնալ* ფრაზაში: *ւմն ոմն անձինքալ և նմին կալ ամաչ* („მისა მიმართ წადიერ არს და მას დგას და ელის"). საქმე ეხება დედალი გვრიტის ერთგულებას მამლისადმი (გადატანით: ეკლესიისა ქრისტესადმი) დაკვირვების შემდეგ, როცა იგი „მისა მას სიყუარულსა და ერთობასა დადგრომილარს და ელისო", როგორც ესაა ნათქვამი ქართულში.

მეორე ნიშნად დამოკიდებულებისა ისიც გვგონია, რომ სომხურის კარნახით (ბერძნულში საბადლო არა ჩანს) ორგან ნახმარია ქართულში „-ღა" ნაწილაკი სომხური შორისდებულის *„ապէ"*-ს მნიშვნელობით („აბა", „მოდი").

1. „ნიში არს ქმისაჲ მის გურიტისაჲ, რომელი-იგი ისმა. მოღაევის—მინოთ ჴმაჲ იგი გურიტისაჲ მის, რომელსა-იგი ჰნებავს სახმენელ ყოფად ჴმაჲ თჳსი" — *Զայն տատրակին [որ] լսելի կղէ [կիրկիի մէջտեղ ապաւէն] ապէ լսիցէք [և] մնք ձայնի տատրակին, որ կամի լսելի առնել մեզ զձայն իւր* (226,31—132,72):

2. „ძიღა მიემსგავსე ეზეკისა მეფესა, რომელი მიახნდა სიკუდილსა".

სომხური ენის ჩვენების თანახმად თუ ვიმსჯელებთ, „-ღა" სომხურ *ապէ*-ს („აბა", „მოდი") უდრის.

მსგავსი მოვლენები ქართული ვერსიის დიდ სიძველეს მოწმობს. სომხური ვერსია კლასიკური პერიოდის (V საუკუნის პირველი ნახევრის) შემოქმედებად მიიჩნია სომხურ ფილოლოგიას უმთავრესად ენობრივი მაჩვენებლების მიხედვით. რა დროს უნდა ეკუთვნოდეს ქართული?

სინური ტექსტი, რომელიც 864 წელს არის დანუსხული, გადანაწერს წარმოადგენს, როგორც ამას ერთი ადგილი მოწმობს. გამოცემის 228 გვერდის მე-20 სტრიქონში წერია: „მძინარე არს გული მისი"-ო, სადაც „მძინარე" ხელნაწერისა ცუდად ამოკითხული „მძიმე" ჩანს, როგორც ამას გვიმოწმებს სომხური — *„ծանրէ սիրտ նորա"* (136,161) და გვიდასტურებს ათონის ნუსხა. მაშასადამე, საანალიზო ნაწარმოები 864 წლის უწინარესისაა. ვინაიდან მასში არაბულისა და ახალი სპარსულის არც ერთი სესხებული სიტყვა არ იხმარება და გრამატიკული წყობაც არქაულია, ის ჩვენი მწერლობის ადრინდელ პერიოდს (V—VII სს.) უნდა მიეკუთვნოს.

გრამატიკულ წყობასთან ერთად ძეგლი არქაული იერის მატარებელია ლექსიკის მხრითაც. სამოწმოდ შეიძლება დავასახელოთ შემდეგი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მეტად იშვიათია ძველად.

1. ოლე, სომხ. *թուլ* (225,8 — 130,2), 'ბუჩქი' ჩანს, რაც ახლა ჩვენთვის ნათელს ჰფენს გრიგოლ ნოსელის „კაცისა აგებულებისათჳს"-ის ოლოვახს: „მფრინველნი მკმობარნი და მტრიობალნი, რომელნი მიისწრაფიედ მაღნართა და ოლოვანთა" (146,4)[7].

2. მჰურინავი, რომელიც ტექსტში იერემიაზე მითითებით არის მოყვანილი, სომხურით *ճպուռն*-ია (226,20 — 132,39), ე. ი. ჭრიჭინა (ci-

[7] უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა", და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს" X—XIII სს.-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა... ილია აბულაძემ, თბ., 1964.

cada). იერემიასთან არც ათონურ ქართულსა და არც სომხურ ბიბლიაში (ზოჰრაპისა) შესაბამისი არაფერი იპოვება. იგი ბაქართან გვხვდება მხოლოდ და, ჩანს, მასთან ერთად ჩვენი ძეგლის კუთვნილებაა. ამავე მნიშვნელობით 'მჭურივაი' გვხვდება გიორგი მთაწმიდლის თარგმანში ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა"; უფრო ადრინდელ თარგმანში, რომელიც გიორგი ათონელს ჰქონია ხელთ, ჰ ი ვ ჭ ი ვ ი ა. ასეთი ნიშნეულობებით, ცხადია, ახლა უფრო ნათელი ხდება „მჭურივაის" მნიშვნელობა ძველად, კერძოდ «ბალავარიანში».

3. ძ მ ა დ ი სიტყვაც იშვიათად გვხვდება ძველად. სომხურით მას *հարսնցղայր* შეესაბამება (139,250 — 230,15), რაც სძლის, ე. ი. საპოლის გამყოლ 'ძმობილს' ანუ 'მაყარს' ნიშნავს.

4. ს ა წ ე ვ ნ ე ლ ი, სომხურით *սուժխտ* (140,273 — 230,29), ე. ი. 'მზითევია'. კონტექსტიც ამას მოწმობს. სიძეს მიართმევენ სასძლოს ნათესავები სხვადასხვა ძღვენს: „აწ მოვიდნენ ყოველნი თჳსნი მისნი წმიდანი თითოეულად სიძისა მის ს ა წ ე ვ ნ ე ლ ა დ და მიართუმიდეს ყოველნი".

5. ს ა წ ა რ ე ლ ი, სომხურით *գրիվ* (139,242 — 230,8), ე. ი. 'ქალამია'. კონტექსტიც ამას გვიდასტურებს: „საჴმარ იყო მუნ ქარტაჲ და მწიგნობარნი და ს ა წ ა რ ე ლ ნ ი".

6. დ ა მ შ რ შ ა ლ ი (დაშრობა, სომხურით *խանդակատ լինել* (135, 147 — 228,10; — 135.138 — 208,2) არის 'გულდამწუარი' სიყვარულით თუ სიბრალულით. ერთგან ქართულში ამ სიტყვას დამატებული აქვს „დაწერტილი", რაც ამხსნელ სიტყვად ჩანს მისა — „დამშრშალისა". ასეთი გაგება უნდა ეფარებოდეს გამოთქმებს „სიყუარულითა დამშრშალ იყო" და „სიყუარულითა დაშრშებოდა". ამასვე, გვგონია, მარჯვედ უპერს მხარს შემდეგი ადგილიც: „დაძრძალ და დაწერტილ ვარ მე სიყუარულითა ღმრთისაჲთა, ვითარცა ისრითა" (227,30 — 32). უფრო უკეთ ეს სომხური შესატყვისით ირკვევა: *խանդակալ եմ ես սիրոյն Աստուծոյ իբրև նետիւ*"

7. დ ა ღ ე ბ უ ლ ი, სომხურით *թխանալ* და *ներկալ* (133,84; 134,106— 226,36; 227,14). 'შეღება/შეღებილია', რაც ნათლად გვიჩვენებს, რომ „დაღებული" აქ „შეღებილს" ნიშნავს.

ასეთია მოკლედ რაობა, წარმომავლობა და ადგილი იოანე ოქროპირის ნაწარმოებისა — „გურიტისათჳს" — ქართულ მწერლობაში.

И. В. АБУЛАДЗЕ

ШТУДИИ ПО ГРУЗИНСКО-АРМЯНСКОЙ ФИЛОЛОГИИ
ИСТОЧНИКИ НЕКОТОРЫХ ГЛАВ «МНОГОГЛАВА»:
VIII. ИОАНН ЗЛАТОУСТ — «О ГОРЛИЦЕ».

(Р е з ю м е)

Названное сочинение, приписываемое Иоанну Златоусту, в грузинской литературе с ранних времен (IX в.) упоминается как подлинное

творение Златоуста. Древнейшим грузинским списком, в котором встречается это произведение, является Синайский многоглав 864 года. Текстуальное изучение, анализ некоторых языковых данных и стилистических особенностей грузинской версии дает основание предполагать, что сочинение это было переведено на раннем этапе развития (V—VII вв.) истории грузинской литературы.

ელენე ცაბარეიშვილი

სომხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X — XI საუკუნეებში

საქართველო-ბიზანტიის ხანგრძლივი ურთიერთობის ისტორია ფართოდ აისახა როგორც ქართულ, ასევე უცხოურ წყაროებში (ბერძნული, ლათინური, სირიული, სომხური, არაბული). აღნიშნულ წყაროებზე დაყრდნობით ამ ურთიერთობის საკითხებს არაერთი მკვლევარი შეჰხებია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბევრი რამ ჯერ კიდევ შესასწავლი და დასაზუსტებელია.

საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის მთელი რიგი საკითხების გასარკვევად, ქართულ წყაროებში დაცული მასალის სანდოობის შესამოწმებლად სხვა უცხოურ წყაროებთან ერთად სომხურ წყაროებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მით უმეტეს, რომ ხშირად მათში იძებნება ისეთი მასალა, რომელიც ქართულ საისტორიო თხზულებებს ან საერთოდ არ შემოუნახავთ, ან არასრული სახითაა იქ წარმოდგენილი.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია სომხური საისტორიო წყაროებიდან X — — XI საუკუნეების საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ამსახველი ცნობების თავმოყრა, თარგმნა, მათი შესწავლა, შეჯერება ქართულ წყაროთა ჩვენებებთან და ამით ამ მასალის მნიშვნელობის გარკვევა საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესწავლისა და დაზუსტებისათვის.

ჩვენთვის საინტერესო თემისათვის ცნობები დაცულია სომეხ ისტორიკოსთა: იოანე დრასხანაკერტელის (IX — X სს.) სტეფანოს ტარონელის (X— XI სს.), არისტაკეს ლასტივერტელის (XI ს.), მათე ურჰაელის (XII ს.), სამველ ანელის (XII ს.), ვარდან დიდის, აღმოსაველელის (XIII ს.), სუმბატ სპარაპეტისა (XIII ს.) და სტეფანოს ორბელიანის (XIII—XIV სს.) ნაშრომებში. ჩამოთვლილ ავტორთაგან X—XI საუკუნეების ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების თანამედროვე და ხშირად თვითმხილველნი არიან იოახე დრასხახაკერტელი, სტეფანოს ტარონელი და არისტაკეს ლასტივერტელი. დანარჩენი ისტორიკოსები აღნიშნული პერიოდის საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ სხვა წყაროებზე დაყრდნობით მოგვითხრობენ. ამდენად, საკითხის უფრო სრულყოფილად შესწავლისათვის, შეშმარიტების მეტი სისრულით წარმოდგენისათვის სწორედ ამ თხზულებათა წყაროების დადგენაა აუცილებელი. მაგრამ ამასთანავე, რა თქმა უნდა, X — XI საუკუნეების თანამედროვე ისტორიკოსთა ჩვენებების ბრმად ნდობაც არ არის მიზანშეწონილი. ზემოხსენებული გარემოების გამო შევეცადეთ შეძლებისდაგვარად გაგვერკვია სომხურ საისტორიო თხზულებებიდან ამოკრებილი მასალების წყაროები და შეგვეჯერებინა ისინი ქართულთან.

წინამდებარე ნაშრომში ძირითადად სომხური საისტორიო თხზულებების ამ ცნობებზე შეეჩერდებით, რომლებიც დღემდე მკვლევართა ყურადღების გარეშეა დარჩენილი, ან უფრო მეტ დაზუსტებას და დამატებით შესწავლას მოითხოვს.

სომხური წყაროებიდან ამოკრებილი ცნობები ბიზანტია-საქართველოს შორის მხოლოდ პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიას ასახავენ; ამ ურთიერთობაშიც მკაფიოდ გამოიყოფა ორი პერიოდი: 1) X საუკუნე, როდესაც ბიზანტიას ურთიერთობა აქვს ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებთან. 2) XI საუკუნიდან კი გაერთიანებულ ფეოდალურ სახელმწიფოსთან — საქართველოსთან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მკვლევარი სომხურ საისტორიო თხზულებებში არათანაბარადაა განაწილებული. მაგალითად, X საუკუნის I ნახევრის საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ მხოლოდ იოანე დრასხანაკერტელთანაა შემონახული ერთი მცირე ცნობა. იგი ჩართულია იოანე დრასხანაკერტელისადმი კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის წერილშიც, რომელიც სრული სახითაა დაცული იოანეს „სომხეთის ისტორია"-ში[1].

ქართულ-სომხური წყაროების მიხედვით X საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიისა და საქართველოს სამეფო სამთავროთა შორის ურთიერთობიდან ყველაზე უფრო გამოკვეთილად ტაო-კლარჯეთისა და ბიზანტიის ურთიერთობა ჩანს. X საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, ბიზანტიის ჯარებმა არაბთაგან გაათავისუფლეს მთელი რიგი დაპყრობილი ტერიტორიები. ბიზანტიამ არაბთა წინააღმდეგ განსაკუთრებით აქტიური შეტევა განავითარა ნიკიფორე ფოკას (963 — 971 წწ.) გამგებლობის დროს. ბიზანტიის მიერ ისმაიტელთა ჯარების არაერთგზის დმარცხებაზე მიუთითებენ როგორც ბიზანტიური, ასევე სომხური და ქართული წყაროები. სტეფანოს ტარონელის ცნობით: „...ბერძენთა მეფის რომანოზის დროს მაგისტროსად იყო ნიკიფორე და პატრიკიოზად კიურ-ჟანი. ისინი თავიანთი ძლიერებით შიშის ზარს სცემდნენ ყველა ტაჯიკს. რომანოზის გარდაცვალებისას მათ ალყა შემოარტყეს ანაბარზსა და ჰალპს, რომლებიც აიღეს კიდეც. კონსტანტინოპოლში გამეფდა ვინმე მარინოსი, ხოლო ნიკიფორე და კიურ-ჟანი მთელი თავისი ჯარით მოვიდნენ ბერძენთა ზღვის ნაპირთან. კიურ-ჟანი შევიდა კონსტანტინოპოლში, ჩამოაგდო მარინოსი და *ხძკ* (963) წელს გამეფდა ნიკიფორე, რომელმაც იმეფა 7 წელი. მან სასტიკად დაამარცხა ისმაიტელთა ჯარი და მრავალი ქალაქი წაართვა მათ: მასისი *ხძყ* (964) წელს, ტარსონი *ხძჯ* (965) წელს"[2]. იგივე ცნობა (ოღონდ უფრო ვრცელი ვარიანტი) უდევს საფუძვლად მათე ურჰაელის ჩვენებას ნიკიფორე ფოკას იმავე ბრძოლების შესახებ. დაპყრობილ გეოგრაფიულ ადგილებს შორის დამატებით მას დასახლებული აქვს ატანა, ანაბარზი და მთელი ტერიტორია ქალაქ ანტიოქიის კარამდე. ზუსტად იგივე ცნობა, როგორიც მათე ურჰაელისაა, დაცულია სუმბატ სპარაპეტის „ჟამთააღმწერლობა"-ში. ამრიგად, სომხური წყაროების ჩვენებები თითქმის სიტყვებით ემთხვევა ერთმანეთს. ნი-

---

[1] იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1965, გვ. 189 — 199.

[2] იხ. წინამდებარე ნაშრომის ტექსტები, გვ. 169.

კიფორე ფოკას თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით ბიზანტიელთა ლაშქრობის ამბავს კილიკიასა და სირიაში ბიზანტიელი ისტორიკოსები კედრენე და ზონარაც გადმოგვცემენ. სომეხ ისტორიკოსთაგან განსხვავებით ისინი აღნიშნულ ბრძოლებში ბიზანტიელებთან ერთად მათი მოკავშირეების — იბერებისა და სომხების — მონაწილეობაზეც მიუთითებენ: „იმპერატორმა ნიკიფორემ, თავისი მეფობის მეორე წელს, იელისის თვეში, მეშვიდე ინდიქტიონს რომაელთა დიდი ჯარით მოკავშირეებთან, იბერებთან და სომხებთან ერთად, გაილაშქრა კილიკიაში. მას თან ახლდნენ მისი მეუღლე თეოფანე და შვილები. შევიდა რა კილიკიაში, მან დაიპყრო ქალაქები ანაბარეო, როსო და ადანა და სხვა მნიშვნელოვანი რაოდენობის ციხე-სიმაგრეები“[3].

მართალია, სომეხ ისტორიკოსთა (სტეფანოს ტაროնელი, მათე ურჰაელი, სუმბატ სპარაპეტი) ზემოთ მოტანილ ცნობებში არ არიან მოხსენებულნი არა თუ იბერები, არამედ სომხებიც კი, მაგრამ მაინც კედრენესა და ზონარას ცნობა ბიზანტიელების მხარეზე ბრძოლაში იბერებისა და სომხების მონაწილეობის შესახებ არ გვეჩვენება უსაფუძვლოდ და ავტორთა პირად შენათხზად, მით უმეტეს, რომ მას მხარს უჭერს ერთი ქართული წყაროს ჩვენებაც. ეს არის გიორგი მთაწმიდლის „ცხორებაჲ იოანესი და ეფთჳმესი“, რომელშიც იოანესა და ექვთიმეს მთაწმიდას მისვლის ამბის აღწერისას აღნიშნულია: „ხოლო ვინაჲთგან მათ ჟამთა შინა ბერძენთა მეფემან ზომონი ჭუეყანანი დავით კურაპალატსა მისცნა და აზნაურთა შვილნი მძეულად ითხოვნა მისგან, ცოლის ძმათა მამისა იოანესთა ძე მისი ეფთჳმე სხუათა თანა უფლისწულთა მძეულად მოჰგუარეს მეფესა“[4]. იოანეს მოსვლას ათონის მთაზე კ. კეკელიძე პ. უსპენსკის შრომაზე დაყრდნობით 965 წელს მომხდარ ფაქტად მიიჩნევს[5].

როგორც ზემოთ მოტანილი ცნობიდან ჩანს, სწორედ ამ პერიოდში ბიზანტიის კეისარმა დავით კურაპალატს უბოძა „ზემონი ქუეყანანი“. რა თქმა უნდა, ნიკიფორე ფოკა, სხვა ბიზანტიელ გამგებელთა მსგავსად, უმიზეზოდ არ უწყალობებდა ტაოს მფლობელს თავისი ტერიტორიის თუნდ მცირე ნაწილს. ეტყობა, მის მიერ დავით კურაპალატისათვის მიცემული მიწა-წყალი სათანადო ანაზღაურებას წარმოადგენდა იმ დახმარებისათვის, რაც დავითსა და მის თანამემამულეებს უნდა გაეწიათ ბიზანტიის სახელმწიფოსათვის. როგორც უკვე ცნობილია, აღნიშნულ პერიოდში, 964 — 965 წლებში ბიზანტიის ჯარები ბრძოლებს აწარმოებდნენ კილიკიისა და ჩრდილო სირიის ტერიტორიაზე. უდავოა, სწორედ ამ ლაშქრობებში მონაწილეობისა და ბიზანტიელთათვის დახმარების აღმოჩენისათვის დავით კურაპალატს საჩუქრად ნიკიფორესგან მიუღია სწორედ ის „ზემონი ქუეყანანი“. ამრიგად, გიორგი მთაწმიდლის ზემოთ მოტანილი ცნობა მხარს უჭერს და კიდევ უფრო ამაგრებს ბიზანტიური წყაროების (ზონარა, კედრენე) ჩვენებას კილიკიასა და სირიაში ბიზანტიელთა მხარეზე იბერთა ბრძოლის შესახებ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთოდ როგორც ქართველების, ასევე სომხების მონაწილეობას ბიზანტიის სა-

---

[3] Известия древних греческих и римских писателей о Кавказе. С латинского текста Штриттера перевел К. Ган. Часть II. Византийские писатели. Тифлис, 1890, стр. 37—38.

[4] ცხორებაჲ იოანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად გამზადებული იუ. ჯაჯანიშვილის მიერ და გამოცემული ა. შანიძის მიერ, 1946, გვ. 16.

[5] კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, თბ., 1960, გვ. 185.

გარეო თუ საშინაო პოლიტიკაში არაერთხელ ჰქონია ადგილი. ასე რომ ბერძნული და ქართული წყაროების ჩვენებები ქართველთა მიერ ბიზანტიის დასახმარებლად ბრძოლაში ჩაბმის შესახებ სავსებით შეესაბამება სინამდვილეს და ეჭვს არ იწვევს.

ქართველებს არაერთხელ აღმოუჩენიათ დახმარება ბიზანტიისათვის შემდგომშიც. ბიზანტია-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობაში განსაკუთრებით საყურადღებო მოვლენაა ბარდა სკლიაროსის აჯანყება და ქართველების მონაწილეობა მის ჩაქრობაში. მის შესახებ საკმაოდ ბევრი ცნობებია შემონახული როგორც ქართულ, ასევე უცხოურ წყაროებში (გიორგი მთაწმიდლის „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“, იმდროინდელი ქართველი მოღვაწის საბას ცნობა, იხ. თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 123. ზარზმის ცნობილი წარწერა, იხ. ჰაისტორიო მოამბე. 1925, წიგნი I, გვ. 107 — 112. ბიზანტიელი ჟამთაღმწერლები კედრენე და ზონარა, სტეფანოს ტარონელი, არისტაკეს ლასტივერტელი, მათე ურჰაელი).

ბარდა სკლიაროსის შესახებ სომხური და ქართული წყაროების ჩვენებები ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა. ისინი დაბეჯითებით აღნიშნავენ, რომ ბასილ კეისარმა და კონსტანტინემ აჯანყებულ ბარდა სკლიაროსს ჯერ ბარდა ფოკა დაუპირისპირეს, მაგრამ როდესაც ამითაც ვერაფერს გახდნენ, მათ უკვე დახმარებისათვის მიმართეს იმიერ ტაოს მეფეს დავით კურაპალატს. ამბოხების ჩაქრობაში ქართველთა მონაწილეობაზე კედრენეც მიუთითებს, მხოლოდ, ქართულ-სომხური წყაროთაგან განსხვავებით, მისი ცნობით დავით კურაპალატს დახმარებისათვის მოუხმო არა ბასილ კეისარმა, არამედ ბარდა ფოკამ. ამასთანავე ბიზანტიელი ჟამთაღმწერელი რატომღაც არ ასახელებს ქართველთა ჯარის რიცხვს, ქართული და სომხური წყაროების თანახმად კი დავითმა ბიზანტიელებს დასახმარებლად გაუგზავნა 12000 მეომარი. კედრენეს ცნობა დაწვრილებით აქვს განხილული მ. კახაძეს თავის წიგნში „ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში“, მითითებული აქვს ისტორიკოსის ტენდენციურობა და ისტორიული ფაქტების განგებ დამახინჯება[6].

სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ დაწვრილებითაა შესწავლილი ბარდა სკლიაროსის აჯანყება[7]. როგორც ცნობილია, დავით კურაპალატი ნომინალურად განაგებდა ტაოს სამხრეთ ნაწილს, ფაქტიურად კი იგი იყო ბატონ-პატრონი მთელი სამხრეთ საქართველოსი. მან საკმაოდ გააფართოვა თავისი სამფლობელოს საზღვრები ტაო-კლარჯეთის სამხრეთით მდებარე იმ მიწების ხარჯზე, რომლებიც ადრე არაბებს ჰქონდათ დაპყრობილი: „მე-10 საუკუნის მეორე ნახევარში ტაო-კლარჯეთის სამეფო შეიცავდა მეტად ვრცელ ტერიტორიას, რომლის სამხრეთი საზღვარი ვანის ტბასა და ჭალაკ ერზინკამდე (ერზინჯანი) აღწევდა. მეტად დიდი იყო დავითის პირადი ძალა-უფლებაც. მან პირველმა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთაგან მიიღო „მეფეთა-მეფის“ წოდებული. ეს წოდებულება კარგად გამოხატავდა ფაქტიურად არსებულ მდგომარეობას, როცა მრავალრიცხოვან წვრილ მფლობელთა შორის დავით III უდავოდ სარგებლობდა უზენაესი მბრძანებლის უფლებებით“[8]. სტეფა-

---

[6] იხ. მ. კ ა ხ ა ძ ე, „ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში“, თბ., 1954, გვ. 36 — 45.

[7] იხ. Н. Ломоури, К истории восстания Варды Склира, თ უ № 67, გვ. 29—44.

[8] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია. ნაწილი I. 1948, გვ. 158.

ნოს ტარონელის ცნობით, დავითმა მშვიდობა და წესრიგი დაამყარა მთელ აღმოსავლეთში, შეწყვიტა ომები და დაამარცხა მათ გარშემო მყოფი ხალხები. მას ნებით დაემორჩილა ყველა მეფე.

ზემოთ აღნიშნული გარემოებანი გვავარაუდებინებს, რომ, მართალია, დავით კურაპალატი ატარებდა ბიზანტიის საკარისკაცო ტიტულს კურაპალატისას და ნომინალურად დამოკიდებული იყო ბიზანტიაზე, მაგრამ ყოველ თავის მოქმედებაში, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობდა საკუთარი ინტერესებით და არა ბიზანტიის იმპერიის საჭიროებებით. ქართულ-სომხური წყაროების მიხედვით, აჯანყების დასაწყისში ბარდა სკლიაროსი დიდი სომხეთის დასავლეთ რაიონებში დამკვიდრდა. ბარდა სკლიაროსის ასეთი წინსვლა საფრთხის წინაშე აყენებდა დავით კურაპალატს არა როგორც ბიზანტიის ვასალს, არამედ როგორც ტაოს დამოუკიდებელ გამგებელს. გაითვალისწინა რა შექმნილი მდგომარეობა, დავით კურაპალატმა რეალური დახმარება აღმოუჩინა ბიზანტიის სამეფო კარს. მაგრამ ბარდა სკლიაროსის დამარცხებიდან ექვსი წლის შემდეგ დავით კურაპალატს უკვე ვეღარ ვხედავთ ბიზანტიელთა მოკავშირედ. იგი ბიზანტიის ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე ხდება და ამჟამად უკვე მხარს უჭერს ამ ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ახალ აჯანყებას ბარდა ფოკას მეთაურობით. როგორც ცნობილია, ბარდა ფოკამ, რომელიც ბასილ კეისარმა ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ გაგზავნა, მოულოდნელად აჯანყებულ სკლიაროსთან დაამყარა კავშირი, რათა ებრძოლა ბიზანტიის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში, როგორც იაჰია ანტიოქიელი გადმოგვცემს, დავით კურაპალატმა მონაწილეობა მიიღო ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ბარდა ფოკას აჯანყებაში, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ბიზანტიას[9]. ამ ფაქტითაც მტკიცდება, რომ დავით კურაპალატი ბიზანტიისაგან დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ატარებდა. ეს გარემობა, რა თქმა უნდა, მხედველობიდან არ გამოჰპარვია ბიზანტიის იმპერატორს ბასილ II-ს, რომელმაც იაჰია ანტიოქიელის ცნობით, დავითის სიკვდილით დასჯაც კი მოინდომა, მაგრამ დავითმა პატიება ითხოვა. ბასილმა აიძულა დავით კურაპალატი ანდერძით სიკვდილის შემდეგ თავისი სამფლობელოები ბიზანტიისათვის დაეტოვებინა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობაში მონაწილეობისათვის მიღებული ტერიტორია დავით კურაპალატის კუთვნილებად მხოლოდ მის სიცოცხლის ხანაში ითვლებოდა. სწორედ ამიტომაც დავითი სრულებითაც არ იქნებოდა ბიზანტიის ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მოსურნე, რადგანაც აღნიშნული ტერიტორიების თავის გამგებლობის ქვეშ შემომტკიცებისა და თავისი სიკვდილის შემდეგაც მათი შენარჩუნებისათვის უფრო ხელსაყრელი იყო ბიზანტიის დასუსტება. მაგრამ, როგორც ცნობილია, ბასილმა შეძლო ბარდა ფოკას აჯანყების ჩაქრობა, რამაც გამოიწვია დავით კურაპალატის გეგმების ჩაშლა. ბასილთან ადრინდელი, შედარებით კეთილგანწყობილების შეცვლამ მტრული დამოკიდებულებით, ეფიქრობთ, გარკვეული როლი ითამაშა დავით კურაპალატის სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდზე და მის აღსასრულზედაც. სამეცნიერო ლიტერატურაში ქართულ წყაროებზე („მატიანე

[9] Император Василий Болгаробойца. Извлечения из летописи Яхъи Антиохийского издал, перевел и объяснил В. Р. Розен. СПБ. 1883. стр. 23—27.

ქართლისა", სუმბატ დავითის ძის ქრონიკა) დაყრდნობით ცნობილია, რომ დავით კურაპალატი გარდაიცვალა 1001 წელს. აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ დავითის გარდაცვალების ფაქტი „მატიანე ქართლისა"-სა და სუმბატ დავითის ძის ქრონიკის ძირითად ტექსტში კი არ არის აღნიშნული, არამედ ჩანართებში. ქართულ წყაროებში ძალიან მოკლედ არის მოხსენებული აღნიშნული ამბავი და არაფერია თქმული დავითის გარდაცვალების გარემოებათა შესახებ. სულ სხვა ვითარებას ვხედავთ სომხურ საისტორიო წყაროებში (არისტაკეს ლასტივერტელი, მათე ურჰაელი, სუმბატ სპარაპეტი).

ქართული წყაროებისაგან განსხვავებით, ზემოთ დასახელებულ სომეხ ისტორიკოსებთან მითითებულია, რომ დავით კურაპალატი ბუნებრივი სიკვდილით კი არ მომკვდარა, არამედ იგი ფარულად მოახრჩვეს. აღსანიშნავია ისიც, რომ სომხურ წყაროებში დავითის მოკვლის ამბავი 1000 წელს მომხდარ ფაქტად არის მოხსენებული. ისტორიკოსმა კარენ იუზბაშიანმა 1965 წელს ბიზანტინოლოგთა მეშვიდე საკავშირო კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებაში («Тайское княжество и Византия на рубеже X—XI вв.) სხვა საკითხებთან ერთად დავით კურაპალატის გარდაცვალებაც აღნიშნა და არისტაკეს ლასტივერტელის ცნობებზე დაყრდნობით მიუთითა, რომ დავითი მოკლულ იქნა1000 წელს, 31 მარტს და არა 1001 წელს, როგორც ეს „ქართლის ცხოვრებაშია აღნიშნული"-ო[10].

საინტერესოა გაირკვეს, რამდენად სარწმუნოა სომხური წყაროების ცნობები დავით კურაპალატის მოკვლის შესახებ. დავითის თანამედროვე სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ტარონელი, რომელიც დავითის მოღვაწეობის შესახებ საგულისხმო ცნობებს გვაწვდის, არაფერს ამბობს მისი სიცოცხლის მკვლელობით დასრულების შესახებ; მაგრამ თუ დაუკვირდებით სტეფანოსის ცნობას დავით კურაპალატის სიკვდილის შესახებ, ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნება, რომ ისტორიკოსისათვის ცნობილი იყო დავითის დაღუპვის ნამდვილი ვითარება და მიზეზები, მაგრამ რატომღაც მას თავი აურიდებია ამ ამბის დაწვრილებით გადმოცემისათვის და მის შესახებ მხოლოდ გაკვრით მოხსენებით დაკმაყოფილებულა. იგი წერს: „მე ჩემ მოვალეობად ჩავთვლიდი ხანგრძლივი გოდებით გადმომეცა დიდი კურაპალატის დავითის სიკვდილის ამბავი, მაგრამ რადგანაც გრძელი სიტყვა მსურდა შემომეკლებინა, ამიტომ ხოტბის შესხმის დრო არ არის და მხოლოდ გაკვრით მოვიხსენიებ მას"[11]. სომხურ საისტორიო წყაროთა შორის დავითის დაღუპვის შესახებ პირველად მიუთითა არისტაკეს ლასტივერტელმა, რომელიც, განსხვავებით სტეფანოს ტარონელისაგან, მართალია, აღნიშნავს, რომ დავითი კი არ მომკვდარა, არამედ მოახრჩვეს, მაგრამ ამ ფაქტის დაწვრილებით აღწერას მაინც თავს არიდებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ამბავიც მას, სხვათა შორის, ყოველგვარი ყურადღების გამახვილების გარეშე აქვს გადმოცემული, სულ სხვა ფაქტის აღწერისას. არისტაკეს ლასტივერტელის ცნობით რუსებთან ბერძნებისა და ტაოელ აზნაურთა შეტაკების დროს „იმავე ადგილას აზნაურთაგან ფრიად საპატიო ოცდაათი კაცი დაიღუპა. ეს მათ

---

[10] იხ. Тезисы докладов Седьмой всесоюзной конференции византинистов в Тбилиси., 1965, стр. 51.

ამ ჟვირნიშნის განსხვავებული ნიმუში (ჟვირნიშანი № 38) დასტურდება 1692 წლის (Hd — 6042) თარიღიან დოკუმენტში (დამატებითი ლათინური ასოთი, ხოლო დამატებითი ლათინური ასოს გარეშე დასტურდება A — 153 უთარიღო ქართულ ხელნაწერში (ჟვირნიშანი № 39).

„გვირგვინი" მთვარით (ჟვირნიშანი № 40). ეს ჟვირნიშანი გვხვდება როგორც ცალკე, დამოუკიდებელ ჟვირნიშნად, ასევე სამ მთვარესთან ერთად, მაგ., ცალკე ჟვირნიშნად იგი გვხვდება H — 1448 ხელნაწერში, ხოლო სამ მთვარესთან ერთად—1728 წლის A—636 ხელნაწერში.

ჭაღალდის ორმაგი დაჟვირნიშნების შესახებ საუბარი გვაქვს წერილში — „Tre Lune"[1].

[1] პალეოგრაფიული ძიებანი, II, თბილისი, 1969.

Р. М. ПАТАРИДЗЕ

ВОДЯНОЙ ЗНАК «КОРОНА» СО ЗВЕЗДОЙ И ПОЛУМЕСЯЦЕМ

(Резюме)

На бумаге грузинских рукописей XVII века особенно часто встречается водяной знак «Корона» со звездой и полумесяцем. Основным компонентом водяного знака считается форма короны.

Водяной знак «Корона» классифицирован следующим образом:

1. «Корона» без звезды и полумесяца.
2. «Корона» со звездой.
3. «Корона» со звездой и полумесяцем.
4. «Корона» со звездой и полумесяцами.
5. «Корона» с полумесяцем.

В работе рассмотрены 40 разных форм короны. Установлены хронологические рамки каждой из них.

Ниже следует пояснения к альбому в порядке нумерации водяных знаков.

1. ЦГИА, фонд — 1448, № 2158	1604 г.
ЦГИА, фонд — 1448, № 2156	1610 г.
2. Ин-т рукописей, А — 1341	б. д.
3. Ист. музей г. Кутаиси, № 10	б. д.
4. 5. 6. Ин-т рукоп., S—30	1633—1646 гг.
7. Ист. Музей г. Кутаиси, № 4	1565 г.
№ 2; 3; 5; 8; 13	б. д.
8. Ин-т рукописей, Q — 87	1590-ые годы.
9. Ин-т рукописей, А — 160	1699 г.
Sd — 25	1699 г.
„ „ А — 472	б. д.
10. Ин-т рукописей, А — 1738; S—27	б. д.
11. Ин-т рукописей, А — 116	б. д.
12. Ин-т рук. Hd — 14. 781	1678 г.
ЦГИА, фонд 1448, № 272	1681 г.
13. Ин-т рук. А — 620	б. д.
14. Ин-т рук. H—342, Hd—831	1673 г.
„ H — 14517	1673 г.
H—1452	1674 г.
Sd—12	1678 г.
„ „ Sd—469	1679 г.
15. Ин-т рук. Ad—1700	б. д.
16. Ин-т рук. H—1452	1674 г.
„ Hd—5151	1690 г.
Sd—53	1692 г.
Ad — 1878	1696 г.
Sd—563	1696 г.
A—105	1697 г.
„ „ A—160	1699 г.
17. Ин-т рук. A—1476	б. д.
18. ЦГИА, ф. 1448, № 2156	б. д.
19. Ин-т рукоп. Hd—2198	1680 г.
„ „ Hd—5152	1680 г.
„ „ A —904	1688 г.
ЦГИА, фонд 1448, № 2940	1689 г.

20. Ин-т рук. Hd—6018	1670-ые годы.
„ Hd—1995	1680 г.
Q —911	1687 г.
„ „ Sd—564	1696 г.
21. ЦГИА, ф. 1448, № 2044	1630 г.
Ин-т рук. S—30	1633—1646 гг.
„ „ S—1594	1647 г.
Ин-т рук. Sd—745	1651 г.
22. Ин-т рук. Q —206	1672 г.
„ Ad—1689	1672 г.
„ „ Ad—1666	1673 г.
ЦГИА, ф. 1448, № 73	1676 г.
Ин-т рук. Hd—2797	1679 г.
„ Hd—6105	1685 г.
„ „ Hd—7229	1686 г.
23. Ин-т рук. Sd—627	1691 г.
„ Hd—6115	1692 г.
„ Hd—1856	1696 г.
A —105	1697 г.
„ „ Hd—2908	(1698—1712) гг.
24. Ин-т рук. H—342	1661 г.
ЦГИА, ф. 1448, № 3991	1664 г.
Ин-т рук. A—179	1669 г.
„ „ H—98	1681 г.
25. Ин-т рук. A—57	б. д.
26. Ин-т рук. A—363	б. д.
27. Ин-т рук. H—380	б. д.
28. Ин-т рук. H—1690	1675 г.
29. Ин-т рук. A—57	б. д.
30. ЦГИА, ф. 1446, № 610	1692 г.
Ин-т рук. A—126; A—196	б. д.
31. Ин-т рук. H—369	б. д.
32. Ин-т рук. H—380	б. д.
33. Ин-т рук. A—57	б. д.
34. Ин-т рук. A—179	1669 г.
35. Ин-т рук. Q—56	1736 г.
„ „ A—1023	б. д.
36. Ин-т рук. A—156	1752—1764 гг.
37. Ин-т рук. Hd—10921	1690 г.
ЦГИА, ф. 1448, № 1776	1690 г.
Ин-т рук. Q—56	1736 г.
38. Ин-т рук. Hd—6042	1692 г.
39. Ин-т рук. A—153	б. д.
40. Ин-т рук. H—1448	б. д.



1 2



3



4





5

6



7



8



9









12





13



14



15



16



17



18



19



20



21



22



23



24



25



26



27



28



III.



30



31



32



33



34



VAS

35



36



37



38



39



40

ელენე მაჭავარიანი

ასომთავრული დამწერლობის მხატვრული თავისებურებანი ქართული ხელნაწერების მიხედვით (V — XIII სს)

ხელნაწერი წიგნის ხელოვნებას — ტექსტის კალიგრაფიულ სილამაზეს და გვერდების მხატვრულ შემკულობას—შუა საუკუნეებში საქართველოში დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ქართველ ხელოვანთა ფანტაზია მუდამ დაუშრეტელი, შემოქმედებითი იყო. მშვენიერებისადმი სწრაფვა ქართველ ოსტატს სრულყოფილ მხატვრულ ფორმათა ჩამოყალიბების შესაძლებლობას აძლევდა. ხელნაწერი წიგნის შემზადებისათვის განკუთვნილი საქმიანობა (ეტრატის დამუშავება, გადაწერა, მოხატვა, აკინძვა, შემოსვა და შეკაზმვა) დახვეწილი ოსტატობით სრულდებოდა.

წიგნის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი მხატვრული პრინციპები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე საფუძვლად უდევს ტექსტის გვერდების დეკორატიულ შემკულობას, ჯერ კიდევ V—VI საუკუნეების პალიმფსესტურ ხელნაწერებში გაჩოიხატა. ამ ადრეულ ეტაპზე, როდესაც ხელნაწერი ფურცლები დატოვებულია ორნამენტული შემკულობის გარეშე, ოსტატის ძირითადი ყურადღება გადატანილია ტექსტის დაწერილობაზე, მის საერთო კომპოზიციურ განაწილებაზე.

V — XI სს. ხელნაწერები, რომლებიც ასომთავრული დამწერლობითაა შესრულებული, შრიფტის მოყვანილობით საოცარ მხატვრულ ეფექტს აღწევენ. მრგლოვანი ასომთავრულის მხატვრულობა ყოველთვის თვალსაჩინოა, იქნება ეს მონოქრომული თუ ფერადებით შემკული ტექსტის ფურცლები. ამ შრიფტის სილამაზემ განაპირობა ის გარემოება, რომ ქართული დამწერლობის განვითარების შემდგომ ეტაპებზე, როდესაც ასომთავრულს ცვლის ნუსხური, ხოლო ნუსხურს მხედრული, მთავრული ტექსტის დამწერლობა რჩება. ხელნაწერი გვერდების შემკულობის ერთ-ერთ მთავარ ელემენტად. საუკუნეების მანძილზე, XVIII ს. ჩათვლით, სანამ არსებობდა ქართული წიგნი ხელნაწერის სახით, იგი გამოიყენებოდა მინიატურებზე განმარტებითი წარწერების, სათაურებისა და საზედაო ასოების შესასრულებლად (ამ გარემოებამ განაპირობა მისი სახელწოდებაც „ასომთავრული“).

ფრაგმენტების სახით მოღწეული უძველესი ქართული დამწერლობის ნიმუშების — პალიმფსესტების ერთადერთ დეკორატიულ ელემენტს წარმოადგენს დიდი ზომის საზედაო ასოები (ისინი გამოხატულია მუხლების დასაწყისში და მოიცავენ 3 — 4 და ზოგჯერ 5 სტრიქონსაც). ტექსტის მელნით გრაფიკულად გამოყვანილი ასომთავრული დაწერილი სვეტის ვერტიკალური მოხაზულობიდან გვერდის თავისუფალ არეზეა გამოწეული. დიდი ფორმატის ფურცელზე (A — 89 ხელნაწერის პალიმფსესტური ფურცლის ზომა უდ-

რის 33,5×28) საზედაო ასოებისა და თვით ტექსტის განაწილება თვალისთვის სასიამოვნო პროპორციების დაცვით სრულდებოდა. ტექსტი ორ სვეტადაა წარმოდგენილი ირგვლივ ფართო აპიებით. შრიფტის მონუმენტური მსხვილი ასოები ერთმანეთისაგან გარკვეული ინტერვალებითაა დაცილებული, რაც ტექსტის საერთო კომპოზიციას მეტ მხატვრულობას ანიჭებს. ასოები ჩაწერილია ორხაზოვან ბადეში, სტრიქონებს შორის გარკვეული მანძილია დაცული. ცალკეული გვერდის მხატვრული გადაწყვეტა ექვემდებარება პიმარტივისა და ზომიერების შეხამების მკაცრ კანონზომიერებას. წინაწარ დაკანონვილი გვერდი აწესრიგებდა ვერტიკალებისა და ჰორიზონტალების ურთიერთ შეფარდებას ტექსტის საერთო განაწილებაში. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მელნის ფერის შერჩევას. ყავისფერი მელანი კალმის მაუბეჭი მოსმით ოქროსფერში გადადის, რაც ეტრატის ფონს ბუნებრივად ეხამება.

დეკორის გარეშე დატოვებული ხელნაწერი ფურცლების მხატვრულ-კომპოზიციური გადაწყვეტა გადამწერს ეკუთვნის. გადამწერი ნამდვილ ხელოვანად წარმოგვიდგება. გადამწერის როლი დიდია მომდევნო საუკუნეებშიც, როცა ყალიბდება ხელნაწერი წიგნების შემკულობის პრინციპები, როცა მხატვარსა და გადამწერს შორის შრომის გარკვეული განაწილებასთან გვაქვს საქმე. ზოგჯერ თვითონ გადამწერი ხელნაწერის მომხატველად გვევლინება.

ეპიგრაფიკული დამწერლობისაგან განსხვავებით, ხელნაწერი წიგნის დამწერლობას თავისი სპეციფიკურობა გააჩნია. ეტრატზე შესრულებული ასოს მოხაზულობა (უნდა აღინიშნოს, რომ მრგლოვანი დაწერილობის უძველესი ხანისათვის მოხმობილია ეპიგრაფიკული მასალა — ქვა, მოზაიკა და პალიმფსესტები, რომლებიც პალეოგრაფიულად ერთმანეთთან ახლოს არიან)[1] ბოლნისის სიონის, პალესტინის, მცხეთის ჯვრის წარწერების მკაცრ, გამოკვეთილ ასოებთან შედარებით უფრო თავისუფალი მოხაზულობისაა (ტაბ. I, XIII). მათ გააჩნიათ ბეწვებრივი ჰორიზონტალური ხაზები და რკალები, რომლებიც უკავშირდებიან კალმის დაწოლით შექმნილ მსხვილ ვერტიკალურ ჩანაქდევს. სიმკაცრე ნაცრისფერი ფონისა ხელნაწერებში შედარებით შერბილებულია მელნის ყავისფერი ფერის შეხამებით მოყვითალო ფონთან. უნდა აღინიშნოს, რომ ასომთავრულით შესრულებულ ყველა ძეგლში გამომსახველობის ძირითად მხატვრულ საშუალებას წარმოადგენს ხაზი. კონტურულ მონახაზს ენიჭება განსაკუთრებული ძალა და ცხოველმყოფელობა. დიდებული, მონუმენტური სახის დამწერლობა თვით დაწერილ სტრიქონებს წარმოგვიდგენს როგორც სამკაულს.

ეპიგრაფიკული ძეგლების მხატვრული კომპოზიცია რამდენადმე თავისებურია. ეს წარწერები ლაკონური შინაარსის შემცველია, გაბმული ტექსტებია აბზაცების, საზედაო ასოების გარეშე. ისინი ანგარიშს უწევენ არქიტექტურული ელემენტების განლაგებას ფასადზე. ხშირად სტრიქონების წყობა ირღვევა, ასოები ერთნაირი სიდიდისა არაა. ამ შემთხვევაში წარწერა შემოწერს ორნამენტების, რელიეფების მოხაზულობას. ოსტატის მიერ ისინი კომპოზიციურ ერთიანობაშია წარმოდგენილი. ბოლნისის სიონის დავით ეპისკოპოსის წარწერაში ასოები განლაგებულია თანაბარმკლავებიანი ჯვრის მედალიონის გარშემო. მცხეთის რელიეფებში წარწერა შერწყმულია გამოსახულებებთან, აღიქმის როგორც ერთიანი მხატვრული ელემენტი (ადარნერსეს

[1] ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე. ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი, თბ., 1949, გვ. VI.

წარწერის პირველ სტრიქონში სიბრტყის შესავსებად დიდი ზომის ასო Ω არის გამოკვეთილი).

მარტივი საზედაო ასოების მოხაზულობა იმეორებს ტექსტის მთავრულ ასოებს, რომლის არქიტექტონიკა სრულყოფილი და დახვეწილია. მათი ფორმები კლასიკურია. ძირითადი ელემენტებია წრე და ხაზი. სტილისტურ ერთიანობაში ამ შემადგენელ ელემენტთა მრავალფეროვან კომბინირებას ვხვდებით: ასოთა ნაწილი წრიულ მოხაზულობას იმეორებს, ნაწილი კი ვერტიკალურ სისტემაზეა აგებული. ასწვრივი ხაზი მის პარალელურ შვერილებს რკალებისა და ჰორიზონტალური ხაზების საშუალებით უკავშირდება[2] (ტაბ. II, XIII).

თითოეული ასო თითქოს ჩაწერილია უხილავ ჩარჩოში, რომელიც კვადრატს უახლოვდება. წრიული მოხაზულობის ასოების სიმაღლე თითქმის დიამეტრის ტოლია, ხოლო ვერტიკალურ ხაზთან შერწყმული ელემენტები კი, რომლებიც ზომებით არ აღემატებიან სიმაღლის ნახევარს, განაწილებულია ვერტიკალური ღერძის ან ცალ მხარეს, ან ორივე მხარეს.

საერთო გრაფიკულ სისტემაში ერთადერთი ასო „ჯ" წარმოდგენილია დიაგონალურად გადამკვეთი ხაზებით. ქართული ხელნაწერების საზედაო ასოების გრაფიკული მოხაზულობის შესწავლამ მიგვიყვანა შემდეგ დასკვნამდე: შესაძლებელია ასო Χ იესუ ქრისტეს დასწყისი მთავრული ინიციალების Ⲓ და ✝ შეერთების შედეგად მიღებული მონოგრამა იყოს[3]. მით უმეტეს ეს მონოგრამა თავისი შინაარსითაც და ფორმითაც შეესაბამება სიტყვა „ჯუარის" პირველ ასოს.

ივ. ჯავახიშვილის აზრით ასო „ჯანი" რთულ ბგერას წარმოადგენდა, რომელიც შესაძლებელია თავდაპირველად იწერებოდა ორი ასოთი, თუმცა ეს საკითხი მან შემდგომი კვლევის საგნად მიიჩნია. ივ. ჯავახიშვილმა „ჯ"-ს წარმოშობისათვის მექანიკური თეორიის გამოყენებაც სცადა, შესაძლებლად ჩათვალა, რომ ამ ასოსათვის ირიბად გადაკრილი ჯვრის მოხაზულობა ყოფილიყო აღებული, მაგრამ როგორც თვითონ აღნიშნავდა, „საიდან გაჩნდა „ჯ"-ს ზევითი გასწვრივი ხაზი, ამ თეორიის თვალსაზრისით გაუგებარი იქნებოდა"[4].

ასო „ჯ"-ს მონოგრამული არქიტექტონიკა ცხადად გამოსჩვივის IX — —XIII სს. ხელნაწერთა საზედაო ასოებში (სურ. 1). შესაძლებელია, მთავ-



სურ. 1. ასო „ჯ"-ს გრაფიკა IX—XIII სს. ქართულ ხელნაწერთა საზედაო ასოებში

[2] ქართული დამწერლობის განვითარების ტაბულა, პალეოგრაფიული ძიებანი, ტ. IV, თბ., 1969.

[3] ამ საკითხს ჩვენ შევეხეთ 1969 წ. თბილისში არქეოგრაფების სრულიად საკავშირო კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებაში: „ძველი ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრული საზედაო ასოები".

[4] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949, გვ. 231.

რული საზედაო ასოების მოხაზულობაში შემონახულია ასო „ჯ"-ს უძველესი სახე, მისი შინაარსის თავდაპირველი გაგება, ისევე როგორც გვიანი ხანის ეპიგრაფიკულ ძეგლებსა და ხელნაწერების მთავრულ ასოებში შეინიშნება არქაიზმის ზოგიერთი ძოვლენა (იხ. საზედაო ასოების განვითარების ტაბულა XIV). X ს. ხელნაწერებში A—1109, A—38, S—425 აღინიშნება თავშეკრული ბ, ს, ჟ არსებობა (ტაბ. II).

მთელ რიგ ქართულ ხელნაწერთა საზედაო ასოებში თვალსაჩინოა ასო „ჯ"-ს შინაარსის მხატვრული გააზრება: ადიშის ოთხთავი, H — 2211, H — 325, A — 182, A — 1459, A — 39. ამ საზედაო ასოების მოხატულობაში მკვეთრად გამოხატულია ასო ⅂, რომელსაც მარჯვნიდან მარცხნივ კვეთს წ-გრძელებული ხაზი და იკითხება როგორც +. ასო ⅂-ს გასწვრივი ხაზი, რომელმაც მარცხნიდან შემოინახა კალმის ჩანაქდევი, მარჯვენა მხარეს გრძელდება როგორც ასო +-სთან შემაერთებელი ხაზი. მთელი ეს კომპოზიცია ქართული შრიფტის საერთო გრაფიკული პრინციპების შესაბამისად ჩაწერილია კვადრატში: ზედა გასწვრივი ხაზი კვადრატის გვერდს არ აღემატება, იგი სიდიდით სხვა ასოების ⴆ და Ⴑ ჰორიზონტალის ტოლია. ⅂ და + ასოების ურთიერთგადამკვეთმა ასწვრივმა ხაზებმა კი ჯვარედინი ფორმა მიიღეს. ასეთი გრაფიკული შერწყმის შედეგად მიღებული ასო „ჯ" ხელნაწერ ტექსტში ადრიდანვე ამ ჯვარედინი ფორმით გვხვდება.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ქრისტეს მონოგრამული გამოსახულება ☧. იგი ბერძნული წარმოშობისაა და ქრისტეს დასაწყისი ორი ბერძნული ასოს χ და ρ შეერთების შედეგადაა მიღებული. ქართულ ხელნაწერებში იგი დამკვიდრდა ტექსტის დასაწყისის აღსანიშნავად[6]. ქართულ ანდერძ-მინაწერებში მას ქანწილს უწოდებენ[7]. ასო „ჯ"-ს ჩვენ მიერ ზემოხსენებული გრაფიკული გადაწყვეტა გააზრებულია ქართულ ნიადაგზე. იგი შინაარსითა და ფორმით სრულ შესაბამისობაშია: სიტყვა „ჯუარის" პირველი ასო Ⴟ, რომელიც წარმოადგენს იესუ ქრისტეს მონოგრამას, მხატვრული ფორმით ჯვარცმული ქრისტეს სიმბოლოს — ჯვრის სახითაა გამოხატული.

ასო „ჯანი", ცხადია, რომ შეიქმნა უკვე ჩამოყალიბებული ⅂ და + ასოებისაგან და რომ ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით (შესაძლებელია, თუ დავუშვებთ, ანბანის რეფორმაციის დროს) ქართულ ანბანს იგი დაერთვის როგორც ქართულ ნიადაგზე შექმნილი რთულ ასოდ გამოხატული ქრისტეს მონოგრამა (ამით უნდა აიხსნას ასომთავრულ გრაფიკულ სისტემაში

---

5 ეს გარემოება დასაშვებად მიგვაჩნია იმის გამოც, რომ ჯვრის კულტი ქართველი ხალხის რელიგიურ ცხოვრებაში ფართოდ იყო გავრცელებული. ჯვარი გამოხატულია ფასადების დეკორატიულ სისტემაში, მონეტებზე, რელიეფებზე, არქიტექტურული გეგმების მოხაზულობაში, სტელებზე, გუშბათის ფრესკულ მხატვრობაში, ხელნაწერთა დეკორში, ხელნაწერი წიგნის თავფურცელზე საზეიმო კომპოზიციის სახით, სიგელ-გუჯრების ტექსტის დასაწყისში და სხვ. გასაკვირი არ არის, რომ ჯვრის სახით გამოსახული ქრისტეს მონოგრამა ქართველი ანბანის გრაფიკულ სისტემაშიც დამკვიდრებულიყო.

6 ლ. ჭ ა ჯ ა ი ა, „ორი ტექნიკური ნიშანი ძველ ქართულ ხელნაწერებში". პალეოგრაფიული ძიებანი, ტ. II, თბ., 1969, გვ. 106—207.

7 მხატვრულ ხელნაწერებში ქანწილი საზედაო ასოების სტილში ახატებოდა.

ერთადერთი შემთხვევა — რამდენადმე განსხვავებული მოხაზულობის მქონე ასო „ჯ"-ს არსებობა).

ადრეული ხანის ხელნაწერი გვერდებისათვის დამახასიათებელი სისადავე და სიმკაცრე თავის მხატვრულ სახეს ინარჩუნებს მომდევნო ხანის ხელნაწერებშიც: ხანეტი ლექციონარი (VII ს.) სინას მრავალთავი (864 წ.), ადიშის ოთხთავი (897 წ.), ჯრუჭის I ოთხთავი (936 წ.) და სხვ. თვით ადრეული ხანის დაწერათებულ ხელნაწერებშიც ტექსტის გვერდები შემკულობის გარეშეა დატოვებული. ძირითად მხატვრულ ეფექტს ქმნის მრგლოვანი ასომთავრული მონუმენტური დამწერლობა და ტექსტის საერთო კომპოზიციური განაწილება.

X საუკუნიდან ხელნაწერ ფურცლებს ეუფლება ფერადოვნება, ორნამენტური მოტივები. ტექსტის გვერდი დეკორატიული შემკულობისაკენ მიისწრაფვის. ცალკეული თავი გამოიყოფა ბოლოსართით, თავსართით, საზედაო ასო ორნამენტებით მდიდრდება, თანდათანობით ყალიბდება ოთხთავის შემკულობის პრინციპები.

ტექსტის დეკორატიულ მხატვრობაში დიდი მნიშვნელობა მიენიჭა სინგურს. იგი დაეუფლა საზედაო ასოებს, სათაურებისა და მინიატურების განმარტებით წარწერებს. სინგურის ფერი მთავრულ ასოებს დაემკვიდრა ნუსხურით შესრულებულ ხელნაწერებშიც. მდიდრულად მორთულ ხელნაწერებში ეს ასოები ხშირად ოქრომელნითაა დაფერილი (წარწერის ასეთი ზოლი ორნამენტივით გარს უვლის XII ს. გელათის ოთხთავის მახარებელთა მინიატურებს).

ქართულ ხელნაწერთა საზედაო ასოების გრაფიკული მოხაზულობის შესწავლამ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით საშუალება მოგვცა თვალი გავადევნოთ მხატვრულ ინიციალთა ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს. V — VIII ს. ხელნაწერთა ინიციალები არ განსხვავდებიან ტექსტის ასოებისაგან, ისინი ზუსტად იმეორებენ ასომთავრული დამწერლობისათვის დამახასიათებელ მოხაზულობას.

IX საუკუნიდან მთავრული ასოები იჩენენ მისწრაფებას შელამაზებისაკენ (ტაბ. XIV): ასწვრივი ხაზი ტყდება, ვერტიკალურად გრძელდება (სინური მრავალთავი; ადიშის ოთხთავი), ხან ზიგზაგებითაა დატეხილი (S— — 1141. A — 509). ინიციალი იძენს დეკორაციულ ელემენტებს (H — 1660, A — 38) და X საუკუნის მეორე ნახევარში საზედაო ასო უკვე გარკვეულ მხატვრულ ფორმას იღებს (A—98, S—405, H—1346, S—425). X საუკუნის ძველ ქართულ ხელნაწერებში ერთდროულად გვხვდება ორი სახის მთავრული ასოები[8]: მარტივი, სინგურით ან ტექსტის მელნით გრაფიკულად შესრულებული და ორნამენტებით გამდიდრებული, შეფერილი მხატვრული საზედაო ასოები (ტაბ. III, IV).

X—XI სს. მარტივი ინიციალები დეკორატიული დეტალებით ძალიან ემსგავსება ეპიგრაფიკული ძეგლების დამწერლობას. ივ. ჯავახიშვილი ეპიგრაფიკულ წარწერებში რამდენიმე სახის ხელოვნებით დამწერლობას არჩევს[9]: კიდურყვაილოვანს, კიდურწერტილოვანს, ტყუბწვეტოვანს (ტაბ. XI, XII).

---

[8] Р. Шмерлинг. «Декоративное оформление грузинской рукописной книги», Тб., 1969, стр. 111.

[9] ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 124 — 126.

დეკორის მსგავსი ელემენტები გეხვდება ამავე პერიოდის ხელნაწერთა ინიციალებშიც. შეადარეთ A—38, H—1346 ხელნაწერების ტყუპწვეტიანი ინიციალები მანგლისის, სამთავისის, ალავერდის[10] ტაძრებს, XI ს. ჯუმათის წმ. გიორგის ხატზე მთავრულ ასოთა არქიტექტონიკა A—1, A—87 ხელნაწერთა ინიციალებს (ტაბ. V, XII). ცნობილია X ს. გრაფიკული ძეგლების ასოების მოხაზულობაში არქაიზმის გადმონაშთები. ასეთივე მდგომარეობა შეინიშნება X ს. საზედაო ასოებში. მაგ.: A—1109, A—38 ხელნაწერებში ზოგიერთი ასო არქაული ფორმითაა გამოხატული: ასოები ბ, ს, ყ, წრიულადაა შეკრული (A—1109, A—38, S—425; იხ. ტაბ. XV).

ქართული ხელნაწერი წიგნის დეკორატიულ შემკულობაში კამარებისა და თავსამკაულების შემდეგ მხატვრული საზედაო ასოები[11] ქმნიან ორნამენტაციის დიდ ნაწილს. ხშირად ხელნაწერი გვერდები საზედაო ასოებით მდიდრულადაა შემკული (S — 425, A — 28, იესოს ოთხთავი, A — 138, Q — 908). ზოგჯერ მხატვრული ინიციალები მხოლოდ სახარების ტექსტის დასაწყისშია წარმოდგენილი (ლაფსაყალდის, H — 1707, H — 2075 ოთხთავები). მსგავსად ჩუქურთმისა, რომელიც ფასადის მორთულობაში შეადგენს არსებით ელემენტს, ინიციალებით ტექსტის გვერდების მოხატვა ქართული ხელნაწერი წიგნის შემკულობის ერთ-ერთ მთავარ მხატვრულ ხერხს წარმოადგენს.

ქართული ხელნაწერი წიგნის ფურცლებზე საზედაო ასოების კომპოზიციური განაწილება ერთ გარკვეულ პრინციპს ემორჩილება: საზედაო ასოები დაწერილი სვეტის გარეთ რჩება, ისე, რომ ტექსტის მარცხენა მხარეს ისინი ერთ ვერტიკალზე არიან ასხმული. დაცულია მათ შორის შესაბამისი ინტერვალები, ინიციალთა ურთიერთშეფარდება ლამაზად დაწერილ ტექსტთან. ხელნაწერ გვერდებზე ამგვარი განლაგებით, სიღიდით, ფერადოვანი მახვილით ინიციალებს გვერდის საერთო კომპოზიციაში თვალსაჩინო ადგილი უკირავს.

საზედაო ასოების ამგვარი განაწილების სქემა წინასწარ მოფიქრებული და გააზრებული ჩანს. აქაში კი მთავარი როლი გადამწერს ეკუთვნის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრულ გაფორმებაში გადამწერს განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა. იგი აწარმოებდა ხელნაწერი გვერდების დაკანონებას, ტექსტის კომპოზიციურ განაწილებას ფურცელზე, მელნის ფერის შერჩევას, სინგურის გამოყენებას საზედაო ასოებისა, სათაურებისა თუ ცალკეული სტრიქონებისათვის. დიდი იყო გადამწერის როლი მხატვრულად შემკულ ხელნაწერებში: გადაწერის პროცესში იგი ტოვებდა მოსართავად საჭირო ადგილებს, ითვალისწინებდა შინაარსის შესაბამისად ცალკეული სცენების მოსახატავად[12].

---

10 თ. ბარნაველი, ქახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1961, გვ. 11.

11 ძველ ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში საზედაო ასოების შესახებ დაცული ტერმინების შესახებ იხ. ე. მაჭავარიანი, „ძველ ქართულ ხელნაწერ წიგნთა შემკულობის აღმნიშვნელი ზოგიერთი ტერმინის შესახებ". პალეოგრაფიული ძიებანი. II, თბ., 1969, გვ. 111 — 112.

12 ვისრამიანის S — 3702 ხელნაწერში ზოგიერთი მინიატურა დაუმთავრებელია, H — — 2084 ან H — 2078 ხელნაწერებში ტექსტში შესამჩნევად გათვალისწინებული თავისუფალი ადგილებია დატოვებული. „ქილილა და დამანას" A — 1124 ხელნაწერში მრავალ ადგილას ილუსტრაციებისათვის განკუთვნილ არეზე მიწერილია „დასახატავი". შემოქმედის გულანში Q — 103 კი მამია გურიელის ხელით მინაწერებია: „აქ გარდამოხსნა დახატე" და სხვ. A — 37 ხელნაწერში თავსამკაული დაუმთავრებელია (214 r), მხოლოდ კონტურებითაა შემოსაზღვრული.

ქართულ ხელნაწერთა ანდერძებში, სამწუხაროდ, იშვიათად მოიხსენიება მინიატურისტ-მხატვართა სახელები. ზოგჯერ ოსტატი თავის სახელს გამოხატავს კრიპტოგრამულ წარწერებში (ჯრუჭის I ოთხთავი), ან მიფარვით აქსოვს ორნამენტულ ხვეულებში (იენაშის, ჯრუჭის II ოთხთავები). ხელნაწერის მხატვრული და პალეოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე შესაძლებელია გადამწერი ხელნაწერის მომხატველადაც მივიჩნიოთ. ხშირად ტექსტის დეკორატიული შემკულობა, განსაკუთრებით საზედაო ასოები ისე მჭიდროდაა დაკავშირებული ტექსტთან, რომ ძნელია გავშიჯნოთ მხატვრისა და გადამწერის საქმიანობა. ამის მრავალი მაგალითი შეიძლება დავასახელოთ:

XI ს. ხელნაწერში A—136 სატიტულო ფურცელზე ჯვრის გამოსახულების ქვეშ მოცემულია გადამწერის გრიგოლის ხელით შესრულებული წარწერა: „ლოცვა ყავთ ფრიად ცოდვილისა გლახ გრიგოლისათვის". ეს ანდერძი უკავშირდება ორნამენტულ ნახატს მელნის ფერითა და ორნამენტული დეტალებით. მინაწერის ხელიც — ოთხკუთხა ფორმის ასოები დამახასიათებელია ტექსტისათვის.

ცნობილი XI ს. ურბნისის ოთხთავის (A — 28) საზედაო ასოების კონტურული ნახატი შესრულებულია ტექსტის მელნით. საზედაო ასო ხშირად ღრმადაა შეჭრილი ტექსტის სვეტში — სტრიქონები გარშემოწერენ მას. საზედაო ასოები საერთო კოლორიტითა (ფერადოვანი გამა აგებულია შაბიამნისფერისა და შინდისფერის დაპირისპირებაზე) და შესრულების მანერით მოგვაგონებენ კამარებს. ამდენად გადამწერი იოანე ტატანელი ხელნაწერის მოხატულობის შემსრულებელიც უნდა იყოს. იხ. აგრეთვე A — 138, H — 2211 ხელნაწერები.

XIII ს. A — 496 ოთხთავში გადამწერი და მხატვარი ერთიდაიგივე პიროვნებაა. მათეს სახარების თავსამკაულის გასწვრივ მოცემულია მინაწერი „მათე მხატვარი"[13]. ანდერძის მთავრული ასოები მხატვრული სტილიზაციითა და სინგურის ფერით საზედაო ასოებისა და ასევე მინიატურებზე არსებული განმარტებითი წარწერების მსგავსია. ასეთივე წითელი ფერი ჭარბადაა გამოყენებული მინიატურულ მხატვრობაში.

მდიდრულად შემკულ XIII ს. იენაშის ოთხთავში (დაცულია მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში) გადამწერი ხელნაწერის მომხატველიცაა. იონას, როგორც გადამწერის, სახელი მოხსენებულია მათე, მარკოზ და ლუკას სახარების ტექსტის ბოლოს. ხელნაწერში მოიპოვება მისი ხელით შესრულებული სხვა მინაწერებიც, რომლებიც შინაარსობრივად, კომპოზიციურად და მხატვრულად მჭიდროდაა დაკავშირებული ორნამენტებთან. ეს მინაწერები ჩაქსოვილია საზედაო ასოებისა და თავსამკაულთა ორნამენტულ ხვეულებში.

195 v-ზე ტექსტის საილუსტრაციოდ საზედაო ასოს სახით წარმოდგენილია გველის გამოსახულება. ცხადია, რომ შინაარსის ერთდროული ილუსტრირება გადამწერის მიერაა შესრულებული. 125 r-ზე ლუკას სახარების თავსამკაულში ფსალმუნის ტექსტი ჩაწერილია გრეხილი ორნამენტის სახით წარმოდგენილ ვეშაპის გამოსახულებაში, რომელიც შეესაბამება ტექსტის შინაარსს.

---

[13] მინაწერი მიგვითითა ინსტიტუტის უფროსმა მეცნ. თანამშრომელმა თ. ბრეგაძემ.

ის გარემოება, რომ გადამწერი იონა მხატვარიცაა, დაადასტურა იოანეს სახარების თავსამკაულის ორნამენტში ჩართულმა ანდერძმა. თავსამკაულის გრეხილ ორნამენტში (191 r) წერილი ნუსხურით, ოქროს, შავისა და მწვანე ფერების მონაცვლეობით იონას ხელითვე ჩაწერილია: „წმიდაო იოვ[ა]ნე მხრბლო ღუთისმეტყუელო ქრლო საყვარელო მოწაფეო მაცხოვრისაო მეოხ გუეყავ ჩუენ ქ[ა]ე ძიო და სიტყუაო ღ[მრ]თისაო. შეუდგენ ფ[ა]დ ცოდვილსა ამისსა მოქმედსა იონას". უნდა აღინიშნოს, რომ იონა გადამწერი ტექსტის დეკორატორად გვევლინება. კამარათა და მახარებელთა მინიატურების მხატვრობა კი განსხვავდება ორნამენტული მხატვრობისაგან, იგი სხვა ოსტატის ნაწელავი უნდა იყოს[14].

საზედაო ასოები შესანიშნავად ასახავენ ხელნაწერის საერთო სტილს. მათი საშუალებით შესაძლებელია სტილისტურად ერთნაირი ხელნაწერების დაკავშირება (იეხაშის და A—138 ოთხთავები, A—135 და A—840 ხელნაწერები; ტაბ. VI), ზოგჯერ კი სტილისტურად განსხვავებული საზედაო ასოები შესაძლებლობას იძლევიან ერთ რომელიმე ხელნაწერში უფრო ადვილად შევნიშნოთ პალეოგრაფიულად განსხვავებული ტექსტები. მაგ. A—87 ხელნაწერში ორი სხვადასხვა ოსტატის მიერ შესრულებული საზედაო ასოები გვხვდება, ტექსტიც ორ სხვადასხვა გადამწერს ეკუთვნის. 374 v-დან იცვლება საზედაო ასოების სტილი და ტექსტის ფურცლებიც განსხვავებული ხელითაა შესრულებული. ანალოგიურ შემთხვევას აქვს ადგილი H—1669, S—425 ხელნაწერებში.

ძირითადი და წამყვანი თემა საზედაო ინიციალების ორნამენტიკაში მცენარეული სახის ორნამენტია, რომელიც სტილიზებულია ოსტატის ფანტაზიის წყალობით. სტილიზებულ მცენარეულობას საუკუნების განმავლობაში ეხვედებით როგორც ჭედურ, ხეზე ჭრის, ფრესკულ ორნამენტიკაში, ასევე ხელნაწერთა თავსამკაულებსა, კამარებსა და მინიატურათა ჩარჩოებში. ეს ორნამენტი სხვადასხვა ვარიაციებით წარმოდგენილია საზედაო ასოების შემკულობაში. მცენარეული ორნამენტის დეტალები ქმნიან ინიციალების საერთო აგებულებას.

ინიციალთა ორნამენტიკა კომპოზიციურად მჭიდროდაა დაკავშირებული თავსამკაულთა დეკორთან. ქართული ხელნაწერები, მსგავსად ბერძნულისა, ხელნაწერის დასაწყისში და ყოველი თავის დასაწყისში შემკულია თავსამკაულით, რომელსაც უკავია გვერდის ან სვეტის მთელი ფართობი სიგანეზე. ეს ორნამენტი ზოგჯერ ოთხკუთხა სადა ზედაპირის ნაცვლად ამოკვეთილია მის ცენტრში სწორკუთხოვან ან ოთხფრთიანი სიცარიელის სახით; სიცარიელის შიგნით კი ჩაწერილია სათაური, ჩვეულებრივად ოქროს მთავრუ-

[14] მხატვარ იონას გვერდით ხელნაწერში ჩნდება მეორე ოსტატის — თევდორეს სახელიც. იგი მოხსენებულია ლუკას სახარების ბოლოს იონას სახელის გვერდით. ასო „დ"-ს (188 v) ორნამენტული ნახატი ოქროს კონტურითაა შემოვლებული და ამ კონტურის გაგრძელებაზე ამაევე ოქრომელნით მრავალწერტილით მითითებაა გამოტანილი: „ქ[რ]ე შ[ე]ე თ[ა]" (ქრისტე შეიწყალე თევდორე). საფიქრებელია, რომ ორნამენტებსა და საზედაო ასოებზე კონტურული ხაზები მის მიერაა ოქროთი დაფერილი. უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცული ამავე პერიოდის ოთხთაში (A — 138) მსგავსი თავსამკაულები და საზედაო ასოები ოქროს კონტურის გარეშეა დატოვებული და მხატვრული თვალსაზრისით სრულიად დამთავრებულ შთაბეჭდილებას სტოვებს. ამ შემთხვევაში კი თევდორემ (შესაძლებელია იგი მინიატურებისა და კამარების მომხატველიც იყოს) ხელნაწერისათვის საერთო საზეიმო იერის მისანიჭებლად ორნამენტული ნახატის კონტურები ოქროთი დაფერა.

ლი ასოებით. დეკორის სიმდიდრე იზრდება მისი პროპორციების ზრდის მიხედვით. მისი ზედაპირი უმთავრესად დაფარულია აყვავებული და შეფოთლილი ტოტებით, რომლებიც ეხვევიან ერთმანეთში, იხლართებიან ანდა შორდებიან ერთმანეთს, რათა დაუტოვონ ადგილი მედალიონთა მწკრივებს, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა საბის სტილიზებულ ყვავილებს.

ზოგჯერ ეს თავსამკაული არის მარტივი ზოლი ერთი ფერისა, გაწყობილი სხვადასხვა აშიით, ზოგჯერ ნაკლებად მდიდრულ ხელნაწერებში გადადის ვიწრო ყვავილებით შემკულ კვანძებიან ზოლში და ეს გარდაქმნა იქამდე ხდება, რომ თავსამკაული იქცევა უბრალო ყვავილების ტალღოვან ან წერტილოვან ხაზად. ეს თავსამკაული, რომელიც არის ბერძნულ ხელნაწერთა ორნამენტაციის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი, მისი განვითარების მაღალ საფეხურზე იჩენს თავის ნამდვილ ხასიათს—იგი ძირითადად ყვავილოვან თემას წარმოადგენს. ეს თემა, რომელიც ბიზანტიური დეკორის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს, ბიზანტიელი მხატვრების მიერ თავისებურადაა წარმოდგენილი. ისინი ყვავილს არასოდეს არ გადმოსცემენ ისეთს, როგორიც ის ჩანს ბუნებაში, არამედ ყოველთვის ისეთად, როგორიც გამოჩნდებოდა იგი, ორად გაპრილი ვერტიკალური კვეთით. ყველაზე უფრო ხშირად არჩევენ ყვავილს რამდენადმე სიმეტრიული ფურცლით და ამ ფურცლების აშიებით. მხატვარი ყოველთვის ჭრის ყვავილს ისე, რომ ჩანდეს მისი შიგნითა ხედი.

ყვავილოვანი სისტემით შექმნილი მთავრული ასოები ამავე პრინციპს ემორჩილება. ამ ტიპის ინიციალებითაა შემკული მრავალი ხელნაწერი. ინიციალთა აგებულება მეტად რთული და დანაწევრებულია. მისი დეტალები განსხვავებული ფერის, ინტენსიური, გაუმჭვირვალე საღებავებითაა შევსილი. ცალკეულ დეკორატიულ დეტალს გარს უვლის ოქროს ფაქიზი კონტური.

ამ ორნამენტაციაში ინიციალის საერთო მოხაზულობა სიცხადეს ინარჩუნებს. მისი პირვანდელი სახე გამოკვეთილი რჩება, არასოდეს არ არის დახლართული და გაუგებარი. ამ მხრივ ქართული ხელნაწერის წიგნის ინიციალები ემსგავსება ბერძნულ ხელნაწერთა ინიციალებს; ისინი, დეკორის სხვა ელემენტების მსგავსად, ზომიერებით ხასიათდებიან (ტაბ. V, X).

IX—XII სს. ინიციალები არასოდეს არ აჭარბებენ საშუალო სიდიდეს, ისინი უფრო პატარებად რჩებიან. არასოდეს არ ვრცელდებიან უხეშად, მკვეთრად გვერდის სამ მეოთხედზე და არასდროს არ ეუფლებიან მთელ გვერდს, არ სცილდებიან განკუთვნილ საზღვრებს. ვერასოდეს ვერ ნახავთ მათ დახატულს მძიმე და შავი ნაკვთებით, ხაზგასმულს სქელი და ტლანქი ოქროთი. არასოდეს ქართველი და ბიზანტიელი მინიატურისტები არ უშვებენ აშიას, როგორც ეს ლათინურ ხელნაწერებშია, რომელიც ჩარჩოში სვამს ინიციალს, თუნდაც ყველაზე უფრო მოხდენილი და ყველაზე მდიდრული აშია იყოს. ისინი არ უშვებენ ხელოვნების გადატვირთვას და სურთ ყველგან შეინარჩუნონ ეს ზომიერება, რომელიც კარგი გემოვნების გამომხატველია.

ბიზანტიური და ქართული ხელნაწერებისაგან განსხვავებით, სომხურ ხელნაწერთა ინიციალები ხასიათდებიან ორნამენტული შემკულობის სიჭარბით.

იმდენადაა ინიციალის საერთო აგებულება გადატვირთული ფოთლოვანი ორნამენტებით, რომ ინიციალის სერთო მოხაზულობა იხლართება, იკარგება ამ ორნამენტაციაში.

ქართულ ხელნაწერთა საზედაო ინიციალებში მხატვრული ელემენტი არ შლის ფორმას და არც იმ მნიშვნელობას, რომელსაც იგი ატარებს. ქართველი ოსტატი ყოველთვის ცდილობს გასაგები დარჩეს ასომთავრული ძირითადი ხასიათი. აქ ფორმა არასოდეს არ ბატონობს აზრზე—ოღონდ ორნამენტი იყოს ლამაზი. ეს ბატონობა ეფექტისა აზრზე ნაწილობრივ იჩენს თავს ბერძენი მხატვრის ჩვეულებაში—მოათავსონ მოოქრული ან მოხატული ინიციალი გვერდის იმ ადგილას, რომელიც მათთვის შესაფერია; ისინი არ ზრუნავენ იმაზე, თუ იგი მოხვდება სიტყვაზე, რომელიც არ იწყებს აბზაცს ან წინადადებას. უფრო მეტიც, შემკული ინიციალი ხშირად სიტყვის შუაში ხვდება. ჩვენ არ ვხედებით არც ერთ ასეთ მაგალითს ლათინურსა და ქართულ ხელნაწერებში. ოსტატი სვამს მთავრულ ასოს აბზაცის დასაწყისში, რათა გაამახვილოს ყურადღება მუხლის დაწყების წინ.

ხშირად ინიციალები შეიცავენ გეომეტრიული სახის ორნამენტებს (ტაბ. VI). ისინი სწორი ხაზის საშუალებით დანაკვთულია სწორკუთხა ან სამკუთხა ნაწილებად და თითოეული შევსილია სხვადასხვა ფერის საღებავით. აქ წამყვანია ზუსტი, გამოკვეთილი ხაზი. ინიციალის საერთო მოხაზულობას, ზოგჯერ ორმაგი კონტურითაც კი, ქმნის ფაქიზი ყავისფერი ხაზები. ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს იმ გრაფიკული ტიპის ხელნაწერებში, რომლებიც ტაო-კლარჯეთის მხატვრულ სკოლას მიეკუთვნებიან. ეს ხელნაწერებია: H — 2211, A — 28, H — 2124, H — 1669, A — 87, A — 840 და სხვ.

ინიციალთა კოლორიტი, მათი შესრულების ტექნიკური თავისებურებანი შესაძლებლობას გვაძლევს განვასხვაოთ ერთი გარკვეული სკოლის მხატვრობა მეორისაგან. კერძოდ, პირობითად ცხოველხატულად წოდებულ ხელნაწერთა ჯგუფს, ე. წ. საზეიმო მიმართულების ხელნაწერებს, რომლებიც შემკული არიან ყვავილოვანი ინიციალებით, უპირისპირდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ტაო-კლარჯეთის მხატვრული სკოლა, რომელიც ძირითადად გეომეტრიული სახის ინიციალებს იყენებს. იგი სწორედ ფაქიზად შესრულებულ ხაზებში ხედავს მხატვრულ ეფექტს.

გრაფიკული წესით შესრულებულ ინიციალთან შეხამებულია აკვარელისებური, მეტად ნაზი კოლორისტული შეფერილობა. კოლორიტი გადამწყვეტ როლს თამაშობს როგორც ცალკეული ინიციალის, ასევე მთლიანად ხელნაწერის მხატვრული სახის შექმნაში. ინიციალთა მრავალფეროვნებას იწვევს არა მარტო მისი დეტალების სახეცვლა, არამედ კოლორისტული თავისებურებებიც. ცალკეული ინიციალი, რომელიც მეტნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისაგან თავისი გრაფიკული ნახატით (ტაბ. IV), ფართა სახეცვლით ქმნის მრავალგვარობის შდაბეჭდილებას, მაშინაც კი როცა იძლევა განტვირთულ კოლორიტს, მაგ., ურბნისის ხელნაწერთა ინიციალებში დაპირისპირებული ორი ძირითადი ფერი (შაბიამწისფერი და მუქი ღვინისფერი). შეუფერავ ეტრატთან კომბინირებით ოსტატს შესწევს უნარი შექმნას ინიციალთა მრავალფეროვნება.

ქართულ ხელნაწერებში გვხვდება ინიციალები შემკული ცხოველებით, ფრინველებით ან ადამიანებით. ცალკეული გამოსახულებანი დაკავშირებული არიან ერთმანეთთან გრეხილებით, ყვავილებით. ცხოველის, ადამიანის თუ ფრინველის გამოსახულება წარმოადგენს ინიციალის ნაწილს — მათი პოზა ინიციალის მოხაზულობას იმეორებს. კალიგრაფიასთან დამოკიდებულება ბეატვარმა სწორედ ამით გამოხატა: ორნამენტებისა და პერსონაჟების დაკომპაქტების დროს შეითვისა, იხელმძღვანელა ასომთავრულის ძირითადი მონახაზებით.

ასო „დ"-ს ოვალი ხშირად იქმნება სიმეტრიულად განლაგებული ჩიტებისაგან, ხან იგი შეიკავებს თევზისა და ჩიტების გამოსახულებებს. ჯრუჭის ოთხთავში ირმებია, რომელთა რქები ასოს ბუნს ქმნიან. XII ს. ოთხთავში (H — — 1707) „დ"-ს შეადგენენ ხეზე ასული სიმეტრიულად განლაგებული ადამიანთა ფიგურები. ზურგის მოხაზულობით ისინი ქმნიან „დ"-ს ოვალს, (ტაბ. VIII).

ზოგიერთი ინიციალი გამოდგებოდა საყოფაცხოვრებო ჟანრის საუკეთესო ნიმუშად: ლაფსყალდის ოთხთავში ასო „ე"-ს გასწვრივ აკრობატია გამოსახული, ხოლო ასო ძირითად კორპუსს ქმნის მონადირე კურდღლით ხელში. გელათის, H—1707 ხელნაწერებში ასო „პ"-ს ქმნიან ნავისა და ადამიანთა გამოსახულებანი.

ბევრი ზემოაღნიშნული დეტალი ბიზანტიურ ხელნაწერთა დეკორის. კერძოდ, კონსტანტინეპოლური სკოლის ბრწყინვალე ინიციალებში შეგვხვედრია. ძდიდრულია ბერძნულ სამკაულთა რეპერტუარი. ერთი ასო T, დეკორატიული სვეტის ფორმით წარმოდგენილი, იძლევა სხვადასხვა სახის ნახატ ყვავილს, ურჩხულისა და ჩიტების გამოსახულებების სახით განშტოებებს. ზოგჯერ ცხოველის, ჩიტისა თუ ადამიანის ფიგურები მოცილებულია ინიციალის კორპუსს, დგანან მასთან, როგორც მომხიბვლელი ქანდაკება არქიტექტურულ შენობასთან.

მსგავსად ბერძნული ხელნაწერებისა, ქართულ ხელნაწერებში ცხოველთა ფიგურებისაგან შედგენილი ორნამენტი ძირითადად ვითარდება საზედაო ასოებში და არა თავსამკაულებსა და კამარებში. ურჩხულის თავები მოცემულია დეკორის ამ ელემენტებში დეტალების სახით გელათის, შიომღვიმის და სხვ. ხელნაწერებში, ჩიტებიც ასევე დანამატის სახით არიან წარმოდგენილნი მცენარეულ ორნამენტში. როგორც ასეთი, სუფთა ცხოველური ორნამენტი— ზოომორფული ორნამენტი—ჩვენთან არ განვითარებულა.

ადამიანთა და ცხოველთა გამოსახულებანი, რომლებიც ბიზანტიურსა და ქართულ ხელნაწერებში ძირითადად შემოფარგლულია საზედაო ასოებით, სლავურ, რუსულ სტილში ერთნაირადაა განვითარებული საზედაო ასოებსა და თავსამკაულებში. ეს გამოსახულებანი (გველის კუდები, ურჩხულის თავები), რომლებიც კარგავენ თავის ნატურალიზმს პირობითი სტილის გავლენით, გავრცელებას პოულობენ სლავურ ხელნაწერებში.

კონდაკოვი თვლის, რომ რუსულ ხელნაწერებში ცხოველური ორნამენტიკის საწყისი ბიზანტიურ ხელოვნებაში უნდა ვეძიოთ; მაგრამ აქ სულ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. რუსული სტილის დამახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს ცხოველური და მცენარეული სამყაროს ბუნებრივი ფორმების დაშლა.

ეს ორი ელემენტი ერთმანეთში ისეა შერწყმული, რომ თვალს უძნელდება გარკვევა, სად თავდება ცხოველური და სად მცენარეული.

ცხოველური ორნამენტის ფართოდ გავრცელების მიზეზს კონდაკოვი ხსნის ასე: მისი აზრით, სცოდავენ ლიტერატურის ის თეორეტიკოსები, რომლებიც ფიქრობენ, ვითომც ცხოველური სტილის ორნამენტიკაში ურჩხულის გამოყენებით ბერმონაზვნობას სურდა საზოგადოება ქრისტიანულ მკაცრ მორალისაკენ მიებართა. მისი აზრით, ეს ცხოველური ფიგურები წარმოადგენენ თავისი დროის სილამაზისა და სინატიფის უკანასკნელ სიტყვას, ისინი გამიზნული იყვნენ მკითხველის ესთეტური სიამოვნებისათვის[15].

ქართული ხელნაწერი წიგნის მხატვრულმა შემკულობამ განვითარების გარკვეული ეტაპები და საფეხურები გაიარა, საუკუნეთა მანძილზე იგი გარკვეულ ფორმებსა და სახეებში ჩამოყალიბდა. ამ საერთო ევოლუციაში მხატვრული საზედაო ასოები ფეხდაფეხ მისდევენ დეკორის სხვა ელემენტების სტილისტურ ცვლილებებს. მათაც გააჩნიათ ამა თუ იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი გარკვეული ნიშნები, თავისი სტილისტური თავისებურებანი.

ეს თავისებურებანი, თავის მხრივ, შესაძლებლობას იძლევიან ხელნაწერის დეკორატიული მხატვრობა გარკვეული ქრონოლოგიური ჩარჩოებით შემოიფარგლოს. ამ მხრივ ჩვენ ძიერ შესწავლილი მასალა იძლევა საშუალებას გამოიყოს სტილისტურად განსხვავებული 2 ჯგუფი. თითოეული მათგანი, რომელიც აერთიანებს ზემოხსენებულ მხატვრული სკოლების ნიმუშებს, ერთმანეთისაგან გამიჯნულია საუკუნეების მიხედვით. XI — XII საუკუნეები უპირისპირდება XIII საუკუნეს (ტაბ. VIII, IX).

ერთ-ერთ თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს ხელნაწერი გვერდის საერთო კომპოზიციური გადაწყვეტა, სადაც ინიციალს, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამ საერთო კომპოზიციურ გადაწყვეტაში ვგულისხმობთ დეკორატიული ელემენტების განაწილებას ხელნაწერის გვერდზე: მათ ურთიერთშეფარდებას, მათ დამოკიდებულებას ტექსტთან. ჩვეულებრივ, აქ ურთიერთობაშია: თავსამკაული, ინიციალი და ორ სვეტად დაწერილი ტექსტი. ამით იქმნება ხელნაწერი გვერდის მხატვრული სახე.

XI—XII სს. ხელნაწერებში—გელათის, სვინაქსარი H—2211, A—1 და სხვ. ტექსტის დასაწყისი გვერდის კომპოზიციური გადაწყვეტა კლასიკური სიცხადით ხასიათდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ ამ გვერდების მომრთველ დეკორატიულ ელემენტებს — ინიციალსა თუ თავსამკაულს — თავისი განსაზღვრული ადგილი აქვს მიჩნეული, თითოეული მათგანი დამოუკიდებელ დეკორატიულ ერთეულს წარმოადგენს. მაგ., თავსამკაული ხაზგასმულია კიდეებზე ფერადხაზოვანი ზოლებით, ე. ი. მისი ორნამენტული სიბრტყე გარკვეულ გეომეტრიულ ჩარჩოშია ჩაწერილი, მის სიგანეს კი ტექსტის ზომა განსაზღვრავს.

ინიციალიც, ტექსტის ვერტიკალური სვეტის მოხაზულობიდან მარცხნივ გამოწეული, მართალია, ერთი მთლიანი მხატვრული ორგანიზმის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ ამ მხატვრულ ანსამბლში იგი დამოუკიდებლად იკითხება: თავისი მოხაზულობით გამიჯნულია არა მარტო ტექსტის, არამედ დეკორის სხვა ელემენტებისაგან.

---

[15] Н. П. Кондаков, Зооморфические инициалы греческих и глаголических рукописей X-го—XI-го стол. в библиотеке синайского монастыря, 1903 г.

მოგვიანო პერიოდის, კერძოდ, XIII ს. ხელნაწერებში A—138, A — 922, A — 496, თავსამკაულთა თუ კამარების არე წარმოადგენს მთლიან დაუნაწევრებელ სიბრტყეს. ორნამენტული წნული, რომელიც მრავალჯერ გადახლართულია, ერთიან ორნამენტულ მონახაზს ქმნის. ეს თავსამკაული, ერთიან ორნამენტულ სიბრტყედ გააზრებული, არა მარტო უკუაგდებს ჩარჩოს, არამედ სცილდება უკვე მის საზღვრებს. ინიციალიც ამ საერთო სტილს პასუხობს: გართულებული, პროპორციულად გაზრდილია. ინიციალის ორნამენტული ნახატი ხშირ შემთხვევებში ტექსტის ვერტიკალური სვეტის გასწვრივ ჩამოზრდილია, ერწყმის თავსამკაულს (ტაბ. II, A—138), მხატვრული თვალსაზრისით ასეთი ერთიანობა, რომელიც კლასიკურ მშვიდ ფორმებს დინამიურობას უპირისპირებს, XIII საუკუნის ახალი სტილისათვისაა დამახასიათებელი.

ამრიგად, ასომთავრული დამწერლობის მხატვრულმა თავისებურებებმა განაპირობა არა მარტო დაწერილი ტექსტის საერთო მხატვრული სახე, არამედ მთავრული ასოები ხელნაწერ გვერდებს დაემკვიდრა როგორც დეკორი.

Е. М. МАЧАВАРИАНИ

ХУДОЖЕСТВЕННЫЕ ОСОБЕННОСТИ ЗАГЛАВНОГО ПИСЬМА «АСОМТАВРУЛИ» ПО ГРУЗИНСКИМ РУКОПИСЯМ V—XIII ВВ.

(Резюме)

В грузинских украшенных рукописях заглавное письмо «асомтаврули» на протяжении веков используется в качестве декора. В основном оно представлено в виде инициалов. Инициалы по их орнаментике, техническому исполнению и красочной гамме соответствуют стилю данной рукописи.

В XIII веке инициал протерпевает большое изменение. Новое сказывается в появлении новых орнаментальных мотивов и в общем архитектоническом решении.





VI—VII სს. ასომთავრული დამწერლობის ნიმუშები: მოზაიკა (ბა ანტონის VI ს. წარწერა ბეთლემის (პალესტინა) ქართულ მონასტერში, ქვა პატრიკიოზ სტეფანოზის VI ს. წარწერა მცხეთის ჯვრის ეკლესიის რელიეფზე) და ხელნაწერი (ხანძეტი ლექციონარი, VII ს.)

S-425



A-38

ჯ ს. ქართულ ხელნაწერთა (S—425, A—38) გრაფიკული საზედაო ასოები (იხ. არქაიზმის მოელენა ზოგიერთ ასოთა მოხაზულობაში: ბ, ს, ყ თავშეკრულია)

S-359 X ს.

საზღაო ასოების ნიმუშები X ს. ხელნაწერის (S—359) მიხედვით


S-425
A-397
A-285
S-962
A-28


A-87
A-673
A-97
A-1
A-256
A-193
A-80
A-484


A-135


A-840


A-35


H-2211


A-87


H-2124




H-2211





A-138

მახკოზის თავის დასაწყისი


Q-900
A-1459
A-1459
H-1702
A-281
H-1791
H-1707
H-1669



სახედაო ასოები XII—XIII სს. ქართულ ხელნაწერებში



გვ. 21a

გვ. 504



გვ. 55.



გვ 511



გვ.67.

გვ. 54

გვ.105

გვ 501

გვ. 71

გვ. 670

გვ 67

გვ



ხელოვნებითი დამწერლობის ნიმუშები X—XI სს. ჭედური ძეგლების მიხედვით: 1—საყდარი, 2—ფაკი, 3—ლაგურკა, 4—ბრილი, 5—შორაპანი, 6—საღოლაშენი, 7—ბრეთი, 8—როკითი, 9—ნაწული, 10—ლაბეკინა, 12—თეკალი, 12—ლაღამი, 13—საკაო, 14—შემოქმედი, 15—ლაგურკა, 16—შემოქმედი, 17—ლაბეკინა

ტაბულა XII









ხელოვნებითი დამწერლობის ნიმუშები X—XI სს. ჭედური ძეგლების მიხედვით: 1—ცა-
260 გერი, 2—ჯუმათი, 3—იენაში, 4—ბრაჟალძალი, 5—ხიდისთაეი, 6—ჯუმათი

სარჩევი

ზურაბ სარჯველაძე, მროველი თუ მრუველი 5

ცაცა ჰანკიევი, ადიშის ოთხთავის გადამწერის ტექსტზე მუშაობის მეთოდი 11

გულნაზ კიკნაძე, ესთერის წიგნის ქართული რედაქციები 14

მაია მამაცაშვილი, „ვისრამიანის“ ქართული თარგმანის მხატვრული სპეციფიკის შესწავლისათვის 25

ბაქარ გიგინეიშვილი, სოლომონის იგავთა ქართული რედაქციები 51

ნარგიზა გოგუაძე, აგიოგრაფიული თხზულების მეტაფრასული რედაქციის მიმართებისათვის კომენურთან 62

ენრიკო გაბიძაშვილი, რომანოზ ერისთავი და მისი უცნობი თხზულება 75

მიხეილ ქავთარია, XVIII საუკ. ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან 94

მაია რაფავა, ქართული დოგმატიკის ისტორიიდან 110

თორნიკე ჯყონია, იოანე დამასკელის ენკომია იოანე ოქროპირის მიმართ 127

ილიაბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები 149

ელენე ცაგარეიშვილი, სომხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X—XI საუკუნეებში 157

რამაზ პატარიძე, ქართული ხელნაწერების ჰვირნიშანი „გვირგვინი“ 210

ელენე მაჭავარიანი, ასომთავრული დამწერლობის მხატვრული თავისებურებანი ქართული ხელნაწერების მიხედვით (V—XIII სს.) 236

СОДЕРЖАНИЕ

З. А. Сарджвеладзе, Мровели или Мрувели 10

Ц. А. Чанкиева, Метод работы над текстом переписчика Адишского четвероглава 13

Г. И. Кикнадзе, Грузинские редакции книги Есфиры 24

М. Г. Мамацашвили, К изучению художественной специфики «Висрамиани» 50

Б. К. Гигинейшвили, Грузинские версии книги притчей Соломоновых 61

Н. Д. Гогуадзе, О взаимоотношении метафрастической и киминической версий одного агиографического сочинения 74

Э. П. Габидзашвили, Романоз Эристави и его неизвестное сочинение 92

М. Н. Кавтария, Из истории грузинской гимнографии XVIII века 109

М. А. Рапава, Из истории грузинской догматики 126

Т. А. Чкония, Похвальное слово Иоанна Дамаскина Иоанну Златоусту 148

И. В. Абуладзе, Штудии по грузинско-армянской филологии 155

Е. В. Цагарейшвили, Армянские источники о взаимоотношениях Грузии и Византии в X—XI веках 208

Р. М. Патаридзе, Водяной знак «корона» со звездой и полумесяцем 216

Е. М. Мачавариани Художественные особенности заглавного письма «асомтаврули» по грузинским рукописям V—XIII вв. 248

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი მ. შანიძე
გამომცემლობის რედაქტორი ც. ჯიმშელეიშვილი
ტექრედაქტორი ნ. ოკუჯავა
მხატვარი გ. ნადირაძე
კორექტორი ნ. შენგელია.

გადაეცა წარმოებას 11.8.1971; ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.6.1973;
ქაღალდის ზომა 70×108; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 23,8;
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 19.81;
შე 01066; ტირაჟი 900; შეკვეთა № 1928;
ფასი 2 მან. 15 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси 380060, Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19